სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სამხედრო ხელოვნების ისტორია
(დამხმარე სახელმძღვანელო იუნკერებისათვის)

ნაწილი IV

გორი
2024

უაკ (UDC) 355(09)(075.8)
მ_983

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერებისათვის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. მას რიდერის (ელექტროვერსიის) სახით ვიყენებდით სასწავლო პროცესში, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა სახელმძღვანელოს ნაბეჭდი წესით იუნკერებისთვის მიწოდების აუცილებლობა.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში გავაერთიანეთ სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციები. აკადემიის სასწავლო პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოვახდინეთ ტექსტების რედაქტირება და ადაპტირება. ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ცალკეულ პერიოდებს ანტკური ხანიდან მე-20 საუკუნის მიწურულამდე. წარმოდგენილი საკითხავი მასალა მეტად საინტერესოა როგორც საქართველოს, ასევე ევროპისა და აზიის სამხედრო ხელოვნების კუთხით. კერძოდ, სახელმძღვანელოში შეკრებილია ამ დარგის ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომები სამხედრო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და სამხედრო ლიდერების შესახებ. წარმოჩენილია ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული როლი (პიროვნული თვისებები, აზროვნებისა და მართვის უნარები) ბრძოლებსა და სამხედრო კომპანიებში გამარჯვების ან დამარცხების საქმეში, რაც, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო იქნება იუნკერებისა და ზოგადად მკითხველისათვის.

საკითხავი მასალის მოცულობიდან გამომდინარე, განსაზღვრულია სახელმძღვანელოს გამოცემა რამდენიმე ნაწილად. ამასთან, დიდი ინტერესით მივიღებთ მკითხველის შენიშვნებსა და წინადადებებს.

შემდგენელი-რედაქტორი: ისტორიის დოქტორი ზურაბ მჭედლიშვილი
დამკაბადონებელი: ინფორმატიკის ინჟინერიის აკადემიური დოქტორი ქეთევან კვესელავა

მთარმგნელები: მანანა სეხნიაშვილი, მანანა ღუდუშაური

ISBN 978-9941-8-6860-3

წინასიტყვაობა

დამხმარე სახელმძღვანელოს მეოთხე ნაწილში განხილულია გამოჩენილი ქართველი მხედართმთავრისა და სახელმწიფო მოღვაწის, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორისა და ასევე უდიდესი სტრატეგოსის, საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ ბონაპარტეს სტრატეგია და ტაქტიკა. გაანალიზებულია მათ მიერ ჩატარებული ბრძოლებისა და სამხედრო კამპანიების ისტორიული, იდეოლოგიური და პოლიტიკური წანამძღვრები, მათი დაწყება და მსვლელობა; აგრეთვე საბრძოლო ოპერაციებისა და ბრძოლების დინამიკა, მათი სამხედრო-ტაქტიკური ანალიზი, ამ ომების მნიშვნელობა და მათი სამხედრო-პოლიტიკური შედეგები. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება მეფე ერეკლეს სამხედრო რეფორმებზე, როგორებიცაა მორიგე ჯარის შემოღება, საარტილერიო საქმის განვითარება, ზოგადად ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების დაწყება აღმ. საქართველოში და ა.შ. ტაქტიკური კუთხით განხილულია ყირბულახის, მჭადიჯვრის, ყვარლის, ასპინძის ბრძოლები, მათი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის უცხოელ დამპყრობთაგან განთავისუფლების საქმეში. ცალკეა გამოყოფილი კრწანისის ბრძოლა. ნაშრომში გაშუქებულია ამ ბრძოლაში ქართული მხარის დამარცხების მიზეზები. კიდევ ერთხელ გამოყოფილია ერეკლეს, როგორც ბრწყინვალე ტაქტიკოსის და ლიდერის როლი ამ დაპირისპირებაში.

განსაკუთრებით საინტერესოა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი უცხოელი ავტორების (აშშ) გამოკვლევები ნაპოლეონ ბონაპარტეს შესახებ. განხილულია ვაგრამის, პრუისიშ-ეილაუს და სხვა ბრძოლები. დეტალურადაა გაშუქებული აუსტერლიცის, ბოროდინოსა და ვატერლოოს ეპოქალური მნიშვნელობის დაპირისპირებები. ცალკეა წარმოდგენილი ნაპოლეონის რუსეთის კამპანია და ნაპოლეონის დაცემის მიზეზები. შესაბამისად, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საკითხავი მასალის გაცნობის შედეგად იუნკერებს გარკვეული, უფრო სიღრმისეული წარმოდგენა შეექმნებათ აღნიშნული პერიოდის სამხედრო ხელოვნებაზე.

სახელმძღვანელოს მესამე თავში გაანალიზებულია გერმანული სამხედრო აზრის განვითარება მე-19 საუკუნეში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენერალ-ფელდმარშალ მოლტკეს როლი აღნიშნულ პროცესებში. მოლტკე წარმოჩინდება როგორც დიდი რეფორმატორი და გერმანიის გაერთიანების ერთ-ერთი შემოქმედი.

შინაარსი

თავი I 5

სამხედრო საქმე მეფე ერეკლე II–ის ეპოქაში. კრწანისის ბრძოლა 5

თავი II 37

თანამედროვე მასირებული არმიების აღმოცენება,
ნაპოლეონი, ჟომინისა და კლაუზევიცის ომის თეორიები 37

თავი III 142

გერმანული სამხედრო აზრი, მოლტკე და გენერალური შტაბი 142

საკითხავი ლიტერატურა 186

თავი I
სამხედრო საქმე მეფე ერეკლე II–ის ეპოქაში. კრწანისის ბრძოლა

1. თემის მოკლე შინაარსი:

მოცემული თემაში განხილულია ქართველთა მიერ წარმოებული ომებისა და სამხედრო ხელოვნების შემდგომი განვითარების გზა მეფე ერეკლე II-ის პერიოდში.

XVIII საუკუნის ქართული სახელმწიფოების შეიარაღებული ორგანიზაციის საფუძველს აზნაურთა ფეოდალური მხედრობა წარმოადგენდა. მსხვილი ფეოდალები თავისი ვასალების რაზმებით, სამეფო მამულებში და საეკლესიო მიწებზე მოკრებილ ლაშქართან ერთად სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ბირთვს წარმოადგენდნენ.

სამხედრო ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით კვლავ დიდი იყო ფორტიფიკაციული ნაგებობების მნიშვნელობა. ციხე-ქალაქები და სიმაგრეები საყრდენი პუნქტების როლს ასრულებდნენ. სათანადოდ იყო განვითარებული ციხე-სიმაგრეებთან ბრძოლის ტაქტიკაც - თავდასხმა, იერიში, ალყა.

თემაში შევისწავლით ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის სამხედრო ხელოვნებას. განვიხილავთ მის მიერ ჩატარებულ მნიშვნელოვან სამხედრო რეფორმებს, აგრეთვე კრწანისის ბრძოლას. ჩავატარებთ ამ ბრძოლის ტაქტიკურ ანალიზს.

თემაში წარმოდგენილი საკითხების შესწავლა საშუალებას მოგცემთ პროფესიულ დონეზე გაიაზროთ ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარების შემდგომი გზა და მისი დინამიკა, მეზობელი თუ დამპყრობელი ქვეყნების სამხედრო აზრის ზეგავლენა.

2. სწავლების საბოლოო მიზანი

იუნკერები შეისწავლიან და გაანალიზებენ მოცემული პერიოდის ბრძოლებსა და სამხედრო ხელოვნებას.

შუალედური სასწავლო მიზნები:

1. მოცემული პერიოდის ქართული სამხედრო ხელოვნებისა და ბრძოლების გახილვა.
2. არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ანალიზი.
3. სიახლეები სამხედრო ხელოვნებაში.

სწავლების დონე:

შემეცნებითი: ცოდნა, ანალიზი.

3. იუნკერის დავალებები:

წაიკითხეთ:

სილაბუსში მოცემული საკითხავი მასალა.

დამატებით წაიკითხეთ:

1. საქართველოს სამხედრო ისტორია ტ I. 2014.
2. ივ. შაიშმელაშვილი. კრწანისის ომი. თბილისი. 1965.

მზად იყავით სააუდიტორიო დისკუსიისა და შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. რამდენად მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ფაქტორი მეფე ერეკლე II-ის სტრატეგიისათვის?
2. რა ფაქტორებმა განაპირობეს კრწანისის ბრძოლაში ერეკლე II-ის დამარცხება?
3. იყო თუ არა კრწანისის ბრძოლა ასიმეტრიული?
4. როგორ შეაფასებთ მეფე ერეკლე II-ის პიროვნებას, როგორც ტაქტიკოსსა და სტრატეგოსს?

მეფე ერეკლე II

ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი დავით მაღლაკელიძე

პოლიტიკური ვითარება. ერეკლე II, თეიმურაზ II-ის შვილი, 1720 წლის 7 ნოემბერს დაიბადა თელავის სასახლეში. ბატონიშვილმა ბავშვობა მკაცრი ცხოვრების პირობებში გა-ატარა ფშავში. მას მწყემსების ქოხებში უხდებოდა ცხოვრება. მის მეგობრებში ერივნენ გლეხის ბიჭებიც, რომლებთანაც ფარიკაობდა და ნადირობდა. იგი ადრე შეეჩვია ცხენზე ჯდომას. შე-იძლება ითქვას, სპარტანულმა აღზრდამ გამოაწრთო და გააკაჟა მისი ნებისყოფა, რაც აუცი-ლებელია მებრძოლისათვის. საბრძოლო ნათლობა 15 წლისამ მიიღო. იგი ალაზნის პირას, ნეიშნის ველზე დაესხა თავს ქიზიყიდან მომავალ ლეკების ლაშქარს და სასტიკად დაამარცხა.

1737 წლის თებერვალში ნადირ შაჰის მოთხოვნით, მეფე თეიმურაზ II იძულებული გახდა უფლისწული ერეკლე ირანში მძევლად გაეგზავნა. ინდოეთში მძიმე ლაშქრობების დროს იგი თან ახლდა ნადირ შაჰს. ამ ლაშქრობებში ერეკლემ კარგი საველე სამხედრო სკოლა გაიარა. იგი დარწმუნდა, რომ მხედართმთავარი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებს მებრ-ძოლის ერთგულებასა და სიყვარულს, თუ მის ჭირსა და ლხინს გაიზიარებს.

სურათი 1. თეიმურაზ II, კახეთის მეფე 1733-1744 წლებში, ქართლის მეფე 1744-1762 წლებში. ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე და სარდალი

1739 წლის დეკემბერში უფლისწული სამშობლოში დაბრუნდა. ამ გზით გამოვიდა ახალგაზრდა ერეკლე სახელმწიფოებრივი და სამხედრო მოღვაწეობის სარბიელზე. უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე ბრძოლებში მონაწილეობამ, პრაქტიკულად, ხელი შეუწყო მისი მხედართმთავრული ნიჭის განვითარებას.

სურათი 2. უფლისწული ერეკლე (პატარა კახი)

ამავე პერიოდში ამიერკავკასიაში ირანსა და ოსმალეთს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა გავლენის სფეროების გადასანაწილებლად. ასეთ ვითარებაში თეიმურაზ II, რეალურად შეაფასა რა არსებული მდგომარეობა, გარეგნულად აშკარად მიემხრო ირანს, რამაც 1744-1745 წლებში ქართლ-კახეთში მამისა და შვილის ქრისტიანული წესით კანონიერ მეფეებად აღიარება გახადა შესაძლებელი.

ამასთან, ერეკლემ გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები, კერძოდ: სახელმწიფო მმართველობა დარგობრივად დანაწილდა (სამხედრო, საგარეო საქმეთა, სასამართლო, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სხვა). როგორც ცნობილია, 1762 წლის 29 ივნისს მამის, თეიმურაზ II-ის რუსეთში გარდაცვალების შემდეგ ერეკლემ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა, რამაც აღმოსავლეთ საქართველოს საერთო-პოლიტიკური ინტერესებით გაერთიანება განაპირობა.

სურათი 3. ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-1762 წლებში, ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წლებში. გამოჩენილი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე

ლეკთა მოულოდნელი თავდასხმების აღსაკვეთად მეფემ სადროშოები სამდევროებად (რაზმებად) დაყო. მათ მეთაურებს მეფისაგან განსაზღვრული ჰქონდათ საბრძოლო მოქმედებების წარმართვის ტაქტიკა, ე.ი. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ერთი სამდევრო მოწინააღმდეგეს წინ წაწევის საშუალებას არ აძლევდა, ხოლო მეორე, გარკვეული მანევრის შემდეგ, მტერს უკან დასახევ გზას უჭრიდა. ასეთი სწრაფი და გაბედული მოქმედებების შედეგად, ქართველებს შეეძლოთ მოწინააღმდეგე ალყაში მოექციათ ან გაენადგურებინათ სხვადასხვა მხრიდან იერიშების შედეგად. ერეკლე მეფემ შეიმუშავა 16-მუხლიანი დოკუმენტი, რომელიც, სამხედრო თვალსაზრისით, შეიძლება დაიყოს შემდეგ განკარგულებებად და პუნქტებად:

პირველი - (1-6) სამხედრო ოლქების (უბნების) მიხედვით დაზვერვის, ურთიერთქმედების ორგანიზაცია და საბრძოლო მოქმედებების წარმართვის მეთოდები;

მეორე - (7-8) დეზერტირთათვის დისციპლინარული სასჯელი, რომლის სიდიდე და ფორმა სოციალური კუთვნილების პრინციპზეა დამყარებული;

მესამე - (9-13) მოლაშქრეთა ხელმძღვანელობის საკითხი და მათი პასუხისმგებლობა;

მეოთხე - (14-16) განმარტებულია გაცემული განკარგულებებისა და ღონისძიებების მნიშვნელობა ქვეყნის დაცვის საქმეში უფლისა და ერის წინაშე.

მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობითა და ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა სადაზვერვო ინფორმაციის გადაცემის, შეტყობინების და იმდროინდელი შეიარაღებული ძალების ორგანიზაციული სტრუქტურა. გაიოზ რექტორის მიერ სამხედრო განათლების ასამაღლებლად ითარგმნა სამხედრო შინაარსის წიგნები და წესდებები.

ქართლ-კახეთში არსებული სადროშოების გათვალისწინებით და ერეკლე II-ის მიერ მოწვეული დარბაზის სხდომის 1774 წლის 1 იანვრის „განჩინების“ (37 მუხლი) საფუძველზე, დაარსდა „მორიგე ჯარი“. მას ერეკლე მეფის ვაჟი - ლევან ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა. მორიგე ჯარში სამსახურის შესახებ დებულება ქართლ-კახეთის სამეფოში ოფიციალურად 1774 წლის 4 იანვრიდან მოქმედებდა.

მორიგე ჯარში იმ დროისათვის 6000-მდე მებრძოლი მსახურობდა. ლაშქრის ეს რაოდენობა ზამთრის პირობებში ნახევრდებოდა 3000-მდე, რაც გამოწვეული იყო ამ პერიოდში მოწინააღმ¬დეგის იშვიათი თავდასხმებით. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ დროს საომარი კამპანიების ჩატარება მომხვდურისათვის, უმეტესად, წამგებიანი იყო.

სამხედრო რეფორმებმა, რომლებიც ერეკლე II-ის თაოსნობით ჩატარდა, სამოხელეო აპარატის გაზრდა განაპირობა. სამხედრო ორგანიზაციაში დიდი როლი დაეკისრა ლაშქარნავისს (სამეურნეო დარგის მოხელე სამხედრო უწყებაში), რომელიც კანცელარიის მმართველი იყო. მას ლაშქრის აღრიცხვა-მომარაგება და ჯამაგირის გაცემა ევალებოდა.

ქართლ-კახეთის სამეფოში ექვსი ლაშქარნავისი იყო: ომან ხერხეულიძე, მანუჩარ თუმანიშვილი, სვიმონ გურგენიძე, ასლან ვაჩნაძე, ივანე ქობულაშვილი, იოსებ მელიქიშვილი. ერეკლეს რეფორმებთანაა დაკავშირებული XVIII ს-ის მეორე ნახევარში შემოღებული თანამდებობები (სახელოები): მინბაში - ათასისთავი, ფონსადბაში - ხუთასისთავი, უზბაში - ასისთავი, თოფჩიბაში - მეზარბაზნეთა უფროსი. მეფის საგანგებო საბჭოსთან დაარსდა განსაკუთრებული დაწესებულება - „სამხედრო კანტორა“, რომელიც ყოველგვარ სამხედრო საქმეს აწესრიგებდა. ახალი საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბებამ დღის წესრიგში დააყენა სამხედრო შინაარსის წიგნებისა და წესდებების გაცნობა, გადათარგმნა, რაც აამაღლებდა სამხედრო განათლებას. რეგულარული ჯარის შექმნის საჭიროებისათვის მეფე ერეკლემ გაიოზ რექტორს



სურათი 4. კავკასია მე-18 საუკუნის მე-2 ნახევარში

უბრძანა, ეთარგმნა პეტრე I-ის სამხედრო ტიპიკონი, ანუ წესდების წიგნი, რომლის საფუძველი ევროპული სამხედრო სახელმძღვანელოები იყო.

ქართლ-კახეთის სამეფოს ლაშქარს სპეციალურად მომზადებული პირები წვრთნიდნენ რუსული წესის მიხედვით, რომელიც ევროპულთან იყო მიახლოებული.

განვითარდა და განახლდა მრეწველობა, განსაკუთრებით - სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი - სამთო მადნეულის წარმოება 1774 წელს ახტალასა და ალავერდში, იმ დროისათვის არსებული ზარბაზნების (1749 წელს - პირველად), ზამბულაკების, ციხის თოფების, ხელყუმბარებისა და სხვა თოფ-იარაღის დამზადება. მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ იმდროინდელი 120 მმ-იანი ზარბაზანი 20-22 გრადუსიანი კუთხით 1066-2980 მეტრამდე ისროდა, თოფი – 65-115 მეტრამდე, ზოგი უფრო შორსაც.



სურათი 5. იოჰან გიულდენშტედტი (1745-1781), გერმანელი მეცნიერი და მოგზაური, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის გადმოცემით ვგებულობთ, რომ მან 1772 წლის 18 თებერვალს დაათვალიერა თოფის წამლის ქარხანა. მისი აღწერით, საბრძოლო მასალაში გამოყენებული წამლის შემადგენელი ნაწილების პროპორცია ასეთია: 13 ნაწილი გვარჯილა, 2 ნაწილი გოგირდი და 3 ნაწილი ნახშირი, ტირიფისა ან თხილისა. ხელყუმბარისათვის: 24 ლუტი (ერთგვარი საწყაო) წმინდა მარილი, 10 - 1/2 ლუტი გვარჯილა, 3 ლუტი გოგირდი.

ერეკლეს დროს აშენდა და განახლდა საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ციხეები და ციხე-გალავნები), რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მოსახლეობისა და ქართლ-კახეთის სამეფოს თავდაცვისუნარიანობაში. ისინი ძირითადად განლაგებულნი იყვნენ მოწინააღმდეგისთვის ძნელად ხელმისაწვდომ ადგილებზე. იშვიათად - მაგისტრალური გზების გასწვრივ.

მეფე ასევე სათავეში ჩაუდგა სახელმწიფოს საგანმანათლებლო და კულტურულ ცხოვრებას. აღადგინეს სტამბა, წიგნის ბეჭდვა. განახლდა მეცადინეობები თბილისის სემინარიაში, თელავის რიტორიკულ-ფილოსოფიურ სკოლაში, დაარსდა ახალი სამონასტრო სკოლები და სხვა.



სურათი 6. ერეკლეს სასახლე თელავში

ყირბულახის ბრძოლა

პოლიტიკური ვითარება. XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართლ-კახეთის ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი, როდესაც ქართული სამეფოები, შექმნილი რთული საგარეო ვითარებიდან გამომდინარე, ცდილობდნენ საშინაო პრობლემების მოგვარებას და სწორი საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრას.

1751 წელს, ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ, აზატ-ხანმა ავღანთა და უზბეკთა ჯარებით დაიმორჩილა თავრიზი, ურმია და ხორასანი (მაშინდელი ირანის ტერიტორია). მან ლაშქრით გადმოლახა მდ. არაქსი, დაიკავა ნახიჭევანის სახანო, მოარბია სომხეთის ტერიტორიები და ერევნის ციხეს ალყა შემოარტყა. სტრატეგიული მიზანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონება იყო.

ერეკლე მეფემ შეკრიბა ქართლ-კახეთის, ყაზახ-ბორჩალოს ლაშქარი და სოღანლუღ-მარნეულის გზით, ერევნისაკენ გაემართა. მიზანი იყო სამხრეთის საზღვრების გამაგრება და ერევნის სახანოს ვასალური მდგომარეობის შენარჩუნება.

ქართველთა ლაშქრის სომხეთისაკენ სვლა მოწინააღმდეგის დაზვერვას გაუგებარი არ დარჩენია. ამიტომ აზატ-ხანის ერთ-ერთმა სარდალმა, რომელიც ერევნის ციხის ალყას ხელმ-

ძღვანელობდა, უკან დაიხია. მეციხოვნე ჯარი დამშეული აღმოჩნდა. თითქმის მთელი სახანო დაცარიელებული იყო მუშახელისაგან. ერეკლე მეფემ მებრძოლებს მოამკევინა, გაალეწინა პური და ციხეში შეაგზავნა. ერევანში მან დააპატიმრა რამდენიმე პოლიტიკურად საეჭვო წარჩინებული პირი და თბილისში გამოგზავნა.

სურათი 7. ნადირ ავშარი, ირანის შაჰი 1736-1747 წლებში. გამოჩენილი სარდალი და ღირსეული მეომარი

შემდეგ ერეკლემ ყირხბულახში, შემაღლებულ ადგილას, დაიჭირა პოზიციები და, ერთი მხრივ, ერევანს ადევნებდა თვალყურს, მეორე მხრივ კი მარბიელი რაზმების თავდასხმით დიდად აზარალებდა მტერს. აზატ-ხანის ლაშქრის მიერ დარბეული ერევნის ციხე კვლავ ქართველებს დაექვემდებარა, რამაც ხელი შეუწყო მომავალი საბრძოლო მოქმედებებისათვის დასაყრდენის მოპოვებას.

მებრძოლი მხარეები: მემატიანის გადმოცემით, აზატ-ხანმა ერეკლე მეფის მოქმედებების შესახებ რომ გაიგო, ,,აღბორგდა მხეცი... მოვიდა ყირხბულახს და სადა მეფე ერეკლე იდგა, მთათა ზე წამოდგა“. მოწინააღმდეგის რაოდენობა 18 000 კაცი იყო, მათგან მდ. გაკნისის ნაპირზე განლაგებულ აზატ-ხანის ბანაკში 1 500-მდე ბანაკის მცველი და საჭურველმტვირთველი დარჩა; ე.ი. ბრძოლაში მონაწილეობდა, დაახლოებით, 16 500 მებრძოლი. ეს მტკიცდება პ. ორბელიანის გადმოცემით: „ჯარიც ასეთი ჰყვანდა, რომ ქართველთა ჯარი მათი მეხუთედი ძლივს იქნებოდა.“ მტრის ლაშქარი საკმაოდ გამოცდილი მებრძოლებით იყო დაკომპლექტებული და გამოირჩეოდა კარგი შეიარაღებით (ზარბაზანი, თოფი, დამბაჩა, ხმალი, შუბი).

ქართველთა ლაშქრის საერთო რაოდენობა იყო 3000. მათგან 500-მდე მებრძოლი ლოგისტიკური მომარაგებისა და ერევნის ციხის დაცვის საკითხებით იყო დაკავებული; ე.ი. ბრძოლაში 2500 მეომარი მონაწილეობდა. საბრძოლო გამოცდილებით ქართველები მტერს არ ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ შეიარაღებით რაოდენობრივად ჩამორჩებოდნენ.

ქართველთა წყობა ასეთი იყო: მეწინავე დროშის ქვეშ ერთად დადგნენ საბარათაშვილოსა და ქიზიყელთა მებრძოლები, მემარჯვენე და მემარცხენე სადროშოებში - ქართლელები და კახელები, შერეულად. 500-მდე ცხენოსანი ცალკე იდგა, სავარაუდოდ, რეზერვში. ერეკლე II მარჯვენა და მარცხენა სადროშოებს შორის იყო თავისი სადროშოთი, საფეხურით უკან. მოწინააღმდეგის ლაშქარი ბრძოლის დაწყებამდე ექვს ნაწილად დაიყო.

ბრძოლის მსვლელობა: ბრძოლა დაიწყო 1751 წლის 28 ივლისს, გამთენიისას, აზატ ხანის შეტევით. ყველაზე მძაფრი იერიში მოწინააღმდეგემ ქართველთა მარცხენა ფრთაზე მოიტანა. მემარცხენე სადროშო იძულებული გახდა, უკან დაეხია და ერთ ნასოფლარში გამაგრებულიყო. სავარაუდოა, რომ ქართველებსა და მტრის ძალებს შორის პოზიციური ბრძოლა გაგრძელდა.

აზატ-ხანი მოწინავე ძალებით გარს შემოერტყა დანარჩენ სამ სადროშოს და ქართველთა ლაშქარი მთლიანად ალყაში მოაქცია. არსებულ სიტუაციაში, შიკრიკის მეშვეობით, ერეკლემ სარდალ ორბელიანს უბრძანა, მეწინავენი მისი ლაშქრისათვის შეეერთებინა, შემდეგ კი გონე-

ბამახვილური ხერხი გამოიყენა: მეფე ჩამოხტა ცხენიდან, ჩამოქვეითება უბრძანა მხედრობას და წინ გაუძღვა ლაშქარს. მებრძოლები გაფრთხილებულნი იყვნენ: მეფის ნიშნის მიცემამდე იარაღიდან არ გაესროლათ. დაპირისპირებულ მხარეთა რაზმები ალაგ-ალაგ იმდენად მიუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ მათ შორის შუბი გაიმართებოდაო, - გადმოგვცემს მემატიანე. აზატ-ხანის რაზმების მეთაურებმა, ალბათ, იფიქრეს, ქართველები ტყვედ ნებდებოდნენ ან მოსალაპარაკებლად მიდიოდნენ. ეს იმითაც აიხსნება, რომ მეფე დაქვეითებულ ლაშქარს მიუძღოდა, რამაც მტერი შეცდომაში შეიყვანა. ამ დროს მოწინააღმდეგის რიგებიდან ერთ-ერთი ავღანელი სარდალი გამოვარდა, მეფესთან შესარკინებლად. მოულოდნელად, ერეკლე II-ემ თოფი გაისროლა და ავღანთა სარდალი ძირს ჩამოაგდო. ქართველებმა ერთდროულად ატეხეს თოფის სროლა, ცხენებზე ამხედრებულნი იერიშზე გადავიდნენ და მოწინააღმდეგის ცენტრალური დაჯგუფება გაარღვიეს. შეტევის განვითარების შემდეგ მტრის რაზმები პანიკამ მოიცვა. ბრძოლის ველიდან უწესრიგოდ უკან დახევა და გაქცევა დაიწყო. „გადრკა ჯარი აზატ-ხანისა, სიდიდისაგან ძლივ იძროდა, მეფე ერეკლე ვითა ლომი დაუშრომელი, ეგრე იბრძოდა თვითცა და ჯარსაც აბრძოლებდა. ამოწყვიტეს ავღანნი... ოთხს აღაჯზე (28 კმ.) ხოცვით უკან მიჰყვნენ“ მდინარე არაქსის ნაპირებამდე.

ანალიზი: წარმოდგენილი ბრძოლის ტაქტიკური მოქმედებების აღწერიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ერეკლე II-მ სადროშოების ჯვარისებრი საბრძოლო წყობით დაიწყო ბრძოლა, რაც ძალთა დროულად გადაჯგუფების საშუალებას იძლეოდა. ეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: წინა ფლანგზე მოწინააღმდეგის შეტაკების მხრიდან დგებოდა შედარებით კარგად გაწვრთნილი, მსუბუქად შეიარაღებული და ბრძოლებში გამოცდილი I სადროშო. საფეხურით უკან მარჯვნივ და საფეხურით უკან მარცხნივ განლაგდებოდნენ II და III სადროშოები, მეორე და მესამე სადროშოს შორის, საფეხურით უკან IV სადროშო დგებოდა, რომელიც მთავარსარდლის განკარგულებაში იყო და მაშველი ჯარის როლს ასრულებდა. როგორც ჩანს, IV სადროშოს ამოცანა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარეობდა, კერძოდ: მეორე და მესამე სადროშოების შევსება, დანაკარგის შემთხვევაში, და საბრძოლო მოქმედებების განვითარება საჭირო მიმართულებით.

ლაშქრის ასეთი წყობა და დანაწილება, რომელშიც შესაძლებელი იყო თავისუფალი და დამოუკიდებელი მოძრაობა, შეფარდებული იყო ადგილმდებარეობის თავისებურებებთან. მთა-გორიან ადგილებში ასეთი საბრძოლო წყობა სადროშოების დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას იძლეოდა, მოწინააღმდეგისაგან დაფარვისა და მანევრირებისას. აქედან გამომდინარე, სადროშოებს შეეძლოთ, ნებისმიერი მხრიდან მტრის მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში, მზად ყოფილიყვნენ წრიული თავდაცვისათვის, ან განევითარებინათ შეტევები მითითებული მიმართულებით. აგრეთვე, ნებისმიერ სადროშოს შეეძლო შეესრულებინა მეორე ეშელონის მოვალეობა. სწორედ ასე მოხდა აღწერილ ბრძოლაშიც. მაგრამ ასეთი საბრძოლო წყობის უპირატესობა მარტო ამით არ განისაზღვრება.

ლაშქარი რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი, თითოეულს კონკრეტული მიზანი ჰქონდა. სადროშოების უფროსებს, მთავარსარდალთან შეთანხმებით, ინიციატივის გამოჩენის საშუალება ეძლეოდათ. ეს გარემოება მეფეს ჯარის მიხმარებისა და ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობის გაუმჯობესების პირობას უქმნიდა. გარდა ამისა, თუ მოწინააღმდეგე რომელიმე სადროშოს შეუტევდა და იგი უკან დაიხევდა, ეს გარემოება სხვა ნაწილებში არეულობას არ იწვევდა; პირიქით, მეთაურის გადაწყვეტილებით, დარჩენილ სადროშოებს შეეძლოთ უკუქცეულ თავის სადროშოს დახმარებოდნენ და დადევნებული მოწინააღმდეგისათვის ფლანგიდან ან ზურგიდან შეეტიათ.

გასათვალისწინებელია, რომ ერეკლე II-ს, შესაძლებლობის შემთხვევაში, რეზერვიც ჰყავდა, რომელშიც ინიშნებოდნენ მხედრები, რამდენიმე ასეული ცხენოსნის შემადგენლობით. ეს განაპირობებდა მობილურობას, შესაბამისად - მანევრის გამოყენების შესაძლებლობას. იგი ექვემდებარებოდა მთავარსარდალს. საბრძოლო მოქმედებებისას შეეძლო რეზერვის გონივრული გამოყენებით გარდატეხის შეტანა.

საბრძოლო გამოცდილება ადასტურებს, რომ მოულოდნელი, სწრაფი და გაბედული მოქმედება ხშირად მნიშვნელოვან შედეგს იძლევა. ამიტომ ყირბულახის ბრძოლაში ერეკლე II-მ ცხენოსანთა რეზერვის შემადგენლობა გამოიყენა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ალყაშემორტყმულ მოწინააღმდეგეზე ზურგიდან მოულოდნელი თავდასხმისა და დამარცხებისათვის.

ამ ბრძოლის ანალიზისას საყურადღებოა ადგილმდებარეობის დამცავი, შემნიღბველი თვისებები და რელიეფი. მეფე ერეკლე აუცილებლად გაითვალისწინებდა მოწინააღმდეგის დიდ უპირატესობას. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ბრძოლისათვის ისეთი ადგილი შეერჩია, რომელიც მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს ძალების გაშლისა და მანევრირების შესაძლებლობებს შეუზღუდავდა. ამ ფაქტს ამტკიცებს მემატიანეც: „გადრკა ჯარი აზატ-ხანისა, სიდიდისგან ძლივ იძროდა.“ ადგილმდებარეობამ მოწინააღმდეგის მანევრირების შესაძლებლობა შეზღუდა ბრძოლის დასაწყისშიც და მისი მიმდინარეობის დროსაც. ამ გარემოებას ამტკიცებს მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი ძალის ეფექტურად გამოუყენებლობაც.

სურათი 8. ერევნის ციხე

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერეკლე მეფის მხრიდან ბრძოლაში გამოყენებულ სამხედრო ხერხს, რომელიც სიტყვიერი ბრძანებით გაიცა: „სანამდის მე თოფი არ ვესროლო, ნურვინ მოინდომებთ შეტევას.“ ამ ხერხმა, რომელიც მოულოდნელობის ფაქტორად იყო გამოყენებული, მოწინააღმდეგის ცენტრალური დაჯგუფების სარდლისა და წინა რიგებში მყოფი მებრძოლების ყურადღება მოადუნა. შემდეგ კი, გარღვევის მონაკვეთზე ქართველთა ლაშქრის სოლისებრი საბრძოლო წყობით მტრის დაჯგუფებაში შეჭრამ, ძირითადი ძალები გახლიჩა და დაანაწევრა. ერეკლე II-ის ტაქტიკურმა ხრიკმა მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობაში პანიკა გამოიწვია, მართვაც მოიშალა და დემორალიზებულმა ძირითადმა ძალებმა არაორ-

განიზებულად დაიხიეს უკან. ბრძოლის შემდეგ ეტაპზე მოქმედებებმა (დევნამ) მოწინააღმდეგეს არ მისცა ძალების კონსოლიდაციისა და რეორგანიზაციის საშუალება, რამაც მისი საბოლოო განადგურება განაპირობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ყირბულახის ბრძოლაში მოწინააღმდეგემ ვერ გამოიყენა ვერც ექვსმაგი უპირატესობა, ვერც ქართველთა მხრიდან დაშვებული ტაქტიკური შეცდომა (ალყაში მოქცევა), რამაც კარდინალურად შეცვალა ბრძოლის მსვლელობა.

ამ ბრძოლაში გამოიყენეს სამხედრო ხელოვნების პრინციპები:

- მთავარი დარტყმის მიმართულების სწორად შერჩევა;
- ადგილმდებარეობის გონივრულად გამოყენება;
- ძალთა დროულად გადაჯგუფება;
- მოულოდნელობის ფაქტორი.

ამ პრინციპების გამოყენება ყოველთვის აქტუალურია საბრძოლო ოპერაციებში.

შედეგი: ყირბულახის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვების შედეგად, მდ. არაქსის გამოღმა სანაპირო სრულად გათავისუფლდა მტრის რაზმებისაგან. აზატ-ხანმა, დარჩენილი მცველი რაზმებით, გაქცევით უშველა თავს. ქართველებს ხელში ჩაუვარდათ თოფ-ზარბაზნები, ზამბულაკი (სპარსული დიდი თოფი), ჯაბახანა (საომარი მასალა), სურსათ-სანოვაგიანი კარვები და საჭაპანო ტრანსპორტი - მთლიანად. მემატიანე არ გვაწვდის ცნობებს ძალთა დანაკარგების შესახებ.

ბრძოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ უზრუნველყო ზეგავლენის განმტკიცება ერევნის, ნახჭევნის, ყარაბაღისა და სხვა სახანოებზე, ასევე - ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკური კურსის განმტკიცება, რითაც ქართლ-კახეთის თავდაცვისუნარიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ბრძოლები მჭადიჯვრისა და ყვარლის ციხეებთან

საერთო ვითარება. 1751 წელს აზატ-ხანის დამარცხების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ბრძოლას განაგრძობდა ლეკთა მცირე და ზოგჯერ საკმაოდ დიდი, ორგანიზებული შემოსევების წინააღმდეგ, უმთავრესად დაღესტნის მხრიდან. ამის მიზეზი იყო ოსმალეთისა და საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე მაჰმადიანური სახანოების მიერ ხუნძახის (დაღესტანი) ბატონის - ნურსალ-ბეგის წაქეზება ქართლ-კახეთის წინააღმდეგ. ლეკები ოსმალეთის მხარდაჭერის იმედად იყვნენ.

1754 წლის აგვისტოში ნურსალ-ბეგი მრავალრიცხოვანი ლაშქრით შემოიჭრა კახეთში. თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ მშვიდობიანი მოსახლეობის გაფრთხილება და სიმაგრეებში გახიზვნა მოასწრეს. ძალთა სიმცირის გამო, ისინი მოწინააღმდეგესთან აშკარა დაპირისპირებას მოერიდნენ.

სამოქმედო რაიონი. მჭადიჯვრის ციხე დუშეთიდან სამხრეთ-დასავლეთით 14 კმ-ზე, ზემო შუახევის, ჭილურტის, ლამოვანისა და ქსოვრისს შორის მდებარეობს, ზღვის დონიდან 700 მ-ზე, მდ. ნარეკვავის (არაგვის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, მცირედ დახრილ ბორცვიან ადგილზე. მას სამი მხრიდან (გრემისხევის შესასვლელი, ბაზალეთის თავი, ზემო კოდისწყარო) სასიგნალო კოშკები ჰქონდა. რეკოგნოსცირებიდან დადგინდა მოწინააღმდეგის მოძრაობის მარშრუტი: კახეთის რეგიონის ჩრდილოეთით მდებარე პატარა სოფლები: ანანური, ქაისხევი, ბაზალეთი, ებნისი, მჭადიჯვარი. ბრძოლის ადგილი დაპირისპირებულ მხარეთა ძალების გაშლისა და მანევრირების საშუალებას იძლეოდა.

სურათი 9. მჭადიჯვრის ციხე და მთავარანგელოზთა სახ. ტაძარი

ბრძოლის მსვლელობა. ავარიელებმა და ლეკებმა დაარბიეს კახეთის რამდენიმე სოფელი (რუისპირი, ახმეტა, გაგნაკორა) და შემდეგ არაგვის საერისთავოში გააგრძელეს მოსახლეობის ხოცვა-აწიოკება. დუშეთში გადაწვეს ერისთავთა სასახლე, წაბილწეს ბოდორნას მონასტერი და ალყა შემოარტყეს მჭადიჯვრის ციხეს. ხუნძახის ბატონი ციხის ბოლოს, ჭალაში დაბანაკდა, სადაც კარვები დაადგმევინა მებრძოლებს.

ალყა გაგრძელდა. მუხრან-ბატონის შემწეობით, მჭადიჯვრის ციხეში ტყვია-წამლის მიწოდება არ წყდებოდა. ერეკლე II კახეთის ლაშქრით და თეიმურაზ II ქართლის ლაშქრით ერთმანეთს დუშეთში შეხვდნენ. ერეკლე მეფემ შიკრიკების შეტყობინებით იცოდა, რომ მოწინააღმდეგის ლაშქარი რიცხობრივად ბევრად აღემატებოდა ქართველთა ჯარს, ამიტომ საჭირო გახდა, დალოდებოდნენ ჩერქეზების დაქირავებულ ჯარს. ამ ხნის განმავლობაში მჭადიჯვრის ციხე საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მეტი ლოდინიც აღარ შეიძლებოდა. დამხმარე ჯარი არ მოვიდა და გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში. გენერალური ბრძოლის წინა ღამეს, როდესაც მეციხოვნეებს ძალიან გაუჭირდათ სიმაგრის შენარჩუნება, ციხიდან ფარულად გამოსულა გმირი-ქალი ქრისტინე ცქრიალაშვილი, რომელმაც მოწინააღმდეგის ექვსი კარავი ცეცხლს მისცა და მათში მყოფი მებრძოლები გაანადგურა. მეშვიდე კარავთან მიახლოებისას ის მტერმა აკუწა.

1754 წლის 16 აგვისტოს მეფეები წამოვიდნენ დუშეთიდან, გადმოვიდნენ სოფელ ჭილურტის მხარეს და მჭადიჯვრის ციხეს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიადგნენ. როგორც კი მეციხოვნეებმა მაშველი ძალის მოსვლის შესახებ გაიგეს, ბრძოლა კიდევ უფრო გააქტიურეს. ქართული ლაშქრის საბრძოლო წყობა, სხვა ბრძოლებთან შედარებით, განსხვავებული იყო: წინ იყვნენ ქვეითები, მათ უკან - თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული ჯგუფები და ცალკე - ცხენოსნები. სავარაუდოა, რომ ლაშქრის ასეთი წყობა მოწინააღმდეგე ძალების განლაგებით იყო განპირობებული. ამ ფაქტს ადასტურებს ის, რომ, გადმოცემის თანახმად, ქვეითებს ქვეითებზე მიუტანიათ იერიში, ხოლო ცხენოსნებს - ცხენოსნებზე. მოწინააღმდეგესთან უდანა-

კარგოდ მიახლოების მიზნით, ქართველებმა ჯარჯით (ხის მორი) დატვირთული ურმები გამოიყენეს, რომლებიც ქვეითებს წინ მიუძღოდა. ორივე მხარე საომარ ველზე მიუახლოვდა ერთმანეთს. ბრძოლის მსვლელობის აღწერისათვის მოვიშველიებთ მემატიანის გადმოცემას: „შეიქმნა ომი ფიცხელი... რა გაჭირდა ბრძოლა, ბრძანა ბატონმა დაქვეითება ჯარისა, გარდახდა თვით მეფე ერეკლე ცხენისგან და უბრძანა გარდახდომა ყოველთა. „ეს არის დღე ვაჟკაცობისაო და სიყვარული რჯულისაო.“ დაიქვეითეს ქართველთა და კახთა. შეიქმნა სროლა თოფთა. მეფე ერეკლე ხან იქით და ხანდახან აქა აძლიერებდა ჯარსა. შეუტივეს ქართველთა და კახთა გულსრულად, დაუშინეს თოფები და ზარბაზანნი.“ როგორც ჩანს, ერეკლე II გაძლიერების საშუალებებსაც დროულად იყენებდა საჭირო მიმართულებით. რთულ ვითარებაში ლეკების ლაშქრის ერთმა ნაწილმა უკან დაიხია და, მეორე ნაწილზე იერიშის მიტანის შემდეგ, უკანდახეული მტრის ლაშქარი აირია. „დაესივნენ შიგ, რომ ვითა კატა, ეგრე ხოცავდნენ ლეკთა, თითონ მეფემ ერეკლემ ჩამოკაფა ლეკი ხმალდახმალ, მიჰყვნენ ხოცვით არაგვამდის, რომ მათის მძოვრით აღავსეს ტყე და ველი.“ ქართველებს ხელთ მრავალი ცხენი, იარაღი და 500 ტყვე ჩაუვარდათ. ნურსალ-ბეგი გადარჩენილი ძალებით დაღესტნისაკენ გაიქცა.

ანალიზი: ისმის კითხვა: რამ განაპირობა ქართველთა გამარჯვება, თუკი მოწინააღმდეგეს რიცხობრივად დიდი უპირატესობა ჰქონდა?

პირველი: უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოწინააღმდეგის რაზმები არაორგანიზებულად მოქმედებდნენ; მათ ჰქონდათ შეიარაღებისა და ბრძოლის ტაქტიკის დაბალი დონე. როგორც წყაროებიდან ირკვევა, ისინი უფრო ყაჩაღური თავდასხმებისათვის იყვნენ მზად, ვიდრე ფართომასშტაბიანი ბრძოლებისთვის. მემატიანე კონკრეტულ ცნობებს არ გვაწვდის მტრის შეიარაღებასთან დაკავშირებით, თუმცა, სავარაუდოა, მოწინააღმდეგეს რამდენიმე ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი-ზარბაზანი ჰქონოდა, რაც დიდად არ იმოქმედებდა მის თავდაცვისუნარიანობაზე.

მეორე: აღნიშნულ ბრძოლაში მოწინააღმდეგის რაოდენობრივი უპირატესობა გააბათილა ერეკლე II-ის მიერ არტილერიის დროულმა გამოყენებამ. ამას ხელს უწყობდა ადგილმდებარეობა. ქართველმა იერიში და საცეცხლე საშუალებები მაღლობი ადგილებიდან დაბლობისაკენ გამოიყენეს, სადაც მტრის ძირითადი ძალები იყო თავმოყრილი.

მესამე: შეშინებული მოწინავე ძალების უკან დახევამ მათ ძირითად ძალებში პანიკა გამოიწვია; კერძოდ, არტილერიითა და თოფებით მიყენებულმა ზარალმა გაზარდა შიშის ფაქტორი და მოწინააღმდეგის დანარჩენი ძალებიც უკუაქცია.

ქართველთა ბრძოლა ნურსალ-ბეგის წინააღმდეგ მხოლოდ მჭადიჯვარში არ დამთავრებულა. ერთი წლის შემდეგ, მაჰმადიანი ხანების წაქეზებით, ნურსალ-ბეგმა ავარიელთა დიდი ნაწილი გააერთიანა, შეიერთა ჭარ-ბელაქნელი, დაღესტნელი ლეკები და 1755 წელს 20 000-იანი ლაშქრით კახეთს შემოესია. პატივმოყვარე თავდამსხმელს 1754 წლის 16 აგვისტოს მჭადიჯვართან მიღებული მარცხის გამოსწორებისა და ქართველთა ძლიერების მოშლის სურვილები ამოძრავებდა. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის კოალიციური ლაშქრის ამოცანა იყო აღმოსავლეთ საქართველოს მოოხრება, დაუძლურება, ასევე - თავიანთი სახანოების განთავისუფლება ქართლ-კახეთის სამეფოსადმი ვასალური დამოკიდებულებისაგან.

მეფე ერეკლემ, შეიტყო რა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, კახეთის ლაშქარი შეკრიბა თელავში და მშვიდობიანი მოსახლეობა ციხესიმაგრეებში გახიზნა. ყოველ ციხეში ოთხი თვის საკმარისი სურსათ-სანოვაგე შეიტანა და ამის შესახებ თეიმურაზ II-ს შეატყობინა. ქართლის მეფე თავისი ლაშქრით კახეთში შეუერთდა ერეკლეს. მათი ამოცანა იყო კოალიციური ლაშქრის მოგერიება, მაქსიმალური დაზარალება და ქართლის მიმართულებით მისი წინსვლის აღკვეთა. მემატიანეთა გადმოცემით, ქართველთა ლაშქარი იმდენად მცირერიცხოვანი

ყოფილა, რომ მოწინააღმდეგესთან პირდაპირ ბრძოლაში ჩაბმა მიზანშეუწონლად მიუჩნევიათ.

ყვარლის ციხესიმაგრე მდებარეობს მდინარეებს - დურუჯსა და ბურსას შორის. მას ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მაღალი მთები და ხევები ესაზღვრება, საიდანაც ვიწრო ბილიკებით შესაძლებელი იყო მტრის ლაშქრის ფარული გადაადგილება. ციხე ვაკე ადგილზეა, რაც ძალთა მანევრირების, ალყის შემორტყმისა და იერიშის მისატანად ხელსაყრელ პირობას ქმნის. ციხესიმაგრეს კუთხეებში ცილინდრული კოშკები აქვს, გალავანში იარუსებად განლაგებული სათოფურები და სარბენი ბილიკი მოწინააღმდეგეზე ცეცხლის ეფექტურად წარმართვის საშუალებას იძლევა.

სურათი 10. ყვარლის ციხე

მთებიდან დაშვებულმა მოწინააღმდეგის ლაშქარმა ყვარლის ციხეს ალყა შემოარტყა. ძალები შემდეგნაირად გაანაწილეს: ყვარლის ციხეს ქვემო მხარეს, სოფ. გავაზის მხრიდან, ჭარელები, კაკის სულთანი, განჯის ხანი მიადგნენ; ზემო მხრიდან - სუხრაი-ხანი და ნურსალ-ბეგი.ბრძოლა დღედაღამ მიმდინარეობდა. ციხის აღება მტერმა რამდენიმე დღეში ვერ მოახერხა, მოწინააღმდეგემ ხის კოშკებიც გამოიყენა, რაც მეციხოვნეებზე ცეცხლის ეფექტურ წარმართვას დიდად შეუწყობდა ხელს, თუმცა უშედეგოდ. გასათვალისწინებელია, რომ მეფე ერეკლე ციხეში მყოფთ ეხმარებოდა, როგორც ჩანს, ფარული გზებით, რომლებიც მტერმა თავიდან არ იცოდა.

ბოლოს მოწინააღმდეგემ შეიტყო ციხეში შესასვლელ-გამოსასვლელი ფარული გზების არსებობის შესახებ, ალყა გააძლიერა და ამ გზების გადასაკეტად გადამჭრელ ზომებს მიმართა. „შეწუხდნენ ფრიად მყოფნი მას შინა უმეტეს მისთვის, რამეთუ მოუჭრეს წყალი, შემოაკლდათ ტყვია-წამალიცა...“ ციხეში ამ დროს ყოფილა ვინმე დავით ლარაძე, რომელიც ამხნევებდა მეციხოვნეებს. მან აღუთქვა მებრძოლებს, რომ წყალსა და ტყვია-წამალს სიცოცხლის ფასად უშოვიდა. როდესაც დაღამდა, იგი ციხიდან გამოვიდა, ფარულად მივიდა წყალსაცავთან, რომელსაც მოწინააღმდეგის მცველები ყარაულობდნენ, დახოცა ისინი ხანჯლით და ციხეში წყალი შეუშვა. შემდეგ იგი წარდგა მეფე ერეკლეს წინაშე და გააცნო ციხეში არსებული ვითარება. მოთათბირების შემდეგ, ერეკლე II-მ გონივრული ტაქტიკური ხერხი გამოიყენა, რაც მტერს იძულებულს გახდიდა, ალყა მოეხსნა. მეფემ დიდი საჩუქარი აღუთქვა მათ, ვინც გარედან

ალყის გარღვევასა და ტყვია-წამლის მიწოდებაში ჩაერთვებოდა; კერძოდ: თავადსა და აზნაურს შესაფერის თანამდებობასა და მამულის ჩუქებას, ხოლო გლეხს - ბატონყმობისაგან განთავისუფლებას, ორ საკომლო მიწასა და ფულად ჯილდოს დაჰპირდა. სულ 206 მებრძოლმა მოიყარა თავი, მათ შორის - ცხრა თავადიშვილმა, ორმა აზნაურმა, ერთმა მღვდელმა, დანარჩენნი გლეხები იყვნენ, მათგან 130 - ქიზიყელნი. მეფემ ისინი ტყვია-წამლით მოამარაგა და ციხისკენ ქვეითად გაგზავნა.

რაზმმა ყვარლისკენ დაიწყო გადაადგილება. მათ ჩუმად გაიარეს ველისციხე, მდ. ალაზანი ფონით გადალახეს და სოფელ გავაზში შეჩერდნენ, სადაც საბოლოოდ გადაინაწილეს ამოცანები. შეიქმნა ორი ჯგუფი:

ა) პირველს ევალებოდა ტყვია-წამლითა და სურსათით გავსილი ხურჯინების ტარება და ციხეში შეტანა;

ბ) მეორეს - პირველი ჯგუფის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

თავდასხმა გამთენიისას დაიწყო. ლეკთა ყარაულებმა გვიან შეამჩნიეს ალყის გამრღვევი ჯგუფი. შეუკრეს გზები, მაგრამ ქართველთა წინააღმდეგობა ვერ დაძლიეს. მებრძოლებმა ხმალდახმალ ბრძოლით გაარღვიეს ალყა, ციხეში შევიდნენ და ტყვია-წამალი მიაშველეს შიგ მყოფთ. ამავე დროს, მეფე ერეკლემ ქიზიყელთაგან შემდგარი ცხენოსანი ლაშქარი ორჯერ შეუსია ჭარ-ბელაქანს ასაოხრებლად. ჭარელებმა მიატოვეს პოზიციები ყვარელთან და თავიანთი მხარის დასაცავად გაეშურნენ. ქართველები, მეფის ბრძანების თანახმად, ბრძოლას მოერიდნენ, უკან გაბრუნდნენ და ქიზიყში განლაგდნენ. ჭარელებს საქმე გაურთულდათ, ქართველთა ლაშქარი მათ მიწა-წყალს აოხრებით ემუქრებოდა. ერეკლე მეფის მიერ გამოყენებულმა ტაქტიკურმა ხერხმა შედეგი გამოიღო. საბოლოოდ, ჭარელები ციხეს გასცილდნენ და თავიანთ მხარეში წავიდნენ. მათ თან გაჰყვა კოალიციის ლაშქარიც. დაღესტნელებს ციხის აღების იმედი გადაეწურათ. მოწინააღმდეგემ, 28 სექტემბერის დიდი დანაკარგის გამო, მოახლოებული საშიშროება იგრძნო, ციხეზე ალყის დარჩენილი ნაწილი იძულებით მოხსნა და უკან გაბრუნდა.

ანალიზი. აღნიშნული ბრძოლის ანალიზში გამოიკვეთა ტაქტიკური ელემენტები, რომლებმაც წარმატების მოპოვება განაპირობა. ერეკლე II-მ მოსახლეობა წინასწარ გახიზნა ციხესიმაგრეებში და საბრძოლველად მოემზადა. ეს ფაქტი მოწმობს იმ დროს დაზვერვისა და შეტყობინების სისტემის კარგ ორგანიზებას.

ერეკლე II-მ გონივრულად გამოიყენა მანევრი. იგი პირდაპირ იერიშზე თელავიდან არ გადასულა. მან ყვარლის ციხეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოუარა და ორი ერთდროული დარტყმა შეასრულა. მოულოდნელობის ფაქტორი გამოიხატა ალყის გარედან გამრღვევი რაზმის ქვეითად გაგზავნით (მოწინააღმდეგესთან ახლო მანძილზე ფარულად მიახლოების მიზნით) და თავდასხმის დროის სწორად შერჩევით (როდესაც მებრძოლის თვისობრივი მაჩვენებელი უკიდურესად შემცირებული და მოდუნებულია). ამან შესაძლებელი გახადა უეცარი იერიში და დასახული ამოცანის მოკლე დროში შესრულება.

მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით, ერეკლე II-მ გამოიყენა დემონსტრაციული მოქმედებები, ე. ი. ქვედანაყოფების რეალური საქმიანობა წინასწარ განსაზღვრული ცრუ მოქმედებებით. ეს კი ტაქტიკური შენიღბვის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ჭარ-ბელაქნის ტერიტორიაზე ქიზიყიდან წასული ცხენოსანი ლაშქრის მოქმედებებში გამოიხატა. ალყის გამრღვევი ჯგუფისა და ცხენოსანი ლაშქრის მოულოდნელმა თავდასხმებმა მტრის განლაგებაში პანიკა გამოიწვია, რამაც მეფეს გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობა მისცა. აღნიშნულმა ფაქტმა ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულების შენარჩუნება განაპირობა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ ბრძოლაში გამოყენებული იყო ისეთი ტაქტიკური ელემენტები, როგორებიცაა: ჯარების გადაჯგუფება საჭირო მიმართულებით, მარში, წყლის დაბრკოლების გადალახვა, შეტევა ღამით; ასევე - ოპერაციის უზრუნველყოფის სახეები: დაზვერვა, ტაქტიკური შენიღბვა და ლოგისტიკური უზრუნველყოფა. ამრიგად, თუკი სხვადასხვა სამხედრო თეორეტიკოსების აზრებს დავეყრდნობით, ბრძოლის უმაღლესი კანონები არსებითად დაიყვანება ელემენტარულ ძველ ჭეშმარიტებამდე, კერძოდ: ომში სწორედ იმის საწინააღმდეგო უნდა აკეთო, რასაც მოწინააღმდეგე შენგან ელოდება და რისთვისაც მომზადებულია. ე.ი. დარტყმა უნდა მიაყენო იქიდან, საიდანაც არ ელოდება. ეს მეთოდი ასევე გამოყენებული იყო ყვარლის ციხისათვის ბრძოლაში, რომელიც ქართული სამხედრო ხელოვნების ნიმუშად ითვლება.

მჭადიჯვრისა და ყვარლის ციხეებთან ბრძოლებში მოპოვებული წარმატებით აღმოსავლეთ საქართველო აოხრებას გადაურჩა. მოწინააღმდეგემ დიდი დანაკარგი მიიღო და ჩანაფიქრის შესრულებაზე ოცნება დიდი ხნით გადადო.

ასპინძის ბრძოლა

პოლიტიკური ვითარება. XVIII ს-ის 60-იანი წლების დასასრულს შავი ზღვის სრუტეებსა და ბალკანეთში გაბატონებაზე ერთმანეთს ოსმალეთი და რუსეთი დაუპირისპირდნენ.

რუსეთს ოსმალეთთან 1768-1774 წლების ომში ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა, ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ოსმალეთის უღელქვეშ მყოფი ქრისტიანი ხალხების ბრძოლას ანიჭებდა. რუსეთის მთავრობამ რელიგიური მოტივით შენიღბა თავისი ნამდვილი მიზნები და მოწოდებით მიმართა კავკასიელ და ბალკანელ ქრისტიანებს, რომ იგი ,,იძულებულია“ ებრძოლოს ოსმალეთს ,,ქრისტეს სარწმუნოებისათვის“.

სურათი 11. ეკატერინე II დიდი, რუსეთის იმპერატორი 1762-1796 წლებში

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ხვდებოდა, საით იყო მიმართული ოსმალეთისა და რუსეთის მოქმედებები და იმერეთის მეფე სოლომონ I-თან ერთად ხელსაყრელ ვითარებას ელოდებოდა, რათა სამცხე-ჯავახეთი გაეთავისუფლებინა. ასეთი მომენტი სწორედ რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებამ შექმნა. ძირითადი ამოცანა ახალციხის განთავისუფლება იყო, რადგან მოისპობოდა ბაზა, საიდანაც ოსმალეთი თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობდა ქართულ სამეფოებზე. ამიტომ, ერეკლე მეფის სტრატეგიული ჩანაფიქრის შესრულებისათვის რუსეთთან სამხედრო კავშირი რეალური ნაბიჯი იყო, რასაც ერთმორწმუნეობა და მეზობელი ქვეყნის სიძლიერე განაპირობებდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოლაპარაკებების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ სამხედრო შენაერთი გამოგზავნა საქართველოში 1200 კაცითა და 12 ზარბაზნით, გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. მოწინააღმდეგე მხარეთა დაპირისპირებაში ერეკლე II 3000 მებრძოლითა და 3 ზარბაზნით გამოდიოდა. მეფე სოლომონ I 5000 მებრძოლს დაჰპირდა მეფე ერეკლეს, მაგრამ იმერეთის სამეფოს სამეგრელოს სამთავროსთან არსებული გართულებების გამო, სოლომონმა დაპირება ვერ შეასრულა.



სურათი 12. სოლომონ I, იმერეთის მეფე 1752-1784 წლებში.
გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე,
შერაცხულია წმინდანად

ერეკლე მეფის მიერ შეთავაზებული სამხედრო მოქმედებების გეგმა 1769 წლის შემოდგომაზე ტოტლებენს უნდა მიეღო და, შესაბამისად, რუს-ქართველთა ჯარს ამ გეგმით უნდა ემოქმედა. მოკავშირე ძალები 1770 წლის 17 აპრილს ბორჯომის ხეობის გავლით მიმავალ გზაზე საკირესთან შეერთდნენ და შუადღისას აწყურის ციხეს შემოარტყეს ალყა.

აწყურისათვის დროის დაკარგვა შეცდომა იყო. მათ ციხე უკან უნდა მოეტოვებინათ, მტრისათვის მოფიქრების საშუალება არ მიეცათ და დაუყოვნებლივ მის მთავარ სტრატეგიულ პუნქტზე - ახალციხეზე მიეტანათ იერიში. ტოტლებენი იმავე დღეს უკან დახევის სამზადისს შეუდგა, აწყურის ციხეს ზარბაზანი რამდენჯერმე ესროლა და სურამისაკენ გაბრუნდა.

სურათი 13. გოტლიბ ჰაინრიხ ტოტლებენი (1715-1773), რუსეთის არმიის გენერალი

სურათი 14. რუსეთის არმიის ოფიცრები (მე-18 ს-ის II ნახევარი)

მეფე იძულებული გახდა ბრძოლით წასულიყო წინ ახალციხის მიმართულებით, რათა რუსეთის ჯარის უკან დახევა დაეფარა, შემდეგ თბილისისკენ დაიძრა ასპინძა-წალკის გზის გავლით. ,,...გზასა ზედა შეემთხვა მეფესა მხედრობა დელიბაშებისა, რომელსაც სძლო მეფემან". მეფე ერეკლემ ლაშქარი სამ ძირითად ნაწილად განალაგა აწყურის მიდამოებში, სოფლების - საყუნეთისა და ტყემლანას ტერიტორიებზე. პირველ ნაწილს ალექსანდრე ციციშვილი უსარდლა და ხიდიდან მარცხნივ ახლომდებარე ტყეში ჩაასაფრა. მას მისცა დავალება, როდის უნდა ჩაბმულიყო ბრძოლაში და რა უნდა მოემოქმედა. მეორე ნაწილს მეფემ თავისი ვაჟი - გიორგი ჩაუყენა სათავეში და ხიდიდან მარჯვნივ, სამი ვერსის (3200 მეტრი - სოფ. საყუნეთის მხარეს) მანძილზე განალაგა. ჯარის მესამე ნაწილს თვით ერეკლე სარდლობდა. მეფე წინ წაუძღვა თავის რაზმს, ხიდიდან ოთხი ვერსით (4264 მეტრი) უკან დაიხია და მოწინააღმდეგის პირველი დარტყმის მისაღებად მოემზადა. ახალციხიდან ნამირ ფაშას მიერ გამოგზავნილი თურქთა შეიარაღებული ლაშქარი აწყურის ციხის მხრიდან იმ ხიდს მოადგა, რომელიც ერთ დროს ერეკლეს ბრძანებით ააგეს. მცირე ყოყმანის შემდეგ (სავარაუდოდ, დაზვერვა ჩატარდა) მტრის ჯარიმა ხიდი გადაიარა და მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს გადავიდა. როდესაც მათ ქართველები ვერსად შენიშნეს, გზა გააგრძელეს სოფ. ტყემლანას მიმართულებით და პირდაპირ ერეკლეს რაზმის განლაგებას მიადგნენ. გაიმართა ფიცხელი ომი. ორივე მხარე თავგანწირვით იბრძოდა. ამ დროს გიორგი ბატონიშვილი თავისი რაზმით თავზარდამცემი ყიჟინით ჩაერთო ბრძოლაში. მოულოდნელ დარტყმას ვეღარ გაუძლო ოსმალთა ჯარმა. როდესაც ციციშვილმა დაინახა, რომ თურქთა ჯარი შედრკა და ერეკლემ მოწინააღმდეგე ხიდისაკენ უკუაქცია, გამოვიდა საფრიდან და მტერს უკან დასახევი გზა მოუჭრა. თურქები ხიდს მიაწყდნენ, რომელიც დაკავებული დახვდათ და მტკვარში გადაეშვნენ. ადიდებული მდინარე მტერმა ვერ გადალახა.

სურათი 15. აწყურის ციხე

ახალციხის ფაშას ქართველთა მოქმედება მხედველობიდან არ გამორჩენია. მათთვის გზის გადასაჭრელად მან ახალქალაქისა და ხერთვისის ციხეებიდან 1500 კაცი გამოიყვანა. მტრის ეს ჯარიც ერეკლემ ერთი დაკვრით დაამარცხა და უკუაქცია.

ბრძოლის დასასრულს ერეკლეს აცნობეს, რომ ახალციხის ფაშას მიერ გამოგზავნილი 8000-იანი ლაშქარი ასპინძის მიმართულებით გამოჩნდა და, ხიდის გამოყენებით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადმოსვლას აპირებდა. ამ დროისათვის მეფეს თან ჰყავდა 3 000-მდე მებრძოლი. განსაცდელში მყოფი, სამეფოს მოწყვეტილი ერეკლე II მოწინააღმდეგის დიდ ლაშქარს უნდა დაპირისპირებოდა. ასეთ ვითარებაში თავი იჩინა გონიერი სარდლის ნიჭმა.

სურათი 16. ახალქალაქის ციხე

მეფემ კარგად იცოდა, რომ ხელსაყრელი პოზიცია და მოხერხებული საომარი ადგილი ყველაზე მეტად იყო საჭირო რიცხობრივად დიდი უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგეზე გამარჯვებისათვის. იგი სწორედ ასეთი ბუნებრივი პოზიციების შერჩევას შეუდგა დაუყოვნებლივ. მან ასპინძის მაღლობები ამოირჩია და მებრძოლები იქ ჩაასაფრა. ეს ადგილები მდებარეობს დასახლებულ პუნქტებს - იდუმალასა და ასპინძას შორის, მტკვრის მარჯვენა ნაპირას. მდინარესა და ამ სიმაღლეებს შორის 2 კილომეტრამდე სიგრძის ვიწრო ვაკე-ბორცვიანი ადგილი იყო დარჩენილი. ქართველთა საბრძოლო განლაგება შემდეგნაირი იყო: ცენტრალურ დაჯგუფებას მეფე სარდლობდა, მარცხენა ფრთაზე იყო გიორგი ბატონიშვილი, რომელსაც მეფისაგან

ნაბრძანები ჰქონდა, რომ თავისი ლაშქრით ბრძოლაში თავდაპირველად მონაწილეობა არ მიეღო. მას თავისი ძალები იერიშის განვითარებისათვის უნდა გამოეყენებინა, როგორც რეზერვი. მარჯვენა ფრთაზე დავით ორბელიანი გამაგრდა.

სურათი 17.ხერთვისის ციხე

ბრძოლის არეალი: ადგილი, სადაც გენერალური ბრძოლა გაიმართა, მდებარეობს სოფელ იდუმალასა და დაბა ასპინძას შორის, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ე.წ. ერეკლეს ნახიდართან). იგი დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოფარგლულია მთა-ბორცვიანი ადგილებით, რაც ზღუდავდა მოწინააღმდეგის ძალების მანევრირებას. ამიტომ გადაწ¬ყ¬ვიტა ერეკლე მეორემ მოწინააღმდეგის ლოკალიზება ამ რაიონში. ადგილმგებარეობა იძლეოდა ხელსაყრელი თავდაცვითი პოზიციების მოწყობისა და მდინარის მიმართულებით კონტრიერიშის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ მოწინააღმდეგე, მიღებული ამოცანიდან გამომდინარე, იძულებული იყო ზემოაღნიშნულ რაიონში მტკვარზე ხიდით გადასულიყო და ქართველებისათვის ბრძოლა გაემართა. ამიტომ ოსმალებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, როდესაც ბრძოლის ადგილად ასეთი რელიეფი შეარჩიეს. ამ არჩევანს, ნაწილობრივ, მათი რაოდენობა და შეიარაღება განაპირობებდა

ქართველ მებრძოლებს პოზიციები ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჰქონდათ დაკავებული ასპინძის მაღლობებზე, რომ თურქთა რაზმებმა მტკვარზე გადებულ ხიდზე დაიწყეს გადმოსვლა. ერეკლემ განგებ აცალა მოწინააღმდეგეს, რათა თავისი ტაქტიკური ჩანაფიქრი შეესრულებინა (დიდი ძალების მანევრირების შეზღუდვა). მოწინააღმდეგემ აავსო გრძელი და ვიწრო ვაკე მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან. ნაწილი ლაშქრისა მდინარის მარცხენა მხარეს დაბანაკდა, მაგრამ ღამემ მოუსწრო და ბრძოლა შემდეგი დღისთვის გადაიდო. მეფე ერეკლემ გაითვალისწინა, რომ მაჰმადიანთა გარემოცვაში აღმოჩნდა და მოსალოდნელი იყო, მტერს ახალი მაშველი ძალები მომატებოდა. მან გადაწყვიტა, რომ 19 აპრილს, ღამით, მდინარეზე ხიდი აეყრა. მტკვრის მარცხენა მხარეს მტრის ლაშქრის ნაწილი და მაჰმადიანებით დასახლებული სოფლები (დიდი და პატარა ვარნეთი, ბნელა, ოსკერია, აწყვიტა, ქუნცა, როკეთი, ორგორა, სახუდაბელი, ახაშენი და სხვა) ყოველთვის შეეცდებოდნენ დახმარებოდნენ ახალციხის ფაშას. ერეკლემ ბრძოლის წინა ღამეს რჩეული მხედრების - აღაბა ერისთავის, სვიმონ მუხრან-ბატონისა და ხუდია ბორჩალოელის ხელმძღვანელობით, გააგზავნა მცირერიცხოვანი რაზმი ხიდის დასაზიანებლად.

მათ მოულოდნელი თავდასხმით გაანადგურეს მცველები და ხიდს მხოლოდ თავხეები გადაუხერხეს ისე, რომ მოწინააღმდეგეს მეორე დღემდე არაფერი შეუტყვია.

სურათი 17. დაბა ასპინძა

1770 წლის 20 აპრილის დილას მტერი ქართველებისგან მოელოდა შეტევის დაწყებას. მოწინააღმდეგის მოსატყუებლად ერეკლე მეფემ სამხედრო ხერხს მიმართა: დაახლოებით, 100 მებრძოლი გაგზავნა ჩასაფრებული ოსმალების მხარეზე, ცხენებზე ხურჯინგადაკიდებული, ვითომდა სურსათ-სანოვაგის მოსატანად, რათა მტერი შეცდომაში შეეყვანა და განლაგების ადგილიდან წამოეშალა. ,,სურსათ-სანოვაგის მიმტანმა" ქართველებმა, მეფის დარიგებისამებრ, მტრის მოგერიებით, უკან დაიხიეს.

ოსმალებისა და ლეკებისაგან შემდგარმა ჯარმა წინ წაწევა და დადევნება დაიწყო, სათოფე მანძილზე მოახლოებისას, ერთბაშად ატეხა სროლა, მაგრამ ოსტატურად ჩამწკრივებულ და საფრებს ამოფარებულ ქართველებს ვერაფერს აკლებდა. ერეკლემ ახლო მანძილზე მოუშვა მოწინააღმდეგე. მის ნიშანზე, ქართველთა თოფებმა ერთდროულად იქუხეს და მოახლოებული მტრის პირველი რიგი მოცელილი ბალახივით დაეცა. ასეთივე ბედი ეწია მის მეორე და მესამე მწკრივსაც. არც უკანა რიგებს ადგათ უკეთესი დღე. ქართველებს საბრძოლო უპირატესობა ჰქონდათ. მაღლობებიდან გასროლილი იარაღი მოწინააღმდეგეს მეტი სიზუსტითა და ორმაგი ძალით ანადგურებდა, რასაც ხელს უწყობდა ვიწრო ადგილმდებარეობით გამოწვეული მტრის სიმჭიდროვე, ეს კი მათი თავისუფალი მანევრირებისა და მოქმედების შესაძლებლობას ზღუდავდა.

მოწინააღმდეგის რიცხობრივმა სიჭარბემ თავისი ქნა და მან ცენტრალურ დაჯგუფებას ახალი რაზმებით შეუტია. დავით ორბელიანმა გააქტიურა მარჯვენა ფრთიდან ცეცხლის დაშენა. ერეკლემ მებრძოლებს სიტყვით მიმართა: „...მხნენო ქართველნო, ეს ამისთანა გაჭირვებული ომი ჩვენ თავზედ პირველი არ არის. კარგად გაარჩიეთ, დაინახეთ, რა სიკვდილის ლხინი არის დღეს! ვიომოთ სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა არ ნახოს... აქ უნდა გავწყდეთ, ჩვენს ცოლ-შვილში, სირცხვილია, დამარცხებული მივიდეთ... მამულისათვის გავწყდეთ, ქართველებო, მეც აქ თქვენში ვიმყოფები." ამ გრძნობით წარმოთქმულმა სიტყვებმა მებრძოლთა მორალური მდგომარეობა გააათკეცა იქამდე, რომ თავდადება და სამშობლოსათვის სიკვდილი ნეტარებად მიაჩნდა ადამიანს, მით უფრო, რომ უმრავლესობამ იცოდა მეფის ოსტატური ბრძოლის ამბავი.

ქართველებმა მაღლობებიდან იერიში მიიტანეს მტერზე. ცხენოსანი ჯარი, მეფის საოცარი მამაცობითა და სიმარჯვით აღტაცებული, უმოწყალოდ ჩეხდა მოწინააღმდეგეს. კულმინაციურ მომენტში მეფე ერეკლემ მტრის წინამძღოლი ლეკთა ათასისთავი - კოხტა ბელადი (მალაჩილა) მოკლა. ამან მოწინააღმდეგე მორალურად გატეხა, რითაც მისი დამარცხება შედარებით გაადვილდა. ოსმალ-ლეკთა ლაშქარმა უკან დახევა დაიწყო. მათ მხოლოდ ისღა ამხნევებდათ, რომ ხიდზე გადავიდოდნენ და გაქცევით უშველიდნენ თავს.

იმ ფაქტმა, რომ უკუქცეულებს ხიდი დაზიანებული დახვდათ და ერთადერთი უკანდასახევი გზაც მოჭრილი აღმოჩნდა, მოწინააღმდეგის რიგებში პანიკა გამოიწვია. იგი მორალურად გატყდა და ბრძოლის უნარი დაკარგა. მტკვრის მარცხენა ნაპირზე დარჩენილი მცირერიცხოვანი მოწინააღმდეგე, ხიდის განადგურების გამო, ძირითად ძალებს ვერ მიეშველა. საბოლოოდ, მოწინააღმდეგის მებრძოლთა ნაწილი ქართველთა მსხვერპლი გახდა, მრავალი კი აზვირთებულმა მტკვარმა დაახრჩო.

ასპინძის ბრძოლა სამხედრო ხელოვნების სტანდარტული ტიპის ნიმუშია საქართველოს სამხედრო ისტორიაში. ასეთი მოქმედება ერეკლეს გონივრული ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო. ეს იმითაც აიხსნება, რომ მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე მიიტანა იერიში მაღლობებზე, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ბუნებრივია, არსებულ სიტუაციაში ასეც მოხდებოდა, რადგან საინჟინრო თვალსაზრისით მომზადებულ ქართველ მებრძოლებს სამმაგი უპირატესობა ჰქონდათ: პირველი - წინასწარ შერჩეული ადგილი კარგი თავდაცვის მოწყობის საშუალებას იძლეოდა, რაც მცირე დანაკარგს გამოიწვევდა; მეორე - მოწინააღმდეგის ეფექტური დაზიანება სიმაღლიდან ახლო მანძილზე; მესამე – სწრაფი კონტრიერიშის შესაძლებლობა, რაც წარმატებით გამოიყენეს ქართველებმა.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მეომრებში საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას, რაც დამოკიდებულია იდეოლოგიასა და რწმენაზე. ერეკლე მეფემ იერიშის წინ სიტყვით მიმართა მებრძოლებს და მორალურად აამაღლა ისინი, რითაც შექმნა მათი ფსიქოლოგიური განწყობა. ასპინძის ხიდის თავხეები, დივერსიით, გადაახერხვინა. ამით აგრძნობინა თანამემამულეებს, რომ გამარჯვების სასწორი მათკენ უნდა გადახრილიყო.

რაკი მოწინააღმდეგემ პირდაპირი იერიშებით ვერაფერი გააწყო და ტყუილუბრალო დანაკარგი მიიღო, გადაწყვიტა ქართველთა საბრძოლო წყობისთვის ზურგიდან მოევლო. ამ ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად ოსმალებმა ხიდის მიმართულებით უკან დაიხიეს და, რელიეფიდან გამომდინარე, ძალების კონცენტრაცია ვიწრო დაბლობზე ჩაატარეს. სწორედ ამ დროს იჩინა თავი სარდლის ნიჭმა. ერეკლემ მტერს არ აცალა ორგანიზებულად უკან დახევა და კონტრიერიშზე გადავიდა. მოწინააღმდეგე დაიბნა, რადგან ასეთ მანევრს არ ელოდა. კოხტა ბელადის სიკვდილმა და ხიდის განადგურებამ მტერი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და დემორალიზებული გახადა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მოულოდნელობის ფაქტორი და ქართველებს გამარჯვება მოუტანა.

თუ სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა მოქმედება შექმნილი გარემოების მიხედვით, ხოლო მას ტაქტიკის გონივრული გამოყენება ასისხლხორცებს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ამ ბრძოლაში ერეკლე II-მ სავსებით დაიცვა აღნიშნული პრინციპი, რაც სარდლის ნიჭიერებაზე მეტყველებს. ამ ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ითამაშა შემდეგმა: ხიდის განადგურებამ, მოულოდნელმა თავდასხმამ, ინიციატივის ხელში ჩაგდებამ, სისწრაფემ და საბრძოლო სულისკვეთებამ.

ასპინძის ბრძოლაში გამოყენებული იყო ისეთი ტაქტიკური ელემენტები, რომლებიც აქტუალობასა და მნიშვნელობას არ კარგავს თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების წარმართვისას:

- ვითარების სწორი ანალიზი;
- ადგილმდებარეობის გონივრული შერჩევა;
- ჯარების მოხერხებული განლაგება და ურთიერთშეხამებული მოქმედება;
- მოწინააღმდეგის მიერ მაშველი ძალების მიღებისა და მანევრირების, ძალთა გადაადგილების შესაძლებლობის მოსპობა სადაზვერვო და სარეიდო (დივერსიული) მოქმედებების გზით;

- კონტრიერიშის დაწყება ადგილის, დროისა და მიზნის მიხედვით.

ბრძოლის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ასპინძის ბრძოლა უნდა განვიხილოთ ერთ მთლიან საბრძოლო ოპერაციად, რომელიც შედგება აწყურის, საყუეთი-ტყემლანასა და ასპინძის ბრძოლის დასკვნითი ეტაპისაგან. ასპინძის გადამწყვეტ შერკინებამდე გამართულმა ბრძოლებმა საგრძნობლად აზარალა მოწინააღმდეგე და ქართველებს დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა შესძინა;
- ასპინძის ველზე ხელსაყრელ პოზიციებზე ქართველთა ჯარის სწორად განლაგებამ, კარგად მოფიქრებული გეგმით ბრძოლის წარმართვამ, სარდლებისა და ცალკეული რაზმების მეთაურთა მამაცურმა და უნარიანმა მოქმედებამ, ერეკლე მეფის გმირობამ გამარჯვება განაპირობა.

ქართველებმა დაატყვევეს 60-მდე თურქი და რამდენიმე ლეკი, ხელთ იგდეს მრავალი დროშა, ცხენი და დიდძალი იარაღი. მათი დანაკარგი იყო რამდენიმე ათეული დაჭრილ-დახოცილი. ტყვედ ჩავარდნილი რამდენიმე მეთაურის ჩვენებით, მოწინააღმდეგის 8 000-იანი კორპუსიდან 4000-ზე მეტი ბრძოლის ველზე დაიღუპა, ასობით მებრძოლი წყალდიდობით აზვირთებულმა მტკვარმა დაახრჩო.

ტოტლებენის ღალატის გამო, ერეკლემ ასპინძის ველზე მიღწეული გამარჯვება ვერ გამოიყენა, რადგან არსებული ძალებით ბრძოლა ახალციხის მიმართულებით პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ასპინძის ბრძოლით კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა XVIII საუკუნის საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიაში.

სურათი 18. საქართველო XVIII ს-ის II ნახევარში

კრწანისის ბრძოლა

ერეკლე მეფისა და მისი მომხრეების მიერ ჩატარებულმა სამხედრო-ადმინისტრაციულმა რეფორმებმა ქართლ-კახეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში კიდევ უფრო განამტკიცა და სახელმწიფო აღმავლობის გზას დაადგა.

მიუხედავად ამისა, ირანისა და ოსმალეთის მხრიდან გამუდმებულმა აგრესიამ ერეკლე II და სამეფო კარი იძულებული გახადა, თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მეგობრული კავშირი დაემყარებინა რუსეთის ძლიერ სახელმწიფოსთან.

1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის ხელი მოეწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებას. რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებამ ირანისა და მეზობელი სახანოების გაღიზიანება გამოიწვია. ირანი მოითხოვდა, ქართლ-კახეთს უარი ეთქვა რუსეთთან დაახლოებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, აგრესიით იმუქრებოდა. ასეთ მოთხოვნას ერეკლე არ დაეთანხმა, რაც მომავალი საბრძოლო მოქმედებების მიზეზი გახდა.

ირანის სტრატეგიული ამოცანა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა და ამიერკავკასიაში რუსეთის ზეგავლენის აღკვეთა იყო. ერეკლეს თავდაპირველი გეგმა ითვალისწინებდა იალღუჯა-ფონიჭალის მიდამოებში ირანის ჯარების შეტყუებას, სხვადასხვა მიმართულებებიდან წინასწარ ერთდროულ შეტევას, მოწინააღმდეგის სრული განადგურებისათვის და რუსეთის მფარველობით ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას.

სურათი 19. აღა მაჰმად ხან ყაჯარი, ირანის გამგებელი 1794 წლიდან, ირანის შაჰი 1796-1797 წლებში

1795 წლის აგვისტოს ბოლოს ირანის მმართველი აღა მაჰმად ხანი დიდი ლაშქრით საქართველოსკენ გამოემართა. 8 სექტემბერს იგი ფონიჭალა-იალღუჯა-კუმისის ტბის მიდამოებს შორის ტერიტორიაზე დაბანაკდა, რომელსაც სარვანის მინდვრის სახელწოდებით მოიხსენიებდნენ.

ადგილმდებარეობა ალაგ-ალაგ ვაკე-ბორცვიანი, მთიანი და დაღარული იყო. დაპირისპირებულ მხარეებს შეეძლოთ როგორც ტაქტიკური მანევრირება, ისე ძალთა გადაჯგუფება. ამ მხრივ, ქართველებს უპირატესობა ჰქონდათ, რადგან ადგილმდებარეობას უკეთესად იცნობდნენ და რეკოგნოსცირების საშუალებაც მეტი ჰქონდათ, მაგრამ სამეფო კარმა ვერ გამოიყენა ეს უპირატესობა, გარკვეული მიზეზების გამო.

ირანელთა დაჯგუფებაში შედიოდა განჯის, ყარაბაღის, ერევნის სახანოების ლაშქარი, სულ 40 000-მდე კაცი. მოწინააღმდეგეს საკმაოდ გაწვრთნილი ცხენოსანი და ქვეითი ქვედანაყოფები ჰყავდა. შეიარაღებაში შედიოდა ზარბაზნები, თოფები, დამბაჩები და ცივი საბრძოლო იარაღი. ირანელთა ტაქტიკური ამოცანა კრწანისისა და თბილისის აღება იყო, საიდანაც შესაძლებელი გახდებოდა საბრძოლო მოქმედებების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მიმართულებით.

სურათი 20.თბილისში ჩამოსხმული ერეკლეს ეპოქის ზარბაზნები

ქართველთა მხარე მოწინააღმდეგეს ძალთა თანაფარდობითა და შეიარაღებით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა. ლაშქრის შემადგენლობაში შედიოდნენ ცხენოსნები, ქვეითები და მცირე რიცხვი არტილერისტებისა, 6 ზარბაზნით. ამ დროისათვის მეფეს 35 ზარბაზანი ჰქონდა. ოსტატთა სიმცირისა და დიდებულთა გულგრილობის გამო, მათი სრულად გამოყენება ვერ მოხერხდა. ლაშქარში შედიოდნენ თუში, ფშავი, ხევსური, ქიზიყელი და არაგველი მებრძოლების მცირე რაზმები, თბილისის მოსახლეობის ნაწილი, იმერელთა 2000-კაციანი რაზმი, სოლომონ მეფის ხელმძღვანელობით. საბოლოოდ, როგორც წყაროებიდან ირკვევა, 5000-მდე მებრძოლმა მოიყარა თავი. ირანელთა მოსალოდნელი გამოლაშქრების შესახებ საქართველოში იცოდნენ და საკმარისი დროც ჰქონდათ ლაშქრის შესაგროვებლად. მაგრამ რუსების დახმარების იმედად მყოფმა ერეკლემ არ მიმართა დროულ და საჭირო ღონისძიებებს. მეფის პოლიტიკით განაწყენებულმა თავადებმა და ერეკლეს ზოგიერთმა მემკვიდრემ, შინაურ უთანხმოებათა გამო, ქვეყნის თავდაცვის საქმეში სრული გულგრილობა გამოიჩინეს. მეფე იძულებული გახდა, თავდაცვითი ბრძოლის ტაქტიკა აერჩია.

სურათი 21. ქართველი მეომარი ერეკლეს ეპოქის აღჭურვილობით (1902 წლის ფოტო)

თბილისის მისადგომებთან საინჟინრო თვალსაზრისით გამაგრებული 3 თავდაცვითი ზღუდე მოეწყო, ისეთ ადგილებში, სადაც მოწინააღმდეგე ჭარბი ძალების გაშლასა და ბრძოლაში ჩაბმას ვერ მოახერხებდა. ერეკლემ ძალები სეიდაბადისა (ნარიყალას ციხის სამხრეთ-დასავლეთით დაშვებული ფერდობები) და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ვიწრო ადგილებში განალაგა. საბრძოლო რიგებს შორის ჩააყენეს ზარბაზნები, რომელთაც ყველაზე სახიფათო მიმართულებით შემტევი ცხენოსანი ჯარისთვის მხარი უნდა დაეჭირათ. სიღრმეში, ნარიყალას ციხეზე, რამდენიმე ზარბაზანი დადგეს. საბრძოლო წყობა ასეთი იყო: მეწინავე რაზმს ხელმძღვანელობდა იოანე ბატონიშვილი, მარცხენა ფრთას - იოანე მუხრან-ბატონი, მარჯვენას - დავით ბატონიშვილი. ცენტრში სამი რაზმისაგან შემდგარი მეფის სადროშო განლაგდა, რომლებსაც სარდლობდნენ ვახტანგ ბატონიშვილი, ოთარ ამილახვარი და ზურაბ წერეთელი.

აღა მაჰმად ხანმა ჯარი რამდენიმე ნაწილად დაყო: ავანგარდი, ძირითადი და ზურგის ძალები. ზარბაზნები მათ შორის გაანაწილა. საბრძოლო მოქმედებების წარმართვას ისინი ხაზოვანი ტაქტიკით აპირებდნენ, რომელიც ევროპელებს უკვე ორი-სამი საუკუნით ადრე ჰქონდათ ათვისებული.

სურათი 22 გიორგი ბატონიშვილი, შემდგომში გიორგი XII,
ქართლ-კახეთის მეფე 1798-1800 წლებში

სურათი 23. იოანე ბატონიშვილი (1766-1830). მამაცი სარდალი, ნიჭიერი მწერალი და პუბლიცისტი

სურათი 24. ვახტანგ ბატონიშვილი (1761-1814). მამაცი მეომარი

სურათი 25. დავით ბატონიშვილი (1767-1819). ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრე

ბრძოლის მსვლელობა: საბრძოლო მოქმედებები 1795 წლის 9 სექტემბერს ფონიჭალა-კრწანისის მიმართულებაზე მტრის ავანგარდული ნაწილებისა და ჩვენი საბრძოლო დაცვის მოწინავე რაზმების შეტაკებით დაიწყო. ასეთი მოქმედება სადაზვერვო ხასიათს ატარებდა.

ქართველთა რაზმების განლაგებისა და მათი ხელსაყრელი პოზიციებიდან გამოტყუების მიზნით, მტერმა მათზე სამჯერ მიიტანა იერიში. ახლო მანძილზე მოშვებული მოწინააღმდეგე ერთდროული ცეცხლითა და სწრაფი კონტრიერიშებით უკუაგდეს.

10 სექტემბერს მოწინააღმდეგის 3000-იანმა რაზმმა კვლავ შეუტია ქართველებს შავნაბადის მთის ძირში, ტაბახმელასა და შინდისს შორის, სადაც დიდი ზარალი ნახა. ჩვენი მეწინავე ნაწილების ზურგში დასარტყმელად, ხანმა 3000 მებრძოლი გაგზავნა. ძალების სიმცირის გამო, ერეკლეს ბრძანებით, ზარბაზნებისა და რაზმების მანევრი დაიწყო. გადაჯგუფებულმა ქართველებმა ძირითადი და შემომვლელი რაზმები ყველა საცეცხლე საშუალებების ერთდროული გამოყენებითა და ორგანიზებული კონტრშეტევით გაანადგურეს. აღა მაჰმად ხანის ნაწილებმა ბრძოლის ამ ეტაპზე დიდი დანაკარგი ნახეს. ასეთმა მდგომარეობამ სპარსელი აიძულა, გენერალურ შეტევაზე უარი ეთქვა. მაგრამ ი. ბებუთოვისა (თბილისში მცხოვრები მოქალაქე, რომელიც შაჰის დაზვერვას ემსახურებოდა) და სხვათა (რომლებმაც იცოდნენ ქართველთა სიმცირე, მათი ძალებისა და ზარბაზნების განლაგება, შემოვლითი გზები) ღალატის საფუძველზე, ბრძოლის გაგრძელება არჩია.


მხარეთა საბრძოლო მოქმედება
1795 წლის 11 სექტემბერს
პირობითი ნიშნები:
ქართული ლაშქრის ოაკადაყენო პოზიციები
ქართული ლაშქრის საბრძოლო განლაგება
ქართველთა რეზერვები
ქართული ლაშქრის კონტრიერიშების მიმართულებები
ქართველთა უკანდახვა კონტრიერიშის შემდეგ
ქართველთა გადასვლა ბეთრე პოზიციაზე და ბრძოლიდან გასვლა
ქართველთა ავანგარდის და მარჯვენა ფრთის რაზმის ბრძოლიდან გასვლა
ირანელთა მთავარი ძალის დაქვეითება კრწანისის მიდამოებში
ირანელთა მთავარი დარტყმის მიმართულებები
ირანელთა კონტრონსმოტებები ქართველ. კონტრიერიშების საასუხოდ
უკანდასული ქართველთა ლეგნის მიმართულებები
თბილისი
ციხე
ალაზანი
ბეთანია
ბეთანიის ტბა
ბეთანიის ველი
ბეთანიის ბაღლობი
ბეთანიის ბაღლობი
ბეთანიის ბაღლობ

თბილისის მიდამოების კარგი მცოდნეები დაუყენეს, კრწანისის ბაღებზე გავლით, შინდისის მიმართულებით გაუშვეს, რათა ზურგიდან შემოევლოთ ქართველთა შეთხელებული პოზიციებისათვის. რაზმმა ისარგებლა ბაღებზე მიმავალი გზებით და ზუსტად შეასრულა შაჰის ბრძანება. დავით ბატონიშვილი პოზიციებზე დარჩა მანამ, სანამ მისი შეხედულებით, ქართველთა წინააღმდეგობა აზრს დაკარგავდა. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, მან ,,ჩაყარა ხევსა საგუბარისასა ზარბაზანი იგინი, რომელნიცა აქუნდა მას, თაბორის კერძოსათა, რათა არა დაუშთეს სპარსთა". შემდეგ კი, წყნეთზე გავლით, თავისიანებს მიაშურა.

აღა მაჰმად ხანი, ჯარის ერთი ნაწილით ჩატარებული მანევრის შედეგად, იოანე ბატონიშვილის მოწინავე რაზმს ზურგში მოექცა. ვახტანგ ბატონიშვილის დახმარებით, იოანემ ალყა გაარღვია და მთავარ ძალებს შეუერთდა. შემდეგ, მტრის მთავარი ძალების შუაზე გაყოფისა და მართვის დეზორგანიზების მიზნით, ვახტანგ ბატონიშვილმა თავისი რაზმებით სეიდაბადის სამხრეთ კალთებთან შეუტია სპარსელებს. ამავდროულად, ერეკლე მეფემ ბრძანება გასცა, ერთიანად კონტრშეტევაზე გადასულიყვნენ. ბრძოლა ხელჩართული შეტაკებებით მიმდინარეობდა, რაც ჩვენს მებრძოლებს უპირატესობას ანიჭებდა. მაგრამ, ძალთა სიმცირის გამო, ქართველებმა უკან დახევა დაიწყეს. ცეცხლსასროლი იარაღის სიმცირემ ძალთა უთანასწორობა აშკარა გახადა. სწორედ აქ გამოვლინდა ქართული ინდივიდუალური საბრძოლო ხელოვნების უმაღლესი დონე.

300-მა არაგველმა მებრძოლმა, მაჩაბლის თეატრის დასის მოხალისეებთან ერთად, გააფთრებული შეტევა დაიწყო მოწინააღმდეგის ყველაზე მჭიდრო ეშელონად განლაგებულ დაჯგუფებაზე, ფრონტის გარღვევისა და დეზორგანიზების მიზნით. მათი შეჩერება ვერ შეძლეს. არაგველებმა გაარღვიეს ათრიგიანი საბრძოლო წყობა და აღა მაჰმად ხანის სადროშომდე მიაღწიეს. სპარსთა მეთაური პირადი დაცვის დიდმა ძალებმა იხსნეს. ამავდროულად, ირანელთა არტილერიამ კრწანისის მაღლობებიდან ცეცხლი გაუხსნა ქართველთა ლაშქარს და ბრძოლაში მთელი ძალებით ჩაება. ერეკლეს მითითებით, რეზერვში მყოფი იმერლების მეთაურისა და არტილერიის უფროს მაიორ გ. გურამიშვილის გასაფრთხილებლად შიკრიკი გაგზავნეს, მაგრამ ეს უკანასკნელი მტერმა მოკლა. ალბათ, ისევ ღალატის გამო, იმ მოსაზრებით, რომ ერეკლეს დამარცხება გარდაუვალად მიიჩნიეს, იმერელთა ათასეულმა, რომელიც ქალაქის მისადგომებს იცავდა, პოზიციები მიატოვა და იმერეთისაკენ წავიდა.

ქართველებმა რამდენიმე იერიშის მოგერიება შეძლეს, მაგრამ, ძალთა თანაფარდობიდან გამომდინარე, ბრძოლის ყველა უბანზე იძულებული გახდნენ, უკან, თბილისისაკენ დაეხიათ. ამასთან, მოწინააღმდეგის საკავალერიო დაჯგუფებამ თბილისისაკენ შეტევა დაიწყო კოჯორტაბახმელის გზით და სოლოლაკში შემოიჭრა. ამით ერეკლეს ალყაში მოქცევის საშიშროება დაემუქრა. დღის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგემ ახალი ძალები აამოქმედა. ქართველმა არტილერისტებმა დროებით შეაჩერეს მათი წინსვლა. 75 წლის ერეკლე მეფე ბრძოლის ველს არ ტოვებდა, მაგრამ მას გაეცალა იოანე ბატონიშვილისა და რამდენიმე მებრძოლის ძალდატანებით და, თბილისზე გავლით, მან მთიულეთს შეაფარა თავი. კრწანისის ბრძოლაში ქართველებმა მეფისა და სამშობლოსათვის დიდი თავდადება აჩვენეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 300 არაგველის გმირობა. ქართულმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა.

სურათი 27. სამასი არაგველი, შერაცხულები არიან წმინდანებად

თბილისის მოსახლეობამ ვერ მოასწრო გახიზვნა. ირანელებმა ქალაქში საშინელი ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-რბევა მოაწყვეს. ბრძოლა მიმდინარეობდა თითოეული ქუჩისა და სახლისათვის. ქალაქი დაღუპულ თბილისელთა გვამებით გადაივსო. აღა მაჰმად ხანმა გაძარცვა სამეფო სასახლე. ირანელებმა ცეცხლი წაუკიდეს დარბეულ ქალაქს. თითქმის ერთი კვირა გრძელდებოდა ხანძარი. თბილისის აღების შემდეგ მტრის ჯარის ნაწილებმა გორისა და მთიულეთის მიმართულებით გააგრძელეს მოქმედება. პარტიზანული ბრძოლის მეთოდების გამოყენებით, ქართველებმა დიდი დანაკარგი აჩვენეს მტერს. ქართველთა თავგანწირულმა ბრძოლებმა იძულებული გახადა მოწინააღმდეგე საქართველო 20 სექტემბერს დაეტოვებინა.

სამხედრო ხელოვნების კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ბრძოლაში კარგად გამოიკვეთა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს რეკოგნოსცირების დროულ ჩატარებას, ძალთა განაწილებას, დროულ გადაჯგუფებას. ორგანიზებული თავდაცვითი ბრძოლისათვის საქართველოში მასიურად პირველად გამოიყენეს არტილერია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მოწინააღმდეგის განადგურებასა და მებრძოლთა მორალური სულისკვეთების ამაღლებაში. საფორტიფიკაციო თვალსაზრისით, ადგილმდებარეობასთან შეხამებით მოწყობილმა სანგრებმა და ტაქტიკურმა შენიღბვამ გააადვილა მტრის დიდი ძალების მრავალჯერ მოგერიება, მოულოდნელი კონტრიერიშების ჩატარება და მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, მეფის ბრძანებით, ძალთა სიმცირისა და ალყაში მოხვედრის საშიშროებიდან გამომდინარე, კონტრიერიშების შემდეგ არ გამოყენებულა დადევნება. აუცილებლად უნდა აღინიშნოს მცირერიცხოვან ქართველთა მაღალი საბრძოლო სულისკვეთება, ინდი-

ვიდუალური საბრძოლო იარაღის გამოყენებისა და ხელჩართული ბრძოლის კარგად ფლობის ტექნიკა, რომელიც 300 არაგველისა და სხვათა მოქმედებაში გამოიხატა.

ამ ბრძოლით აღა მაჰმად ხანმა ტაქტიკურ მიზანს მიღწია, მაგრამ, მრავალ გარემოებათა გამო, სტრატეგიულს - ვერა. 1796 წელს ერეკლემ ჩაატარა სამხედრო ოპერაციები: აიღო განჯა და ერევანი, რითაც გარკვეულწილად აინაზღაურა ზარალი.

ერეკლე II 1798 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა თელავის სასახლეში, იმავე საწოლსა და ოთახში, რომელშიც დაიბადა. დაკრძალულია სვეტიცხოველში. მის სამძიმარზე ოცი ათასამდე მებრძოლი მოსულა. რა მოხდებოდა, ლაშქრის ასეთი რაოდენობა მეფეს კრწანისში რომ ჰყოლოდა?

სამხედრო რეფორმებით, ნიჭით, ჩატარებული ბრძოლების რაოდენობით, ხარისხითა და მასშტაბებით ერეკლე II არის ბრწყინვალე სარდალი და ტაქტიკოსი.

სურათი 28. კრწანისის გმირთა მემორიალი თბილისში, დეტალი

სურათი 29. მეფე ერეკლეს საფლავი სვეტიცხოველში

სურათი 30. მეფე ერეკლეს ძეგლი თელავში

თავი II
თანამედროვე მასირებული არმიების აღმოცენება, ნაპოლეონი, ჟომინისა და კლაუზევიცის ომის თეორიები

1. თემის მოკლე შინაარსი:

მოცემული თემაში განხილულია საფრანგეთის რევოლუციის ზეგავლენა ფრანგული სამხედრო რევოლუციისათვის წინაპირობების შექმნაში. განხილულია სამხედრო რევოლუციის პოლიტიკური, ეკონომიკური, ნაციონალური ასპექტები.

საფრანგეთის რევოლუციამ ევროპაში საფუძველი ჩაუყარა ისეთი სამხედრო და სოციალური ცნებების დამკვიდრებას, როგორებიც იყო საყოველთაო მობილიზაცია (Levée en Masse) და სახალხო არმიის შექმნა. ფრანგულმა რევოლუციამ ისეთი მასშტაბების ადამიანური და სხვა რესურსების მობლიზაცია მოახდინა, რამაც შოკში ჩააგდო იმდროინდელი ძველი დინასტიური სახელმწიფოები. 1794 წლისათვის საფრანგეთის სახალხო არმიის პირადი შემადგენლობა უკვე მილიონზე მეტ კაცს ითვლიდა, მაშინ როცა ბურბონთა არმიაში, 1789 წლისათვის სულ 180.000 კაცი იყო... და კლაუზევიცს რომ დავესესხოთ - ,,უეცრად ომი ისევ იქცა სახალხო საქმიანობად -ოცდაათმილიონიანი ერის საქმიანობად, რომლებიც თავს მოქალაქეებად თვლიდნენ... მთელი ერი უცებ ომის მონაწილე გახდა. საფრანგეთმა შეძლო ისეთი ადამიანური რესურსების მობილიზაცია ომის საწარმოებლად, რაც წარმოუდგენელი იყო ძველი ყაიდის ევროპული დინასტიებისათვის“.

მეცადინეობის მეორე ნაწილში განვიხილავთ ორი მნიშვნელოვანი კლასიკოსი სამხედრო თეორეთიკოსის - ჟომინისა და კლაუზევიცის თეორიებს. ასევე შევადარებთ ამ ორი თეორეტიკოსის შრომებს და პარალელებს გავავლებთ მათ შეხედულებს შორის. იუნკერები შეაფასებენ იმ

გამოცდილებას, რამაც ეს ორი თეორეტიკოსი მიიყვანა მათ შრომებში დაფიქსირებულ აზრებამდე.

სურათი 31. საფრანგეთის დიდი რევოლუცია-1789 წ. აჯანყებულები პარიზის ქუჩებში

2. სწავლების საბოლოო მიზანი

ამ მეცადინეობის მიზანია შესწავლილ და გაანალიზებულ იქნას ფრანგული სამხედრო რევოლუციის ძირითადი ასპექტები, ნაპოლეონის ეპოქის საომარი კამპანიები და სამხედრო ხელოვნება. იუნკერები ვაზიაროთ ორი მნიშვნელოვანი კლასიკოსი სამხედრო თეორეტიკოსის ჟომინისა და კლაუზევიცის მიერ შემუშავებულ კონცეფციებს, რომლებსაც დრესდღეობითაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

შუალედური სასწავლო მიზნები

- შეისწავლილ იქნას ფრანგული სამხედრო რევოლუციის არსი, სამხედრო აზრის განვითარების ძირითადი მიმართულებები და მათი როლი სამხედრო ხელოვნების ევროპული გზის შემდგომ აღმავლობაში;
- არსებული სამხედრო_პოლიტიკური ვითარების ანალიზი;
- ნაპოლეონის სამხედრო ხელოვნების ძირითადი ასპექტების ანალიზი.
- განმარტონ შემდეგი ტერმინების მნიშვნელობა ისე, როგორც ეს ჩამოაყალიბეს ჟომინიმ და კლაუზევიცმა:

ოპერაციების თეატრი, ოპერაციების ზონები, ოპერაციების ბაზები, გადამწყვეტი ადგილი,

სამიზნე ობიექტი, ოპერაციების ხაზები, გარე და შიდა ხაზები, ომის „სამეული," გრავიტაციის ცენტრი, კულმინაციის წერტილი.

სწავლების დონე:

დამახსოვრება, გამოყენება, ანალიზი, შექმნა.

3. იუნკერის დავალებები:
წაიკითხეთ:
სილაბუსში მოცემული საკითხავი მასალა.

დამატებითი ლიტერატურა:

1. ცისკარიშვილი დ. ნაპოლეონი. წიგნი I. თბილისი. 1994. გვ. 119-160.

მზად იყავით სააუდიტორიო დისკუსიისა და შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. საფრანგეთის რევოლუცია და რევოლუციური არმია.
2. რა იყო ნაპოლეონის აღზევების მიზეზები?
3. ნაპოლეონის სამხედრო ხელოვნება. სიახლეები სტრატეგიულ და ტაქტიკურ დონეებზე.
4. როგორ შეაფასებთ ნაპოლეონის საომარ კამპანიას ეგვიპტეში?
5. ნაპოლეონი - სახელმწიფოს მეთაური და მხედართმთავარი.
6. რომელ ძირითად სტრატეგიებს გამოყოფდით ნაპოლეონის სამხედრო ხელოვნებაში?
7. რაში მდგომარეობდა Bataillon Carreé -ს არსი?
8. განაპირობა თუ არა რუსეთის კამპანიაში დამარცხებამ ნაპოლეონის იმპერიის ნგრევა?
9. ნაპოლეონის ესპანეთის კამპანია.
10. კომბინირებული ომის ცნება.
11. ნაპოლეონის, როგორც მხედართმთავრის დამარცხების მიზეზები.
12. ნაპოლეონის ეპოქიდან, სამხედრო ხელოვნების კუთხით თქვენთვის საინტერესო რომელ ბრძოლას გამოყოფდით?
13. ნაპოლეონისა და ფრიდრიხ დიდის, როგორც სტარტეგოსების შედარებითი დახასიათება.
14. ჟომინის ომის ფუნდამენტური კონცეფციები:

გამოიყენეთ აღნიშნული კონცეფციების შესადარებლად ნაპოლეონის ომები (1812 წლის რუსეთის კამპანია).

15. კლაუზევიცის მიერ შემუშავებული ომის ფუნდამენტური კონცეფციები.

რევოლუცია და სამხედრო საქმე საფრანგეთში

სტივენ ტ. როსი

საფრანგეთის რევოლუციამ ნაციონალური ომის რაობა და არსი დაანახა მთელ ევროპას. ახალმა იდეოლოგიურმა და ნაციონალურმა ენთუზიაზმმა, რომელიც შერწყმული იყო ტაქტიკურ და ორგანიზაციულ სიახლეებთან, ადვილად შეძლო წინ აღდგომოდა ძველი სტილის რეგულარულ არმიებს. ნაციონალური იდეოლოგიით აღჭურვილი ახალი ტიპის ფრანგული არმია ახალ სიტყვას წარმოადგენდა ორგანიზაციული თვალსაზრისით და ამ მოვლენას ახალი სამხედრო გენიის, ნაპოლეონ ბონაპარტეს გამოჩენა დაემთხვა. რადიკალურად შეიცვალა ოფიცერთა კორპუსის შემადგენლობაც. ძველი არმიიდან ოფიცერთა დიდი რაოდენობის განთესვამ დიდი ვაკანსიები შექმნა. ბატალიონებს უკვე არჩეული ოფიცრები მეთაურობდნენ და ზოგიერთის კარიერა მეტეორული სიჩქარით იზრდებოდა; დაწინაურება არა წარმომავლობის, არამედ ნიჭისა და უნარების მიხედვით ხდებოდა და ახალი ოფიცრები ნელ-ნელა მაღალი რანგის პროფესიონალებად ყალიბდებოდნენ; თუ რევოლუციამდელ არმიაში არისტოკრატი ოფიცრების

რაოდენობა ოფიცერთა საერთო რიცხვის 85%-ს შეადგენდა, 1794 წლისათვის ისინი 3%-ზე ნაკლებნი იყვნენ.

ნაპოლეონის სტრატეგიული გენია ერთმანეთის მიყოლებით, კამპანიიდან კამპანიამდე ადვილად ამსხვრევდა ძველი სამყაროს ევროპულ არმიებს, მათ კოალიციებსა და გაერთიანებებს. და სულ მოკლე ხანში მან ევროპის დიდი ნაწილის დამორჩილება შეძლო. საფრანგეთის რევოლუციური არმიის შექმნა და ნაპოლეონის სამხედრო ხელოვნების გამოყენება რიგითობით მეორე სამხედრო რევოლუცია იყო ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიისათვის.

საფრანგეთის რევოლუციური არმიის მიერ დიდი წარმატებით ჩატარებულმა ომებმა და საომარმა კამპანიებმა სხვა ევროპული სახელმწიფოების არმიებზეც მოახდინა წარუშლელი კვალი. მათ სწრაფად დაიწყეს ტაქტიკური სიახლეებისა და ბრძოლის წარმოების ახალი მეთოდების გადაღება ფრანგებისაგან. დამსახურებითა და ღირსებით აღზევებულმა ნაპოლეონ ბონაპარტემ ფრანგული არმიის მართვის სტრატეგიული გენიის დემონსტრირება მოახდინა ევროპის დიდი ნაწილის დაპყრობისას. საომარი კამპანიიდან კამპანიამდე, ის ულმობლად ამსხვრევდა წინ აღმდგარ არმიებსა და ძალებს. იმ სიახლემ, რომ არმიას უბრალო ხალხიდან გამოსული ოფიცრები მეთაურობდნენ, ხოლო სარდალი, რომელიც მოკრძალებული ჩამომავლობისა იყო და შეეძლო მიეღწია ასეთი წარმატებებისათვის - თავდაყირა დააყენა იმდროინდელი ევროპის მთელი სოციალური სისტემა.

ჯარების მასირებას ახალი ტიპის საჯარისო შენაერთების ჩამოყალიბება მოჰყვა, რომლებიც საერთო ჯამში ნაციონალურ არმიაში - ე.წ. Grande Armeé -ში გაერთიანდნენ, რომელიც 7 საარმიო კორპუსისაგან შედგებოდა. აქ საარმიო კორპუსი უნდა გამოვყოთ, რომელიც ნაპოლეონის სტრატეგიული ამოცანების შესრულების მთავარ ინსტრუმენტსა და იარაღს წარმოადგენდა. ეს იყო იმ ეპოქისთვის წარმოუდგენელი ძალის მქონე დაახლოებით 30.000-იანი შენაერთი, რომელსაც დამოუკიდებლად, სხვა შენაერთებისა და ნაწილების დახმარების გარეშე 24 საათის განმავლობაში შეეძლო წარმატებით აღესრულებინა ნებისმიერი სახისა და მასშტაბების საბრძოლო მოქმედებები. Grande Armeé - ის, ამ დამანგრეველი ძალის სტრატეგიული მარშის ფორმა კი, ე.წ. Bataillon Carreé, რამდენიმე ათეული და ხანდახან ასეულ კილომეტრიანი ფრონტის ხაზით, სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, XIX საუკუნის დასაწყისის სიახლედ იქცა.

სურათი 32. ნაპოლეონ ბონაპარტე (1769-1821). უდიდესი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე

საბძოლო მარშიც, ბრძოლაში ჩართვაც და ბრძოლის წარმოებაც მანევრული ხასიათს ატარებდა. და აქ ნაპოლეონის მიერ შემუშავებული ბრძოლის წარმოების ორი ძირითადი სტრატეგია უნდ გამოიყოს - ე.წ. ,,ცენტრალური პოზიციისა" და ,,ირიბი მიახლოების" სტრატეგიები.

ნაპოლეონი ,,თავად წარმოადგენდა საკუთარი შტაბის ოფიცერს. სახაზავ-მზომით და ფარგლით აღჭურვილი, ჩვიდმეტჯერ,_ოცჯერ გადახვეულ, ხან კი მთლიანად გაშლილ რუკაზე, სადაც მტრის პოზიციები იყო აღნიშნული, ის მომენტალურად იღებდა გადაწყვეტილებას თითოეული თავისი კოლონის მარშის დროისა და მარშრუტის შესახებ, რათა თითოეულს შესაბამის დროს მიეღწია დასახული წერტილისათვის. შემდეგ კი, კარნახობდა ისეთ ინსტუქციებს, რომელიც საკმარისი იყო ნებისმიერისათვის, რომ იგი გამოჩენილი ადამიანი გამხდარიყო" - წერდა თავის ნაშრომებში ცნობილი სამხედრო თეორეტიკოსი ანტუან-ანრი ჟომინი.

ნაპოლეონისეული გადაწყვეტილების მიღების პროცესს კი, შემდეგი სახე ჰქონდა:

- იმპერატორი აფასებს სიტუაციას;
- იმპერატორი ახდენს ბრძოლის სადაზვერვო მომზადებას;
- იმპერატორი ამუშავებს მოქმედებების თანმიმდევრობას;
- იმპერატორი ხელმძღვანელობს სამხედრო თამაშობებს;
- იმპერატორი არჩევს მოქმედებების თანმიმდევრობას;
- იმპერატორი საზღვრავს შენაერთებს;
- იმპერატორი ავითარებს მიღწეულ შედეგებს.

და... შტაბი დაიყვანს ბრძანებას შემსრულებლებამდე...

საომარი კამპანიების დროის დგებოდა ე.წ. „Petit quartier-général" (საბრძოლო შტაბი) გარემოსა და მოსალოდნელი საბრძოლო მოქმედებათა რაიონის ყოველდღიური ინსპექტირებისათვის. მასში, როგორც წესი, შედიოდნენ ნაპოლეონის მარშლები ბერტიე და კოლენკური; ტელესკოპის, რუკებისა და სხვა საშტაბო დოკუმენტაციის მზიდავი ესკორტი, ოთხი მეკავშირე ოფიცერი, მეჯინიბე, იმპერატორის პირადი მცველი რუსტამი და პირადი მსახური.

Petit quartier-général საბრძოლო შტაბს გვარდიის გენერლის მეთაურობით ესკორტირებას უკეთებდა გვარდიის კავალერიის ოთხი ესკადრონი, აღჭურვილი ოთხი მსუბუქი მცირეკალიბრიანი ზარბაზნით; ამ საბრძოლო შტაბის მოქმედებისას ნაპოლეონი სარგებლობდა თავისი არაბული ცხენით, დიდ დისტანციებზე კი - ეტლით.

სტრატეგიული მარშისა და მანევრის ძირითად სახეობას, რომელსაც ნაპოლეონი იყენებდა, „Bataillon Carreé" ეწოდება. ესაა არმიის ან საარმიო კორპუსების სტრატეგიული გაშლა და საბრძოლო მარში, სადაც კორპუსები ალმასის ფორმის მართკუთხა ფიგურას ქმნიდნენ წინწაწეული გვარდიის ნაწილებითა და საკავალერიო მზირით, მარჯვენა და მარცხენა ფლანგითა და შტაბით ცენტრში, არიერგარდითა და რეზერვით. Bataillon Carreé სწრაფად მიიწევდა მოწინააღმდეგის სავარაუდო განლაგების ადგილისაკენ და დასმული ამოცანის შესაბამისად მისი ფრონტი 40-250 კმ-ს შეადგენდა.

სურათი 33. საფრანგეთის რესპუბლიკის 24 წლის
გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტე

უმნიშვნელოვანესი იყო ის ფაქტორი, რომ წყობის თითოეული ელემენტი (კორპუსი) ერთი დღე-ღამის სავალ მანძილზე იყო დაშორებული მეზობელი კორპუსებისაგან. კავშირისა და ინფორმაციის გაცვლისათვის მათ შორის რეგულარულად მიმოდიოდნენ საკავალერიო ქვედანაყოფები. რომელიმე კორპუსის მიერ მოწინააღმდეგის აღმოჩენის შემთხვევაში, იგი დაუყოვნებლივ ებმებოდა საბრძოლო მოქმედებებში, ამავე დროს მეზობელი კორპუსებიდან ერთი გადიოდა მტრის ზურგში, ხოლო მეორე გაძლიერებული მარშით მიემართებოდა ბრძოლის ადგილისაკენ და ებმებოდა ბრძოლაში.

შეტევით მოქმედებებში ნაპოლეონის მიერ დამუშავებული და გამოყენებული ორი სტრატეგია შეიძლება გამოვყოთ. ესენია: ცენტრალური პოზიციის სტრატეგია და ირიბი მიახლოების სტრატეგია.

ცენტრალური პოზიციის სტრატეგია ნაპოლეონის მიერ გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, თუ მისი არმიის ძალები უფრო სუსტი იყო, ვიდრე მოწინააღმდეგისა. ბრძოლის წარმოების ეს სტრატეგია მოითხოვდა გაბედულ მეთაურობას, დროის ზუსტად გათვლას და აგრესიულ, სწრაფ სვლას.

ეს სტრატეგია, როგორც წესი, გამოიყენებოდა მოწინააღმდეგის ორი ან მეტი არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად. მისი არსი გამოიხატებოდა მოწინააღმდეგის არმიის ან მოწინააღმდეგეების არმიებს შორის აგრესიულ შეჭრაში, მათ ორ ნაწილად გაყოფაში და ძირითადი ძალებით იმ არმიასთან გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმით, რომელიც უფრო ძლიერი და საშიში იყო. ამ დროს

კი მისი ერთი ან ორი კოპუსი ბრძოლაში ებმებოდა მოწინააღმდეგის დარჩენილ ძალებთან და ბოჭავდა მას რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო დიდხანს.

ირიბი მიახლოების სტრატეგია გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ნაპოლეონის არმია ფლობდა უპირატესობას პირადი შემადგენლობის რაოდენობასა და საბრძოლო რესურსში, და რაც მთავარია ბრძოლის საწარმოებლად მოიპოვებოდა საკმარისი სამანევრო სივრცე. სტრატეგიის ეს ფორმა გაცილებით უფრო დახვეწილი და მოწინააღმდეგისთვისაც გაცილებით უფრო საშიში იყო, ვიდრე ცენტრალური პოზიციის სტრატეგია. თავისი არსით ეს იყო მანევრული ომისა და გადამწყვეტი (გენერალური) ბრძოლის აგრესიული სტრატეგია.

ნაპოლეონის არმიის ერთი ან ორი კორპუსი მოწინააღმდეგესთან კონტაქტში შესვლისთანავე დაუყოვნებლივ ებმებოდა ბრძოლაში, ამავე დროს ფრანგული კავალერიის ,,ვიზუალური ფარდის" საფარქვეშ არმიის ძირითადი ძალები იწყებდნენ სწრაფი, ღრმა ფლანგური შემოვლის განხორციელებას. მანევრის შესანიღბად ეფექტურად გამოიყენებოდა ადგილმდებარეობის რელიეფური და ლანდშაფტური თავისებურებები.

მოწინააღმდეგის ზურგში გასვლისთანავე ის კავალერიით გაძლიერებული ერთი ან ორი კორპუსის ძალებით ახდენდა მოწინააღმდეგის ძირითადი ძალების იზოლირებას, მისი გარედან გაძლირების თავიდან აცილების მიზნით და კვეთდა მოწინააღმდეგის კომუნიკაციებსა და უკან დახევის გზებს. სტრატეგიის ეს ფორმა უაღრესად სარისკო იყო და მისი წარმატებით ჩატარება მოითხოვდა უზუსტეს შესრულებას, სწრაფ მანევრირებას, რაც მთავარია გამრღვევი ძალებისა და კავალერიის აგრესიულ მოქმედებებს.

ირიბი მიახლოების სტრატეგია წარმატებით იქნა გამოყენებული ავსტრიელებისა და პრუსიელების წინააღმდეგ ულმისა და იენას ბრძოლებში, აგრეთვე რუსების წინააღმდეგ ფრიდლენდის ბრძოლაში (1805, 1806 და 1807 წლების კამპანიები).

სურათი 34. ნაპოლეონი შედის ბერლინში-1806 წელი

დაწყებული XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან, ნაპოლეონის მიერ წარმოებული უწყვეტი ომების გზაზე მისმა მოწინააღმდეგეებმაც ბევრი რამ ისწავლეს ტაქტიკის თვალსაზრისით, ბევრი რამ გადაიღეს მისგან ბრძოლების დაგეგმვასა და წარმოებაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთ-

რებით პრუსიის არმია და იქ განხორციელებული რეფორმატორული გარდაქმნებია აღსანიშნავი.

უსაზღვრო ამბიციებისა და ჩამოყალიბებული პოლიტიკური მიზნების არქონის გამო ნაპოლეონი მალე დაადგა პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით დაღმავლობის, მისი არმია კი გამოფიტვის გზას. ამ პროცესებზე განსაკუთრებული როლი რუსეთის ზამთრის კამპანიამ და ნაპოლეონის მთავარმა მოწინააღმდეგემ, მზარდმა საზღვაო იმპერიამ, დიდმა ბრიტანეთმა ითამაშა. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი როლი კი, ესპანეთმა ითამაშა, რამაც საბოლოოდ დაცალა სისხლისგან ერთ დროს უძლიერესი ფრანგული არმია.

სწორედ ამ დროს ჩნდება სამხედრო ხელოვნების თეორიაში ისეთი ცნება, როგორიცაა ,,კომბინირებული ომი". ტერმინი - Compound Warfare, კომბინირებული ომი, გულისხმობს მტრის წინააღმდეგ რეგულარული ჯარისა და არარეგულარული ძალების (პარტიზანული რაზმები) სისტემურ, შეთანხმებულ საბრძოლო მოქმედებებს. კომბინირებული ომი ზრდის მის სამხედრო ეფექტურობას კონვენციური და არაკონვენციური ძალების ერთდროული მოქმედებით.

ველინგტონის ჰერცოგმა არტურ უელსლიმ აღმოაჩინა, რომ კონვენციური და არაკონვენციური ძალები ძალიან ეფექტურად ავსებენ ერთმანეთს, თითოეული საზრდოობს და იყენებს განსხვავებულ რესურსებს; არაკონვენციური ძალების ეფექტური რაოდენობრივი თანაფარდობა მოწინააღმდეგის რეგულარული ჯარის რაოდენობასთან შეადგენს - 5/1-ს.

და ბოლოს, 1815 წლის 18 ივნისს, იმპერატორ ნაპოლეონ I-ის მიერ მეშვიდე კოალიციის წინააღმდეგ ვატერლოოსთან გამართული ბრძოლა მის კარიერაში ბოლო აღმოჩნდა. ამით ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ერთი დიდი ეპოქა დასრულდა.

სურათი 35. ნაპოლეონ I, საფრანგეთის იმპერატორი 1804-1815 წლებში

სახალხო არმია და თანამედროვე საბრძოლო ხელოვნების დაბადება, ნაპოლეონის აღზევება

თანამედროვე სამხედრო ორგანიზაცია იმ კონფლიქტის დროს ჩამოყალიბდა, რომელმაც ოცდაოთხი წლის მანძილზე, 1792 წლიდან 1815 წლამდე, მოიცვა მთელი დასავლეთ ევროპა: ეს იყო ნაპოლეონის ომები. თანამედროვე ბრძოლის თავისებურებები უკვე არსებობდა ფრიდრიხ დიდის მეფობის წლებში სტანდარტული პროფესიული არმიების, განათლებულ ოფიცერთა კორპუსის, თანამედროვე წოდებების და სტანდარტული საპოლკო ფორმირებების სახით, რომლებსაც ბიუროკრატიული სახელმწიფო აფინანსებდა. 1815 წლისთვის დასავლეთ ევროპის არმიებში ბევრი სხვა სტრუქტურული თავისებურება ჩამოყალიბდა, რითაც ისინი ფუნქციითა და კონცეფციით დღევანდელ არმიებს დაამსგავსნენ. დანარჩენი მახასიათებლები არმიებმა მოგვიანებით შეიძინეს.

მოდით განვიხილოთ, რა იყო ეს სწრაფად განვითარებული ცვლილებები. საფრანგეთის რევოლუციამ ფრიდრიხის დროიდელი დინასტიური კერძო არმიები ეროვნულ სახალხო არმიებად გადააქცია. არც ერთი ფრანგული პოლკი აღარ შედიოდა მონარქების კერძო საკუთრებაში, ისინი უკვე ერს ეკუთვნოდნენ. ყველა მოქალაქეს შეეძლო თავისი კარიერის მანძილზე ნიჭისა და დამსახურების მიხედვით ყველა სახის წოდების მიღება. ყველანაირი ფინანსები, ბრძანებები და წესები ახლა უკვე ხალხის მიერ შერჩეული წარმომადგენლების მიერ იმართებოდა. ბოლოს და ბოლოს, არმია აღარ ემსახურებოდა მეფეს, არამედ ერს. ამ ცვლილებების გავლენა უზარმაზარი იყო. მას შემდეგ, რაც არმია ხალხის სამსახურში ჩადგა, იქ დაიწყო უპრეცედენტო რაოდენობის რესურსების, ფინანსების და ჯარისკაცების შედინება. უფრო მეტიც, თითოეულ ჯარისკაცს არმია თავისად მიაჩნდა და მისდამი უფრო ლოიალური გახდა. ფრიდრიხის დროს თითქმის არარსებული იდეოლოგიური ლოიალურობა ერისა და არმიისადმი უეცრად გაიზარდა. დემოკრატია იყო არმიის საბოლოო გამაძლიერებელი ასპექტი.

რესურსების ახალი დიდი რაოდენობის მარაგის წყალობით ქვედანაყოფები სწრაფად გაიზარდნენ. 1789 წლისათვის ბურბონების არმია 180.000 ჯარისკაცს ითვლიდა, ხოლო 1794 წლისათვის მან მილიონს გადააჭარბა. უპრეცედენტო რაოდენობის ახალმა რესურსებმა ახალ ორგანიზაციას ჩაუყარა საფუძველი. როგორ უნდა განლაგებულიყვნენ შტაბები ისე - და მარაგიც - რომ ემართათ ასეულობით მილებზე გაშლილი ერთი მილიონი ჯარისკაცი? ეს ის კითხვაა, რომელიც ადრე არასოდეს წამოჭრილა, რადგან ასეთი რესურსები არასოდეს ჰქონია არმიას. ეს არ იყო ჰიპოთეზური კითხვა. ფრანგი ერის გადარჩენა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იმაზე, იპოვიდნენ თუ არა მისი ლიდერები ამ კითხვაზე პასუხს. პასუხი - რომელიც ახლაც მეტად აქტუალურია - იყო თანამედროვე სტრატეგიული სტრუქტურის შექმნა: სისტემა, რომელსაც მთლიანად ერი დააფინანსებდა, ექნებოდა მრავალსაფეხურიანი საშტაბო და დაგეგმვის სტრუქტურა, რომელშიც ბევრი სპეციალიზებული ორგანო შეეცდებოდა ერთმანეთთან კოორდინირებით დაეცვათ საერთო ეროვნული მიზანი და ინტერესები. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო ცენტრალიზებულ მართვასა და დეცენტრალიზებულ შესრულებაზე დამყარებული სისტემა. საფრანგეთის რევოლუციამ თანამედროვე სტრატეგიული სტრუქტურის შექმნა გამოიწვია.

ეს რას ნიშნავს? ფრიდრიხის არმიის თხუთმეტი პოლკი ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთ ხაზზე იყო განლაგებული, მას მონარქი მეთაურობდა. პოლკი (ან ზოგჯერ პოლკის შემადგენელი ორი საცეცხლე ბატალიონისგან ერთ-ერთი მათგანი) იყო ერთადერთი სამანევრო ქვედანაყოფი. პოლკის გარდა არ არსებობდა არცერთი სამხედრო ორგანიზაცია (და რა თქმა უნდა, მონარქიულ სახელმწიფოში ზოგიერთი provisions (რესურსები) პოლკის უზრუნველსაყოფად). ეს ყველაფერი სწრაფად შეიცვალა 1789-დან 1804 წლამდე. პოლკის გარდა გაჩნდა ახალი სტანდარტული ქვედანაყოფები: ბრიგადა, დივიზია, კორპუსი, არმია. თითოეულ ეშელონს ჰყავდა თა-

ვისი მეთაური, შტაბი და ჰქონდა ამოცანის შესასრულებლად საჭირო რესურსები. კორპუსი შედგებოდა სამივე გვარეობისაგან და სიდიდითაც და შემადგენლობითაც მეტად ჰგავდა ფრიდრიხის დროინდელ დროებით შექმნილ საველე არმიებს. მრავალდონიანმა საკადრო სტრუქტურამ, ამას დამატებულმა თავდაჯერებულობამ და ერთგულმა პირადმა შემადგენლობამ ყველა დონეზე ძირფესვიანად გაზარდა მართვისა და კონტროლის შესაძლებლობები. რამდენიმე სიტყვით გადმოცემული ნაპოლეონის ჩანაფიქრი გულისხმობდა 30.000-კაციანი კორპუსის მობილიზებას და განსჯისა და გამოცდილების საფუძველზე საერთო სტრატეგიული მიზნის მიღწევას. საბოლოოდ, ნაპოლეონს უკეთესად და უფრო ადვილად უნდა მოეხერხებინა ველზე მყოფი შვიდი კორპუსის მართვა, ვიდრე ფრიდრიხს, რომელიც ერთ კორპუსს მართავდა.


ხმელთაშუა ზღვა
ბურულუსის ტბა
როზეტა
(ოკუპირებული 8 ივლ.)
აბუკირი
ბრძოლა აბუკირთან
(1-2 აგვისტო)
მიურატი
დუბუა
bonaparti
ალექსანდრია
(ოკუპ. 2 ივლ.)
ბრუეს ესკადრა
ნილი
იდკუს ტბა
ბ
დ
ა
ს
ბენიდ
ბენიდ
ბენიდ

სტრატეგიული ორგანიზაციები 1815 წლის შემდეგ შეიქმნა მსოფლიოში, ჯერ დასავლურ და შემდეგ მთელ არადასავლურ ძალებში. 1815 წლისთვის ნაპოლეონის ომებში თითქმის ყველა ძირითადი მეთოდი იქნა გამოყენებული. მას შემდეგ იყო რამდენიმე რევოლუცია ტექნოლოგიასა და ტაქტიკაში, რაც ეჭვგარეშეა, კიდევ გაგრძელდება, მაგრამ ამ უზარმაზარმა ტაქტიკურმა ცვლილებებმაც კი ვერ მოახდინეს სათანადო გავლენა სამხედრო ორგანიზაციის ძირითად პრინციპებზე, განსაკუთრებით ასეულის დონეზე და ზემოთ. 1815 წლის შემდეგ თანამედროვე სამხედრო ორგანიზაციის პრინციპები ფართოდ გავრცელდა და მნიშვნელოვნად დაიხვეწა, მაგრამ ძნელია მათგან რეალურად ახალი პრინციპის გამორჩევა. ნებისმიერ შემთხვევაში 1790-იანი წლების ახალი ფრანგული სამხედრო ორგანიზაცია ახალი პოლიტიკური მიზნითა და ფუნდამენტური სტრუქტურით, რომელიც საფრანგეთის რევოლუციამ წარმოშვა, ნაპოლეონის საუკეთესო იარაღად იქცა. 1812 წლამდე სტრატეგიულად ორგანიზებულმა ეროვნულმა არმიებმა ნაპოლეონს მოწინააღმდეგეებზე გადამწყვეტი უპირატესობა მოაპოვებინა, რადგან მათ არ ჰყავდათ მისნაირი არმია. ნაპოლეონმა 1805-დან 1812 წლამდე ეს უპირატესობა მაქსიმალურად გამოიყენა, რათა დანარჩენი ძალებიც დაექვემდებარებინა. მისი დიპლომატია, რომელიც აბსოლიტურ მორჩილებას მოითხოვდა, არმიებმა გააძლიერეს. ამის შედეგი იყო აუსტერლიცში (ავსტრიისა და რუსეთის წინააღმდეგ, 1805 წელს), იენაში (პრუსიის წინააღმდეგ, 1806 წელს) და ფრიდლენდში (რუსეთის წინააღმდეგ, 1807 წელს) მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებები. ნაპოლეონი იყო ახალი სტრატეგიული ძალის ეფექტური მმართველი, რომელიც შესანიშნავად ახერხებდა როგორც ინდივიდუალური ჯარისკაცების, ისე მთელი ქვედანაყოფების მოტივაციის ამაღლებას, ძალების განლაგებას და ლოგისტიკურ უზრუნველყოფას. ის შეიძლება კლაუზევიცის სამხედრო ,,გენიის“ მოდელადაც მივიჩნიოთ.

სურათი 37. საიმპერატორო გვარდია (ქვეითები და კავალერია)

სურათი 38. საფრანგეთის არმიის ჯარისკაცი და ოფიცრები

სხვებზე ბევრად უპირატესი არმიის წყალობით ნაპოლეონმა ახალი დინამიური დიპლომატია განავითარა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წელი გაგრძელდა (ნაპოლეონმა 1813 წელს დაკარგა გადამწყვეტი უპირატესობა, რადგან მისმა მოწინააღმდეგეებმა დაიწყეს იმავე მეთოდების გამოყენება, რომლებიც ნაპოლეონმა ასწავლა მათ). მოდით განვიხილოთ, რას ნიშნავდა ქვედანაყოფის დაბალ დონეებზე დანერგილი ახალი მეთოდები. ფაქტობრივად, ახალი ტიპის ქვედანაყოფი უფრო ეფექტურად შეასრულებდა დავალებას ნებისმიერ დონეზე. სტრატეგიული თვალსაზრისით ნაპოლეონს შეეძლო გამოეყენებინა bataillon carre - ფორმირება, რომელშიც სხვადასხვა კორპუსები ერთმანეთის გვერდიგვერდ, პარალელურ გზებზე 120-მილიანი ფრონტის ხაზით გადაადგილდებოდნენ. მოწინააღმდეგეს მეტად გაუჭირდებოდა ამ 120-მილიანი ფრონტის გარეთ მანევრირება. ეს სისტემა ნაპოლეონს საშუალებას აძლევდა გაეკეთებინა ის, რის გაკეთებასაც ფრიდრიხის არმია ვერასოდეს შეძლებდა - აეძულებინა მოწინააღმდეგე ბრძოლაში ჩართულიყო.

როგორც კი დაპირისპირებულ ძალებს მიუახლოვდებოდნენ, ნაპოლეონი იწყებდა ძალთა კონცენტრირებას და თავმოყრას, რათა ეჯობნა მოწინააღმდეგისთვის. ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ნაპოლეონის ძალების დიდი ნაწილი გაანადგურებდა მოწინააღმდეგის შენაერთის მცირე იზოლირებულ ნაწილებს, სანამ ისინი გაერთიანებას მოასწრებდნენ. ნაპოლეონს, რა თქმა უნდა, ჰქონდა მოწინააღმდეგესთან შედარებით მაღალი მობილურობა და მოქნილობა. მისი გამოცდილება ბრძოლის ამ ასპექტში ნაპოლეონის დიდების წლებში შეიძლება სწორუპოვრად ჩავთვალოთ.

სურათი 39. ნაპოლეონის არმიის საინჟინრო ქვედანაყოფის ოფიცერი და ჯარისკაცები

ბრძოლის დაწყებისთანავე ნაპოლეონს უპირატესობა ჰქონდა ორი ახალი ტაქტიკური ფორმირების სახით, რომლებიც რევოლუციური არმიების მიერ ჩამოყალიბდა 1792-1794 წლებში. ერთ-ერთი ასეთი უპირატესობა იყო მსროლელთა გამოყენება. ასეულები უნდა განლაგებულიყვნენ ფრონტის ხაზზე და იქ საფარიდან გაეხსნათ ცეცხლი მოწინააღმდეგის მწკრივისთვის. რევოლუციურ არმიებში ამის გაკეთება ნებისმიერ ჯარისკაცს უნდა შეძლებოდა. ფრიდრიხის არმიებში კი ეს მხოლოდ ქვეითებს ევალებოდათ, რომლებიც სროლისას მიწაზე წვებოდნენ ან გარბოდ-

ნენ. ნაპოლეონის მიერ შექმნილი მეორე რევოლუციური ფორმირება იყო მოიერიშე კოლონა. რევოლუციური არმიები, რომლებიც მომზადების ნაკლებობას განიცდიდნენ, მაგრამ პირადი შემადგენლობის სიმრავლეს არ უჩიოდნენ, იერიშის განხორციელებისას მწკრივში განლაგების ნაცვლად ერთ ადგილზე გროვდებოდნენ და ისე ხსნიდნენ ცეცხლს. ნაპოლეონი ხშირად წარმატებით იყენებდა მოიერიშე კოლონას.



სურათი 40. ფრანგი კირასირი

შეტაკების დაწყებისთანავე, სანამ მოწინააღმდეგის ყველა საშუალება ბრძოლაში ჩაერთვებოდა, ნაპოლეონს მოსწონდა თავისი ძალების მწკრივებში გაშლა. შემდეგ ის ურტყამდა ფლანგს და აიძულებდა მოწინააღმდეგეს ადგილზე შემჭიდროებულიყო, რომ შეტევა მოეგერიებინა. ამის მერე ნაპოლეონი ძრავდა გარღვევის ქვედანაყოფს (the force de rupture) და მას მოწინააღმდეგის ხაზის შემჭიდროებული ნაწილისკენ მიმართავდა. ნაპოლეონი, არტილერისტი და საერთო საჯარისო ძალების უბადლო სპეციალისტი, მოწინააღმდეგის ხაზის გასარღვევად სხვადასხვა სახის ძალებით თანმიმდევრულ შეტევებს მიმართავდა. ის უტევდა მძიმე კავალერიით და მოწინააღმდეგეს აიძულებდა თავისი მწკრივი კვადრატებად დაეყო. ამის შემდეგ ნაპოლეონს კავალერია უკან გადაჰყავდა და წინ არტილერიას ან ქვეითებს აგზავნიდა, რათა მათ კომპაქტურად განლაგებული მოწინააღმდეგისთვის დაერტყათ. კვადრატებში განლაგებულ მოწინააღმდეგის ძალებს უწევდათ უკან დაეხიათ და მწკრივში გაშლილიყვნენ, რათა მთელი საცეცხლე ძალა მათკენ დაძრული ნაპოლეონის არტილერიის ან ქვეითებისკენ მიემართათ. ნაპოლეონი ამ ტაქტიკას არ ცვლიდა მანამ, სანამ მოწინააღმდეგის ხაზს არ გაარღვევდა და კიდევ ერთხელ არ გამოიყენებდა გარღვევის ქვედანაყოფს force de rupture-ს. საერთო საჯარისო

სურათი 41. ნაპოლეონის არმიის პოლონელი ულანი

ძალების ასე აქტიურად გამოყენება და თანმიმდევრული შეტევების წარმოება ნაპოლეონის ახალი საბრძოლო ტაქტიკა იყო. ასეთ შეტევებს 1813 წლამდე მხოლოდ ნაპოლეონის არმიები იყენებდნენ. ნაპოლეონის მეთოდები ხაზზე განლაგებული მსროლელების ბრძოლის საბოლოო განვითარებულ სახეს წარმოადგენდა.

ეროვნული არმიების გამოყენებით ნაპოლეონმა მოწინააღმდეგეებზე მნიშვნელოვანი ლოგისტიკური უპირატესობა მოიპოვა. ნაპოლეონის დიდი არმიის შტაბის ოთხას ოფიცერს გარანტია ჰქონდა, რომ მარაგის განაწილება სათანადოდ იქნებოდა ორგანიზებული. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პატრიოტ ჯარისკაცებს და ოფიცრებს ერჩიათ ხელმომჭირნედ ეცხოვრათ და ბევრი მარაგიც არ ჭირდებოდათ. ნაპოლეონის მოწინააღმდეგეთა დინასტიურ არმიებში კი არც არისტოკრატ ოფიცრებს და არც უბრალო ჯარისკაცებს დიდი რაოდენობის მარაგის გარეშე ხელის განძრევა არ უნდოდათ. უფრო მეტიც, რომ დაჭირვებოდათ, ნაპოლეონის პატრიოტი ჯარისკაცები ცივ ქვაზეც კი იცხოვრებდნენ. მათ ენდობოდნენ, სახლში უშვებდნენ, ასვენებდნენ და მერე ისევ უკან აბრუნდებდნენ. დინასტიური არმიის ჯარისკაცებს კი არ ჰქონდათ სახლში წასვლის და დასვენების უფლება, რადგან ხშირად ისინი უკან აღარ ბრუნდებოდნენ. ეს იმის მანიშნებელია, რომ ნაპოლეონი თავისი პროგრესით ყოველთვის წინ უსწრებდა მოწინააღმდეგეებს.

სტრატეგიული, ოპერატიული, საბრძოლო და ლოგისტიკური კუთხით ნაპოლეონის ოფიცრებმა ახალი დინამიკური მეთოდები შეიმუშავეს, რამაც მათ მისცა მოწინააღმდეგეებზე გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა. ამ გაკვეთილის თემა სწორედ ახალი ძალა და ახალი მეთოდებია. ორივე ასპექტი შესანიშნავად გამოვლინდა ნაპოლეონის ყველაზე ცნობილ გამარჯვებაში აუსტერლიცთან.

ჩვენ ვერ შევძლებთ ნაპოლეონის ბრძოლის ფენომენის წარმატებით შესწავლას, თუ ყურადღებას არ გავამახვილებთ თავად ნაპოლეონზე, როგორც ინდივიდუალურ პიროვნებაზე. ნაპოლეონი დაიბადა 1769 წელს კორსიკაზე. მისი მამა ნოტარიუსი და დაბალი არისტოკრატული წრის წარმომადგენელი იყო დედაქალაქ აიაჩოში. 1779 წელს ნაპოლეონმა სწავლა დაიწყო ბრიენის სამეფო სამხედრო აკადემიაში, ხოლო 1784 წელს გადავიდა პარიზის სამხედრო სკოლაში. მამის გარდაცვალების გამო მან ერთი წლით ადრე დატოვა სასწავლებელი, რათა ოჯახს ძალიან ჭირდებოდა მისი ლეიტენანტის ხელფასი. როგორც არტილერისტი ოფიცერი, კაპიტანი ნაპოლეონი 1788-1789 წლებში მსახურობდა ოქსონის საარტილერიო სკოლის ექსპერიმენტულ ასეულში. ნაპოლეონი უზომოდ ბევრს კითხულობდა საარტილერიო სკოლის მდიდარ ბიბლიოთეკაში პოლიტიკის, ისტორიის, ბრძოლების შესახებ, ასევე ეცნობოდა სხვა სახის ლიტერატურასაც. მოგვიანებით ნაპოლეონმა თქვა, ,,ბოლოს აღმოვაჩინე, რომ არაფერი შემიძენია ისეთი, რაც თავიდანვე არ ვიცოდი“-ო.

ნაპოლეონი დადებითად იყო განწყობილი 1789 წელს დაწყებული რევოლუციის მიმართ. ის ცდილობდა აიაჩოში რევოლუციისათვის ადგილობრივ მცხოვრებთა მხარდაჭერა მოეპოვებინა. 1793 წელს ნაპოლეონი ტულონის საპორტო ქალაქში მყოფ ფრანგულ ქვედანაყოფს შეუერთდა და ინგლისელებს დაუპირისპიდა. ნაპოლეონმა, როგორც არტილერიის მეთაურმა, ხელში ჩაიგდო პორტი ეგილე, რამაც საშუალება მისცა მას პორტის შესასვლელი არტილერიის საშუალებით გაეკონტროლებინა და იძულებული გაეხადა ინგლისელები უკან დაეხიათ, რასაც ქალაქის კაპიტულაცია მოჰყვა. ამ მიღწევის გამო ნაპოლეონი ბრიგადის გენერლად დანიშნეს.

1794 წლის ივლისში თერმიდორის გადატრიალების შემდეგ ნაპოლეონი მალევე დააპატიმრეს. ის ეჭვმიტანილი იყო უკიდურეს მემარცხენეებთან მჭიდრო კავშირში. ნაპოლეონს ჰყავდა მეგობრები, კერძოდ, ბარასი, რომელსაც მაღალი თანამდებობა ეკავა მთავრობაში. სწორედ მან მისცა ნაპოლეონს ჯარისკაცები, რომელთაც ვენდემირში კონვენტის, მმართველი ორ-

განოს დაცვა ევალებოდათ აჯანყებულთაგან. ეს იყო 1795 წლის ოქტომბერში. ნაპოლეონმა წარმატებით გაართვა თავი ამ დაპირისპირებას, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდა. მოგვიანებით ნაპოლეონმა თქვა, აჯანყებული ბრბოს გასაკონტროლებლად მხოლოდ ,,მსხვილი საფანტია“ საჭიროო. დიდმა კონვენტმა ნაპოლეონს გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა და საფრანგეთის ყველა სამხედრო ძალა დაუქვემდებარა. 26 წლის ასაკში ამ თანამდებობისკენ მისი აღმასვლა მეტეორული სისწრაფით მოხდა.

1796 წლის მაისში ნაპოლეონი მთავრობამ, ახლა უკვე დირექტორატმა, ფრანგული ქვედანაყოფების მეთაურად გააგზავნა ჩრდილოეთ იტალიაში, ავსტრიელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ნაპოლეონმა იქ ერთი წლის განმავლობაში ბრწყინვალე საბრძოლო კამპანია ჩაატარა და ბევრი ისეთი ტაქტიკა გამოიყენა, რომლებიც მოგვიანებითაც ბევრჯერ გამოადგა. 1797 წლის აპრილში მან მის წინააღმდეგ გაგზავნილი ყველა ავსტრიული ქვედანაყოფი დაამარცხა და აიძულა იტალიიდან უკან დაეხიათ. 1798-1799 წლებში ნაპოლეონი მეთაურობდა შორეულ კამპანიას ეგვიპტეში, სადაც მან მნიშვნელოვანი სახმელეთო ბრძოლები მოიგო, მაგრამ ფლოტი დაკარგა ნილოსის ბრძოლაში, აბუკირის ყურესთან, ფრანგული ქვედანაყოფები დაუცველი დარჩა. ნაპოლეონმა გააცნობიერა რა, რომ ეგვიპტეში მისი მდგომარეობა უიმედო იყო, მცირე შტაბით საიდუმლოდ დაბრუნდა საფრანგეთში 1799 წლის ოქტომბერში. ის ხალხმა განადიდა იტალიაში მოპოვებული გამარჯვებების გამო და ეგონათ რომ ეგვიპტეშიც მან გაიმარჯვა.

სურათი 42. აბუკირის ანუ ნილოსის ბრძოლა (1798 წ.), რომელშიც ადმირალმა ნელსონმა მთლიანად გაანადგურა ნაპოლეონის ფლოტი

დირექტორატმა თანდათან დაკარგა პოპულარობა ფრანგი ხალხის თვალში, რადგან ისინი ვერ იღებდნენ გადაწყვეტილებებს, არამიზნობრივად იყენებდნენ თანამდებობებს და ამიტომ მათ გამო ყველა ექსტრემისტი იმედგაცრუებული იყო როგორც მემარცხენეებში, ისე მემარჯვენეებში. საჭირო იყო ისეთი დირექტორატი, რომელიც ამ ხარვეზებს აღმოფხვრიდა. ნაპოლეონი იყო მესამე გენერალი, რომელიც მათ მოითხოვეს, მაგრამ პირველი, რომელიც მიიღეს. ამას მოჰყვა ბრუმერის მოძრაობა 1799 წლის ნოემბერში, რამაც ნაპოლეონი და ორი სხვა გენერალი სამ ,,კონსულად“ აქცია, რომელთაც ახლა უკვე მთელი საფრანგეთი უნდა ემართათ. ნაპოლეონი პირველი პირი იყო ამ ჯგუფში, რამდენიმე წელში ის პირველი კონსული გახდა, ხოლო 1804 წლის დეკემბერში - ,,ფრანგების იმპერატორი“.

ამ პერიოდში ნაპოლეონმა გამოამჟღავნა ყველა შესაძლებლობიდან სარგებლის მიღების და უპირატესობის მოპოვების უნარი. ის ისეთივე წარმატებული სამოქალაქო მმართველი იყო, როგორიც სამხედრო მეთაური. მას დიდ პატივს სცემდნენ მეგობრებიც და მოწინააღმდეგეებიც, როგორც იმ პერიოდის ყველაზე შედეგიან საველე მეთაურს. მას ჰქონდა ზეგავლენის მოხდენისა და მოტივაციის ამაღლების უნარი, შეეძლო ერთდროულად სხვადასხვა სახის უზარმაზარი ინფორმაციის დატევა, რომელიც შეეხებოდა სამოქალაქო მართვის მრავალ ასპექტს - განათლებას, სამართალს და სხვა - ასევე, სამხედრო მართვის ბევრ საკითხს. მას ჰქონდა უდიდესი ენერგია, ამბიცია და მონდომება. დამკვირვებლები აღნიშნავდნენ, რომ კამპანიის მიმდინარეობის დროს ნაპოლეონს ღამეში მხოლოდ რამდენიმე საათი ეძინა, რადგან ბრძანებები დასაწერი ჰქონდა, სამაგიეროდ, დღის განმავლობაში რამდენიმე წუთით წაიძინებდა-ხოლმე. მას შეეძლო უცბად დაეძინა და უცბადვე გაეღვიძა.

ნაპოლეონმა ყველაზე დიდი გამარჯვებები 1805-1807 წელს მოიპოვა, ხოლო ყველაზე მძიმე დამარცხებები მან 1812-1815 წლებში განიცადა. მისი სისუსტეები, რომლებიც მისი სიძლიერეებიდან მოდიოდა, გახდა იმის მიზეზი, რომ ნაპოლეონი 1815 წელს თანამდებობიდან გადააყენეს. სიცოცხლის ბოლო დღეები მან შორეულ წმინდა ელენეს კუნძულზე გაატარა და 1823 წელს გარდაიცვალა.

სახალხო არმიები და თანამედროვე საბრძოლო ხელოვნების დაბადება, ნაპოლეონი და მანევრული ბრძოლა

კარლ ფონ კლაუზევიცი დეტალურად იცნობდა მეტისმეტი სიმარტივით და მცდარი ანალოგიებით შექმნილ საფრთხეებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი აღნიშნავდა, რომ ,,ისტორიული მაგალითები ნათელს ფენს ყველაფერს, მეტიც, ესენია მტკიცებულების საუკეთესო სახე იმპერიის დროინდელ მეცნიერებებში. ეს არის ომის ხელოვნების ნაწილობრივი ჭეშმარიტება.“ გენერალი ჯორჯ პატონი, ჯერ კიდევ კადეტი ვესტ პოინტიდან, წერდა:

,,მე მწამს, იმისათვის, რომ დიდი ჯარისკაცი გახდე... საჭიროა იმდენად სრულყოფილად იცოდე ყველა სახის სამხედრო შესაძლებლობა, რომ როდესაც სიტუაცია მოითხოვს, შეგეძლოს პარალელის გავლება. ამ შედეგის მისაღწევად, ვფიქრობ, საჭიროა ადამიანმა ადრევე დაიწყოს ყველანაირი სამხედრო ისტორიული ლიტერატურის კითხვა, რაც საშუალებას მისცემს მას დაუფიქრებლად გასცეს პასუხი ომის მეცნიერებასთან დაკავშირებულ ყველაზე ბუნდოვან კითხვებს, რადგან მისთვის უკვე კარგად ნაცნობია მისი ყველა ელემენტი.

ნაპოლეონმა თქვა: ,,დიდი ტაქტიკური ცოდნის შეძენა შესაძლებელია მხოლოდ გამოცდილებისა და ყველა დიდი მხედართმთავრის კამპანიის შესწავლის საფუძველზე.“ ის მოუწოდებდა ოფიცრებს რამდენჯერმე წაეკითხათ ალექსანდრე დიდის, ჰანიბალის, კიესარის, გუსტავის და ფრიდრიხის კამპანიები, რადგან ეს იყო ერთადერთი გზა დიდ მეთაურად გახდომისათვის. ამრიგად, ნაპოლეონი სხვების მსგავსად აფასებდა გამოცდილებების კომბინაციას და მასთან ერთად ახლო და შორეული წარსულის ასახვას, როგორც საჩვენებელ დაფას სამხედრო პროფესიონალებისთვის.”

ჩვენი დაინტერესების საგანია მანევრული ბრძოლა, კონცეფცია, რომელიც მოიცავს საერთო საჯარისო ძალების ოპერაციებს, ძლიერ სიღრმისეულ შეტევებს და მოქნილ საბრძოლო მეთოდებს. თანამედროვე ტაქტიკის სახელმძღვანელოებში ხაზგასმითაა აღნიშნული ბრძოლის დროს სწრაფი, სიღრმისეული და მძლავრი იერიშების აუცილებლობა, რომელთა მიზანია მოწინააღმდეგის რიგებში არეულობის გამოწვევა და ორიენტაციის არევა. სწრაფ, მოულოდნელ დარტყმებსა და თავიდან მოპოვებული წარმატების განვითარების შეუპოვარ მცდელობაზე დამყარებული სტრატეგია, რა თქმა უნდა, მთლად ახალი არ არის. ბევრი დიდი მეთაური და-

ოსტატებული იყო მობილურ ბრძოლაში, ხოლო ნაპოლეონი - ერთ-ერთი მათგანია, რომელიც წარმატებით იყენებდა მანევრის დოქტრინასა და სტრატეგიას. ომის ხელოვნებაში მის სტრატეგიას, ფაქტობრივად, თანამედროვე ელფერი დაკრავს და შემსწავლელთათვის მეტად მომგებიანი იქნება მისი შედარება თანამედროვე ტაქტიკის სახელმძღვანელოებთან.

ნაპოლეონი ყოველთვის აცნობიერებდა საერთო საჯარისო ძალების ოპერაციების საჭიროებას. ის აღნიშნავდა, რომ ,,ქვეით ჯარს, კავალერიას და არტილერიას ერთმანეთის გარეშე მოქმედება არ შეუძლიათ.“ შედარებისთვის: აშშ-ს არმიის საველე სახელმძღვანელოს 1982 წლის გამოცემაში წერია, რომ ,,ტერმინი - საერთო საჯარისო ძალები - აღნიშნავს ერთმანეთის მხარდამჭერ ორ ან მეტ სახეობას, რომელთაც შეუძლიათ ურთიერთშევსებითა და გაძლიერებით მიაღწიონ ისეთ ეფექტებს, რომლებსაც ცალკ-ცალკე ვერც ერთი ვერ შეძლებდა.“

ნაპოლეონის კამპანია ყოველთვის დაფუძნებული იყო მოულოდნელობასა და სისწრაფეზე. ის წერდა: ,,არასოდეს გააკეთო ის, რაც მოწინააღმდეგეს უნდა და მოელის შენგან - ეს არის ომის კარგად შემუშავებული პრინციპი.“ მას ასევე სჯეროდა, რომ ,,არმიის სიძლიერე, როგორც ძალა მექანიკაში, არის სისწრაფის დახმარებით გამომუშავებული მასის პროდუქტი“. ამის მსგავსად აშშ-ს საჰაერო ძალების სახელმძღვანელოს 1984 წლის გამოცემა მეთაურებს მოუწოდებს ,,სამხედრო მოქმედებების ხანგრძლივობასა და ტემპზე გავლენა მოახდინონ ინიციატივის ხელში ჩაგდებითა და მოწინააღმდეგისთვის რეაგირების მოხდენის საშუალების არმიცემით“. აქვე აღნიშნულია ისეთი ოპერაციების საჭიროება, რომლებიც არის ,,სწრაფი, წინასწარ განუსაზღვრელი, მძლავრი და მოწინააღმდეგის ორიენტაციის ამრევი.“

სიმამაცე და მოქნილობა ნაპოლეონის საბრძოლო სტილის დამახასიათებელი თვისებები იყო. ,,ცბიერებასა და შეუპოვრობაშია ადამიანთა უსაფრთხოებისა და დაცვის გზა“- წერდა ის, ხოლო ომი ,,სხვა არაფერია, თუ არა მოულოდნელობებისგან შემდგარი ფენომენი. თუ გენერალს სურს, რომ მტკიცედ დაიცვას ზოგადი პრინციპები, მან არასოდეს უნდა გაუშვას ხელიდან ამ მოულოდნელობებისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობა. ეს გენიოსის დამახასიათებელი თვისებაა. ომში მხოლოდ ერთხელ ჩნდება ხელსაყრელი მომენტი, რომლის დაჭერაც მხოლოდ გენიოსს შეუძლია.“ შედარებისთვის: აშშ-ს საჰაერო ძალების საველე სახელმძღვანელოში მეთაურებს ურჩევენ ,,გამოიყენონ ინიციატივა,“ ასევე მკაცრად მოუწოდებენ მეთაურებს ,,შექმნან ისეთი შესაძლებლობები, რომლებსაც ქვედანაყოფი, როგორც ერთი ერთეული, ისე გამოიყენებს.“

ნაპოლეონისთვის ცეცხლი იყო მანევრის უმთავრესი კომპონენტი. ასევე აშშ-ს საველე სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ ,,საცეცხლე სიმძლავრე უზრუნველყოფს მძლავრი გამანადგურებელი ქვედანაყოფის შექმნას, რაც მნიშვნელოვანია წარმატებული მანევრის ჩასატარებლად.“ მითითებულია, აგრეთვე რომ ,,კონცენტრირებულ საცეცხლე ძალას შეუძლია აჯობოს მოწინააღმდეგის თავდაცვას და უზრუნველყოს ობიექტის დაცვა სწორ დროსა და ადგილზე.“

გამარჯვების მოპოვების შემდეგ მოწინააღმდეგის ძალების დევნა ნაპოლეონის ბრძოლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ,,თავდასხმის განხორციელების შემდეგ“- წერდა ის, ,,წარმატება უკიდურესად მაღალ დონეზე უნდა შენარჩუნდეს,“ ხოლო ,,კარგმა გენერალმა არასოდეს უნდა მისცეს თავს გამარჯვების მოპოვების შემდეგ მოდუნების უფლება.“ საველე სახელმძღვანელოში კი ხაზგასმულია საუკეთესო მომენტიდან მაქსიმალური სარგებლის მიღების აუცილებლობა და ინიციატივის შენარჩუნება წარმატების განვითარების მეშვეობით. საველე სახელმძღვანელო ასევე ცნობს მოწინააღმდეგის ,,სუსტ წერტილზე დარტყმის“ საჭიროებას.

სურათი 43. ნაპოლეონი-საფრანგეთის იმპერატორი და ევროპის დამპყრობელი

ამერიკულ სამხედრო ძალას აქვს შესაძლებლობა შექმნას და ასახოს თავისი ტაქტიკა მცირე მოქმედებებში, სანამ მას უფრო მსხვილ მასშტაბებში გამოცდის. ნაპოლეონს, თავის მხრივ, საბრძოლო მეთოდების გამოცდა ომის ქარცეცხლში უწევდა. საბედნიეროდ მას ჰქონდა მისი გენიისთვის შესაფერისი იარაღი - რევოლუციური საფრანგეთის მიერ შექმნილი არმია.

1789 წლამდე საფრანგეთის სამეფო არმია სოციალურადაც და ტაქტიკურადაც მოუქნელი იყო. იქ ძირითადად არისტოკრატ ოფიცერთა კორპუსი დომინირებდა. 1789 წლისთვის არმიის შემადგენლობაში 9.578 ოფიცერი შედიოდა, რომელთაგან 6.633 არისტოკრატული წრის წარმომადგენელი იყო. რიგითების და სერჟანტების რიცხვი, დაახლოებით, 140.000-ს აღწევდა. მათგან უმეტესობა დაბალი კლასებიდან გამოსული მოხალისეები იყვნენ, რომლებიც არმიაში სიღარიბისგან, უსაქმურობისგან და ზოგჯერ, პოლიციისგან თავის დაღწევის მიზნით შევიდნენ.

უნიფორმის ჩაცმის შემდეგ ჯარისკაცები მეტი ლოიალურობით განეწყობოდნენ ხოლმე მმართველი მონარქის მიმართ. დეზერტირობა მუდმივი პრობლემა იყო. შვიდწლიანი ომის დროს დაახლოებით 70.000 ფრანგი ჯარისკაცი გაიქცა არმიიდან. არმიის ერთიანობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო მკაცრი დისციპლინის და სადამსჯელო ზომების შემოღება.

დისციპლინის გამკაცრების ერთ-ერთი წინაპირობა, ასევე, იარაღების თავისებურება გახდა. ქვეითების სტანდარტული იარაღი უზუსტო, მოკლე მანძილზე მოქმედი, დაბალი სიხშირით მსროლელი მუშკეტი იყო. ოპტიმალურ პირობებში გაწვრთნილ ჯარისკაცს შეეძლო თავისი იარაღიდან წუთში მხოლოდ ორჯერ ან სამჯერ გაესროლა და მიზანში მოერტყა მხოლოდ მაშინ, თუ ის 150 მეტრზე შორს არ იქნებოდა.

მუშკეტების ეფექტურობისთვის სამმწკრივიან მწყობრს იყენებდნენ, რომელიც რამდენიმე მილის სიგრძეზე იყო გაშლილი. ამგვარი საბრძოლო წყობის გამო საჭირო გახდა ცეცხლის მოცულობის გაზრდა (ზალპური ცეცხლის აუცილებლობა). ჯარისკაცების წვრთნა ორიენტირებული იყო სალაშქრო კოლონებიდან საბრძოლო მწკრივებში სწრაფად გადაწყობასა და ზალპური ცეცხლის დაუყოვნებლივ გახსნაზე. ჯარისკაცებს ეკრძალებოდათ ინდივიდუალურად ინიციატივის გამოჩენა, იარაღის დამიზნებაც კი, ხოლო ოფიცრები და სერჟანტები ვალდებულნი იყვნენ მხოლოდ კომანდის მიხედვით გაეშალათ საბრძოლო წყობები და გაეხსნათ ცეცხლი.

კავალერია არმიის ძალების დაახლოებით თხუთმეტ პროცენტს შეადგენდა. ბრძოლაში კავალერიის პოლკები, ჩვეულებრივ, ფლანგებზე განლაგდებოდნენ, როგორც დამრტყმელი ძალა. სოციალურად პრესტიჟული ცხენოსნების ბრძოლა ზოგჯერ შედეგიანი იყო. მსუბუქი კავალერიის ქვედანაყოფები სპეციფიკურ ფუნქციებს ასრულებდნენ და ხშირად მოქმედებდნენ მსუბუქ ქვეით ქვედანაყოფებთან ერთად.

საველე არტილერია, ჩვეულებრივ, წინასწარ დაბომბვას ატარებდა, მაგრამ მას შემდეგ რაც ძალები სრულად ჩაერთვებოდნენ ბრძოლაში, ქვემეხები დუმდებოდნენ, რადგან მათი სწრაფად გადაადგილება სიმძიმის გამო დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ქვეითებთან ერთად მხოლოდ პოლკის შედარებით მსუბუქი ქვემეხების გადაადგილება შეიძლებოდა, მაგრამ ისინი მეტისმეტად ცოტა იყო იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოეჩინათ ჯარისკაცებისთვის. აცნობიერებდა რა არტილერიის შეზღუდულ საბრძოლო როლს, სამეფო არმიას საველე არტილერიაში მხოლოდ 12.000 ოფიცერი და ჯარისკაცი ყავდა.

ძველი რეჟიმის დროს წარმოებული ბრძოლები მკაცრი ტაქტიკით გამოირჩეოდა. მწკრივებად მოწყობილი ჯარისკაცები ახლო მანძილიდან აწარმოებდნენ ზალპურ ცეცხლს მანამ, სანამ არ გაარღვევდნენ მოწინააღმდეგის რომელიმე მხარეს. ქვეითი ჯარის მეთაურებს შეეძლოთ თავიანთი რეზერვი გადაეგზავნათ საცეცხლე ხაზის მხარდასაჭერად ან კავალერიისთვის ებრძანებინათ მოწინააღმდეგეზე დარტყმა, მაგრამ მწკრივის წყობა არ იძლეოდა შორ მანძილზე მანევრირების საშუალებას და შეტაკებებში უმეტესად ზალპური ცეცხლი ასრულებდა გადამწყვეტ როლს.

მიჯრილ მწკრივებად მოწყობილი მებრძოლები ახლო მანძილიდან ხსნიდნენ ზალპურ ცეცხლს და ამით დიდი ზიანს აყენებდნენ როგორც მოწინააღმდეგეს, ისე საკუთარ ძალებსაც. დაჭრილთა და გარდაცვლილთა რიცხვი, ფაქტობრივად, ბრძოლაში ჩართული ძალების 40 პროცენტს აღწევდა. ამავდროულად, ბრძოლები იშვიათად მთავრდებოდა გადამწყვეტი გამარჯვებით, რადგან გამარჯვებულთა რიცხვი იმდენად შემცირებული იყო, რომ ისინი ვეღარ დევნიდნენ დამარცხებულ მოწინააღმდეგეს, რომელიც თავს აღწევდა სრულ განადგურებას.

დანაკარგის მაღალი დონე და არასასურველი შედეგები გენერლებს რისკზე წასვლის სურვილს უკარგავდა. სამეფო არმიას არ ჰქონდა ეფექტური სარეზერვო სისტემა, ამიტომ, მეთაურებს არ უნდოდათ საფრთხეში ჩაეგდოთ თავიანთი მცირე ზომის ქვედანაყოფები ტაქტიკურად ღირებულ, მაგრამ სტრატეგიულად არაფრის მომტან ბრძოლებში. ბრძოლები შედარებით იშვიათად იმართებოდა და ომების უმეტესობა გაურკვეველი შედეგით მთავრდებოდა. ძველი რეჟიმის დროს საფრანგეთში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, მოღვაწე პოლიტიკოსები ხშირად აწყობდნენ ამბიციურ დიპლომატიურ ცბიერ გეგმებს, მაგრამ მათი მიღწევები მონდომების ნაკლებობის გამო, კვლავ შეუმჩნეველი რჩებოდა, რადგან ომის ხასიათი არ შეესაბამებოდა სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებს.

საფრანგეთისთვის შვიდწლიანი ომი სრული კატასტროფა იყო. არმია ომში ენთუზიაზმის გარეშე ჩაება, ისინი განურჩევლად იბრძოდნენ და გამარჯვებაც ვერ მოიპოვეს. 1763 წლის

შემდეგ საფრანგეთმა სათანადო ზომებს მიმართა შეიარაღებული ძალების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ქვეითთა მოქმედების ტაქტიკა ცხარე დებატების საგანი გახდა. ზოგს უნდოდა პრუსიელთა გამოცდილება გაეზიარებინა მწკრივებად განლაგებაში, ზოგი ერთ ადგილზე თავმოყრილი კოლონებით (თუ რიგებით) მოულოდნელი დარტყმის განხორციელების მომხრე იყო, ზოგს კი მწკრივებისა და მოკლე რიგების მოქნილი კომბინაცია მოსწონდა. მთავრობამ მსუბუქ ქვეითთა შემადგენლობა გაზარდა, რამდენიმე შორსმჭვრეტელმა ადამიანმა კი აზრი გამოთქვა, რომ მწკრივში მებრძოლებს მსუბუქი ქვეითი ქვედანაყოფების შესაბამისი წვრთნა გაეარათ, ამგვარად, ჯარისკაცს უნდა შეძლებოდა როგორც მიჯრილ, ისე გაჯრილ მწყობრში ბრძოლა.

საარტილერიო კორპუსმა ბევრით წაიწია წინ. ქვემეხის კალიბრების რაოდენობა ოთხამდე (იგულისხმება 4-ფუნტიანი ჭურვები) შემცირდა და ახალი ქვემეხები ბევრად უფრო მსუბუქი იყო მათ წინამორბედებზე, ჰქონდათ სტანდარტული ნაწილები და პაკეტებში ჩაწყობილი ჭურვები. ერთი ოფიცერი, შევალიე ჟან დე ტეილი ამტკიცებდა, რომ ქვეითების წინააღმდეგ ძალთა დიდ კონცენტრაციაში (მსხვილმასშტაბიან მოქმედებაში) მსუბუქი მობილური ქვემეხების გამოყენება უფრო ეფექტური იქნებოდა, ვიდრე ბატარეათშორის ბრძოლაში. დე ტეილის უფროსი ძმა საარტილერიო პოლკს მეთაურობდა და შევალიეს დოქტრინის მიხედვით წვრთნიდა კადეტებს, რომელთა შორის ახალგაზრდა კორსიკელი ბონაპარტეც იყო.

არმიის შიდა კოორდინაციის გასაუმჯობესებლად 1776 წელს ომის მინისტრმა საფრანგეთი თექვსმეტ სამხედრო რაიონად დაყო. ეს რიცხვი მოგვიანებით თვრამეტამდე გაიზარდა. თითოეულ რაიონს სამივე სახეობისგან შემდგარი მუდმივი გარნიზონი ჰყავდა. საინსპექციო სისტემის მეთაურებს საერთო საჯარისო ძალებით მანევრების ჩატარების უფლება მიენიჭათ. მათ ასევე შეეძლოთ კამპანიის მიმდინარეობისას ორი ან მეტი სახეობის ელემენტებისგან ტაქტიკური ჯგუფები შეექმნათ.

ამრიგად, 1789 წლისთვის სამეფო არმიამ საგრძნობი პროგრესი განიცადა, გაუმჯობესა ტაქტიკა და შეიმუშავა საერთო საჯარისო ძალების დოქტრინა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მაინც დარჩა მცირე ზომის გრძელვადიან სამსახურში მყოფი მოხალისეებისგან შემდგარ ძალად, რომელსაც არისტოკატები მეთაურობდნენ. აღნიშნული რეფორმები მაინც დროული იყო, მათ გავლენა უნდა მოეხდინათ შიდა რევოლუციაზე და საფუძვლიანად გაეუმჯობესებინათ არმიის სტრუქტურა და დოქტრინა.

რევოლუციის პირველ წლებში კვლავ გაგრძელდა ძველი რეჟიმის დროს დაწყებული რეფორმა. 1791 წლის 1 აპრილს გამოცემული ქვეითთა სამწყობრო წესდება აღწერდა მწკრივის და რიგის სხვადასხვა წყობებს და მეთაურებს სტიმულს აძლევდა ეს წყობები და მანევრები სათანადო ტაქტიკურ და გეოგრაფიულ გარემოში გამოეყენებინათ. საარტილერიო კორპუსმა ცხენოსანთა ბატარეების შექმნის იდეა წარადგინა, რომლის მიხედვითაც ბრძოლის დროს ჩამოქვეითებული მექვემეხეები თან უნდა გაჰყოლოდნენ თავიანთ ქვემეხებს. ამრიგად, არისტოკრატიამ ოფიცერთა კორპუსზე მოპოვებული მონოპოლია დაკარგა. 1792 წლის 20 აპრილს დაწყებულმა ომმა საფრანგეთის ლიდერები აიძულა, ერის გადასარჩენად მკაცრი რეფორმების გატარების და საბოლოოდ, რევოლუციის მოწყობის პასუხისმგებლობა აეღოთ.

1793 წლისათვის საფრანგეთი თითქმის მთელ ევროპასთან იყო ომში ჩართული, ინგლისის არხიდან ალპებამდე და ხმელთაშუა ზღვიდან პირინეის ნახევარკუნძულამდე. საფრანგეთი, ასევე, იდგა კონტრრევოლუციური აჯანყების წინაშე, რამაც მოიცვა დასავლეთ ნაწილი, ლუარას და რონას დაბლობები და ხმელთაშუა ზღვის საზღვაო პორტების უმეტესობა.

რესპუბლიკის პირველი პრიორიტეტი არმიის გაზრდა იყო. როდესაც მოხალისეებზე მოთხოვნა არაეფექტური გახდა, მთავრობამ სავალდებულო სამსახური შემოიღო. 1793 წლის 23

აგვისტოს მთავრობამ გამოსცა სახალხო ლაშქრის კანონი, რომლის მიხედვით საომარი მოქმედებების დროს ყველა ფრანგ მამაკაცს და ქალს მუდმივი მზადყოფნის მდგომარეობაში ყოფნა ევალებოდა.

სავალდებულო სამხედრო სამსახური საკმაოდ ეფექტური გამოდგა. ფრანგი ხალხის უმეტესი ნაწილი რევოლუციას უჭერდა მხარს, ისინი პირადად იყვნენ დაინტერესებულნი რესპუბლიკის გადარჩენით და სურდათ ეროვნული თავდაცვის საქმეში მიეღოთ მონაწილეობა. 1794 წლის ივნისისთვის საფრანგეთს 670.000 კაცი ჰყავდა შეიარაღებულ ძალებში, ხოლო წლის ბოლოსთვის რესპუბლიკის არმია 1.108.000 ჯარისკაცამდე გაიზარდა, რომელთაგან 850.000 საველე ქვეით ჯარში მსახურობდა, დანარჩენები ტყეებში იყვნენ დაბანაკებული, ზოგი სანაპიროებს იცავდა ან ბაზებზე წვრთნას გადიოდა.

მთავრობამ ჯარისკაცები ნახევარ-ბრიგადებად დაყო, რომლებიც ძველი რეგულარული არმიის ერთი ბატალიონისგან და სავალდებულო სამსახურის ორი ბატალიონისგან შედგებოდა. 1794 წლის ადრეულ ეტაპზე არმია 198 ნახევარ-ბრიგადისგან და თოთხმეტი შედარებით მცირერიცხოვანი მსუბუქი ნახევარ-ბრიგადისგან შედგებოდა. ქვეითი ჯარის მეთაურებმა ერთ ოფიცერს დაუქვემდებარეს ორი ან მეტი ნახევარ-ბრიგადა მხარდამჭერი არტილერიით. დივიზიის ძლიერი მხარეები მკვეთრად იცვლებოდა ისევე, როგორც საველე ქვემეხების რაოდენობა, მაგრამ 1794 წლისათვის მრავალსახეობიანი დივიზია სტანდარტული გახდა ყველა საველე არმიაში.

რადგან ძველი არმიის ოფიცრების დაახლოებით ორმა მესამედმა თავიანთი თანამდებობები დატოვა რევოლუციისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამო, რესპუბლიკას ოფიცერთა ახალი კორპუსი უნდა შეექმნა. ოფიცერთა ახალი კორპუსი სოციალური წარმომავლობით საშუალო კლასისგან შედგებოდა. არისტოკრატთა წრიდან გამოსული სამხედრო პირები, რომლებიც რევოლუციას უჭერდნენ მხარს, განაგრძობდნენ რესპუბლიკის სამსახურს; თუმცა ზოგიერთი მაღალი წოდების მქონე ოფიცერი ხელოსანთა და გლეხთა კლასიდან იყო. რესპუბლიკის ბევრი გენერალი ადრე იგივე სამსახურში იყო, როგორც რიგითი ჯარისკაცები სამეფო არმიაში, დანარჩენები ეროვნულ გვარდიაში მსახურობდნენ, რომელიც რევოლუციის ადრეულ წლებში შეიქმნა ადგილობრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ახალი ოფიცრები ახალგაზრდა და ენერგიული ხალხი იყო. ყველა მათგანი დიდი მეთაური არ ყოფილა, მაგრამ ყველა რესპუბლიკელ ოფიცერს შეეძლო ლიდერობა და რეგულარული ჯარის, მოხალისეების და სავალდებულო სამსახურის ჯარისკაცების საბრძოლო ძალად გადაქცევა, რომელიც ევროპის პროფესიულ არმიებს დაუპირისპირდებოდა.

ოფიცრები ძირითად სამწყობრო სახელმძღვანელოდ 1791 წლის წესდებას იყენებდნენ, ამავე დროს, ისინი ჯარისკაცებს მსუბუქ ქვეით მებრძოლებად წვრთნიდნენ. მათი მიზანი იყო ყველანაირი დანიშნულების ქვეითი ჯარისკაცის უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლებიც შეძლებდნენ გაჯრილ მწყობრში ბრძოლას, როგორც მოიერიშე რიგის შემადგენელ ნაწილად, ან მსროლელთა ხაზის წევრად.

ტიპიური ცხრა ასეულისგან შემდგარი ქვეითი ბატალიონი 1.000 კაცს ითვლიდა. ის ბრძოლაში მიჯრილ რიგად ერთვებოდა, ორი ასეული სიგანეზე იდგა, ოთხი კი სიგრძეზე. ამრიგად კოლონა მართკუთხა ხაზზე განლაგებული რვა კაცისგან და სიღრმეში განლაგებული თორმეტი კაცისგან შედგებოდა. მეცხრე ასეული რეზერვში რჩებოდა. ბრძოლის ველის პირობების მიხედვით მეთაურს ასარჩევად რამდენიმე ვერსია ჰქონდა. მას შეეძლო გამოეყო მსროლელთა ასეულები და ისინი საჭიროებისამებრ მთელი ბატალიონით გაეძლიერებინა. სხვა მხრივ, მას შეეძლო ასეულები კოლონაში მოეწყო ხიშტებით იერიშის განსახორციელებლად ან ჯარისკაცები საცეცხლე მოქმედების შესასრულებლად განელაგებინა.

ნახევარ-ბრიგადას ანალოგიური მოქნილობა ჰქონდა. მეთაურს შეეძლო სამივე ბატალიონი ერთ ხაზზე განელაგებინა ან სამი პარალელური რიგი შეექმნა, რომელსაც მსუბუქი ქვეითი ქვედანაყოფები დაიცავდნენ. მას ასევე შეეძლო ზოგი ბატალიონი მწკრივში მოეწყო, ზოგი _ რიგში და ბრძოლის დროს ტაქტიკური გარემოებების ცვალებადობის შესაბამისად შეეცვალა ერთი წყობა მეორით.

დივიზიებს დამოუკიდებლად შეეძლოთ მარშირება და ბრძოლა, თუმცა შეიძლება ემოქმედათ, როგორც უფრო დიდი ქვედანაყოფის ნაწილს. მეთაურებს შეეძლოთ შემხვედრი ბრძოლის წარმოება, მოქმედებების მიმდინარეობისას ჯარისკაცების გადაწყობა, როდესაც ისინი ველზე გადიოდნენ და არ ელოდნენ მთელი ჯარის გაშლას. ქვეითი ჯარის მეთაურები ხშირად იყენებდნენ სპეციალური დანიშნულების მრავალდივიზიან ფორმირებებს სპეციფიკური ამოცანების შესასრულებლად. ამ კორპუსებს შეეძლოთ ემოქმედათ დამოუკიდებლად ან როგორც საველე არმიის ნაწილს.

დივიზიის და ქვეითი ჯარის მეთაურები დე ტეილის შეხედულებებს იზიარებდნენ საველე ქვემეხებთან დაკავშირებით. დიდი ბატარეების კუთვნილი ქვემეხები უზრუნველყოფდნენ ქვეითების უშუალო საცეცხლე მხარდაჭერას და მოქმედებდნენ, როგორც რესპუბლიკელთა საბრძოლო ფორმირებების განუყოფელი ნაწილი. მხოლოდ კავალერიის შეიარაღება არ გაუმჯობესებულა, რადგან კავალერია სათანადო წვრთნას ვერ გადიოდა და ცხენების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. მიუხედავად ამისა, კავალერიამ შექმნა მეტად საჭირო სამსახურები, რომელთაც ძირითადი ძალების დაფარვა და მათთვის სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება ევალებოდათ. რესპუბლიკურ კავალერიას ფლოტის ხელში ჩაგდების უნიკალური შესაძლებლობა გაუჩნდა. 1795 წლის იანვარში ფრანგმა ცხენოსნებმა გაყინულ წყალზე გადაიარეს და ჰოლანდიური ფლოტი ჩაიგდეს ხელში. რესპუბლიკელთა ლოგისტიკა მეტად გაურკვეველი იყო. ჯარისკაცები მოთხოვნების წყალობით ცხოვრობდნენ, თუ არაფერი იყო მოსათხოვი, მაშინ მის გარეშეც ძლებდნენ. რესპუბლიკურ არმიაში საკვების, ხელფასის, ფეხსაცმლის და უნიფორმის მუდმივი დეფიციტი იყო, მაგრამ ჯარისკაცები უმკლავდებოდნენ გასაჭირს, რის გამოც შეიძლება მთლიანად დაშლილიყო ძველი რეჟიმის არმია.

რესპუბლიკური არმიის ჯარისკაცებს პატრიოტიზმითა და ჯილდოს მოლოდინით ამაღლებული მოტივაცია ჰქონდათ, თუმცა, დასჯისაც ეშინოდათ, ამ ყველაფერმა კი საშუალება მისცა გენერლებს მამაცურად და მოქნილად ემოქმედათ, რაც უბრალოდ წარმოუდგენელი იყო ძველი რეჟიმის დროს. მეთაურებს შეეძლოთ და ინტენსიურად აწარმოებდნენ კიდეც შეტევებს გადამწყვეტ ბრძოლებში მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად. ფრანგები ყოველთვის ვერ აღწევდნენ წარმატებებს და არც ყველა შეტაკება მოუგიათ. არც რესპუბლიკურ არმიას ჰქონია გამანადგურებელი კამპანიების ან ბრძოლების წარმოების უნარი. გამონაკლის შემთხვევებში რესპუბლიკური ძალები დაუძლურების სტრატეგიას იყენებდნენ. აგრესიული ბრძოლითა და ინტენსიური შეტევებით ფრანგები უკიდურესად აუძლურებდნენ მოწინააღმდეგეებს. სამოქალაქო არმიის, ყველა დანიშნულების მქონე ქვეითი ჯარის და საერთო საჯარისო ფორმირებების შექმნამ, რომლებიც ნებისმიერი ტიპის რელიეფზე იბრძოდნენ, რესპუბლიკას საშუალება მისცა, ერთდროულად მრავალ ფრონტზე ეწარმოებინა ომი, დაემარცხებინა ორი დიდი ძალოვანი კოალიცია, გაეზარდა საფრანგეთის ტერიტორია და ძალაუფლება.

1799 წლის ნოემბერში ძალაუფლების მოპოვების შემდეგ ნაპოლეონს ძირეული ცვლილებები არ შეუტანია საფრანგეთის არმიის სტრუქტურასა და ტაქტიკაში, რადგან ის კმაყოფილი იყო რესპუბლიკური სისტემით. მისი ქვეითი ჯარი წვრთნას განაგრძობდა 1791 წლის წესდების შესაბამისად და კვლავ იყოფოდა სამი ბატალიონისგან შემდგარ ნახევარ-ბრიგადებად, რომლებსაც შემდგომში, 1803 წელს ნაპოლეონმა პოლკები დაარქვა. ნაპოლეონი კვლავ იყენებ-

და დივიზიას, რომელიც როგორც რესპუბლიკური არმიის დროს, ხან სამი, ხან ოთხი და ხანაც ხუთი პოლკისგან შედგებოდა. მან ასევე დაარეგულირა კორპუსის გამოყენებაც. ნაპოლეონის არმიის კორპუსი, რომელიც 17.000-დან 30.000-მდე კაცს ითვლიდა (ზუსტი რაოდენობა არ მჟღავნდებოდა მოწინააღმდეგის მზვერავებისთვის კვალის ასარევად), წარმატებით ართმევდა თავს ცალკეულ ამოცანებს და მეთაურის შესაძლებლობებსაც შეესაბამებოდა. კორპუსის შემადგენლობაში შედიოდა ორიდან ოთხამდე დივიზია, ბრიგადა ან კავალერიის დივიზია და ოცდაათიდან ორმოცამდე საველე ქვემეხი. კორპუსს დამოუკიდებლად მარშირება და ბრძოლა შეეძლო. მას შეეძლო წამოეწყო და გაეგრძელებინა მსხვილი შეტაკება არმიის დანარჩენი ნაწილის მოსვლამდე.

ნაპოლეონი საარტილერიო კორპუსის გაზრდისკენ ისწრაფვოდა და მოახერხა კიდეც ეს. ის კავალერიასაც აფასებდა და დიდი რეზერვი შექმნა, რომელსაც უშუალოდ აკონტროლებდა. კავალერიის შესაძლებლობები გაუმჯობესდა, მაგრამ რესპუბლიკური არმიისდროინდელი კავალერიის მსგავსად ის ისევ ყველაზე სუსტ სახეობად რჩებოდა. ნაპოლეონმა აღნიშნა: ,,მე ჩემს თავს ვაძლევ მოგებული ბრძოლების კრედიტის ნახევარს... ფაქტია, რომ ბრძოლას არმია იგებს“. მან დიდი შრომა გასწია არმიის გასაწვრთნელად, რადგან ოფიცრებს და ჯარისკაცებს სრულად უნდა გაეცნობიერებინათ მისი ტაქტიკა და საბრძოლო მეთოდები.

1801-1803 წლებში პოლკებში ჩავიდნენ სპეციალური ინსპექტორები, რომლებმაც შეამოწმეს, როგორ ატარებდნენ ქვედანაყოფები მანევრს და იცოდნენ თუ არა სერჟანტებმა სამწყობრო წესდება. ბატალიონის ოფიცრები და სერჟანტები კვირაში ორჯერ ხვდებოდნენ თავიანთი პოლკის ადიუტანტებს ტაქტიკის შესასწავლად. 1804-1805 წლებში ბულონის ბანაკში ოფიცრებს ნაპოლეონისგან ნაბრძანები ჰქონდათ კვირაში ორი დღე ბატალიონის სამწყობრო მომზადებისთვის დაეთმოთ, სამი დღე დივიზიისთვის, ხოლო ერთი დღე კორპუსის მანევრში ვარჯიშისათვის. ყოველ მეთხუთმეტე დღეს იმპერატორი ატარებდა დიდ შეფასებას, რომელშიც რამდენიმე კორპუსი მონაწილეობდა. ნაპოლეონი არ ითხოვდა 1791 წლის სამწყობრო სახელმძღვანელოს წესების დეტალურად და მკაცრად დაცვას, არამედ უნდოდა, რომ მთელ არმიას შეძლებოდა ზოგადად, წესდების მიხედვით მოქმედება. 1805 წელს, აუსტერლიცის კამპანიის დასაწყისში ნაპოლეონის 210.000-კაციანი დიდი არმია მაღალი ეფექტურობის მქონე საბრძოლო მანქანა იყო. თითქმის ყველა უფროს ოფიცერს ჰქონდა საბრძოლო გამოცდილება. არმიის მეოთხედს რესპუბლიკური კამპანიის ვეტერანები შეადგენდნენ, მეორე მეოთხედი არმიას 1800-1804 წლებში შეუერთდა, ხოლო დანარჩენები სავალდებულო სამსახურის ახალწვეულები იყვნენ. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ავსტრიელებმა 95.000 კაცი გაგზავნეს იტალიაში, 23. 000 კაცი ტიროლში, ხოლო 70.000 კაცი - ბავარიაში. დაახლოებით 95.000 რუსი ჯარისკაცი მიჰყვებოდა ავსტრიელებს უკან გერმანიაში.

ხედავდა რა შექმნილ საფრთხეს ჩრდილოეთ იტალიასა და აღმოსავლეთ საფრანგეთში, ნაპოლეონმა, რომლის ძალებიც ინგლისის არხის სანაპიროზე იყვნენ თავმოყრილი, გადაწყვიტა, ინიციატივა ხელში ჩაეგდო სამხრეთ გერმანიაში განლაგებულ ავსტრიელებზე დარტყმის მიყენებით, სანამ მათ რუსები შეუერთდებოდნენ.

ნაპოლეონმა დიდი არმია დაძრა რაინისკენ, 50.000 კაცი გაგზავნა იტალიაში ავსტრიელების შესაკავებლად, ხოლო 30.000 ჯარისკაცი ბულონში განალაგა ინგლისელთა დესანტის წინააღმდეგ საბრძოლველად. 26 აგვისტოს ნაპოლეონმა ბრძანება გამოსცა, რომ დიდი არმია სამხრეთში წრიულად გაშლილიყო რაინიდან დუნაიმდე. მსუბუქ ქვედანაყოფებს უნდა მოეხდინათ ძალების დემონსტრირება შავ ტყეში, რათა ავსტრიელები შორეული დასავლეთისკენ შეეტყუებინათ, ამასობაში დიდი არმია დუნაის გადაკვეთდა და მოწინააღმდეგის ძალებს გარს შემოერტყმებოდა. მან თითოეულ კორპუსს დამოუკიდებელი სალაშქრო მიმართულება დაუნიშნა.

ამგვარად, ნებისმიერ რაიონში მხოლოდ ერთ ქვედანაყოფს უწევდა სოფლის ხარჯზე ცხოვრება. ნაპოლეონმა მინიმუმამდე შეამცირა მომარაგების აღალის რაოდენობა და ინჟინერ ოფიცრებს გერმანელთა გზების დაზვერვა უბრძანა. 24-25 სექტემბრის ღამეს იმპერატორმა თავის ძალებს უბრძანა, გადაეკვეთათ რაინი და გარშემომრტყმელი მანევრი დაეწყოთ.

სანამ ავსტრიელებს დასავლეთისკენ იტყუებდა, დიდი არმია დღეში ოცდაათი კილომეტრი სიჩქარით მიიწევდა წინ. 6-7 ოქტომბერს მეწინავე ელემენტებმა უკვე დუნაის მიაღწიეს და მისი გადაკვეთის ადგილიც დაიკავეს. შემდეგ ნაპოლეონმა ორი კორპუსი გაგზავნა მიუნიხში რუსების შესაკავებლად, თუ ისინი ულმის გარშემო დაბანაკებულ ავსტრიულ არმიასთან შეერთებას დააპირებდნენ. ნაპოლეონმა დანარჩენ კორპუსებს უბრძანა სამხრეთისკენ და დასავლეთისკენ დაძრულიყვნენ და ალყაში მოექციათ ავსტრიელები.

ვითარება საგრძნობლად დაიძაბა. რამდენიმე სწრაფი და მოულოდნელი მოქმედების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მორალურად განადგურებულმა ავსტრიელებმა დაახლოებით 20.000 ჯარისკაცი დაკარგეს. 21 ოქტომბერს ულმთან მყოფმა 27.000-მა ავსტრიელმა იარაღი დაყარა, ხოლო ჰაბსბურგის არმიის დარჩენილი ნაწილი აღმოსავლეთისკენ გაიქცა. ოცდაექვს დღეში ნაპოლეონმა რაინიდან დუნაიმდე მიაღწია, დიდი გამარჯვებაც მოიპოვა და მთლიანად ჩაშალა მესამე კოალიციის გეგმები.

ნაპოლეონი მიხვდა, რომ ტრიუმფის მიუხედავად მას არ ჰქონდა მოდუნების უფლება. დიდი ავსტრიული არმია კვლავ ველზე იყო, რუსები წინ მიიწევდნენ, ხოლო პრუსია კოალიციასთან შეერთებას გეგმავდა.

ულმის მანევრი და ვენამდე დევნა, სექტემბერ-ოქტომბერი -1805



ნაპოლეონმა გადაწყვიტა სწრაფი დარტყმა მიეყენებინა ავსტრიელებისთვის, თანაც მათი ტერიტორიის სიღრმეში, რათა ავსტრიულ-რუსული ძალები ბრძოლაში ჩაება. 25 ოქტომბრისთვის დიდი არმია ისევ გზაში იყო და 12 ნოემბერს ფრანგები უკვე ვენაში იყვნენ.

ავსტრიულ-რუსულმა ძალებმა უკან დაიხიეს ბოჰემიისკენ, სადაც მათ პატარა ქალაქ აუსტერლიცთან 85.000 ჯარისკაცს მოუყარეს თავი. ნაპოლეონის ძალები დაღლილები იყვნენ, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე უკვე ღრმად შესულიყვნენ და მარაგიც უთავდებოდათ. განცდილ დანაკარგებთან ერთად ფრანგული ჯარის სიძლიერე შემდგომში კიდევ შემცირდა იმ საჭიროებიდან გამომდინარე, რომ ხელში ჩაგდებულ პოზიციებსა და საკომუნიკაციო ხაზებზე ძალები უნდა დაეყენებინათ. ნოემბრის ბოლოსთვის ნაპოლეონს 53.000 ჯარისკაცი ჰყავდა აუსტერლიცთან, ხოლო 22.000 ვენის გარშემო. ვითარება ნელ-ნელა უარესდებოდა, პრუსიელები უფრო და უფრო აგრესიულნი ხდებოდნენ, ავსტრიელთა ბატალიონები კი მედგრად მოიწევდნენ იტალიიდან ჩრდილოეთისკენ.

ლოგიკური იქნებოდა, რომ იმპერატორს უკან დაეხია შესვენების და ძალების აღდგენის მიზნით, მაგრამ მას გადამწყვეტი ბრძოლა სურდა. ნაპოლეონმა დაიწყო ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, რომ თითქოს მისი არმია დასუსტებული და ძალაგამოცლილი იყო. ის დათანხმდა შემოთავაზებას, რომ განეხილა სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის საკითხი, გამიზნულად გადაისროლა თავისი ძალები აუსტერლიციდან და პრაცენის მაღლობებიდან, რომელიც რაიონის გეოგრაფიულ გასაღებს წარმოადგენდა და შექმნა შთაბეჭდილება, რომ მისი მარჯვენა ფლანგი ყველაზე დაუცველი იყო. მოწინააღმდეგე ანკესზე წამოეგო. მან ფრანგების მარჯვენა ფლანგზე დარტყმა და დიდი არმიის ვენასთან დამაკავშირებელი საკომუნიკაციო ხაზების გათიშვა დაგეგმა.

1805 წლის 2 დეკემბერს გამართული აუსტერლიცის ბრძოლა ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. მეკავშირე ძალებმა მარჯვენა ფლანგს შეუტიეს, მაგრამ იქ ძალთა კონცენტრირებისათვის ცენტრის შესუსტება მოუწიათ. ბრძოლის წინა ღამეს ნაპოლეონის ერთ-ერთი სარეზერვო კორპუსი დიდი არმიის მარცხენა ფლანგის და ცენტრის გასაძლიერებლად მივიდა. მეორე კორპუსი ვენიდან წავიდა, თვრამეტი მილი ორმოცდაათ საათში დაფარა და დივიზიები ნაპოლეონის მარჯვენა ფლანგზე შეუერთდნენ ბრძოლას.

როდესაც ნაპოლეონი მიხვდა, რომ მისი მოწინააღმდეგე მეკავშირე ძალები მთლიანად კონცენტრირდნენ მარჯვენა ფლანგთან ბრძოლაში, მან თავისი სტრატეგიული რეზერვი ავტრიულ-რუსული ძალების ცენტრს მიუსია. ცხარე ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა ცენტრი გაარღვიეს და სამხრეთისკენ გადაინაცვლეს მეკავშირეთა მარცხენა ფლანგის გასანადგურებლად. როდესაც მეკავშირეებმა საბოლოოდ უკან დაიხიეს, მათ უკან 27.000 დაჭრილი და გარდაცვლილი ჯარისკაცი დარჩათ, რაც მათი საწყისი ძალების ერთ მესამედს შეადგენდა. მალე ავსტრიელები ზავზე დათანხმდნენ, ხოლო რუსებმა პოლონეთისკენ გადაინაცვლეს.

ნაპოლეონმა მოწინააღმდეგეებს სიღრმისეული, სწრაფი და მძლავრი მანევრებით მიაყენა დარტყმა, რამაც გაწყვიტა მათი კომუნიკაცია და დაარღვია სტრატეგიული და ფსიქოლოგიური ბალანსი. ნაპოლეონს ხელიდან არ გაუშვია ინიციატივა, უტევდა მამაცად და შეუპოვრად, მას არასოდეს მიუცია მოწინააღმდეგისთვის ძალების მოკრების ან გონზე მოსვლის შანსი. დიდი არმიის შესაძლებლობებს, რა თქმა უნდა, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ნაპოლეონის წარმატებისთვის. ტაქტიკურმა პროფესიონალიზმმა და მათმა უნარმა - სწრაფად გადაადგილებულიყვნენ მინიმალური ლოგისტიკური მარაგით საშუალება მისცა იმპერატორს თავისი გეგმები სისრულეში მოეყვანა და თაობებისთვის საუკეთესო ისტორიული გაკვეთილი დაეტოვა.

სურათი 44. ნაპოლეონი აუსტერლიცში გამარჯვების შემდეგ

1806 წელს ჩატარებული პრუსიის კამპანია ნაპოლეონის მანევრული ბრძოლის აპოგეა იყო. დიდი არმია, რომელიც 180.000 ჯარისკაცს ითვლიდა თითქმის მთლიანად გამოცდილი კადრებისგან შედგებოდა. პრუსიელებს 254.000 კაცი ჰყავდათ, რომელთაგან მხოლოდ 170. 000-ს საველე ოპერაციებში ბრძოლა შეეძლო. პრუსიის მეფე მეტად გაუწონასწორებელი და უპრინციპო პიროვნება იყო, ხოლო არმიის სათავეში 70-დან 80 წლამდე ასაკის გენერლები იდგნენ. ფრიდრიხ დიდის ტრადიციების გამგრძელებელი ჯარები კარგი გაწვრთნილობითა და დისციპლინით გამოირჩეოდნენ. პრუსიელთა ბატალიონებს ფრანგული ქვედანაყოფებისთვის დამახასიათებელი მოქნილობა აკლდათ, მაგრამ ისინი კვლავ რჩებოდნენ ევროპაში ხაზზე ბრძოლის ტაქტიკის ოსტატებად.

ფრანგული ქვედანაყოფები ოთხ ნაწილად იყვნენ გაყოფილი სამხრეთ გერმანიაში, შტაბი კი მიუნხენში ჰქონდათ. სექტემბერში პრუსიელებმა საქსონია დაიკავეს და თავიანთ ძალებს ლეიფციგთან, დრეზდენთან და გოტინგენთან მოუყარეს თავი. პრუსიელების მთავარსარდლობას მოქმედების სამი გეგმა ჰქონდა შემუშავებული. ქვეით ჯარს შეეძლო თავდაცვაში დარჩენილიყო, ნელნელა აღმოსავლეთისკენ დაეხია უკან, თან რამდენიმე შემაკავებელი მოქმედება განეხორციელებინა, სანამ რუსები მობილიზებას და დასავლეთისკენ გადაადგილებას მოასწრებდნენ. შედარებით გაბედული გეგმის მიხედვით ქვეითი ჯარი ერფურტთან ახლოს უნდა კონცენტრირებულიყო, ტურინგენის ტყის ჩრდილოეთით. თუ ნაპოლეონი აღმოსავლეთისკენ წავიდოდა, ქვეით ჯარს შეეძლო ფრანგების მარცხენა ფლანგისთვის შეექმნა საფრთხე. კიდევ უფრო გაბედული სტრატეგიის მიხედვით პრუსიელთა კონცენტრირებული ძალები ერფურტიდან შტუტგარტამდე უნდა წასულიყვნენ, რაინის გასწვრივ განლაგებული ფრანგებისთვის შეეტიათ, ისინი მათსავე გარნიზონში მოემწყვდიათ და საბოლოოდ გაენადგურებინათ.

პრუსიელთა მთავარსარდლობამ საბოლოოდ გადაწყვიტა თავდასხმითი სტრატეგია გამოეყენებინა. მთავარსარდალმა ბრაუნშვეიგის ჰერცოგმა ოქტომბრის დასაწყისში პრუსიელთა არმიას ერფურტის გარშემო ძალთა კონცენტრირება უბრძანა, რათა იქ ნაპოლეონის მარცხენა ფლანგზე დარტყმისათვის მომზადებულიყვნენ.

ნაპოლეონი არასოდეს ელოდებოდა მოწინააღმდეგის დარტყმას, მას ინიციატივა ხელში უნდა ჩაეგდო. მან გადაწყვიტა პრუსიელებს რუსების მოსვლამდე შეტაკებოდა. მისი აზრით, ბერლინისკენ წასვლა მოწინააღმდეგეს ბრძოლაში ჩართვას აიძულებდა.

გადამწყვეტი შეტაკების სურვილით ნაპოლეონმა სტრატეგიული მიახლოების რამდენიმე მარშრუტი შეამოწმა. მას შეეძლო თავისი ძალებისთვის რაინთან, ჰოლანდიის საზღვართან მოეყარა თავი და იქიდან პირდაპირ ბერლინისკენ დაძრულიყო. ამ გადაადგილების გამო მას დიდი არმია ხელახლა უნდა განელაგებინა, ამას დიდი დრო დასჭირდებოდა და თან რუსებს რამდენიმე კვირას აჩუქებდა მობილიზებისათვის. უფრო მეტიც, თუ პრუსიელთა არმია ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობზე დამარცხდებოდა, მას შეეძლო ბერლინისკენ დაეხია უკან, სადაც მისი ბაზები და გერმანელები იყვნენ განლაგებული. მეინცთან ძალთა კონცეტრირებამ, შემდეგ ფრანკფურტისა და ერფურტის გავლით ბერლინისკენ წასვლამ ძალების თავდაპირველი თავმოყრა შედარებით გააადვილა. ამ გზით გადაადგილება სხვადასხვა გეოგრაფიული დაბრკოლებების გადალახვას მოითხოვდა, თუ პრუსიელები კიდევ ერთხელ დამარცხდებოდნენ, მათ შეეძლოთ თავიანთი გამაძლიერებელი ძალების მიმართულებით დაეხიათ უკან.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ბავარიაში ბამბერგის გარშემო ძალთა სწრაფ კონცენტრაციას მოჰყვა ჩრდილოეთით ლეიფციგის ან დრეზდენის, შემდეგ კი ბერლინის მიმართულებით წასვლა, რასაც შთამბეჭდავი შედეგები უნდა გამოეღო. რელიეფი პრობლემებს ქმნიდა, დიდ არმიას ტურინგენის ტყე უნდა გაევლო, მაგრამ არმიის განლაგებიდან გამომდინარე კონცენტრაციის რაიონი ყველაზე ეფექტური იყო. უფრო მეტიც, საქსონიის გავლით ბერლინისკენ წასვლა ერთბაშად შეუქმნიდა საფრთხეს პრუსიელთა საკომუნიკაციო ხაზებს, ფრანგები გარს შემოუვლიდნენ ველზე განლაგებულ პრუსიელებს, დაიკავებდნენ გაბატონებულ სიმაღლეს პრუსიელებსა და რუსებს შორის და საფრთხეს შეუქმნიდნენ პრუსიელთა ბაზებს და დედაქალაქს. თუ პრუსიელები პოზიციებს შეინარჩუნებდნენ, ნაპოლეონი სავარაუდოდ ულმის მანევრს გაიმეორებდა. თუ პრუსიელები უკან დაიხევდნენ, დიდ არმიას რამდენიმე შესაძლებლობა ექნებოდა მათ ნაწილ-ნაწილ დასამარცხებლად.

5 სექტემბერს ნაპოლეონმა ინჟინერ-ოფიცრებს უბრძანა დაეზვერათ ბამბერგიდან ჩრდილოეთისკენ მიმავალი გზები. 18 და 19 სექტემბერს იმპერატორმა ბრძანება გამოსცა, რომლებშიც აღწერილი იყო ცნობილი ,,ძირითადი განლაგება დიდი არმიის ძალების თავმოყრისათვის“. ამ ბრძანებებში ნაპოლეონი ქვეითი ჯარის ექვს კორპუსს, გვარდიას, კავალერიის რეზერვს და ბავარიის კონტინგენტს ჩრდილო-აღმოსავლეთ ბავარიისკენ წასვლისკენ მოუწოდებდა. შემდეგ მან თავის ძმას, ჰოლანდიის მეფე ლუის უბრძანა 20. 000 ჯარისკაცისგან შემდგარი კორპუსის მაინცში გაგზავნა. ამ ძალებს პრუსიელთა ყურადღება ჩრდილოეთისკენ უნდა მიემართათ და ყველაზე ცუდ შემთხვევაში რაინის ზოლი შეეკავებინათ, სანამ დიდი არმია უკან დაიხევდა. თუ პრუსიელები დასავლეთ ფლანგს შეუტევდნენ, მაინცსა და ჰოლანდიაში მყოფი ძალები გრდემლის ფორმას მიიღებდნენ, რომელსაც ნაპოლეონი ზურგიდან ,,დაჰკრავდა“.

ნაპოლეონმა პარიზი 24 სექტემბერს დატოვა და 2 ოქტომბერს ის უკვე სათავეში ჩაუდგა თავის ძალებს. სამი დღის შემდეგ მან გამოსცა ტურინგენის ტყისკენ წასვლის და იქიდან საქსონიაში

შესვლის ბრძანება. იმპერატორმა დიდი არმია ,,ბატალიონის კვადრატად“ (როგორც ის უწოდებდა) გადააქცია, რომელსაც ნებისმიერი მიმართულებიდან შეეძლო მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიება. ქვეითი ჯარი სამ კოლონად უნდა დაყოფილიყო მოწყობილი, თითოეულ კოლონაში ორი კორპუსი უნდა შესულიყო. ბავარიელები მარჯვენა ფლანგის კოლონას შეუერთდნენ; გვარდია და კავალერიის რეზერვი ცენტრის კოლონას მიჰყვებოდნენ უკან. ყველა კოლონა ერთმანეთისგან მხარდაჭერის დისტანციაზე მიდიოდა. თუ პრუსიელები რომელიმე კოლონას დაარტყამდნენ, მეთაურს თავდაცვითი ბრძოლა უნდა ეწარმოებინა მანამ, სანამ ნაპოლეონი ბრძოლაში ჩაურთველი ძალებით ზურგიდან დაარტყამდა მოწინააღმდეგეს.

1806 წლის 8 ოქტომბერს გამთენიისას სამი კოლონა მსუბუქი კავალერიის დაცვითა და თანხლებით ადგილიდან დაიძრა. 9 ოქტომბრის დაღამებისას დიდ არმიას უკვე საკმაოდ დიდი მანძილი ჰქონდა გავლილი.

მომდევნო დღეებში ფრანგები ლეიფციგისკენ სვლას განაგრძობდნენ. მათ ცალკეულ ქვედანაყოფთან შეტაკება მოუწიათ, რის შედეგადაც 1.800 ტყვე აიყვანეს და ოცდაცამეტი ქვემეხი ჩაიგდეს ხელში. ძალთა ბალანსის დარღვევის შემდეგ აღელვებულმა პრუსიელებმა თავი დაანებეს დიდ არმიაზე შეტევაზე ფიქრს. 13 ოქტომბერს პრუსიელებმა გადაწყვიტეს, რომ ლეიფციგისკენ სწრაფი უკანდახევის შემდეგ თავიანთი საკომუნიკაციო ხაზები დაეცვათ. ძირითადი ძალა - 63.000 კაცი, ლეიფციგისკენ აუსტერლიცის გავლით უნდა წასულიყო. ორ დიდ ცალკეულ ქვედანაყოფს, რომლის შემადგენლობაშიც 53.000 ჯარისკაცი შედიოდა, იენასა და ვეიმარს შორის პოზიციები უნდა დაეკავებინა, სანამ ძირითადი ძალა აუერშტატს დატოვებდა და ჩრდილოეთისკენ უკანდახეულ ძალებს შეუერთდებოდა.

პრუსიელთა გადაადგილებების შესახებ შეტყობინებების მიღების შემდეგ ნაპოლეონმა მაშინვე უბრძანა თავის კორპუსებს დასავლეთისკენ წასულიყვნენ და იქ დიდი ბრძოლისთვის მომზადებულიყვნენ. იმპერატორმა გაითვალისწინა, რომ მას პრუსიელთა არმიის ყველაზე დიდ ნაწილთან იენასთან მოუწევდა შეტაკება. თუმცა, მას მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ იმ მომენტისთვის მოწინააღმდეგის ძირითად ძალებს უკვე უკან დაეხიათ და 14 ოქტომბერს გამართული ბრძოლა ორ ცალკეულ ადგილზე გაიმართებოდა.

იენა-აუერშტატთან გამართულმა ორმაგმა ბრძოლამ აჩვენა, რომ ფრანგების ტაქტიკური შესაძლებლობა კვლავ იმპერატორის სტრატეგიული გენიის გამოძახილი იყო. იენაში ბრძოლა ერთმა კორპუსმა დაიწყო, რომელსაც შემდეგში ნაპოლეონმა დამატებითი ქვედანაყოფები დაახმარა. საერთო ჯამში ოთხმა კორპუსმა 96.000 კაცის შემადგენლობით დაარტყა პრუსიელებს, რის შედეგადაც 25.000 პრუსიელი დაიჭრა, ხოლო მათგან 5.000 გარდაიცვალა. აუერშტატში ერთი 27.000-კაციანი კორპუსი შეებრძოლა პრუსიელთა ძირითად ძალებს. ფრანგთა ტაქტიკური უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ბრძოლის ბოლოს პრუსიელთა მთელმა შემადგენლობამ დაიხია უკან, მათ 10.000 ჯარისკაცი დაკარგეს და 115 ქვემეხი, ხოლო ფრანგებს მხოლოდ 7.000 მებრძოლი დაეჭრათ და მოუკვდათ.

ნაპოლეონმა ეს არ აკმარა გაფანტულ და მორალურად განადგურებულ პრუსიელებს და თავის ძალებს მათი დევნა უბრძანა. ერთმა ქვედანაყოფმა 16 ოქტომბერს აიღო ერფურტი და 9.000 პრუსიელი ტყვედ აიყვანა. სხვა ქვედანაყოფები ელბასკენ წავიდნენ და სამოცდახუთი მილის გავლის შემდეგ 20 ოქტომბერს მიაღწიეს მდინარემდე. ოთხი დღის სიარულის და დამატებით კიდევ ოთხმოცდაათი მილის გავლის შემდეგ ფრანგთა ავანგარდი ბერლინის შემოგარენს მიადგა. 25

ოქტომბერს ფრანგებმა გაიარეს ქალაქი, ხოლო დანარჩენი კორპუსები ბალტიისპირეთისკენ წავიდნენ, ზოგმა კი ელბასკენ აიღო გეზი. 29 ოქტომბრისთვის ფრანგები უკვე შტეტინთან იყვნენ; 5 ნოემბერს დაეცა ლუბეკი, ამასობაში დანარჩენი კორპუსები ოდერს უახლოევდებოდნენ. ამ მოქმედებების შედეგად სხვადასხვა კორპუსებმა ათასობით ტყვე და უზარმაზარი რაოდენობის აღჭურვილობა ჩაიგდეს ხელში.

ოცდაცამეტი დღის მანძილზე დიდმა არმიამ 25.000 პრუსიელი დაჭრა ან მოკლა, 140. 000 ჯარისკაცი ტყვედ აიყვანა და 2.000 ქვემეხი ჩაიგდო ხელში. პრუსიის მეფე თავისი არმიის დარჩენილ ნაწილებთან ერთად ოდერის გავლით შეუერთდა რუსებს და სახელმწიფოს უმეტესი ნაწილი ნაპოლეონის გულმოწყალების იმედად დატოვა.

აქაც, როგორც 1805 წელს, ნაპოლეონმა მოწინააღმდეგეს ისევ სრულიად მოულოდნელი მიმართულებიდან დაარტყა. მოულოდნელობასთან შერწყმულმა მობილურობამ მთლიანად აურია პრუსიელთა მთავარსარდლობას ორიენტაცია. ნაპოლეონს არასოდეს მიუცია პრუსიელებისთვის გადაჯგუფების საშუალება.

ნაპოლეონი საბოლოოდ, რა თქმა უნდა, დამარცხდა. არის რამდენიმე ფაქტორი ბრიტანელთა საზღვაო ძალის, განუწყვეტელი ექსპანსიის პოლიტიკის და მოწინააღმდეგის არმიების სამხედრო რეფორმების ჩათვლით, რამაც მისი დაცემა გამოიწვია. საფრანგეთის არმიის შესაძლებლობები 1807 წლის შემდეგ გაუარესდა. მსხვერპლთან ერთად შეტაკებებში განუწყვეტელმა მონაწილეობამ შეასუსტა დიდი არმიის ქმედითუნარიანობა და ეფექტურობა. ახალწვეულები არც ისეთი პროფესიონალები იყვნენ ბრძოლის ველზე, როგორც აუსტერლიცის, იენას და აუერშტატის გამარჯვებულები. ამრიგად, ნაპოლეონს მწირი არჩევანი ჰქონდა, მას ჯარისკაცების მასა ტაქტიკური მოქნილობით უნდა ჩაენაცვლებინა.

1808 წლის შემდეგ მისი ბრძოლები დიდი არმიის დამაუძლურებელ ბრძოლებად იქცა. ნაპოლეონმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა აუსტერლიცთან 73.000 კაცით, ხოლო 96. 000 ჯარისკაცით იენაში იზეიმა ტრიუმფი. აუერშტატში ნაპოლეონის არმია უთვალავი იყო. ვაგრამში მან 170.000 კაცი გამოიყვანა, ბოროდინოში - 133.000, დრეზდენში - 120.000 და ლეიფციგში - 195.000.

სურათი 45. ნაპოლეონი იენა-აუერშტატთან ბრძოლაში-1805 წ.

თითოეულ ბრძოლაში განცდილი მძიმე დანაკარგების მიუხედავად ნაპოლეონს არასოდეს გაუნადგურებია მოწინააღმდეგის საველე არმია. ის გაბედული სტრატეგიული მანევრის ოსტატად ითვლებოდა, მაგრამ დიდი არმიის ტაქტიკური შესრულება აღარ შეესაბამებოდა მის სტრატეგიულ გენიას.

რევოლუციურმა და ნაპოლეონის ერამ დრამატული ცვლილებები გამოიწვია ბრძოლაში. ომი ეროვნული გახდა და სახელმწიფოს დიდ საქმეებში მთელი ხალხი მონაწილეობდა. არმიაში აღარ იყო ის შემადგენლობა, რომელიც ავტომატურად ასრულებდა მკაცრ ტაქტიკურ დოქტრინას. სამოქალაქო არმიები მოქნილ ტაქტიკას იყენებდნენ და ინდივიდუალური ინიციატივის გამოჩენის უფლებას მცირე ზომის ქვედანაყოფებს ანიჭებდნენ, რომლებიც ბრძოლის ველზე დომინირებდნენ. 1815 წლის შემდეგ სამხედრო მეთაურებს მოუწიათ ნაპოლეონის გაკვეთილების გათავისება და ათვისება, თვით შორეულ აშშ-შიც კი სამხედროები გამოეხმაურნენ ამ იმპერატივს. 1815 წელს აშშ-ს არმიის პოლკოვნიკი სილვანუს ტაიერი ევროპაში წავიდა ვესტ პოინტის ბიბლიოთეკისთვის წიგნების შესაძენად. წიგნების უმეტესობა ფრანგულ ენაზე იყო დაწერილი და იმ აკადემიაშიც ერთადერთი უცხო ენა - ფრანგული ისწავლებოდა. დ. ჰ. მაჰანი, აშშ-ს საზღვაო ძალების ადმირალის ა.ტ. მაჰანის მამა მეცის საარტილერიო სკოლაში სწავლობდა. შემდეგ მან ვესტ პოინტის ფაკულტეტზე დაიწყო მასწავლებლად მუშაობა და კარიერის დარჩენილ მანძილზე ის თავის მსმენელებს მოუწოდებდა, რომ თანამედროვე ოფიცრისთვის აუცილებელი იყო ნაპოლეონის ტაქტიკის შესწავლა. მისი ტაქტიკის სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მსროლელთა მწკრივებისა და რიგების გამოყენებას. ლექტორებმა და მსმენელებმა ნაპოლეონის კლუბი ჩამოაყალიბეს, სადაც ისინი ნაპოლეონის ტაქტიკას და სტრატეგიას განიხილავდნენ.

ვესტ-პოინტის ახალი კურსდამთავრებულები არმიის რიგებს შეუერთდნენ, რომელიც მიუხედავად მისი მცირე გამოცდილებისა, ცდილობდა მიებაძა იმპერიული ძალებისთვის. რევოლუციური ომის დროს კონგრესმა დაამტკიცა ბარონ ფონ შტაუბენის მიერ დაწერილი სამწყობრო სახელმძღვანელო. ეს იყო პრუსიული სამწყობრო სახელმძღვანელოს გამარტივებული ვერსია. 1779 წელს გამოცემული ეს სახელმძღვანელოები არაადეკვატური აღმოჩნდა 1812 წლის ომის დროს. გენერალი ვინფილდ სკოტი თავის ჯარებს 1791 წლის ფრანგული წესდების მიხედვით წვრთნიდა. 1815 წელს მთავრობამ სკოტი იმ საბჭოს უფროსად დანიშნა, რომელიც არმიის სამწყობრო მომზადებაზე იყო პასუხისმგებელი. საბჭომ საბოლოოდ ისევ ფრანგული წესდება დაამტკიცა ყველა ქვეითი პოლკისთვის. მომდევნო წელს არმიამ უფრო თანამედროვე ფრანგული სამწყობრო წესდება მიიღო, ხოლო 1867 წელს აშშ-მ შეწყვიტა ფრანგული სახელმძღვანელოების თარგმნა და საკუთარი სახელმძღვანელო გამოუშვა.

უკვე თითქმის ორი საუკუნე გავიდა ნაპოლეონის ულმი-აუსტერლიცის კამპანიიდან, მაგრამ ომის ტექნოლოგიაში შესული უდიდესი ცვლილებების მიუხედავად იმპერატორის საბრძოლო მეთოდები კვლავ რჩება საგულისხმო გაკვეთილებად. მის მიერ გამოყენებული მოულოდნელი გაბედული დარტყმები, რომლებიც გამარჯვების მიღწევამდე გრძელდებოდა, ჯარების ყველა სახეობის ეფექტურად კომბინირების შესაძლებლობა, ტაქტიკური სისტემის განვითარებისა და სრულყოფის დაჟინებული მცდელობა, რისი მიზანიც იყო ნაპოლეონის სტრატეგიული მრწამსის გატარება და მთელი არმიის მიერ მისი მეთოდების გათავისება, ასევე, ამოცანის შესასრულებლად ინიციატივის ყველა დონეზე გამოჩენის შესაძლებლობა, კვლავ რჩება თანამედროვე სამხედრო ორგანიზაციების სანიმუშო მაგალითებად.

ნაპოლეონმა ერთხელ აღნიშნა: ,,ბრძოლის წინ გამართული საუბრები ჯარისკაცებს სიმამაცეს არ მატებს. ძველი ჯარისკაცები იშვიათად უსმენენ, ხოლო ახალწვეულებს ეს საუბარი ქვემეხის პირველი გასროლისთანავე ავიწყდებათ.“ იმპერატორს სჯეროდა, რომ ომისთვის ინტელექტუალური მომზადება მეტად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ეს ბრძოლამდე დიდი ხნით ადრე უნდა დაწყებულიყო. გენიოსს ვერ ასწავლი, მაგრამ მისი და მისი მეთოდების შესწავლა, რა თქმა უნდა, საჭიროა უბრალო მოკვდავებისთვის.

რუსეთზე თავდასხმა

ალბერტ სიდნეი ბრიტ III

,,იმ დღიდან როცა მშვიდობას მოეწერება ხელი''- წერდა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი მეტერნიხი ავსტრიის იმპერატორ ფრანცს ვაგრამთან ავსტრიელების დამარცხების შემდეგ, ,,ჩვენ ჩვენს დიპლომატიას კურსის შეცვლის, გარდაქმნის და გაზვიადების შესაძლებლობა არ უნდა მივცეთ. მხოლოდ ამგვარად შეგვიძლია ჩვენი არსებობის შენარჩუნება საბოლოო განთავისუფლების მოპოვების დღემდე.'' თუმცა საგარეო კურსის შეცვლა და გარდაქმნა უკვე დაწყებული იყო: ნაპოლეონმა გადაწყვიტა უარი ეთქვა საკუთარ ცოლზე. იმპერატორის მეუღლემ მას მემკვიდრე არ გაუჩინა, რასაც მისი რეჟიმის კანონიერება მოითხოვდა. მან ოფიციალურად სთხოვა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს უმცროსი დის ეკატერინეს ხელი, თუმცა რუსეთის მეფისგან პირდაპირი პასუხი ვერ მიიღო. (რუსეთის სამეფო კარი არასოდეს იყო კეთილად განწყობილი ტილზიტის მოკავშირეობის მიმართ). მეტერნიხმა სწრაფად გამოიყენა შესაძლებლობა. ჰაბსბურგის პრინცესა მარი ლუიზა ნაპოლეონის ცოლობისათვის იყო შესაფერისი. მართალია ის იყო სულ რაღაც თვრამეტი წლის, მაგრამ შესანიშნავად შეეწირებოდა მსხვერპლად ავსტრიის საგარეო პოლიტიკის მოთხოვნებს. ქორწინებამ, რომელიც აღინიშნა 1810 წლის აპრილში, ავსტრიას აღდგენის და სულის მოთქმის დრო მისცა. ამან გამოიწვია ნაპოლეონის ალექსანდრესგან მოულოდნელი შეტრიალება და განამტკიცა მზარდი მტრობა საფრანგეთსა და რუსეთს შორის.

დაპირისპირება კონტინენტურ სისტემასა და რუსეთის იმპერიას შორის

საფრანგეთისა და რუსეთის მტრობა არ განვითარებულა უეცრად, დაპირისპირების მიზეზი არც ნაპოლეინის ჯარების აღმოსავლეთის მიმართულებით გადაადგილება ყოფილა. მტრობა, რომელიც დასრულდა 1812 წლის ომით, განვითარდა მთელს ევროპაში წინააღმდეგობრივი პოლიტიკის, კონკურენტუნარიანი ეკონომიკისა და ეროვნული გრძნობის გაზრდის შედეგად. საფრანგეთისა და რუსეთის ინტერესები იყო მხოლოდ პირდაპირი მიზეზები, რამაც საფრანგეთი და რუსეთი ომამდე მიიყვანა. ამ ომში ჩართული იყო ევროპის ყველა ძლიერი სახელმწიფო; პარიზი და მოსკოვი გახდა პოლარობის ორი ცენტრი მას შემდეგ, რაც ავსტრიამ და პრუსიამ მთლიანად გამოიყენეს რესურსები ნაპოლეონის იმ თავდასხმითი მოქმედებების მოსაგერიებლად, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საფრანგეთის იმპერიის გაფართოებას.

მთელი მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების განმავლობაში რუსეთის იმპერია ცდილობდა იმავე პრობლემის გადაჭრას, რომელსაც საფრანგეთის მეფე ლუი XIV წააწყდა - ბუნებრივი საზღვრების არქონა. გარდა ამისა, ვინაიდან მოსკოვის სახელმწიფოს (მოსკოვიას) არ ჰქონდა ტოპოგრაფიული საზღვრები რომელიმე მხარეს, ექსპანსია მიმართული იყო მისი ყველა მეზობლის წინააღმდეგ. პეტრე დიდის გამარჯვებამ ჩრდილოეთის დიდ ომში რუსეთს მოუპოვა საზღვარი ბალტიის სახელმწიფოების სახით. შემდეგ, მეთვრამეტე საუკუნის უფრო დიდი პერიოდის განმავლობაში,

რუსეთის არმია ომობდა პრუსიელებთან, პოლონელებთან და ოტომან თურქებთან, რათა დაეცვა ძლიერი პოზიციები დასავლეთ ევროპასა და შავ ზღვაზე.

შვიდწლიანი ომის უმეტესი დროის განმავლობაში რომანოვებმა აირჩიეს ბურბონებთან და ჰაბსბურგებთან კავშირში შესვლა ფრიდრიხ დიდის წინააღმდეგ. თუმცა, ელისაბედ პეტრეს ასულის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრემ შეცვალა ეს პოლიტიკა და მეთვრამეტე საუკუნის ბოლო წლებში ეკატერინე II-ემ უფრო მეტად დაახლოვა რუსეთი პრუსიასთან; ამ დაახლოების მიზანი იყო პოლონეთსა და თურქეთში ტერიტორიების დაკავება. პოლონელმა პატრიოტებმა, როგორიც იყო თადეუშ კოსტიუშკო, წინააღმდეგობა გაუწიეს ამ შეჭრას, თუმცა რუსეთის არმიამ ალექსანდრე სუვოროვის მეთაურობით საბოლოოდ დაიკავა ვარშავა 1794 წელს და პოლონეთი დაემორჩილა - მესამეჯერ - ავსტრიას, პრუსიასა და რუსეთს შორის გაყოფას. საუკუნის დასასრულს რუსეთი გახდა დიდი მრავალეთნიკური იმპერია, რომელსაც ჰქონდა აგრესიულობის რეპუტაცია და სერიოზული ინტერესი დასავლეთ ევროპის საქმეებში.

სანამ მიმდინარეობდა დასავლეთ ევროპის ომები ნახევრად დაკავშირებულ დინასტიებს შორის, რუსეთის დასავლეთისკენ მიმართული შეტევა (და საფრანგეთის აღმოსავლეთით მიმართული შეტევა) კვლავ წარმოადგენდა დაპყრობის მონარქიულ კლასიკურ მოდელს - ხანგრძლივი ომები და მოლაპარაკებები შეცვალა არარეგულარულმა ბრძოლებმა და ალყის შემორტყმამ (ბლოკადამ), რაც დასრულდა ტერიტორიების დათმობით. როცა საფრანგეთის რევოლუციამ გააფართოვა ამ ომების მასშტაბი და დააჩქარა კამპანიის მიმდინარეობა, ახალი ძალების მასა მოვიდა მოქმედებაში. საფრანგეთის ეროვნული არმია დახეტიალობდა კონტინენტზე. ისინი არ ყოვნდებოდნენ მეზობელი სახელმწიფოების საზღვრებთან, რათა მომარაგების აღალებისთვის დაწევის შესაძლებლობა მიეცათ, არამედ ეს ფრანგული ურდოები მარაგის რეკვიზიციას იმ ტერიტორიებიდან ახდენდნენ, რომლებსაც იპყრობდნენ. კამპანია, რომელიც ალბათ გაგრძელდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში შვიდწლიანი ომის დროს, ახლა შესაძლებელია დასრულებულიყო რამდენიმე კვირაში, რადგან ბრძოლას უბადლო ოსტატობის მქონე მეთაური ხელმძღვანელობდა. როცა იმავე ნიჭიერმა მეთაურმა პატივისცემა არ გამოავლინა მონარქიების უფლებების მიმართ, იმ ტერიტორიების მოსახლეობამ, რომლებიც მან დაიკავა, დაიწყო აჯანყებები საკუთარი მეფეების წინააღმდეგ. როცა ნაპოლეონმა დაიწყო სახელმწიფოების საზღვრების ხელმეორედ განსაზღვრა, ევროპის ძალაუფლების მთელი ბალანსი დაირღვა.

სურათი 46. ალექსანდრე I, რუსეთის იმპერატორი 1801-1825 წლებში

1796 და 1797 წლებში საფრანგეთის დაპყრობების სიჩქარემ ისეთი საფრთხე შეუქმნა ევროპულ სტაბილურობას, რომ რუსეთი შეუერთდა მეორე კოალიციას - ამგვარად გაფართოვდა რუსული ზეგავლენა დასავლეთით უფრო შორსაც კი. რუსეთის არმიამ მოხერხებული და უდავოდ ნიჭიერი ალექსანდრე სუვოროვის ხელმძღვანელობის ქვეშ დაიპყრო იტალია და შვეიცარია და მიაღწია გასაოცარ წარმატებებს. თუმცა, საფრანგეთი გახდა რუსეთის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე და მეფის პოლიტიკა მალე შეიცვალა სხვა სახელმწიფოებთან კონფლიქტების შე-

დეგად. რუსეთის იმედების განხორციელებას, რაც კონსტანტინეპოლის დაუფლებას გულისხმობდა, პრობლემა შეუქმნეს დიდი ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტმა და ბაზებმა. ოტომანთა იმპერია ჯერ-კიდევ განაგებდა ძველი ბიზანტიის მიწებს და ამგვარად პირდაპირ დაბრკოლებას უქმნიდა რუსეთის სამხრეთისაკენ ექსპანსიას. დიდ მანძილზე გადაჭიმული ჰაბსბურგების იმპერია, რომელიც განიცდიდა დამარცხებებს დასავლეთში, ერთბაშად უკან იხევდა აღმოსავლეთისაკენ, ხოლო პოლონეთი ცდილობდა პოლიტიკური მდგომარეობის აღდგენას როგორც დამოუკიდებელი სამეფო. სკანდინავიაში, შვედეთს ჯერ-კიდევ ჩაკეტილი ჰქონდა გასაღების ბაზარი ბალტიის სახელმწიფოებიდან, ხოლო პრუსიის ურყევი ნეიტრალურობა მცირე შესაძლებლობას იძლეოდა რუსეთის შემდგომი წარმატებებისთვის მდინარეების ვისლასა და ოდერის გასწვრივ. 1800 წლისთვის საფრანგეთმა დაიხია ბუნებრივი საზღვრების უკან, ხოლო კოალიცია დაიშალა. თუმცა არც ბონაპარტე და არც მისი რევოლუციური ძალა, რომელსაც რუსეთი უპირისპირდებოდა, არ გადასულა სამუდამოდ მდინარე რაინის გადაღმა. მხოლოდ მაშინ, როცა ევროპის მონარქები კვლავ მიეჩვივნენ თავიანთ გამორჩეულ სტატუსს, ფრანგები ისევ შეიჭრნენ იტალიაში და გაიმარჯვეს მარენგოში.

1801 წელს ალექსანდრეს ტახტზე ასვლამ დროებით განაპირობა რუსეთის საგარეო პოლიტიკის რეალობასთან მორგება. მან მიაღწია შეთანხმებას დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან და აღადგინა ურთიერთობები ჰაბსბურგების მონარქიასთან. 1802 წელს, მან პირადი მეგობრობა დაამყარა პრუსიის სამეფო ოჯახთან. უპირველეს ყოვლისა, ალექსანდრეს სურდა მშვიდობა, რათა გაეგრძელებინა შიდა რეფორმები; თუმცა 1802 წლის ხანმოკლე სიმშვიდე დაარღვია შემაცბუნებელმა მოვლენებმა - დიდი ბრიტანეთის უარი მალტადან ევაკუაციაზე, გერმანიის იძულებითი რეკონსტრუქტურიზაცია საფრანგეთის მხრიდან 1803 წელს და ენგიენის ჰერცოგის მკვლელობა (ნეიტრალური ბადენის მიმართ საფრანგეთის ძალდატანებამ - გაეტაცა ჰერცოგი - განარისხა ალექსანდრე, არა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის მეფის ცოლი იყო ბადენის პრინცესა, არამედ იმიტომ, რომ მუხანათურმა მკვლელობამ როგორც ჩანს დაამტკიცა ბონაპარტეს უპატივცემულობა ყველა დიდგვაროვანის კანონიერი მმართველობის მიმართ). 1804 წელს დიპლომატიური ურთიერთობა საფრანგეთსა და რუსეთს შორის გაწყდა.

ქვეყნის შიდა საქმეებში, რუსეთის მეფე ხასიათდებოდა როგორც განათლებული ადამიანი. მისი გეგმები შეეთავაზებინა რუსებისთვის კონსტიტუცია, აშკარად იყო მისი გონივრული სურვილის შედეგი, რათა შეექმნა უფრო მეტად ეფექტური მთავრობა. თუმცა ქვეყნის გარე ურთიერთობებში, მას ჰქონდა საკუთარი განზრახვების დაფარვის იდუმალი ოსტატობა. თუ ზუსტად რა ზეგავლენა მოახდინა მისმა ბებიამ, იმპერატორმა ეკატერინე II-ემ მის აღზრდაზე, გაურკვეველია. აშკარაა, რომ ალექსანდრემ სრულყო შეცდომაში შეყვანის ხელოვნება, რათა მას ერთდროულად ლავირება მოეხდინა მამასა და ბებიას შორის, რომლებსაც უთანხმოება ჰქონდათ ერთმანეთთან. აგრეთვე კარგადაა ცნობილი, რომ ალექსანდრე იყო მომხიბვლელი, მიმზიდველი პიროვნება და რომ მას ჰქონდა ძლიერი რელიგიური მრწამსი. ნაპოლეონთან არაერთგზის კონფრონტაციის შემდეგ ის დარწმუნდა, რომ მისი მოვალეობა იყო დაეცვა ევროპა ველური კორსიკელის გამანადგურებელი მოქმედებებისგან.

რუსეთის სამხედრო მმართველობის არასწორი გათვლების შედეგებმა - ნაჩქარევი შეტევა აუსტერლიცზე და ბენიგსენის გამანადგურებელი წინააღმდეგობა ფრიდლენდში - განაპირობა ალექსანდრეს დიდი ამოცანის ვერშესრულება. ნაპოლეონთან დამარცხებების შემდეგ, ალექსანდრემ

შეიმუშავა ომის პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო არა ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ საფრანგეთის მთავრობის დამხობა, რომელიც იყო ისეთივე ტირანული საკუთრივ საფრანგეთისთვის, როგორც ევროპის დანარჩენი ნაწილისთვის. ეს იდეალისტური დამოკიდებულება შეწონასწორებული იყო ძლიერი კონსერვატული ტენდენციით, რომელმაც გააძლიერა ბუნებრივი საზღვრების რწმენა და ძალაუფლების ბალანსი კონტინენტზე. ტილზიტის ხელშეკრულება (1807 წ.) იძლეოდა ამ უპირატესობებს, რაც გულისხმობდა ევროპის გაყოფას საფრანგეთსა და რუსეთს შორის მდინარე ვისლას გასწვრივ.

სურათი 47. რუსეთის არმიის ობერ-ოფიცერი, შტაბ-ოფიცერი და გენერალი
(მე- 19 ს-ის პირველი მეოთხედი)

მოვლენებმა, რომლებიც მოჰყვა ტილზიტს, დაამტკიცეს თუ რამდენად სიღრმისეულად შეიძლება განსხვავდებოდეს ადამიანის მოქმედებები სახელმწიფო მოღვაწეების მიერ წარმოებული გათვლებისგან. ალექსანდრე ვარაუდობდა, რომ ნაპოლეონი აითვისებდა დასავლეთ ევროპის დაპყრობილ ტერიტორიებს და კონსტანტინეპოლსა და ბალტიის სახელმწიფოებს დუტოვებდა რუსეთს. 1808 წლის თებერვალში, ნაპოლეონმა რუსეთის მეფეს მისწერა, რომ ის ახლა ფიქრობდა ერთობლივ ფრანგულ-რუსულ ექსპედიციაზე ინდოეთში, კონსტანტინეპოლის გავლით. ვიდრე ალექსანდრე შემლებდა ამ გრანდიოზული გეგმის მნიშვნელობის შეფასებას, საფრანგეთის იმპერატორი უკვე პირინეის ნახევარკუნძულზე მიმდინარე მოვლენებში ჩაება. 1808 წლის სექტემბერში, ნაპოლეონმა რუსეთის მეფეს მოსთხოვა შეეკავებინა ავსტრია მანამ, სანამ ის პირადად გაიმარჯვებდა გლეხებსა და მღვდლებზე ესპანეთში. შემდეგ, 1809 წელს მდინარე დუნაისთან უფრო დიდი კრიზისით შეფერხებულმა ნაპოლეონმა მოუწოდა ალექსანდრეს ავსტრიის წინააღმდეგ გადაადგილება; თუმცა რუსეთის საპასუხო მოქმედებებს არ გადაუხვევია ნელა წინ წაწევის მეთოდიდან, რომელიც უმთავრესად მიზნად ისახავდა კრაკოვისა და სხვა ქალაქების დაკავებას ვიდრე პოლონელები შემლებდნენ მათ გათავისუფლებას ავსტრიული მმართველობისგან.

ნაპოლეონი აღშფოთდა ალექსანდრეს მხრიდან ტილზიტის ვალდებულებების თავიდან არიდების გამო მაშინ, როცა მისმა კატეგორიულმა გადაწყვეტილებამ დაქორწინებულიყო ავსტრიის პრინცესაზე აშკარად გააღიზიანა მგრძნობიარე ალექსანდრე. იმპერატორის მიერ ტერიტორიების გაფართოებამ უფრო მეტად გაამწვავა საქმე. 1810 წლის დეკემბერში ნაპოლეონმა გერმანიის მთელი

ჩრდილოეთ სანაპირო შეუერთა იმპერიას, ხოლო ერთი თვის შემდეგ მან მოახდინა ოლდენბურგის საჰერცოგოს ანექსია. (ჰერცოგი ალექსანდრესთან დაკავშირებული იყო ქორწინებით). ანტაგონიზმის ყველაზე პირდაპირი და გადაუდებელი მიზეზი იყო ალექსანდრეს გადაწყვეტილება არ გაევრცელებინა საფრანგეთის ემბარგო ნეიტრალურ ვაჭრობაზე. რუსეთი იყო დიდი ბრიტანეთის სამრეწველო პროდუქტების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებელი და წარმოადგენდა საზღვაო მასალების მთავარ წყაროს ბრიტანეთის გემთმშენებლობისთვის. 1810 წლის ბოლოს ალექსანდრემ შემოიღო სპეციალური გადასახადი ფუფუნების საგნებზე, რომელთა შემოტანა ხდებოდა ხმელეთით - აშკარა დარტყმა საფრანგეთის ვაჭრობაზე. ამ დაპირისპირების არსი აშკარა იყო: ევროპაში ყველაზე ძლევამოსილ მმართველს-ნაპოლეონს არ შეეძლო საკუთარი ბრძანებულებების თავს მოხვევა რუსეთისათვის.

1811 წლისთვის საფრანგეთის იმპერიამ მიაღწია ყველაზე დიდ ზომას. ანექსირებული ტერიტორიების ჩათვლით მის შემადგენლობაში შედიოდა დაახლოებით 43 მილიონი ადამიანი. უფრო მეტად ვიდრე მოსალოდნელი იყო, დიდი იმპერია (le Grande Empire), რომელშიც შედიოდნენ გერმანიის, იტალიისა და ესპანეთის ვასალური სახელმწიფოები, გაფართოვდა ძალიან სწრაფად, რათა მას მისცემოდა დრო ეფექტური ადმინისტრაციული მთავრობის განვითარებისთვის. აშკარად, კონტინენტურმა ემბარგომ და ბრიტანეთის ბლოკადამ გაანადგურა ევროპული ვაჭრობის ნორმალური მოდელი. უწესრიგობამ ვესტფალიაში, პერიოდულმა აჯანყებებმა იტალიაში და დაურეგულირებელმა ამბოხებამ ესპანეთში გააძლიერა ზოგადი წუხილი ნაპოლეონის იმპერიულ ოჯახში, რომ მას უნდა გადაედგა პოზიტიური ნაბიჯი ევროპაში მშვიდობიანობის დასამკვიდრებლად. 1811 წლის დეკემბერში ნაპოლეონის ძმა ერომი წერდა იმ უკმაყოფილების შესახებ, რაც თავს დაატყდა მთელს გერმანიას:

,, თუ ომი გაჩაღდება, მდინარეებს რაინსა და ოდერს შორის არსებული ყველა ქვეყანა აღდგება როგორც ერთიანი. უწესრიგობის მიზეზი არ არის უბრალოდ უცხო უღელთან ძლიერი შეუგუებლობა; ის იჭრება უფრო ღრმად იმ დამანგრეველ ეფექტში, რასაც აწყდება თითოეული კლასის წარმომადგენელი; გამანადგურებელი დაბეგვრა, ომისთვის ახალწვეულთა შეკრება, ჯარისკაცების ბინებში განაწილება, ყველა სამხედრო გადაადგილება და მუდმივი სამხედრო მოქმედებები ...”

ნაპოლეონის პრობლემა არ იყო მხოლოდ რუსეთთან დაკავშირებული, არამედ მთელს ევროპასთან. მას ჯერ კიდევ მტკიცედ სჯეროდა, რომ ინგლისი დაიღლებოდა ბრძოლისგან და დამყარდებოდა მშვიდობა საფარნგეთთან ურთიერთობაში, თუ რუსეთი უერთგულებდა კონტინენტურ სისტემას. 1811 წლის ივნისში, მან ომის შესაძლებლობა განიხილა რუსეთში მის ყოფილ ელჩთან არმან კოლენკურთან. ,,გულწრფელად ვაღიაროთ”- ამბობდა ნაპოლეონი, ,,რომ ალექსანდრეს სურს თავად ჩემთან ომის წარმოება.’’ კოლენკურმა უპასუხა, რომ ალქსანდრე არ გაისროდა პირველი. იმპერატორმა თავაზიანად განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა რუსეთის დაპყრობის განზრახვა, რაზეც კოლენკურმა უპასუხა, რომ მან უნდა განმარტოს საკუთარი განზრახვები, ,,რადგან ყველამ იცის, რომ თქვენი უდიდებულესობის ჯარები კონცენტრირებულია დანციგში და ჩრდილოეთ პრუსიაში.’’ ,,ოჰო’’ - წამოიძახა იმპერატორმა, ,,ერთი კარგი ბრძოლა აჩვენებს ალექსანდრეს მისი გადაწყვეტილებების დასასრულს.’’ კოლენკურმა შემდეგ ნაპოლეონს აცნობა ალექსანდრეს ნათქვამი სიტყვასიტყვით:

,,თუ საფრანგეთის იმპერატორი ჩემზე გამოილაშქრებს, შესაძლებელია, და ალბათ სავარაუდოა, რომ ჩვენ დავმარცხდებით, თუ შევებრძოლებით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მას შეუძლია ზა-

ვის პირობების წამოყენება. ესპანელები ხშირად მარცხდებოდნენ, მაგრამ ისინი არ არიან საბოლოოდ დამარცხებულები და არც დამორჩილებულები. თუმცა ისინი არ არიან ისე შორს პარიზიდან, როგორც ჩვენ ვართ, და არ გვაქვს არც განწყობა და არც რესურსი მათ დასახმარებლად. ჩვენ არ გავრისკავთ."

სურათი 48. რუსეთის არმიის ქვეითები
(მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედი)

ნაპოლეონის პასუხის ჩანაწერი ამ მკაფიო გაფრთხილებაზე არ არსებობს. ნებისმიერ შემთხვევაში მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა გამოეყენებინა ძალები რუსეთთან მიმართებაში. მან განიცადა წარუმატებელობა; ეს წარუმატებლობა უტოლდებოდა იმ სერიოზულ კრახს ესპანეთში 1811 წლის მარტში, როცა ფრანგმა გენერალმა მასენამ საბოლოოდ დაიხია უკან. მთელი ევროპა მოქცეული იყო მკაცრი ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში; ამავე დროს არსებობდა მზარდი დამამტკიცებელი ნიშნები იმისა, რომ რუსი ვაჭრები ბრიტანულ პროდუქტს ნეიტრალური სავაჭრო ფლოტის მეშვეობით იღებდნენ. ნაპოლეონმა უარი განაცხადა წასულიყო კომპრომისზე ინგლისთან ვაჭრობის საკითხთან დაკავშირებით და აგრეთვე უკუაგდო ალექსანდრეს მოთხოვნა, რომ რუსეთის საზღვრებიდან უკან დაეხიათ საფრანგეთის ჯარებს. გარდა ამისა, მიუხედავად ამ მზარდი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეებისა, იმპერატორის რწმენა საკუთარი ბედისწერის მიმართ შეურყეველი იყო. 1811 წლის აგვისტოსთვის ნაპოლეონმა გადაწყვიტა ,,დაერწმუნებინა ევროპა შემდგომი წინააღმდეგობის გაწევის შეუძლებლობაში.'' თუმცა, მან ცუდად შეაფასა საკუთარი მოწინააღმდეგე.

რუსული სამხედრო ხელოვნება

სურათი 49. პეტრე I დიდი, რუსეთის მეფე 1682-1721 წლებში, რუსეთის იმპერატორი 1721-1725 წლებში. გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

არსებობდნენ არმიები, რომლებიც შეგნებულად უარყოფდნენ იმ გამოცდილებას, რომელიც მომდინარეობდა მათი უშუალო წარსულიდან და ეძებდნენ უფრო ვრცელ ბაზისს სამხედრო აზროვნებისა და პრაქტიკის მოდერნიზაციისთვის. ამის ნათელი მაგალითია საფრანგეთი და რუსეთი. კერძოდ, შვედეთთან გამანადგურებელმა დამარცხებამ სტიმული მისცა მსგავსი რეფორმის განხორციელებას რუსეთში, ამავე დროს რევოლუციამ დააჩქარა საფრანგეთის არმიის ისეთ სტრუქტურად გარდაქმნა, რომელიც მეტად პასუხობდა სახელმწიფო ნება-სურვილს. უცხო ქვეყნის ინსტიტუტებიდან გამოცდილების გადმოღების ტრადიცია დიდ გავლენას ახდენდა რუსეთის სამხედრო ისტორიაზე; თუმცა არმია სხვა ევროპული არმიებისგან განსხვავებული იყო და ის მდიდარი იყო ორიგინალური იდეებით.

პეტრე დიდს უკვე დაწყებული ჰქონდა საკუთარი არმიის მოდერნიზაცია მეთვრამეტე საუკუნის ადრეულ პერიოდში. ექსპერიმენტატორი, ის აგრეთვე იყო რეალისტი, რომელმაც უარყო არასაჭირო ნიშნები და პროცედურები, რომლებიც რუსეთის მომავალთან და სიახლეებთან შეუსაბამო იყო. პეტრე ეყრდნობოდა უცხოელ ოფიცრებს არმიის გაწვრთნისას, რადგან რუსეთის დიდგვაროვნებს არ ჰქონდათ მიღებული საჭირო განათლება, თუმცა ამავე დროს მან ჩვეულებრივი ჯარისკაცის მდგომარეობა აამაღლა საზოგადოებაში. მაშინ, როცა ყმაგლეხი რჩებოდა მონობაში, ჯარისკაცი გახდა შედარებით თავისუფალი ადამიანი, ჯერ-კიდევ ჩვეულებრივი სასტიკი დისციპლინის ობიექტი, თუმცა მიუხედავად ამისა სახელმწიფოს საპატივსაცემო წევრი. ჯარში გაწვევის პეტრესეული სისტემა მოითხოვდა, რომ თითოეულ პროვინციას უზრუნველყო ჯარისკაცების განსაზღვრული რაოდენობა რეგულარული პოლკებისთვის. რელიგია და ბრძოლის სამართლიანი მიზეზი, ფიქრობდა პეტრე, ჯარისკაცში ქვეყნისთვის ბრძოლის სურვილს აღძრავდა. ოფიცრების მომზადების მისეული კონცეფცია სთავაზობდა ოფიცრის წოდებას ყველა კლასის ადამიანს. პეტრე დიდი აგრეთვე ხელს უწყობდა უჩვეულო მეგობრული განწყობილების ჩამოყალიბებას ოფიცერსა და ჯარისკაცს შორის. ამგვარად, იმ დროს, როცა უმეტესი მმართველი დამოკიდებული იყო დაქირავებულ ჯარისკაცებზე, პეტრე ავითარებდა კონცეფციას, რომ სამხედ-

რო ვალდებულება ყველა ადამიანს ელოდა. რუსეთის არმია ხდებოდა სახელმწიფოს ძირითადი ორგანიზმი.

პეტრე დიდის გარდაცვალების შემდეგ, მეთვრამეტე საუკუნში უწყვეტმა ომებმა განაპირობა ტენდენციის შეცვლა არმიის რუსიფიცირებისკენ. კერძოდ, უცხოელი ოფიცრები ჩაანაცვლეს რუსმა ოფიცრებმა. რადგან მეტი რაოდენობის რუსმა ოფიცრმა გაიარა კონვენციური ევროპული სამხედრო პრაქტიკა, განსაკუთრებით შვიდწლიანი ომის დროს. არსებობდა ბუნებრივი ტენდენცია იმისა, რომ მათ აეთვისებინათ მრავალი უცხოური პრაქტიკა, რასაც წააწყდებოდნენ ევროპაში. რუსული ზეგავლენა იყო განსაკუთრებით მნიშვნელვანი, შესაძლებელია ფრიდრიხის წარმატების გამო, რომელმაც გამოიყენა ორგანიზებისა და ტაქტიკის ხაზოვანი სისტემა. ფრიდრიხი ეყრდნობოდა დიდგვაროვნებს, რამაც ოფიცრებისთვის გააძლიერა კასტური სისტემა, რომელიც იყო ტრადიციული მრავალ მონარქიულ არმიაში. თუმცა, ყველა რუსმა ოფიცერმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე საჭიროდ არ ჩათვალა აღლუმებისთვის საჭირო სამწყობრო მომზადების, ოფიციალური ტაქტიკური მეცადინეობებისა და ალყის შემორტყმის ხელოვნების გავლა. ზოგიერთი მეთაური საკუთარი არმიის პრობლემებს განიხილავდა კრიტიკულად და წვრთნიდა საკუთარ ჯარისკაცებს იმ მეთოდების შესაბამისად, რომლებიც განსხვავდებოდა ტაქტიკისა და სტრატეგიის ფორმალური ევროპული სტილისგან. ამ ადამიანებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გრაფი ალექსანდრე სუვოროვი, ნაკლებად ცნობილი გენერალი დასავლეთში, თუმცა ლეგენდარული გმირი და გავლენიანი თეორეტიკოსი რუსულ სამხედრო ისტორიაში.

სურათი 50. ალექსანდრე ბაგრატიონი (1674-1711), გენერალ-ფელდცეხმაისტერი, პეტრე დიდის თანამებრძოლი და რუსეთის არმიის არტილერიის ფუძემდებელი

სუვოროვი იყო თავდაბალი ადამიანი, რომელიც კარგად იცნობდა საკუთარ ჯარს და იზიარებდა ველზე არსებულ ყველა უხერხულობას (დისკომფორტს) მათთან ერთად. შედეგად, ის იყო ეფექტური მეთაური და მწვრთნელი. ის იყო შეუბრალებელი და ნაკლებ ღირებულებას ანიჭებდა ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა ის ულმობლობა, რომელიც მან გამოავლინა თურქეთსა და პოლონეთში, იყო უფრო მეტად ომზე მისი შეხედულების შედეგი და არა მისი პირადი სისასტიკე. ხანგრძლივი სამხედრო გამოცდილების მიღების შემდეგ სუვოროვმა პრაგმატულად დაასკვნა, რომ სასტიკი ძალადობა წარმოშობს უფრო სწრაფ შედეგებს ვიდრე ხანგრძლივი მანევრები და ალყა. საფრანგეთსა და გერმანიაში გამოყენებული ,,მანევრის სტრატეგიის'' ფილო-

სოფიის საპირისპიროდ, სუვოროვი აწარმოებდა ტოტალურ ომს, მისი მეთოდის ყველაზე უკიდურესი მაგალითი იყო იზმაილის (ბესარაბიაში) ციხე-სიმაგრის იერიშით აღება და თურქული გარნიზონის განადგურება 1790 წელს. სუვოროვი იყო საკმარისად გამჭრიახი, რომ ეღიარებინა ფორმულა - ,,ყველა ომი განსხვავებულია''. საშუალებები, რომლებიც მან გამოიყენა მდინარე დუნაისთან ტერიტორიის დასაკავებლად, განსხვავდებოდა იმ სტრატეგიისგან, რომელიც გამოიყენებოდა პოლონეთის დასაპყრობად.

სურათი 51. ალექსანდრე სუვოროვი (1730-1800). გენერალისიმუსი, რუსეთის არმიის გამორჩეული მხედართმთავარი

სუვოროვი იყო ინდივიდუალისტი ტემპერამენტისა და ინტელექტის თვალსაზრისით. ის იყო განზრახ უხეში და სასტიკი, თავს არიდებდა დიდგვაროვნების მანერებს და ავლენდა უპატივცემულობას მათი უმეცრების მიმართ. იტალიაში მის კამპანიებამდე დიდი ხნით ადრე მან უკვე იცოდა ხუთი ენა და შესწავლილი ჰქონდა რუსეთის პოტენციური მოწინააღმდეგის მეთოდები. სიჩქარე, რა სიჩქარითაც მან საფრანგეთი გააძევა იტალიიდან 1799 წელს, არის საკმარისი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ის იყო რუსეთის არმიის სულისჩამდგმელი. უფრო მეტიც, ის იყო აბსოლუტურად გავლენიანი, როგორც რუსი გენერლების გვიანი თაობის მასწავლებელი. მისი ნაწერების გამომეტყველი და პირდაპირი ენა ნათლად ასახავს ომზე მისი შეხედულებების არსს. შეიძლება ორი მაგალითის ციტირება, ორივე მათგანი ასახავს თუ რამდენად დაშორებული იყო სუვოროვის გამოცდილება და სწავლებები კონვენციური ევროპული სწავლებისგან. თითქმის ნაპოლეონის სტილით ის წერდა: ,,ერთი წუთი წყვეტს ბრძოლის ბედს, ერთი საათი - კამპანიის ბედს, ხოლო ერთი დღე - იმპერიის ბედისწერას''. მის სხვა ნაწერებში, რომლებიც თავმოყრილია წესდებაში სახელწოდებით ,,გამარჯვების მეცნიერება'' ის შენიშნავდა:

,,არმიის სიძლიერე მის რაოდენობაში არ მდგომარეობს, არც მის შეიარაღებასა და აღჭურვილობაში, არმიის სიძლიერე ეყრდნობა მის სულისკვეთებასა და სულს''.

ეს ციტატა იძლევა იმის ვარაუდს, რომ სუვოროვი ზედმიწევნით აღიქვამდა ომის ნიუანსებს და შესაძლებელია კიდევაც ჯობნიდა ნაპოლეონს ომის, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტის გააზრების საკითხში.

სურათი 52. მიხეილ კუტუზოვი (1745-1813).გენერალ-ფელდმარშალი, გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

გამარჯვების მისაღწევად სუვოროვის რეცეპტი გამოიყენა სხვა გენერალმაც, მიხეილ ილარიონის ძე კუტუზოვმა, გამჭრიახმა ოფიცერმა, რომელიც იყო სუვოროვის მოწაფე და თანამებრძოლი თურქეთის ომებში. თათბირზე, რომელიც ჩატარდა ღამით აუსტერლიცის ბრძოლამდე, კუტუზოვი მძიმედ ჩაესვენა სავარძელში და ხვრინავდა მთელი საბრძოლო გეგმის განხილვის განმავლობაში (ეს, რა თქმა უნდა, არ იყო მისი გეგმა; ფაქტიურად, მას უკვე რეკომენდაცია მიცემული ჰქონდა მეფისთვის, რომ ბრძოლა აერიდებინა თავიდან). მეორე დღეს რუსეთის არმიამ განიცადა მარცხი, ხოლო ისტორიკოსებს არასოდეს არ დავიწყებიათ კუტუზოვის აშკარა გულგრილობა ბრძოლის წინა დღეს. საუბედუროდ, კუტუზოვის თვლემისადმი დამსახურებულმა რეპუტაციამ შეამცირა მისი გადამწყვეტი როლის სათანადო აღიარება 1812 წელს ნაპოლეონის შემოსევის უკუგდების საკითხში. კუტუზოვის მიერ რუსეთის არმიის მართვის სპეციალური კვალიფიკაცია შეიძლება მიეწეროს სამ ფაქტორს: პირველი, მისი კავშირი სუვოროვთან; მეორე, მისი აქტიური სამსახური მრავალ ომში ეკატერინე დიდის მეფობის დროს - რუსეთის არმიის ოქროს ხანა; და მესამე, ომის კონცეფციის განვითარებაში მისი პირადი მონაწილეობა, რამაც განაპირობა რუსეთის არმიის გამარჯვება ნაპოლეონთან ომში.

სუვოროვის ხელმძღვანელობის ქვეშ კუტუზოვმა ისწავლა ბევრი რამ ომის უფრო მაღალ დონეზე მართვის შესახებ. ერთხელ სუვოროვმა შენიშნა, რომ ერთ-ერთ ოფიცერს მან მისცა ბრძანება, მეორეს - მინიშნება, ,,თუმცა საჭიროებაც კი არ არის დაელაპარაკო კუტუზოვს - ის ყველაფერს თვითონ ხვდება". 1762 წელს, ეკატერინე დიდმა, ტახტზე ასვლის შემდეგ, გაახმოვანა საკუთარი განზრახვა გაეზარდა არმია, რომელიც თანდათანობით გაიზარდა კიდეც ნახევარ მილიონამდე. გასაოცარი არაა რომ ეკატერინეს ომები პოლონეთის, თურქეთის, შვედეთისა და ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ხალხების წინააღმდეგ წარმატებული იყო. ეს იყო რუსეთის მხრიდან ყველაზე დიდი ექსპანსიის პერიოდი, და ეს წლები იყო კუტუზოვის კარიერის განვითარების ხელისშემწყობი წლები. მან არა მხოლოდ აღმოაჩინა ომის არასასიამოვნო რეალობა ამ კამპანიების დროს - თვალი დაკარგა ერთ-ერთ ბრძოლაში-არამედ ის იბრძოდა კარგად და აგრეთვე მოიპოვა მნიშვნელოვანი დიპლომატიური პოსტები - კონსტანტინეპოლში, ფინეთსა და ბერლინში.

როცა აუსტერლიცის შედეგმა დროებით შელახა კუტუზოვის რეპუტაცია, ამ მარცხმა აგრეთვე ზიანი მიაყენა რუსეთის პრესტიჟს და არაპირდაპირად განაპირობა გენერლის შესაძლებლობების აღდგენა. კერძოდ, რუსეთის დანაკარგით გამხნევებულმა და ნაპოლეონის მოქმედებებით წაქეზებულმა ოსმალეთმა (თურქეთმა) განაახლა ომი რუსეთის წინააღმდეგ 1806 წელს. კონფლიქტი იყო ხანგრძლივი და ძვირადღირებული, რუსმა გენერლებმა კი კამპანიის პირველ ეტაპზე წარუმატებლობა განიცადეს. საფრანგეთთან ომის საფრთხით შეწუხებულმა ალექსანდრემ ბოლოს შეარ-

ჩია კუტუზოვი, რათა მას ეხელმძღვანელა მდინარე დუნაიზე 1811 წელს წარმოებული კამპანიისათვის. კუტუზოვმა დაასკვნა, რომ ბრძოლის დასრულების ყველაზე სწრაფი გზა იყო უკან დახევა და თურქების შეტყუება საყრდენი პუნქტებიდან მდინარე დუნაის გადაღმა. ამ ახალმა სტრატეგიამ შედეგად მოიტანა გადამწყვეტი გამარჯვება სამ თვეში, ხოლო კუტუზოვმა დაიმსახურა ქება და სამეფო ჯილდოები. სწორედ მოწინააღმდეგის არმიის განადგურება იყო კუტუზოვის მთავარი მიზანი და არა თურქების ცალკეული საყრდენი პუნქტების ხანგრძლივი ალყები. მიიღებდა კი რუსეთის საიმპერატორო კარი იგივე კონცეფციას ნაპოლეონის თავდასხმის შემთხვევაში?

საფრანგეთის შემოსევამდე ცოტა ხნით ადრე გენერალიტეტთან შეხვედრაზე იმპერატორმა ალექსანდრე I-მა განაცხადა:

,,ჩვენ გამიზნული გვაქვს მივსდიოთ იმ სისტემას, რამაც ველინგტონს გაამარჯვებინა ესპანეთში და რამაც დააუძლურა საფრანგეთის არმია - ხანგრძლივი ბრძოლების თავიდან აცილება და დაკავშირების იმ გრძელი ხაზების ორგანიზება უკან დახევისთვის, რომლებიც სანგრებით გამაგრებულ ბანაკებამდეა გაჭიმული.”

არაფერი იყო ნახსენები კუტუზოვის შესახებ, რომელმაც გაათავისუფლა მეფე ომისგან რუსეთის სამხრეთ ფლანგზე. ალექსანდრეს სძულდა კუტუზოვი აუსტერლიცში კატასტროფული დანაკარგების გამო და იმ სიმართლისთვის, რომელიც მან პირდაპირ უთხრა მეფეს წინა საღამოს, რომ ბრძოლა წაგებული იყო. ალექსანდრემ კი არ დაუჯერა კუტუზოვს, რაც შემდგომში მწარედ ინანა. შედეგად, თურქეთის ომის გმირი, ფელდმარშალი კუტუზოვი 1812 წლის დასაწყისში გადადგა თანამდებობიდან 67 წლის ასაკში.

ნაპოლეონის რუსეთში შეჭრა

1812 წელს ნაპოლეონის მიერ რუსეთში შეჭრის მოტივების გაგება მნიშვნელოვანია, როცა განიხილავ მის სულიერ მდგომარეობას ყველაზე გრანდიოზული კამპანიის დასაწყისში. ეს იყო უფრო მეტი, ვიდრე კონტინენტური ბლოკადის წარუმატებლობა, რამაც განაპირობა მისი გადაადგილება აღმოსავლეთით. ტილზიტის შემდეგ და განსაკუთრებით 1810-11 წლებში იმპერატორი განიხილავდა ევროპას, როგორც მის პირად სამფლობელოს. კონტინენტზე არ იყო საკმარისი სივრცე ორი ძლიერი იმპერიისთვის. ნაპოლეონს ალბათ არ სურდა ომი, თუმცა მისი შემწყნარებლური და მბრძანებლური ჩვევა საკუთარი ნება-სურვილის ქვეშ მოექცია ყველა ქვეყანა და ცალკეული პირი-აშკარად განაპირობებდა გიგანტურ განზომილებებიან კონფლიქტს.

ხოლო რაც შეეხება საფრანგეთს, რომელსაც უკვე გადატანილი ჰქონდა ომის დიდი ტვირთი ორი ათწლეულის განმავლობაში, ხედავდა, რომ მისი ცოცხალი ძალა განადგურდა დაუსრულებელი ომის შედეგად ესპანეთში. ოდესღაც ნაპოლეონი დაინტერესებული იყო საფრანგეთის დიდებით; ეხლა კი ეს ერთი ადამიანი ახდენდა ქვეყნის უმოწყალო ექსპლოატაციას. შესაძლებელია თვალყური ადევნო ნაპოლეონის მხრიდან ძალაუფლების შემზარავი წყურვილის ზრდას სულ მცირე 1800-იანი წლებიდან. მისი დამოკიდებულება საფრანგეთის მიმართ არასოდეს ყოფილა ისე ნათლად გამოხატული, როგორც ეს გამოჩნდა 1809 წელს მის სიტყვებში:

,,მე მაქვს მხოლოდ ერთი ჟინი, მყავს ერთადერთი ქალბატონი და ეს არის საფრანგეთი. მე მძინავს მასთან ერთად. მას არასოდეს არ უღალატია ჩემთვის, მან გულუხვად გაიღო სისხლი და სიმდიდრე ჩემთვის. თუ მე დამჭირდება ხუთასი ათასი ადამიანი, ის ამასაც მომცემს.”

ფაქტიურად, მისი ქალბატონი იყო არა საფრანგეთი, არამედ სამხედრო ძალა. საფრანგეთი უბრალოდ ამარაგებდა რესურსს მისი აგრესიისთვის.

საფრანგეთის მზადება

მიუხედავად ამისა, საფრანგეთის სახელმწიფომ ვერ შეძლო მთელი იმ ცოცხალი ძალისა და მარაგის უზრუნველყოფა, რაც საჭირო იყო რუსეთის დამორჩილების მიზნით იმპერატორის გრანდიოზული გეგმის განსახორციელებლად. მთელი 1811 წლის განმავლობაში ნაპოლეონი მუშაობდა, რათა მოეხდინა რუსეთის წინააღმდეგ მთელი კონტინენტის მობილიზება. მან არა მხოლოდ გადასახადები დააკისრა დამორჩილებულ სამეფოებს ესპანეთში, იტალიასა და გერმანიაში, არამედ მან აგრეთვე მოიხმო ავსტრია და პრუსია, რათა ამ სახელმწიფოებს საკუთარი წვლილი შეეტენათ ცოცხალი ძალისა და საქონლის სახით. (ნაპოლეონის მარშალმა, კრონპრინცმა ბერნადოტმა, რომელიც ახლად დანიშნული იყო შვედეთის მეფედ, საკუთარ ქვეყანას თავიდან აარიდა რუსეთთან კონფლიქტი მანამ, სანამ ნაპოლეონმა არ დააჩქარა ეს საკითხი შვედური პომერანიის დაკავებით 1812 წლის იანვარში). 1812 წლის თებერვალში, პრუსიის მეფემ ფრიდრიხ ვილჰელმ III-მ დიდი ყოყმანის შემდეგ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რამაც ნაპოლეონი 20.000 ჯარისკაცით უზრუნველყო რუსეთის წინააღმდეგ ომისთვის, ხოლო მარტში ავსტრია აშკარად უხალისოდ დაჰპირდა 30.000 კაციან დამხმარე კორპუსს. მთლიანობაში ნაპოლეონს შეეძლო დაყრდნობოდა თითქმის 700.000 კაცს, რომელშიც შედიოდნენ 20 სხვადასხვა ეროვნების ადამიანები და მათგან 600.000-ზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა რუსეთის საზღვარი. დიდი არმია (Grande Armee) არასოდეს მოიცავდა ასე ბევრ უცხოურ კონტიგენტს. ჩვეულებრივ ზომაზე მეტად გაზრდილი ამ ვეებერთელა არმიის თავმოყრა და გამოკვება რთული იყო. მხატვრულად რომ გამოვხატოთ-1805-1807 წლების რაპირას (ორლესული ხმლის) მსგავს ძალასთან შედარებით, ეს ძალა ხელკეტს წააგავდა. როცა ნაპოლეონმა გადაწყვიტა ომი 1812 წელს, თითქოს უკვე შეუძლებელი ჩანდა უკან დახევა. ყველა გონივრული საკითხი გაფერმკრთალდა დიდი თავგადასავალის ცდუნების წინაშე. გამარჯვება გახდა ნარკოტიკი, ხოლო იმპერატორი მოექცა საკუთარი უზარმაზარი ამბიციის ტყვეობაში.

ამ უზარმაზარი არმიის მომარაგება მრავალ პრობლემას სახავდა. ნაპოლეონმა ზუსტად განსაზღვრა, რომ არმია ვერ შეძლებდა თავის რჩენას პოლონეთსა და რუსეთში, და ამიტომ გასცა სამხედრო ბანაკებისა და სამხედრო მასალების საწყობების ქსელის შექმნის ბრძანება, საიდანაც მოხდებოდა დაწინაურებული ძალების მომარაგება. გენერალი იოზეფ პონიატოვსკი იცავდა მდინარე ვისლას ხაზს; დანციგი გახდა უზარმაზარი ბაზა, სადაც ინახებოდა დიდი რაოდენობის მომარაგება. მდინარე ნემანი უზრუნველყოფდა წყლის ტრანსპორტით გადაადგილებას მეწინავე ბაზისკენ კაუნასზე, ხოლო ხარებითა და ოთხთვალებით აღჭურვილი 26 სატრანსპორტო ბატალიონი მიჰყვებოდა უკან საბრძოლო ელემენტებს, რომელთაც ჰქონდათ საბრძოლო მასალა და სამი კვირის სურსათის მარაგი. თითოეულ ჯარისკაცს ზურგჩანთით მიჰქონდა ოთხი დღის ნორმა - სათადარიგო საკვები. ნაპოლეონი მარშალ დავუსადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა: ,,ჩვენ უნდა წავიღოთ თან ყველაფერი რაც გვჭირდება.'' ტვირთის გადასაზიდად ჰყავდათ 90.000 გამწევი ცხოველი - რომელთაგანაც 20.000 იყო ხარი. გარდა ამისა, მათ ჰყავდათ საარტილერიო საშუალებების გამწევი 30.000 ცხენი და 80.000 კავალერიის საბრძოლო ცხენი. ეს უჩვეულო და ვეებერთელა ლოგისტიკური (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის) ელემენტი მნიშვნელოვანი იყო არმიის გადასარჩენად, თუმცა ის შეზღუდავდა მობილურობას თუკი საჭირო გახდებოდა ნაპოლეონის ქვედანაყოფებისთვის რუსეთის სიღრმეში შეტევა.

დიდი არმია 1812 წლის ივნისში

კორპუსი	მეთაური	ქვეითი დივიზიები	საკავალერიო დივიზიები	რიცხოვნობა	ჯარების ეროვნება
I	დავუ	5	1	72.051	ფრანგები, მიმაგრებული ესპანელებითა და გერმანელებით.
II	უდინო	3	1	37.139	ფრანგები, შვეიცარიელები და პორტუგალიელები.
III	ნეი	3	1	39.342	ფრანგები, პორტუგალიელები და დალმაციელები.
IV	ეუჟენი*	4	1	45.798	იტალიელები, მიმაგრებული ფრანგებითა და ესპანელებით.
V	პონიატოვსკი	3	1	36.311	პოლონელები.
VI	სენ სირი	2	1	25.134	ბავარიელები.
VII	რენიე	2	1	17.194	საქსონები.
VIII	ჟერომი*	2	1	17.935	ვესტფალიელები და გერმანელები.
IX	ვიქტორი	3	1	33.567	ფრანგები, პოლონელები და გერმანელები.
X	მაკდონალდი	3	1	32.497	პოლონელები, ბავარიელები, ვესტფალიელები და პრუსიელები.
XI	ოჟერო	5	1	50.000	ფრანგები, გერმანელები და ნეაპოლელები.
კავალერიის რეზერვი	მიურატი (ოთხი კორპუსი, ორი მიკუთვნებული ჟერომსა და ეუჟენისთვის)	–	11	40.153	ფრანგები, ვუტემბერგები, საქსონები, ვესტფალიელები, პრუსიელები, პოლონელები და ბავარიელები.
გვარდია,	ბესიერი	–	–	(6.279)	ფრანგები.
კავალერია,	ლეფევრი	–	–	(41.004)	ფრანგები.
ძველი გვარდია,	მორტიე	–	–		ფრანგები, პოლონელები, ჰოლანდიელები, შვეიცარიელები და გერმანელები.
ახალი გვარდია.					
მთლიანი გვარდია				47.283	

ავსტრიის დამხმარე კორპუსი	შვარცენბერგი	4	1	34.148	ავსტრიელები.
იმპერიის შტაბი	ბერტიე	–	–	3.983	ფრანგები.
არტილერია და საინჟინრო	ბუასიერი (არტილერია) შასელუპი (საინჟინრო)	– –	– –	18.265	ფრანგები.
მთელი ჯარის რაოდენობა, რაც შევიდა რუსეთში				550.800	

როცა არმია გადაადგილდებოდა, ეუჟენი აკონტროლებდა IV და VI კორპუსებს, აგრეთვე მიურატის ერთ-ერთ კორპუსს; ჟერომი აკონტროლებდა V, VII და VIII კორპუსებს, აგრეთვე მიურატის ერთ-ერთ კორპუსს; ხოლო ნაპოლეონი პირადად აკონტროლებდა I, II, და III კორპუსებს, აგრეთვე გვარდიას და მიურატის დანარჩენ კავალერიას.

1812 წლის გაზაფხულის განმავლობაში ნაპოლეონის ბრძანებით დავუმ მდინარე ოდერიდან წინ წასწია 80.000 ჯარისკაცი, ნეის კორპუსმა გადაკვეთა საფრანგეთი ბულონთან გაშლილი ბანაკიდან, ჟერომის გერმანული არმია უკან გაჰყვა დავუს, ხოლო ეუჟენის იტალიურმა არმიამ გაიარა მიხვეულ-მოხვეული გზა ალპებში. იმპერატორი გეგმავდა, რომ ეს შენაერთები მას ეყოლებოდა თავმოყრის რაიონებში მდინარე ნემანის გასწვრივ მაისის ბოლოსთვის.

ამასობაში, ნაპოლეონი სწავლობდა რუკებს, კითხულობდა წიგნებსა და მოხსენებებს რუსეთთან დაკავშირებით. ის განსაკუთრებით დაინტერესებული იყო პოლონეთსა და რუსეთში შვედეთის მეფის კარლოს XII-ის კამპანიის საკითხებით. მან მიიღო საკმარისი ინფორმაცია რუსეთის ტოპოგრაფიაზე, ხალხსა და ისტორიაზე. ბონაპარტე აღფრთოვანდა ამ ქვეყნის მასშტაბების სიდიდით, რამაც ის მოიყვანა მოძრაობაში. 1805 წელს დიდმა არმიამ გადალახა 400 მილი ლა-მანშიდან დუნაიმდე. იმავე 1805 წელს დიდი არმია ითვლიდა 200.000 ადამიანს. ამჟამად უცხო ქვეყნის ჯარებით გაძლიერებული ეს ძალა იყო სამჯერ უფრო დიდი. დავუსადმი 1811 წლის ბოლოს მიწერილ წერილში ნაპოლეონი წერდა: ,,მე არასოდეს არ მოვმზადებულვარ ასე დიდად.”

საფრანგეთის დაზვერვამ განსაზღვრა რუსეთის მთავარი შენაერთების ადგილმდებარეობა და შეაფასა მათი რაოდენობა, რაც შეადგენდა 200.000 ადამიანს. მდინარე ვისლას გასწვრივ კონცენტრირების ნაპოლეონისეული გეგმა იძლეოდა შეჭრის რამდენიმე მარშრუტის არჩევის შესაძლებლობას პრიპიატის ჭაობების სამხრეთით ან ჩრდილოეთით. თუმცა, არჩევანის გაკეთება რთული იყო. კლიმატისა და მარცვლეულის მარაგის გამო სამხრეთის მარშრუტი იყო უპირატესი, თუმცა რუსეთის მთავარი არმია ფარავდა მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგამდე მისასვლელ მარშრუტებს. ფაქტიურად, რუსეთის ძალები გაფანტული იყო ყველა შესამჩნევი გზის დასაფარად.

1812 წლის 25 მაისს საფრანგეთის იმპერატორი ჩავიდა დრეზდენში სამეფო დიდებულებით გარშემორტყმული. მომდევნო დღეს მან დაიწყო ბრძანებების გაცემა, რომლებიც ამჟღავნებდა მისი კამპანიის გეგმას. ის წერდა დავუს: ,,ყველა ჩემი გადაადგილების შედეგი იქნება ერთ პუნქტში 400.000 ადამიანის კონცენტრირება ...” მომდევნო კვირას სორნიდან ის თავის ძმას ჟერომს წერდა: ,,მე გადავკვეთავ მდინარე ნემანსა და ხელში ჩავიგდებ ვილნოს, რომელიც კამპანიის პირველი სამიზნე-ობიექტია.” მისი განზრახვა, როგორც ის უხსნიდა ჟერომს, იყო აეძულებინა უკან დახეული

მოწინააღმდეგე შეჩერებულიყო და გამოეწვია ბრძოლა რუსეთის შიდა ნაწილში ან წამოეწყო თავდასხმა ვარშავის მიმართულებით. თუ რუსები მიიღებდნენ ბრძოლას, როგორც ის განმარტავდა ეუჟენისა და ბესიერის მიმართ მიწერილ წერილში, მაშინ გამოიყენებდა მასირებულ მანევრს ,,მათ ფლანგზე და ზურგში მთელი საკუთარი არმიით. არმიის წინ წაწევა არის გადაადგილება, რომელსაც მე განვახორციელებ ჩემი მარცხენა ფლანგით და ამავე დროს უკუვაგდებ ჩემს მარჯვენა ფლანგს....''

ამგვარად, ნაპოლეონი გეგმავდა რუსეთის ვრცელ ფართობზე გაჭიმული ფრონტის გახლეჩვას მთავარი არმიის პირდაპირი წინ წაწევით კოვნოდან ვილნომდე. ამ მანევრის სავარაუდო წარმატების შემდეგ საფრანგეთის ძალები დაამარცხებდნენ რუსეთის არმიის დანარჩენ ნაწილებს მთლიანად. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი განახორციელებდა თავდასხმას ვარშავის მიმართულებით-მობრუნდებოდნენ სამხრეთისკენ და გარშემოერტყმებოდნენ მოწინააღმდეგის ძალას და აიძულებდნენ მას მდინარე ვისლას მიმართულებით გადაადგილებას. არმიის ზომის შენაერთები ეუჟენისა და ჟერომის ხელმძღვანელობის ქვეშ წინ წაიწევდნენ ეშელონებად; მაკდონალდის კორპუსი, რომელიც გაძლიერებული იყო პრუსიელებით, უნდა წინ წაწეულიყო ბალტიის სანაპიროს გასწვრივ; შვარცენბერგის ავსტრიელებით დაკომპლექტებული კორპუსი დაიცავდა სამხრეთ ფლანგს. ეს იყო კეთილშობილური გეგმა, რომელიც შეესაბამებოდა სახიფათო წამოწყების დიდ მიზანს. მაგრამ რა მოხდებოდა მაშინ თუ რუსები არ ჩაებმებოდნენ ბრძოლაში და უკან დაიხევდნენ აღმოსავლეთით? არაფერი იყო ამ ვარაუდის შესახებ ნათქვამი იმ დიდი მოცულობის წერილებში, რომლებიც ნაპოლეონმა დაწერა ქვეყანაში შეჭრის წინა დღეს. მისი განზრახვა იყო ბრძოლის გამოწვევა, რუსეთის არმიის დამარცხება და შეთანხმების პირობების წაყენება. აშკარად, არც ის და არც მისი ჯარისკაცები, რომლებმაც მხნედ დაიწყეს მდინარე ნემანის გადაკვეთა 22 ივნისის საღამოს, არ დაფიქრებულან ამ უშუალო მიზნის მიღმა ვითარებაზე.

ადრეული ოპერაციები

რუსეთის მხარეს კამპანიის პირველ კვირეებში შეიმჩნეოდა დიდი დაბნეულობა. თავდაპირველად, ალექსანდრემ არ დანიშნა მთავარსარდალი სამი მეწინავე არმიის მოქმედებების კოორდინირების მიზნით. მას განზრახული ჰქონდა თავად ეკისრა ეს როლი, თუმცა ომის მისეული გაგება მცირედ იყო გაუმჯობესებული აუსტერლიცის შემდეგ და მისი სტრატეგია იყო გაურკვეველი. ნაპოლეონის წინ წაწევის მთავარ ღერძზე 127.000 რუსი ჯარისკაცი შეეჯახებოდა 300.000-ზე მეტ საფრანგეთისა და მოკავშირე ქვეყნების ჯარებს. მიხეილ ბოგდანის ძე ბარკლაი დე ტოლის, შოტლანდიელი ოფიცრის შთამომავალს, დაევალა სანქტ-პეტერბურგამდე და მოსკოვამდე გზების დაცვა და მიენიჭა მდინარე დვინაზე გამაგრებულ ბანაკში უკან დახევის უფლებამოსილება, რაც სავარაუდოდ განაპირობებდა საფრანგეთის არმიის დაწყობას პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის მიერ სამხრეთიდან განხორციელებული კონტრდარტყმის საპასუხოდ. თუმცა, პეტრე ბაგრატიონმა, მამაცმა და მტკიცე ჯარისკაცმა, უარი განაცხადა დე ტოლისთან თანამშრომლობაზე. სამაგიეროდ, როცა ბაგრატიონმა ვარშავაზე შეტევის წინადადება წამოაყენა, ბარკლაიმ არ გამოავლინა დიდი ენთუზიაზმი და სწრაფად, თუმცა ბრძნულად გასცა უკან დახევის ბრძანება.

სურათი 53. მიხეილ ბარკლაი დე ტოლი (1761-1818). გენერალ-ფელდმარშალი, ნიჭიერი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

სურათი 54. იოაჰიმ მიურატი (1767-1815). საფრანგეთის მარშალი და ფრანგული კავალერიის სარდალი

27 ივნისისთვის მიურატის კავალერია მიუახლოვდა ვილნოს, ჟერომი გადაადგილდა გროდნოსკენ, ხოლო არმიის გვერდითი დაცვის ქვედანაყოფები დაწინაურდნენ მდინარეების ნემანისა და ბუგის გასწვრივ. გენერალ პლატოვის კაზაკებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ფრანგების არიერგარდის არარეგულარულ შეტევებს. თუმცა რუსები არსად ჩანდნენ და ნაპოლეონი არ იყო დარწმუნებული თუ რა უნდა გაეკეთებინა შემდეგში. კამპანიის ამ ადრეული დღეების განმავლობაში ჯარები შეწუხებულები იყვნენ სიცხის გამო - ისინიც კი ვინც მანამდე იბრძოდნენ ესპანეთში და შეჩვეულები იყვნენ მსგავს კლიმატს. ერთ-ერთი ლეიტენანტი მარშირებას აღწერდა როგორც რიგების შეთხელებას უჩვეულო ხარისხამდე, რომ ,,ათასობით ადამიანი უჩინარდებოდა ძალიან მოკლე დროის ფარგლებში''. ყველაზე არასასიამოვნო ფაქტორი ჯარისკაცისთვის იყო მტვერი. იმავე შემთხვევის დროს ოფიცერი შენიშნავდა, რომ სქელი მტვერი ,,გარსშემოგვეხვია ჩვენი მარშირებისას. ... მე გავეცი უკან დახევის ბრძანება მარშირების ერთ-ერთ ეტაპზე, რათა თავიდან ამეცილებინა ვინმეს გზიდან გადახვევა, მედოლე განთავსებული იყო თითოეული ბატალიონის თავში.''

სურათი 55. პეტრე ბაგრატიონი (1765-1812).
ინფანტერიის გენერალი, გამოჩენილი სარდალი
და მამაცი მეომარი

ივნისის ბოლოს ამინდი მკვეთრად შეიცვალა. დაიწყო კოკისპირული წვიმები, რამაც შეანელა მთავარი კოლონის წინ წაწევა. ავადმყოფობამ შეასუსტა ცხენებისა და ჯარისკაცების ძალა. ჟან კოიგნეტმა, სამეფო დაცვის ოფიცერმა, ათასობით დაღუპული ცხენის ხილვის შემდეგ თავის დღიურში ჩაწერა, რომ ცხენები დაიხოცნენ არასაკმარისი საკვებისა და ტემპერატურის უეცარი დაცემის გამო. აგრეთვე საკვების რეგულარული განაწილება შეჩერდა, როგორც კი უმეტესმა ქვედანაყოფმა გადაკვეთა მდინარე ვისლა. ბავარიული კორპუსის ერთ-ერთი ოფიცერი დღის განრიგის შესახებ წერდა: ,,თითოეულ ადამიანს მიეცი უფლება შეჭამოს ის, რასაც იპოვის და იცხოვროს ისე, როგორც მოახერხებს.'' ამ მოულოდნელი პრობლემების გამო ნაპოლეონის გაღიზიანებამ გამოხატულება ჰპოვა დაქვემდებარებული მეთაურებისადმი მიწერილ წერილებში, განსაკუთრებით არაკომპეტენტური ჟერომისადმი მიწერილ წერილში: ,,მე შემიძლია მხოლოდ გამოვხატო ჩემი უკმაყოფილება შენგან მიღებული ინფორმაციის სიმცირის გამო. მე არც ბაგრატიონის დივიზიების რაოდენობა ვიცი, არც მათი სახელები, არც სად იყო ის, არც რა ინფორმაცია მოიპოვე შენ გროდნოში, და არც ის თუ რას აკეთებს ახლა.'' ამასობაში, ნაპოლეონმა მიიღო მნიშვნელოვანი ოპერატიული გადაწყვეტილება, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ჟერომის კორპუსის ჯგუფი გადაადგილებულიყო ბაგრატიონის ჯარის მიმართულებით, ხოლო დავუს კორპუსი გადაადგილებულიყო სამხრეთით მინსკის მიმართულებით, რათა გზა გადაეჭრათ ნელი სვლით უკან დახეული რუსეთის მეორე არმიისთვის. მანევრი კარგად მოფიქრებული იყო, თუმცა ნაპოლეონს, რომელიც იმყოფებოდა შორს ვილნოში, არ შეეძლო ფართოდ გაშლილი კოლონების კოორდინირება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჟერომის

წინსვლა შეყოვნდა. 5 ივლისს ნაპოლეონმა ბერტიეს უბრძანა შეეტყობინებინა ჟერომისთვის ,,რომ მისი მანევრის ყველა შედეგი და საუკეთესო შესაძლებლობა ომში დაიკარგა ჟერომის მხრიდან ომის უმარტივესი გაგების უჩვეულო გაუთვითცნობიერებლობის გამო.'' ნაპოლეონი იძულებული გახდა უგულებელყო საკუთარი წარუმატებელი გეგმა და დაფიქრებულიყო ახალი გეგმის შედგენაზე.

რადგან იმპერატორს არ ჰქონდა საკმარისი სადაზვერვო ინფორმაცია რუსეთის ჯარების განლაგებაზე, მან გადაწყვიტა, რომ დავუ უნდა წაწეულიყო წინ მინსკის მიმართულებით, რათა ბაგრატიონისთვის აეძულებინა სამხრეთით გადაადგილება და მახეში გაება რუსეთის მოუხელთებელი მეორე არმია დავუსა და ჟერომის შენაერთებს შორის. ამავე დროს, მიურატსა და ნეის მოუხდათ ბარკლაის პირველი არმიის მიმართულებით გადაადგილება და დვინას დასავლეთით მისი შებოჭვა. ამასობაში ნაპოლეონმა შეაგროვა ძლიერი რეზერვი, რომელიც შედგებოდა ეუჟენის, სენ სირის კორპუსებისა და გვარდიისაგან და დაგეგმა თამამი გადაადგილება ვიტებსკის მიმართულებით, რათა გზა გადაეჭრა ბარკლაის უკან დახევისთვის. ნაპოლეონი ძირითადად თვითონ იყო დაკავებული ამ ოპერაციის განხორციელებით, ამიტომ მან უფლებამოსილება უსიტყვოდ გადასცა დავუს, რათა ჟერომის ძალების მართვა საკუთარ თავზე აეღო ,,თუ კორპუსები შეერთდებოდნენ.''

ამასობაში, გრძელდებოდა შუღლი ბაგრატიონსა და ბარკლაის შორის. ამონარიდი ბაგრატიონის ერთ-ერთი წერილიდან ბარკლაისადმი:

,,დაფიქრდით მეფესა და რუსეთზე. რატომ არ ვუწევთ წინააღმდეგობას მოწინააღმდეგეს მაშინ, როცა ამის გაკეთება ასე ადვილად შეგვიძლია? ადამიანი მართლაც უნდა იყოს მეფისა და ქვეყნის მოღალატე, რათა გამოიწვიოს ჩვენი ამგვარი განადგურება.''

სანამ რუსეთის გენერლები აგრძელებდნენ ჩხუბსა და კამათს, რუსეთის ჯარები მუდმივად უკან იხევდნენ. ჯარისკაცების დაქანცვის შემდეგ, დავუმ ბოლოს დაინახა ხელსაყრელი შემთხვევა, რომ შეტაკებოდა ბაგრატიონს და ურჩია ჟერომს საკუთარ თავზე აეღო გაერთიანებული ძალების მეთაურობა. პირადი, სუბიექტური მოტივებით დავუზე განაწყენებულმა ჟერომმა მიატოვა თანამდებობა და დატოვა დაქვემდებარებულები მითითებების გარეშე თითქმის ერთი კვირის განმავლობაში. ვიდრე დავუ შეძლებდა კონტროლის აღდგენას, ბაგრატიონი მას ხელიდან გაუსხლტა, თუმცა ამ უკანასკნელმა მანამდე შეძლო მოგილევზე ძლიერი შეტევის მიტანა. ამასობაში, გენერალ ალექსეი პავლეს ძე ტორმასოვის მესამე არმიამ, რომელიც მანამდე იმყოფებოდა საკუთარ პოზიციებზე პრიპიატის ჭაობების სამხრეთით, დაიწყო საძიებო ჯგუფების გაგზავნა პოლონეთში. ნაპოლეონი, რომელიც გაცოფებული იყო იმით, რომ ვერ შეძლო უკან დახეული რუსების შებოჭვა, განრისხდა დავუზე.

18 ივლისს ალექსანდრემ ბოლოს და ბოლოს უმაღლესი სარდლობა დაუთმო ბარკლაის, რაშიც იგი საკუთარმა გარემოცვამ დაარწმუნა და დაბრუნდა უკან მოსკოვში, რათა მოეხდინა ქვეყნის თავდაცვის ორგანიზება. ბარკლაიმ ბაგრატიონს უბრძანა შეერთებოდა მას ვიტებსკის სიახლოვეს, თუმცა მაშინვე როგორც კი მან დაწერა ბრძანება, ის უკვე ფიქრობდა სმოლენსკში უკან დახევაზე. ნაპოლეონმა აიძულა მიურეი უკან დადევნებოდა ბარკლაის, თუმცა აუკრძალა ძლიერი ზეწოლის განხორციელება, რადგან ნაპოლეონი შიშობდა, რომ ძლიერი ზეწოლა რუსების უკან დახევას დააჩქარებდა. აგვისტოს დასაწყისში ნაპოლეონს სახარბიელო მდგომარეობა ეკავა, რადგან მან მოიპოვა ინიციატივა ყველაფერში; თუმცა უკვე 300 მილზე რუსეთის შიგნით მან ვერ შეძლო საკუთარი უპირატესობის გამოყენება. იმპერატორისთვის ცნობილი არ იყო, რომ ბარკლაი, რომელიც იმ

დროისთვის რუსეთის არმიის უმაღლესი მეთაურობის უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი, აპირებდა ფრანგებისთვის პირველი შესაძლებლობის მიცემას, რაც მდგომარეობდა სმოლენსკის თავდაცვისას გაერთიანებული პირველი და მეორე არმიების გამოყენებით ბრძოლის შეთავაზებაში.

სმოლენსკი: კრიტიკული წერტილი

იმპერატორის მიერ სივრცისა და დროის თავდაპირველი გათვლები ნათლად ახდენდა იმის პროგნოზირებას, რომ კამპანიის დასაწყისი გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნებოდა. მიზნის მისაღწევად საჭირო რესურსების გათვლისა და დაგეგმვისას მან სავარაუდოდ განსაზღვრა ეწარმოებინა გადამწყვეტი ბრძოლა ერთი თვის განმავლობაში მდინარე ნემანის გადაკვეთის შემდეგ, რის შემდეგაც მოლაპარაკებები უეჭველად დაიწყებოდა და არმია შეძლებდა ძალების აღდგენას. იმ თვის დასასრულისკენ ნაპოლეონმა დაიწყო იმის აღიარება, რომ განვითარებული მოვლენები მისი შეფასებების საფუძვლიანობის მცდარობას ამტკიცებდნენ. გზები დანაგვიანებული იყო დახოცილი ცხენებით, ავანგარდმა შეძლო მცირე საკვების მოპოვება, რადგან რუსებმა ყველგან მიატოვეს საკუთარი სახლები, ხოლო ვიტებსკში მან აღმოაჩინა, რომ ბარკლაიმ ააფეთქა საბრძოლო მასალის საწყობები უკან დახევამდე. საფრანგეთის არმიის პირობები გაუარესებული იყო უწესრიგობის, წყლის მარაგისა და მომარაგების აღალების მიუწდომლობის გამო, რათა კონტაქტი შეენარჩუნებინათ მეწინავე ელემენტებთან. გაბატონდა უწესრიგობა, გვარდიაშიც კი, რომელმაც დაკარგა 9.000 ჯარისკაცი ორ კვირაში. იმ დროისთვის რუსეთის გაერთიანებული არმია განლაგებული იყო სმოლენსკის სიახლოვეს, 80 მილის დაშორებით, თუმცა საფრანგეთის ჯარების სისუსტემ, ცხენების ნაკლებობამ - უკვე 80.000 ცხენი იყო დახოცილი - და საბრძოლო მასალის ნაკლებობამ დაუყოვნებელი წინ წაწევა შეუძლებელი გახადა. იმპერატორი იძულებული გახდა შეყოვნებულიყო ვიტებსკთან, რათა ჯარისკაცებისთვის, ცხოველებისა და ქვემეხებისთვის დაწევის შესაძლებლობა მიეცა. ეს შეჩერება, რასაც ნაპოლეონი გაღიზიანებული დამორჩილდა, მას ორზე მეტ ძვირფას კვირად დაუჯდა. ამავე დროს გაძლიერდა პარტიზანული მოძრაობა ფრანგების წინააღმდეგ. ალექსანდრე I-ის მანიფესტის შესაბამისად, რუსეთის ეკლესიამ მოუწოდა მოსახლეობას იარაღი აღემართათ წყეულ ლუთერანებთან საომრად ,,წმინდა რუსეთის" დასაცავად. და გლეხობამაც იარაღს მოჰკიდა ხელი ,,მეფისა და მამულისათვის".

დადებითმა სადაზვერვო ინფორმაციამ, რომ ბაგრატიონი შეუერთდა ბარკლაის სმოლენსკში, ნაპოლეონს იმედები გაუღვიძა. ის როგორც ჩანს ჯერ კიდევ ატყუებდა საკუთარ თავს მიურატის კავალერიის დანაკარგთან დაკავშირებით, რომლის ჭეშმარიტ ზომას მიურატი თავისთვის ინახავდა, თუმცა ბრძოლის კვალმა გააღვიძა ბონაპარტეს წარმოსახვა და გრძნობები. ის გეგმავდა მოხერხებულ მანევრს, რაც განაპირობებდა ბარკლაის ფლანგის მობრუნებას მდინარე დნეპრის სამხრეთ ნაპირის გადაკვეთით და სმოლენსკისაკენ მარშირებით. ნაპოლეონმა იცოდა, რომ ის უნდა გადაადგილებულიყო სწრაფად თუ ის აღასრულებდა გარშემორტყმის მანევრს ულმისა და იენას მსგავსად. საუბედუროდ, სწრაფი გადაადგილება აღარ იყო შესაძლებელი საფრანგეთის არმიაში. 10 აგვისტოს, ნაპოლეონი დავუს წერდა ,,შესაძლებელია, რომ მე მოვაწყობ ლაშქრობას სმოლენსკზე 200.000 ჯარისკაცით.'' როცა ბრძოლა სინამდვილეში დაიწყო ერთი კვირის შემდეგ, ფრანგი ჯარისკაცების იმ რაოდენობის მხოლოდ ნახევარი იყო იმ მომენტისათვის მომზადებული ბრძოლისთვის. აგრეთვე, არსებობდა შემაშფოთებელი სიმპტომები, რომ იმპერატორი, რომელსაც სტანჯავდა შარდის ბუშტის ანთება ხანგრძლივი კამპანიების დროს, აგრეთვე ქრონიკული დეარეა და ბუასილი, არ იყო საკმარისად აქტიური.

რუსების უშედეგო თავდასხმის შემდეგ, რომელიც შეჩერდა ბარკლაისა და ბაგრატიონს შორის არსებული უწყვეტი შუღლის გამო, ფრანგები დაწინაურდნენ. ავანგარდი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მიურატი და ნეი, ჩავიდა სმოლენსკში 16 აგვისტოს დილას. ნაპოლეონი ცხენით მიადგა სმოლენსკის შემოგარენს, დაათვალიერა ქალაქის დამცავი საფორთიფიკაციო ნაგებობები, რომლებიც აგებული იყო თათარ-მონღოლთა ბატონობის პერიოდში და გადაწყვიტა შეტევა მიეტანა მეორე დღეს. თუმცა, მეორე დღის საუკეთესო პერიოდი უკვე გასული იყო ვიდრე ნეის, დავუსა და პონიატოვსკის მიერ წარმოებული შეტევის შედეგად შესაძლებელი გახდა ქალაქის თავდაცვის მოსინჯვა. გაიაზრეს რა, რომ სმოლენსკი შესაძლებელია ქცეულიყო მახედ რუსეთის არმიისთვის, ბარკლაის ბაგრატიონისთვის უკვე ნაბრძანები ჰქონდა უკან დახევის დაწყება, ხოლო ამასობაში კი ბარკლაი თვითონ დაფარავდა უკან დახევას სმოლენსკში განლაგებული პოზიციებიდან. საფრანგეთის მძიმე არტილერიამ ცეცხლი წაუკიდა ქალაქს, შედეგად ბარკლაიმ გასცა ბრძანება საღამოს განმავლობაში მოეხდინათ სმოლენსკიდან ევაკუაცია. ნაპოლეონი შევიდა ცეცხლწაკიდებულ ქალაქში გამთენიისას და უბრძანა ნეის უკან გაჰყოლოდა ბარკლაის არმიას. თუმცა მისი ბრძანება უკვე ძალიან დაგვიანებული იყო.

სურათი 56. ფრანგები უტევენ სმოლენსკს

ნეის დევნა დასრულდა არიერგარდის დამაბნეველი ბრძოლებით იმ შემაღლებულ ადგილზე, რომელიც გადაჰყურებდა ქალაქს, თუმცა იმპერატორმა უკვე ვეღარ შესძლო გარშემომრტყმელ ძალასთან ერთად სამხრეთისკენ საკმაოდ სწრაფად გადაადგილება. მიუხედავად ამისა, 19 აგვისტოს ბოლოსთვის საფრანგეთის სამი კორპუსის ელემენტებს და მიურატის კავალერიას უკვე დაწყებული ჰქონდათ ზეწოლა ბარკლაის არიერგარდის წინააღმდეგ. რუსები გაბედულად იბრძოდნენ უსწორმასწორო ტყიან ხმელეთზე. რუსეთის ორივე არმია კვლავ გაუჩინარდა აღმოსავლეთისკენ.

ბრძოლები სმოლენსკში და მის გარშემო ნაპოლეონს 20.000 ადამიანის დაღუპვის საფასურად დაუჯდა, და ის ჯერ-კიდევ ძალიან შორს იყო იმ მიზნისგან, რაც გულისხმობდა რუსების დამორჩილებას. რეტროსპექტივაში, შესაძლებელია ჩანს, რომ მან დაიკავა ძლიერი პოზიცია და ამგვარად მას ჰქონდა თავისუფლება ემოქმედა სხვადასხვა სამოქმედო გეგმის მიხედვით. სამი ასეთი სამოქმედო გეგმა იყო: პირველი, მას შეეძლო სმოლენსკში დარჩენა და შესაძლებელია, როგორც ალტერნატივა, შეეტყუებინა რუსები, რათა შებმოდნენ მას იქ; მეორე, მას შეეძლო მთელი ზამთრის პერიოდის გამოყენება, რათა გაეძლიერებინა საკუთარი ლოგისტიკური სისტემა და ამ დამატებითი

დროით მოეძია პოლონეთის სრული მხარდაჭერა პოლონელების მხრიდან გაერთიანების თხოვნაზე დათანხმებით; მესამე, მას შეეძლო მდინარე ნემანის მიღმა უკან დახევა და საომარ მოქმედებათა კვლავ დაწყება 1813 წელს(ყველაზე უახლოეს მოკავშირეებთან ჩვეულებრივი მიმოწერის დროს ის საუბრობდა ,,გაზაფხულის კამპანიის'' შესახებ, რომელიც უნდა გაენახლებინა 1813 წელს).

ყველა ამ ვარიანტს ჰქონდა სერიოზული ნაკლი. პირველი გეგმა იყო ყველაზე გაურკვეველი. სმოლენსკს, რომლის მოსახლეობა შეადგენდა 20.000-ს, არ შეეძლო 10-ჯერ მეტი არმიის გაძლება, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც არტილერიის ცეცხლმა გაანადგურა მთავარი შენობები. რაც შეეხება ლოგისტიკას, მთავარი პრობლემა იყო ტრანსპორტირება. სმოლენსკის გარშემო გზები გაუარესებული იყო შემოდგომის წვიმების შედეგად. გარდა ამისა, ალექსანდრესთვის მშვიდობის პირობების წაყენება და სმოლენსკთან ხანგრძლივად შეჩერება იქნებოდა საკუთარი სისუსტის აღიარება. ესპანეთიდან მოტანილი ახალი ამბები მხარს უჭერდნენ ამ დასკვნას. გაზაფხულზე ქალაქების - ბადახოზისა და როდრიგოს ხელში ჩაგდების შემდეგ ველინგტონი ფარულად მისდევდა უკან მარმონტის არმიას სალამანკას სიახლოვეს. ამ დამარცხებების შესახებ ესპანეთიდან მიღებულმა ცუდმა ამბებმა ხელი შეუწყო აჯანყებებს მთელი იმპერიის ტერიტორიაზე. ნაპოლეონი ალბათ ეყრდნობოდა საკუთარ ინტუიციას და ინსტინქტს - მოწინააღმდეგის არმიის აღმოჩენის საკითხში - როგორც შესაბამისი უპირატესობების უბრალო გათვლებს. თუმცა, დევნის გაგრძელებამდე მან გაუგზავნა შეტყობინება რუსეთის მეფეს, სადაც ის ამაყად აცხადებდა, რომ ომს რუსეთთან მტრობის გამო კი არ აწარმოებდა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დიდ ბრიტანეთთან ანგარიშსწორების მიზნით. ალექსანდრეს პასუხი იყო გამანადგურებლად ეფექტური: სიჩუმე.

სმოლენსკთან ბრძოლის შემდეგ საფრანგეთის მთავარი არმიის სიძლიერე დაახლოებით 145.000 ადამიანამდე შემცირდა. ავადმყოფები და დაჭრილები სასტიკად განწირულები იყვნენ სამედიცინო ნაგებობების ნაკლებობის, წყლის სიმცირისა და სულის შემხუთავი სიცხის გამო. როგორც ჩანს ამან ზემოქმედება ვერ მოახდინა იმპერატორზე, რომელიც სიხარულით აცხადებდა ,,ერთ თვეში ჩვენ ვიქნებით მოსკოვში, ექვს კვირაში ჩვენ გვექნება მშვიდობა.'' ისმის კითხვა: იმ დროისთვის ნუთუ მოსკოვი იყო სამიზნე ობიექტი რუსეთის არმიის ნაცვლად?

არაგონივრული იქნებოდა იმ ფაქტის დაშვება, რომ რუსებისთვის ყველაფერი მიმდინარეობდა გეგმის შესაბამისად. ჭეშმარიტებაა ის, რომ მაისში ალექსანდრეს უკვე მგზნებარედ ჰქონდა გადაწყვეტილი: ,,თუ იმპერატორ ნაპოლეონს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ომი და თუ იღბალი არ გაგვიღიმებს ჩვენს საქმეში, მას მოუხდება სამყაროს დასასრულისკენ-ციმბირში წასვლა, რათა იპოვოს მშვიდობა.'' სმოლენსკის კაპიტულაციამ დიდი დარტყმა მიაყენა რუსეთის სიამაყეს. ამ დანაკარგის შემდეგ ბაგრატიონმა განაახლა ბარკლაისთვის გესლიანი შენიშვნების მიცემა: ,,თქვენ ვერც კი ხვდებით ჩვენს ტანჯვას, რაც გამოწვეულია უმოწყალო უკან დახევით; ეს უკანასკნელი კი იწვევს რუსეთის დიდ მწუხარებას.'' ბარკლაი ფლეგმატურად პასუხობდა: ,,გაჩუმდით, თქვენ ისეთივე რუსი ხართ როგორც მე.'' 27 აგვისტოს რუსებმა მიატოვეს ცეცხლის ალში გახვეული ვიაზმა. ბოლოს, ალექსანდრეს მოთმინება პიკს მიუახლოვდა. მან მოიხმო კუტუზოვი, რომელიც იყო ხალხისა და არმიის დიდი არჩევანი, რათა მას ეკისრა მეთაურობა, შეეკავებინა საფრანგეთის წინ წაწევა და გადაერჩინა წმინდა ქალაქი მოსკოვი.

ბოროდინო

ზომაში საგრძნობლად შემცირებულმა დიდმა არმიამ მოახერხა სმოლენსკსა და მოსკოვს შორის 280 მილის დაფარვა 28 დღეში. თუ გავითვალისწინებთ მათ ადრეულ მოქმედებებს - ეს იყო უჩვეულო ნაბიჯი. თუმცა, იმავე დროის განმავლობაში ნაპოლეონი თანდათანობით კარგავდა კონტროლს ვითარებაზე. მართალია გარეგნულად ის დარწმუნებული ჩანდა, თუმცა პირადად შეწუხებული იყო წარუმატებლობის საფრთხის გამო. ამავე დროს ის იტანჯებოდა სხვადასხვა ფიზიკური ავადმყოფობებისგან(შარდის ბუშტის ანთება, გასტრიტი და ქრონიკული დეარეა, გამწვავებული ბუასილი) და სასტიკად ექცეოდა მეთაურებსა და შტაბს. კოლენკურს, ერთ-ერთ მის უახლოეს მეგობარს, დაემუქრა სამსახურიდან გაგდებით, აგრეთვე შტაბის უფროსი ბერტიე, როგორც წესი, ყველაზე მეტად იტანჯებოდა ნაპოლეონის მრისხანებისგან. ,,ჩემო ბიძაშვილო'', ილანძღებოდა იმპერატორი, ,,გენერალური შტაბი არანაირ ხეირს არ მაძლევს; იმაზე მეტს არა ვიდრე ჟანდარმერიის უფროსი, აღალის უფროსი, არც შტაბის ოფიცრები, არცერთი არ მსახურობს ისე, როგორც უნდა იმსახუროს.'' მკაცრი და სრულყოფილი დავუც კი დაეთანხმა იმპერატორის კრიტიკას იმაზე თუ როგორ ახდენდა საკუთარი ჯარების მარშირებას. აუერშტატის ჰერცოგი, თავის მხრივ ჩიოდა, რომ მიურატის, როგორც ავანგარდის მეთაურის არაკომპეტენტურობამ გამოიწვია უმეტესი უწესრიგობა მარშირებისას:

სურათი 57. ბოროდინოს ბრძოლა. ნაპოლეონი სამეთაურო პუნქტზე

,,ნეაპოლის მეფე ყურადღებას არ აქცევს თუ დღის რა პერიოდია ან მოწინააღმდეგის სიძლიერეს. ის აჭენებს ცხენს მსროლელებს შორის, ხმა ეხლიჩება ბრძანებების გაცემით და ცეკვავს შეშლილივით მოწინააღმდეგის ხაზის წინ.'' თავის მხრივ მიურატმა დავუ დაადანაშაულა იმაში, რომ მან უარი განაცხადა გაეწია საარტილერიო მხარდაჭერა მისი ერთ-ერთი მეწინავე პოლკისათვის. ნაპოლეონის მითითებებმა არც გადაჭრა კონფლიქტები და არც გააუმჯობესა ურთიერთობა ფიცხ დაქვემდებარებულებს შორის. როცა არმია მიუახლოვდა მოსკოვს, მათთვის ვინც საუკეთესოდ იცნობდა მას აშკარა გახდა, რომ მათი მხედართმთავარი კარგავდა თავდაჭერილობას და ამასთან

ერთად ადამიანების მიმართ იმ შესანიშნავ მიდგომას, რაც ასეთი მნიშვნელოვანი იყო დიდი მეთაურის ხასიათში.

რუსეთის კამპანიის ერთადერთმა მთავარმა ბრძოლამ დაამტკიცა, რომ რაღაც აშკარად აკლდა ნაპოლეონის განსჯის უნარს და პირად ენერგიას. ბოროდინო იყო ლეგენდარული პროპორციის ბრძოლა. ეს ბრძოლა მოთხრობილი და გაანალიზებულია ისტორიასა და ლიტერატურაში. ნაპოლეონმა ეს ბატალური შეტაკება პირადად მიუძღვნა შთამომავლობას საჯარო განცხადებით, რომელიც გამოიცა ბრძოლამდე და გამოქვეყნდა ,,Moniteur''- ში სამი კვირის შემდეგ: ,,ჯარისკაცებო, აი ბრძოლა, რომელიც ასე დიდხანს გსურდათ!'' თუმცა, ბრძოლა იყო არაგადამწყვეტი და ბოლოს ნაპოლეონმა აღმოაჩინა, რომ ის იყო მფლობელი არა გამარჯვების, არამედ უნაყოფო ბორცვის ფერდობის და გადამწვარი ქალაქის.

სურათი 58. ბოროდინოს ბრძოლა. მიხეილ კუტუზოვი სამეთაურო პუნქტზე

ბრძოლა შეიძლება მარტივად აღიწეროს. 6 სექტემბერს საფრანგეთის არმიამ, რომელიც იმ დროისთვის შემცირებული იყო 130.000 ადამიანამდე, იერიში მიიტანა რუსებზე, რომლებსაც ეკავათ საველე საფორტიფიკაციო ნაგებობებით გამაგრებული ბორცვის ხაზი. ნაპოლეონმა განახორციელა საგულდაგულო დაზვერვა და მოწინააღმდეგის მთავარი რედუტების ადგილმდებარეობის ჩანიშვნის შემდეგ, მან აშკარად გადაწყვიტა რუსეთის ხაზების გახლეჩვა ნეის, დავუსა და პონიატოვსკის მიერ განხორციელებული მასობრივი შეტევების მიტანით. ნაპოლეონი ფლობდა რა დაახლოებით 60 ქვემეხს და რიცხობრივ უპირატესობას, მას ჰქონდა წარმატების სავარაუდო განსაზღვრის მიზეზი. თუმცა, მთელი დღის განმავლობაში ნაპოლეონი, რომელიც გაციებული იყო, იმყო-

ფებოდა სამეთაურო პუნქტში, ბრძოლის ველიდან შორს. მისმა დაქვემდებარებულებმა ვერ შეასრულეს დავალებები ენერგიულად და შეტევა არტილერიის დუელად გადაიქცა, რასაც მოჰყვა ფრონტალური შეტევა. ამ შეტევაში ყველა უპირატესობა მიიღო თავდამცველმა ძალამ. ეუჟენის მხარდამჭერი შეტევის შედეგად ვერ მოხერხდა რუსების მარჯვენა ფლანგის შებოჭვა, რომლის ნაწილი გადაადგილდა საფრთხის ქვეშ არსებული სექტორის მხარადსაჭერად. პონიატოვსკი გადაადგილდა ნელა მარჯვნივ. დავუ, რომელმაც მოაწყო ლაშქრობა უდრეკი ბაგრატიონის წინააღმდეგ, ჭურვის აფეთქების შედეგად უგონოდ დაეცა, ხოლო ნეიმ გადაიტანა კვამლით შენიღბული ბრძოლა, რათა მოეპოვებინა დასაყრდენი გორაკზე, რომელიც ამაგრებდა რუსების პოზიციებს. რამდენიმე შეტევისა და კონტრშეტევის შემდეგ ბაგრატიონი სასიკვდილოდ დაიჭრა, ხოლო ნეის მხრიდან მამაცურმა ხელმძღვანელობამ განაპირობა რუსების მეწინავე თავდაცითი ნაგებობების ხელში ჩაგდება. შუადღის შემდეგ დაახლოებით ერთი საათი რუსების მარცხენა მხარე გატეხვის პირას იყო, მათ უკვე უკან ჰქონდათ დახეული მეორე ქედამდე ეუჟენის სასტიკი შეტევის შედეგად; მომენტი, რისთვისაც დიდ არმიას მარშით ჰქონდა გავლილი ყველა გზა ევროპაში, ახლოს იყო. ამ კრიზისის დროს, ბრძოლის ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტში ნაპოლეონი შეყოყმანდა.

სურათი 59 . ბოროდინოს ბრძოლის ერთი ეპიზოდი

იმპერატორის ყოყმანი გამოწვეული იყო იმ გადაწყვეტილების მიღების საჭიროებით, რომელიც გულისხმობდა ბრძოლაში საიმპერატორო გვარდიის შეყვანას. სჯეროდათ რა, რომ მათ მიერ განხორციელებული იერიშები შექმნიდა საბოლოო გადამწყვეტი დარტყმის მიტანის შესაძლებლობას, მიურატი, დავუ და ნეი გამუდმებით თხოვდნენ ნაპოლეონს ძველი გვარდიის ბრძოლაში შეყვანას; ნაპოლეონმა მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ ნეიმ და დავუმ ეუჟინთან ერთად ყვირილით მოსთხოვეს ნაპოლეონს ძველი გვარდიის ბრძოლაში ჩართვა კუტუზოვის მარცხენა ფლანგზე საბოლოო დარტყმის მისატანად და ბოროდინოს ბრძოლის მოსაგებად. იმპერა-

ტორმა გადაწყვიტა ახალი გვარდიის ბრძოლაში ჩაბმა. ბერტიემ და მიურატმა გადაარწმუნეს ის, რომ მას უნდა გამოეყენებინა მთელი გვარდია წარმატების გარანტირების მიზნით. ნაპოლეონმა ამის გაკეთებაზე უარი განაცხადა, შესაძლებელია ბესიერის ზეგავლენის შედეგად, რომელმაც იმპერატორს გაახსენა ,,თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ ხართ პარიზიდან 800 ლიეზე.'' ამგვარად, 14 საათიანი დაძაბული ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ბრძოლა დამთავრდა დაბინდებისას და კუტუზოვმა მშვიდად დაიწყო საკუთარი ჯარების უკან გამოყვანა. საიმპერატორო გვარდია გამოუყენებელი დარჩა. ნაპოლეონმა საკუთარი მარცხი გაამართლა შემდეგი ნათქვამით, რომ მას არ სურდა გვარდიის განადგურება და თანაც საფრანგეთიდან ასეთ შორ მანძილზე ,,მე ვერ გავბედე გამერისკა ჩემი ბოლო რეზერვით.''

სურათი 60. ბოროდინოს ბრძოლა. რუსი ქვეითები ცეცხლს უხსნიან ფრანგულ კავალერიას

სწორედ ნაპოლეონის უმოქმედობამ განარისხა მისი მარშლები (განსაკუთრებით ნეი), ხოლო მისმა ბოდიშმა საგონებელში ჩააგდო გენერლები. კამპანიის დაახლოებით ორი ათწლეულის განმავლობაში ნაპოლეონმა პირველად აღმოაჩინა საკუთარ თავში უუნარობა თამამად დაპირისპირებოდა გადაწყვეტილების მიღების საფრთხეებს. რატომ ვერ იმოქმედა ნაპოლეონმა? ტაქტიკური ვითარება აღარ იყო ისეთი რთული, როგორ ვითარებებსაც მან მანამდე წარმატებით გაუწია წინააღმდეგობა. შესაძლებელია ხანგრძლივი საველე მოვალეობებისგან დაქანცულობამ დააბრკოლა მისი ფიზიკური აქტიურობა, თუმცა ეს მთლიანობაში მაინც ვერ ხსნის მისი ნებისყოფის მარცხს. თუმცა, ფაქტიურად, ნაპოლეონი იმდენ რისკზე წავიდა, რომ ყოყმანის დროც აღარ იყო. წმინდა ელენეს კუნძულზე ნაპოლეონი ალბათ იხსენებდა იმ ფატალურ დროს, როცა ის აცხადებდა თუ რამდენად მნიშვნელოვანია გენერლისთვის, რომ მას ჰქონდეს ,,სულიერი სიძლიერე, რაც საჭიროა ერთ-ერთ უდიდეს გულდასმით მომზადებულ ბრძოლაში ჩასართავად, მისი შედეგების მთლიანობაში აწონ-დაწონვით, რომელზედაც შესაძლებელია დამოკიდებული იყოს არმიის ან ქვეყნის ბედი და ტახტის მფლობელობა.'' შესაძლებელია მისმა ბედისწერამ საბოლოოდ დაამარცხა მისი ხა-

სიათის სიმტკიცე. აშკარაა, რომ ნაპოლეონის, როგორც მხედართმთავრის მარცხი შეუწყნარებელი იყო და გამოიწვია მისი არმიის საბოლოო განადგურება.

ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც ორივე მხარის დანაკარგი მთლიანობაში 70.000-ზე მეტს შეადგენდა, ნაპოლეონს 100.000 მოქმედი ჯარისკაცი დარჩა მაშინ, როცა კუტუზოვს ალბათ 55.000 ჯარისკაცი ჰყავდა. ორივე მხარეს ჰქონდა პრეტენზია გამარჯვებაზე, სინამდვილეში ორივე მხარემ წააგო. თუმცა, სანამ რუსეთის არმია ერთ მწკრივად უნუგეშოდ გადაადგილდებოდა მოსკოვის მიმართულებით, საფრანგეთის იმპერატორი თავს იჩვენებდა როგორც გამარჯვებული. მართლაც, ორ კვირაში საფრანგეთის კავალერია შევიდა მოსკოვში; გონს მოსულმა ნაპოლეონმა როგორც ჩანს გააუმჯობესა ბოროდინოში გამოვლენილი გაუბედაობა და დაარწმუნა საკუთარი თავი ხელში ჩაეგდო ქალაქი. მეორეს მხრივ, ალექსანდრე I შეპყრობილი იყო შეუბრალებელი შეუპოვრობით. ,,მირჩევნია ჩემს უკანასკნელ გლეხებთან წავიდე და მათთან ერთად ვჭამო კარტოფილი'', წერდა ის კუტუზოვს ,,ვიდრე ჩემი სამშობლოს დასამარების რატიფიცირება მოვახდინო''. კოლენკურს უკვე აწონ-დაწონილი ჰქონდა რუსების სიმამაცე, ბოროდინოს შემდეგ იგი შენიშნავდა: ,,ძალიან ცოტა [რუსი] ტყვე იყო.''

სურათი 61. ბოროდინოს ბრძოლა. პოლონელი ულანების შეტევა რუსების საარტილერიო ბატარეაზე

მოსკოვი

ნაპოლეონის მოსკოვში შესვლა კამპანიის კულმინაციური წერტილის მინიშნებად ჩანდა, თუ არა დასასრულად. ოქროსფერი გუმბათებისა და მკრთალად განათებული პირამიდული სახურავების ხედმა მეტისმეტად დასუსტებული დიდი არმიის სულებში სასწაულმოქმედი ცვლილება წარმოშვა. გვარდიის ერთ-ერთი წევრი იგონებდა, რომ ზემოქმედება ყველა ჯარისკაცზე იყო მაგიური: ,,ეს იყო მართლაც დიადი ქალაქი; აქ ჩვენ უნდა დავისვენოთ მთელი ჩვენი საქმიანობის შემდეგ...'' მიურატისთვის, რომელიც იყო სანახაობათა წარდგენისადმი თანდაყოლილი მიდრეკილების მქონე ადამიანი და რომელიც ებრძოდა ყველა კაზაკს ვისაც კი წააწყდებოდა ყველგან გზად

ნემანიდან, და რომ ის ქალაქში შევიდოდა თვალისმომჭრელად ელვარე და ფრთებით მორთულ ტანსაცმელში გამოწყობილი-ამართლებდა მთელ იმ გაჭირვებას, რაც მისმა ჯარისკაცებმა გადაიტანეს. ნაპოლეონი უბრალოდ აღნიშნავდა ,,დიდი ხანია დროა!'' სიხარულის შეძახილებსა და დოლის ცემას შორის არავის გაუმახვილებია ყურადღება მათემატიკური გათვლის უდავო ფაქტზე: 600.000 ჯარისკაციდან, რომლებმაც გადაკვეთეს ნემანი, მხოლოდ 95.000 შევიდა მოსკოვში.

ჭეშმარიტებაა ის ფაქტიც, რომ ყველა ის დაკარგული ჯარისკაცი არ დაცემულა ბრძოლაში. სულ მცირე 90.000 ჯარისკაცი მაინც გადარჩა ცოცხალი რუსეთის ქვედანაყოფების წინააღმდეგ ბრძოლისას მდინარე დვინას გასწვრივ ჩრდილოეთ ფლანგზე და პრიპიატის ჭაობების გარშემო სამხრეთ-დასავლეთით. 40.000-დან 50.000-მე ჯარისკაცი გაჭიმული იყო დიდი არმიის კვალდაკვალ; ისინი იცავდნენ საფრანგეთის კომუნიკაციის ხაზებს პარტიზანული ჯგუფებისგან, რომლებიც განსაკუთრებით გააქტიურდნენ სმოლენსკის დაცემის შემდეგ. თუმცა შეუძლებელი იყო იმ მნიშვნელოვანი ფაქტისთვის თავის არიდება, რომ როცა საფრანგეთის იმპერატორი მოსკოვში შევიდა 14 სექტემბერს, ის სათავეში ედგა იმპერიის სამხედრო სიძლიერის მხოლოდ ნაშთებს.

ამასობაში, ნაპოლეონის ოპონენტს - გამოცდილ და გამჭრიახ კუტუზოვს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, რაც გულისხმობდა კამპანიის დანარჩენი ნაწილისთვის ფორმის მიცემას. კუტუზოვმა, რომელიც გამოვიდა ბრძოლიდან და ფორმალურად წააგო იგი, გადაწყვიტა არ ეწარმოებინა მეორე ბრძოლა მოსკოვის დასაცავად. თუმცა მან შესანიშნავად იცოდა, რომ ის წააწყდებოდა იგივე წინააღმდეგობას დაქვემდებარებულების მხრიდან, რაც ბარკლაიმ განიცადა ბაგრატიონის ხელში. გენერლები და სამოქალაქო ელიტა აცხადებდნენ, რომ მოსკოვის დაკარგვა ომის წაგების ტოლფასი იქნებოდა. თავდაპირველად, კუტუზოვი (,,ცალთვალა მელა"- როგორც მას უწოდებდა ნაპოლეონი) საუბრობდა გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებაზე ,,მოსკოვის კედლებთან''. ქალაქის მერმა, გრაფმა როსტოპჩინმა, არმიის მეთაურს მისცა რჩევა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მზად იყო საკუთარი სახლების დასაცავად და რომ არსებობდა საბრძოლო მასალის საკმარისი მარაგი თავდამცველების უზრუნველსაყოფად. თუმცა, როცა არმია მიუახლოვდა ქალაქს, ალექსანდრე I-თან კონსულტაციის გარეშე, კუტუზოვმა მოიწვია სამხედრო საბჭო, რომელსაც ესწრებოდნენ მთავარი გენერლები და ქალაქის მმართველობის წარმომადგენლები, რათა განეხილათ საკითხი-ებრძოლათ თუ დაეტოვებინათ მოსკოვი. უმეტესობამ მოიწონა ბრძოლის იდეა. მაშინ კუტუზოვმა განაცხადა:

,,მოსკოვის დაკარგვა არ ნიშნავს რუსეთის დაკარგვას. ჩვენი უმთავრესი მოვალეობაა არმიის უვნებლობის უზრუნველყოფა და იმ ძალების განმტკიცება, რომლებიც შემოგვიერთდებიან როგორც დამატებითი ძალები. მოსკოვის მიტოვების სწორედ ეს მოქმედება მოგვცემს შესაძლებლობას მოვემზადოთ ჩვენი მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. სანამ არმია არსებობს და მას შეუძლია მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევა-ჩვენ ვართ უსაფრთხოდ იმის იმედით, რომ ომი წარმატებით დასრულდება, თუმცა თუ არმია განადგურდა - მოსკოვი და რუსეთი დაიღუპება. მე გავცემ უკან დახევის ბრძანებას!"

სურათი 62. სამხედრო საბჭოს სხდომა სოფელ ფილიში, სადაც კუტუზოვმა
გადაწყვიტა მოსკოვის დატოვება

როსტოპჩინმა, რომელიც მართალია ეწინააღმდეგებოდა კუტუზოვის გადაწყვეტილებას, მაინც უბრძანა მოსკოვის მოსახლეობას დაეტოვებინათ ქალაქი. მან გაანთავისუფლა ყველა პატიმარი ქალაქის ციხეებიდან და გაანადგურა ქალაქის ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა.

რომ შევაფასოთ თუ რა სულიერი ზეგავლენა მოახდინეს ამ გადაწყვეტილებებმა ნაპოლეონზე, ამისათვის საჭიროა მისი მოსკოვში შესვლის აღწერა; ,,მოსკოვი მიტოვებულია!''- დაიყვირა მან, ,,შეუძლებელია. წადით და მომიყვანეთ ბოიარები''. მაგრამ ბოიარები არსად ჩანდნენ; ქალაქში დარჩენილები იყვნენ მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის არც ისე დიდი რაოდენობა და რამდენიმე ასეული კრიმინალი და შეშლილი, რომლებიც თავისუფლად დაწანწალებდნენ და ძარცვავდნენ ქუჩებს. იმ ღამეს, გამიზნულად თუ შემთხვევით, ცეცხლი მოედო ქალაქის სხვადასხვა ნაწილს. ძლიერი ნიავის შედეგად და რამდენიმე იმ რუსის წყალობით, რომლებიც ხანძრის გასაჩენ საშუალებებს ხის შენობებში ყრიდნენ, ცეცხლის ალი სწრაფად გავრცელდა და მეორე დილისთვის ნათელი იყო, რომ მოსკოვის უკეთესი ნაწილი ცეცხლისგან განადგურებული იყო. მომდევნო საღამოს ქარი გაძლიერდა და დიდი ხანძარი პირდაპირ კრემლისკენ დაიძრა, სადაც ნაპოლეონმა საკუთარი შტაბი განალაგა. ,,ბარბაროსები!'' წამოიყვირა ცეცხლის მხურვალებისგან დაჰიპნოზებულმა, ,,ეს არის განადგურების ომი .... საკუთარი ქალაქების გადასაწვავად! ... დემონი შთააგონებს ამ ხალხს.''

სურათი 63. ალმოდებული მოსკოვი

,,გარემოცული ცეცხლის ალით,'' იმპერატორი და მისი ამალა კრემლიდან პეტრეს სასახლეში გაიქცნენ, საიდანაც ნაპოლეონი თვალყურს ადევნებდა ცეცხლის მძვინვარებას რამდენიმე დღის განმავლობაში. ამასობაში, ნადავლისა და განძის ძიებისას ფრანგმა ჯარისკაცებმა უგუნურად დაანგრიეს მრავალი ეკლესია და კერძო შენობები, რომლებსაც ალბათ სხვა დროს დაინდობდნენ. რუსი და ფრანგი მაროდიორების დასაბრკოლებლად ამოქმედდა ტრიბუნალი, თუმცა ზიანი უკვე მიყენებული იყო. ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი დაინგრა და გადაიწვა, ხოლო მისი დამპყრობელი - მოულოდნელობის ეფექტის შემქმნელი მარენგოში, ულმსა და იენაში - მოუმზადებელი იყო ასეთი სავალალო შედეგებისთვის.

ამბობენ, რომ ალექსანდრეს სახეზე ცრემლები ჩამოუგორდა, როცა შეიტყო რუსეთის ძველი დედაქალაქის გაჩანაგების შესახებ; რომ როსტოპჩინმა უტიფრად გადაწვა საკუთარი ქვეყნის გული ფრანგების მიერ მისი ხელში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად; და რომ კუტუზოვმა მწუხარედ მისწერა მეფეს, რომ მოსკოვი ,,არ იძლეოდა პოზიციას, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ბრძოლის დაწყების გარისკვა ...'' მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ სენტიმენტებია. კუტუზოვი გრძნობდა მასზე დაკისრებულ მთელ პასუხისმგებლობას და სენტიმენტებისთვის დრო ნამდვილად არ ჰქონდა. რუსეთში მომხდარი ომის ისტორიული კვლევა სრულად არასოდეს განმარტავს ამ ამაღელვებელ მოვლენებს. ამასთან, ნათელია, რომ კუტუზოვი იყო მხედართმთავარი, რომელმაც იცოდა როგორ მიეღო სარგებელი ასეთი ხელსაყრელი გარემოებიდან; კერძოდ, მიურატის დევნისგან თავის დაღწევის შემდეგ, რუსეთის არმიამ ფრთხილად გააკეთა წრე უკან დასავლეთისკენ და დაისაკუთრა პოზიციები მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთით საფრანგეთის გამოფიტული კავალერიის მზვერავებისაგან შორს.

ვითარებამ, რომელსაც ნაპოლეონი შეეჯახა სექტემბრის შუა რიცხვებში, წარმოშვა დამაინტრიგებელი პრობლემა. ძირითადად იყო ორი არჩევანი: დარჩენილიყვნენ მოსკოვში, მიუხედავად იმისა თუ რა იქნებოდა სამშვიდობო შეთავაზებაზე ალექსანდრეს პასუხი ან უკან დაეხიათ მეტად დაცულ და ნაკლებად განადგურებულ შემოგარენში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა არმიის აღდ-

გენა და უკეთესად მომარაგება. არცერთ ვარიანტს არ ჰქონდა ფრანგებისთვის მისაღები შედეგი. როგორც კლაუზევიცმა მოგვიანებით შენიშნა ომთან დაკავშირებით: ,,ყველა მოქმედება ომში ... მიმართულია მხოლოდ შესაძლო და არა განსაზღვრულ შედეგებზე.” ეს დაკვირვება რუსი კლასიკოსი მწერლის ლევ ტოლსტოის ვარიანტს ემთხვევა, რომ თავისუფალი ნება გარდაუვლად უნდა დაემორჩილოს ,,ზოგადი გარდაუვალობის კანონს.''

სურათი 64. ნაპოლეონი კრემლიდან აკვირდება ხანძარს მოსკოვში

მიუხედავად იმისა, თუ ვინ როგორ განიხილავს ამ ძირითად - და გადაუწყვეტავ ფილოსოფიურ საკითხს, უნდა მოხდეს იმ ფაქტის დაშვება, რომ სექტემბრის ბოლოსთვის კუტუზოვის ჯარების განლაგება უფრო მეტად შეესაბამებოდა რეალურ ვითარებას, ვიდრე ნაპოლეონის ჯარების განლაგება. ფლობდა რა 120.000 ჯარისკაცს, ჯანსაღ კავალერიას და მთელს რესურს შიდა ზონაში, კუტუზოვს შეეძლო დალოდებოდა სანამ ფრანგები შეჭამდნენ, იკამათებდნენ და ბოლოს მიატოვებდნენ მხრჩოლავ ქალაქს ან დაეწყო შეზღუდული თავდასხმები ფრანგების კომუნიკაციის ხაზების წინააღმდეგ. ამასობაში, მან წამოიწყო პარტიზანული მოქმედებები, რამაც ფრანგების კოლონებისა და პატრულების გზებზე შეყოვნება გამოიწვია. სანამ ორივე მხარე იმყოფებოდა ლოდინის მდგომარეობაში, მკაცრი რუსული ზამთარი მოახლოვდა; ნაპოლეონსა და ალექსანდრეს შორის ყურადღების გადამტანი თამაში კი გრძელდებოდა.

ეს იყო თამაში, რომელშიც უპირატესობა ჰქონდა რუსეთის მეფეს. ვინაიდან პარტიზანები აბრკოლებდნენ ფრანგების საკომუნიკაციო საშუალებებს, ნაპოლეონმა აღმოაჩინა, რომ მოსკოვის გარშემო, მთელ რაიონში არ არსებობდა საკმარისი საკვები ცხენებისათვის. (30.000 ცხენი დაიხოცა, სანამ ფრანგები იმყოფებოდნენ მოსკოვში). კუტუზოვს არც უნდოდა და არც სჭირდებოდა დანგრეულ ქალაქზე შეტევა, რადგან ყოველთვის, როცა საკვების მომპოვებელი ფრანგების ჯგუფები გაბედავდნენ ქალაქის კედლებიდან ძალიან შორს წასვლას, კაზაკებს მათზე სისხლიანი დარტყმა მიჰქონდათ. მაინც ნაპოლეონმა უარი განაცხადა გაეცა მოსკოვის დატოვების ბრძანება. მისი დილემა დამაბრკოლებელი იყო: როგორც საველე მეთაურს მას სჭირდებოდა დანგრეული ქალაქიდან თავის დაღწევა და თითქმის უკონტროლო არმიის ხელმეორედ ორგანიზება; როგორც იმპერატორს, მას არ სურდა მოსკოვის მიტოვება უკან დახევის მსგავსი მოქმედებით.

მოსკოვიდან უკან დახევა

მოსკოვში შესვლის შემდეგ ერთი კვირის ფარგლებში ნაპოლეონმა ალექსანდრეს გაუგზავნა სამშვიდობო შეთავაზება. ,,მშვენიერი და საუცხოო ქალაქი მოსკოვი აღარ არსებობს,'' ის წერდა. რა თქმა უნდა, მისი განადგურება როსტოპჩინის ნამოქმედარი იყო, ხოლო ფრანგი ჯარისკაცები მხოლოდ ცეცხლის ალებს ებრძოდნენ. დიდ არმიას არ გაუძარცვავს ვენა, ბერლინი ან მადრიდი და მან ვერ დაიჯერა, რომ ალექსანდრე ,,თავისი პრინციპებიდან, დიდსულოვნებიდან, იდეების სამართლიანობიდან გამომდინარე ნებას დართავდა თავისი ერის ასეთ გადამეტებულობასა და უღირსობას.''

მაგრამ არ არსებობდა რუსებისთვის რქების მოტეხის გზა. ალექსანდრემ კუტუზოვს უბრძანა შეეჩერებინა მშვიდობაზე საუბარიც კი, სანამ ფრანგები იმყოფებოდნენ რუსეთის მიწაზე. თუმცა, კუტუზოვმა და მიურატმა დაამუშავეს არაფორმალური დროებითი ზავი, რომელიც გაგრძელდა 18 ოქტომბრამდე. ამ დღეს კუტუზოვის მეწინავე ქვედანაყოფები გამოვიდნენ ტყეებიდან და მიიტანეს მიურატის უყურადღებოდ მიტოვებულ დაცვის საგუშაგოებზე სასტიკი დარტყმა. ნაპოლეონმა მოქმედებაში მოიყვანა ნეის დივიზიები თითქოს თავისი სიძის რიგითი ჯარისკაცების გასაძლიერებლად. სინამდვილეში მას დაწყებული ჰქონდა მოსკოვის დატოვება.

ნაპოლეონის გეგმა იყო ლაშქრობის მოწყობა კალუგასა და ბრიანსკის გავლით. ამ გაუვლელი გზის გასწვრივ უკან დაბრუნებით ნაპოლეონი იმედოვნებდა, რომ შეძლებდა ცხენებისთვის საკვების პოვნას, თავიდან აიცილებდა უკან დახევის გამოაშკარავებას და დააბანაკებდა ჯარს ზამთრის ბინებში სადღაც სმოლენსკსა და მინსკს შორის. კამპანიის დასაწყისში მან თავისი ძმა ვიქტორი დანიშნა ამ რაიონის მეთაურად, ხოლო ლოგისტიკის შესახებ მისი მოხსენებების შესაბამისად აქ საცავები სავსე იყო პროდუქტითა და ფურაჟით. პირველი ყინვის მოსვლამდე როგორც ჩანს აქ დანიშნულებამდე მისვლის კარგი შანსი იყო. მართლაც გარდაუვალი იყო ასეთი მოქმედება. ფრანგების ცხენებს არ ჰქონდათ მირტყმული ნალები ძლიერი ზამთრისთვის, აგრეთვე ჯარისკაცებსაც არ ჰქონდათ მიცემული ზამთრის აღკაზმულობა. გამარჯვების ნადავლის სახლში წასაღებად ნაპოლეონმა გასცა მოსკოვის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ეკლესიის პატივსაცემი რკინის ჯვრის მოხსნის ბრძანება და როგორც არად ჩაგდების ბოლო ჟესტი მან გვარდიას გამგზავრებამდე კრემლის აფეთქება უბრძანა.

კუტუზოვი მიჰყვებოდა თავის პირველ წარმატებას. 24 ოქტომბერს რუსეთის არმიის ძლიერი დაჯგუფება გადააწყდა ფრანგების მთავარ კოლონას, რომელსაც მეთაურობდა ეუჟენი მალოიაროსლავეცში. შეტევებისა და კონტრშეტევების შემდეგ, რომლის განმავლობაშიც ეუჟენის ჯარებმა ხელში ჩაიგდეს და დაკარგეს ქალაქი რამდენჯერმე, კუტუზოვმა ბოლოს უკან დაიხია სამხრეთისაკენ, დარჩა რა პირისპირ კალუგამდე მისასვლელი გზის გადაღმა. გადამწყვეტი შეტევა ალბათ გაწმენდდა გზას, თუმცა ნაპოლეონი ყოყმანობდა. თითქმის ყველა მარშალმა მხარი დაუჭირა უკან დახევას იმ მარშრუტით, რომელიც გამოიყენებოდა წინ წაწევის დროს. დავუმ შესთავაზა სოფლის გზის გამოყენება, რომელიც მთავარი გზის პარალელური იყო, თუმცა როგორც ჩანს ნაპოლეონის ნერვები შერყეული იყო კაზაკი ჯარისკაცების მიერ მისი თითქმის შეპყრობის გამო(კაზაკები მოულოდნელად თავს დაესხნენ იმპერატორის კორტეჟს და ნაპოლეონს პირადად ხმლით მოუწია მათი მოგერიება, სანამ დახმარება მოვიდოდა). მან არ მიაქცია დიდი ყურადღება ამ ალტერნატივას, მოულოდნელად უარი განაცხადა სამხრეთის მარშრუტით უკან დახევის გეგმაზე და კოლონას სმოლენ-

სკისაკენ მიმავალ მთავარი გზით უკან დაბრუნება უბრძანა. დავუმ საკუთარ თავზე აიღო არიერ-გარდის კონტროლი.

ფრანგების უკან დახევა პანიკურ გაქცევად გადაიქცა, განსაკუთრებით ბოროდინოს გავლის შემდეგ. აქ სექტემბრის ბრძოლის ნაშთები და ათასობით ადამიანისა და ცხენის დანაწევრებული სხეული არა მხოლოდ ახსენებდა მათ განცდილ ტანჯვას, არამედ ფრანგებისთვის ბედისწერის საშინელი წინასწარმეტყველებაც იყო. კუტუზოვი როგორც ჩანს კმაყოფილი იყო საფრანგეთის შენაერთების მწყემსვით. იგი ამ დროს უმთავრესად ეყრდნობოდა კაზაკებს და სახალხო ლაშქარს, რომლებიც ფრანგების ფლანგებსა და ზურგს მოსვენებას არ აძლევდნენ. მეტიც, პარტიზანები უეცრად თავს დაესხნენ სმოლენსკში და მის გარშემო განთავსებულ საცავებს და გაანადგურეს ისინი. 31 ოქტომბერს ნაპოლეონი და მისი გვარდია მიუახლოვდა ვიაზმას. ერთი კვირის შემდეგ დაიწყო ძლიერი თოვა და ამ თოვასთან ერთად კიდევ უფრო დაეცა ფრანგების სულისკვეთება. მოყინულ გზებზე მშიერ ცხენებს არ შეეძლოთ ტვირთის ზიდვა. დაღლილი ჯარისკაცები, რომლებიც ძირს ეცემოდნენ და გზიდან ვარდებოდნენ, სამუდამოდ დაკარგულებად ითვლებოდნენ. ფრანგებს უხდებოდათ საარტილერიო საშუალებების, სამხედრო ნადავლისა და უმეტესი დაჭრილთაგანის უკან დატოვება.

ნოემბერი აღმოჩნდა დაუსრულებელი კატასტროფა განადგურებული დიდი არმიისთვის. თავდასხმებისა და სიცივისაგან შესუსტებულმა ნაპოლეონმა გადაწყვეტილებების მიღება საკუთარ დაქვემდებარებულებს მიანდო, მან ასევე არ გააფრთხილა ვიქტორი გაუარესებული ვითარების სრული მასშტაბების შესახებ და უარიც კი განაცხადა მიეღო მარტივი ტაქტიკური ზომები საკუთარი არმიის დასაცავად. ჯარისკაცებმა დაიწყეს ბრძოლა პურის ნარჩენებისა და გაყინული ცხენის ხორცისთვის. ჩავიდნენ რა სმოლენსკში, რათა ეპოვათ ადგილი სრულ არეულობაში, იმპერატორმა უბრალოდ გასცა მარშირების გაგრძელების ბრძანება. კოლენკური გამოთქვამდა აზრს, რომ ,,როგორც ჯარისკაცი ნაპოლეონი აღმოჩნდა ყველაზე მძიმე მდგომარეობაში.''

სურათი 65. ნაპოლეონის უკან დახევა მოსკოვიდან

როცა დიდმა არმიამ დაიწყო დანაწევრება, ჯარისკაცებში და ოფიცრებში შეიმჩნეოდა ინდივიდუალური და საყოველთაო სულიერი დაცემა. უბრალო გადარჩენა თავისთავად მოითხოვდა ნებისყოფის ტიტანურ სიძლიერეს. უმეტესობა თოვლში ეცემოდა და უბრალოდ უარს აცხადებდა სიმამაცე აღეძრათ საკუთარ თავში და ემოქმედათ ამ სიმამაცით. სმოლენსკის დატოვებისას დაგლეჯილტანსაცმელიანი და მშიერი ჯარისკაცების შემხედვარე შეამჩნევდით იმ სასოწარკვეთილებას, რომ ყველა მათგანმა იცოდა, რომ ადრე თუ გვიან ისინი უნდა შებრძოლებოდნენ რუსებს და აგრეთვე ზამთარს. იმ დროისთვის ისინი 40.000 ჯარისკაცამდე იყვნენ შემცირებულები. ყველა მხრიდან ცუდი ამბები მოდიოდა. არიერგარდი უკან ჩამორჩა. ამავე დროს ვიტებსკში საცავები, რომლებიც განთავსებული იყო უკან დახევის მთავარ გზაზე, ხელში ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს.

16 ნოემბერს კუტუზოვმა გადაწყვიტა მოეხდინა ფრანგების თავის დაღწევის მარშრუტების ბლოკირება. ეუჟენმა წარმატებას მიაღწია მიმდინარე ბრძოლაში კრასნოისთან, თუმცა დავუმ ვერ მოასწრო ნეის მხარდაჭერა. ფიცხ ნეის, რომელსაც საკუთარ თავზე აღებული ჰქონდა არიერგარდის მეთაურობა, სმოლენსკში ლოდინი დიდი ხნით მოუწია, ამიტომ 80.000-მა რუსმა ჯარისკაცმა ის შეაკავა გზის გადაღობვით. მან დაუყოვნებლივ შეუტია და ყურადღება არ მიაქცია დავუს რჩევას ალყაში მოექცია მოწინააღმდეგე. შეტევა წარუმატებლად დასრულდა და რუსებმა მოლაპარაკების დროს კეთილშობილური პირობები შეთავაზეს თუკი ნეი ჩაბარდებოდა. ,,საფრანგეთის მარშალი არასოდეს ნებდება!'' უპასუხა ამაყად ნეიმ. შემდეგ, არაფრად ჩააგდო რა მისი შტაბის პროტესტი, ნეიმ მოაწყო შემხვედრი ლაშქრობა სმოლენსკის მიმართულებით და განახორციელა უგზო რელიეფზე თამამი ლაშქრობა ჩრდილოეთისკენ; მან გადაკვეთა გაყინული დნეპრი ღამით და ბოლოს შეუერთდა მთავარ ძალას ორშას სიახლოვეს, სადაც ეუჟენი მობრუნდა უკან მის დასახმარებლად. ნეის არიერგარდის ამ საგმირო მარშირებამ, რამაც გადაარჩინა ათასამდე უნარიანი ჯარისკაცი, გამოიწვია სიხარულის თრთოლვა მშიერ და გაყინულ არმიაში. ,,ეს იყო ეროვნული ტრიუმფი''- ამბობდა კოლენკური.

ამასობაში, რუსებმა ხელში ჩაიგდეს მინსკი, ხოლო ადმირალმა პავლე ჩიჩაგოვმა დაიკავა მთავარი მისადგომები ბორისოვთან, მდინარე ბერეზინაზე. მოულოდნელად, დაუბრუნდა რა საკუთარ თავს, ნაპოლეონმა პათეთიკურად განაცხადა: ,,მე იმპერატორი ვარ დიდი ხანია, ახლა დროა ვიმოქმედო როგორც გენერალმა.'' შეაგროვა რა ჯერ-კიდევ უნარიანი ჯარისკაცები ვიქტორისა და უდინოს მეთაურობით, 26 ნოემბერს მან სახელდახელოდ გადალახა უკვე გაყინვის პროცესში მყოფი მდინარე ბერეზინა ბორისოვის ჩრდილოეთით, ხოლო ტრანსპორტით გადაიყვანა ჯარის დანარჩენი ნაწილი ვიდრე ჩიჩაგოვი მოასწრებდა რეაგირებას. შემდეგ ფრანგებმა თავი დააღწიეს დევნას, მათ მიმართულება შეცვალეს ჩრდილო-დასავლეთით ვილნოს მიმართულებით.

ამ წარმატებამაც კი ვერ შეძლო გამჟღავნებული უბედურების გავრცელებისთვის ხელის შეშლა მთელს ევროპაში. პარიზში პრობლემა წამოიჭრა როგორც კი უკან დახევა დაიწყო. 24 ოქტომბერს შეთქმულების ჯგუფი შეეცადა მთავრობის ხელში ჩაგდებას, თუმცა უშედეგოდ. არავინ იცოდა შემდგომ მცდელობას რა მოჰყვებოდა. მდინარე ბერეზინას გადაკვეთის შემდეგ ნაპოლეონისათვის აშკარა გახდა, რომ მას უნდა მიეტოვებინა არმია და დაბრუნებულიყო პარიზში თუ მას სურდა წესრიგის შენარჩუნება საკუთარ იმპერიაში. უფლებამოსილება გადაეცა მიურატს, რომელმაც მიიღო ბრძანება შეყოვნებულიყო მდინარე ნემანის გასწვრივ. შემდეგ იმპერატორი სასწრაფოდ პარიზისაკენ გაემართა, სადაც ის ჩავიდა შუაღამით 18 დეკემბერს.

სურათი 66. ნაპოლეონი ტოვებს არმიის ნაშთებს და გარბის პარიზში

ორი დღით ადრე ,,Moniteur"-ში გამოჩნდა ნაპოლეონის მიერ დაწერილი მეტისმეტად გრძელი უწყება. ,,6 ნოემბრამდე''- მასში იკითხებოდა, ,,ამინდი იყო შესანიშნავი და არმიის გადაადგილებაც წარმატებით მიმდინარეობდა. თუმცა 7 ნოემბერს დაიწყო სიცივეები....'' ამგვარად იწყებოდა ნაპოლეონის მიერ საკუთარი თავის გამართლება. ფრანგი ოფიცრები და ჯარისკაცები თურმე მამაცურად იბრძოდნენ, ხოლო მათი მეთაური კი გამოცდილად. რუსეთის ზამთარმა - და არა რუსეთის არმიამ დაამარცხა ის. სტატია მთავრდებოდა სიტყვით, რომელიც შეეფერებოდა სამეფო განცხადებას: ,,მისი უდიდებულესობის ჯანმრთელობა არასოდეს ყოფილა ამაზე უკეთესი''.

რუსეთის გამოღვიძება

ამასობაში, რადგან საფრანგეთის არმიის მთავარი ნაწილი მიურატის სარდლობით მტანჯველად იბრძოდა ვილნოს მიმართულებით, გვერდითმა რაზმებმა (მაკდონალდისა და შვარცენბერგის მეთაურობით) თანდათანობით უკან დაიხიეს. ნაპოლეონი აგრძელებდა ორივესთვის ბრძანებების გაგზავნას და მოითხოვდა, რომ ისინი შეძლებისდაგვარად ნელა გადაადგილებულიყვნენ, თუმცა შვარცენბერგისადმი ბერტიეს მიერ ნათქვამი მწუხარე შეტყობინება რეალობას უკეთესად აჩვენებდა: ,,ჩვენ გვსურს თქვენგან ცნობების მოსმენა შეძლებისდაგვარად ხშირად.'' შვარცენბერგი იმ დროისთვის წარმოადგენდა საფრანგეთის არმიის ნაწილს მხოლოდ ფორმალურად. ის ფაქტიურად ბრძანებებს იღებდა ვენიდან, სადაც მეტერნიხი წონიდა (განიხილავდა) ახალ შესაძლებლობებს და საფრთხეებს, რადგან ნაპოლეონის უკან დახევამ საგონებელში ჩააგდო ვენის საიმპერატორო კარი.

ამავე დროს გერმანიის დიდი ნაწილი აჯანყებებმა მოიცვა. გერმანიიდან ემიგრირებულმა გენერალმა შტეინმა, რომელიც გახდა რუსეთის მეფის პირადი მრჩეველი გერმანიის საკითხებში, დაარწმუნა ალექსანდრე ნოემბერში ჩამდგარიყო ,,ევროპის სახელმწიფოების სათავეში''. მოწინააღმდეგისთვის არ უნდა მიეცათ შესვენების შესაძლებლობა. ის ასაბუთებდა და ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ალექსანდრეს შეეძლო ყოფილიყო მთელი გერმანიის და ევროპის კეთილისმყოფელი. პრუსიაში მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ III მოვლენებს საღად აფასებდა. სილეზიელი ფოსტის უფროსისაგან გამოგზავნილმა დამმუხტველმა მოხსენებამაც კი, რომ ნაპოლეონი და მისი მცირერიცხოვანი ესკორტი შემჩნეულ იქნა 12 დეკემბრის საღამოს დრეზდენისკენ მიმავალ გზაზე, ვერ აიძულა მეფე და მისი საგარეო საქმეთა ფრთხილი მინისტრი ჰანდენბერგი, რათა თავიდან მოეცილებინათ ნიღაბი და დაეწყოთ ქვეყნის მობილიზება ფრანგების წინააღმდეგ. თუმცა, ჰანდენბერგმა ურჩია რეზერვის გამოძახება აღმოსავლეთ პრუსიაში და მთელი იმ საბრძოლო ქონების შეგროვება, ,,რაც შესაძლებელია ღირებული იქნებოდა მოწინააღმდეგისთვის.'' კითხვა მდგომარეობდა იმაში

თუ ჰანდენბერგი სიტყვაში ,,მოწინააღმდეგე'' ვის გულისხმობდა - ფრანგებს თუ რუსებს. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, არ იყო საჭირო უეცარი გადაწყვეტილების მიღება მანამ, სანამ ნაპოლეონის მარცხის სრული მასშტაბი არ იქნებოდა ნათელი და ალექსანდრეს პოლიტიკური ამბიციების საზღვრები ცნობილი.

ფრიდრიხ ვილჰელმი ალბათ შეინარჩუნებდა გაუბედაობას, ხოლო მიურატი ალბათ შეყოვნდებოდა მდინარე ვისლაზე - მოვლენებს რომ არ დაეჩქარებინათ გადაწყვეტილებების მიღება. 23 დეკემბერს პრუსიის სამეფო კარმა მიიღო სარწმუნო შეტყობინებნა, რომ დიდი არმია სრულიად განადგურებული იყო. გენერალი ჰანს ფონ იორკი, პრუსიის დამხმარე კორპუსის მეთაური, რომელიც მსახურობდა მაკდონალდის ხელმძღვანელობის ქვეშ, წერდა, რომ მას მიმართეს რუსმა ემისარებმა და მოსთხოვეს კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება ფრანგების საწინააღმდეგოდ. ბერლინიდან მას უპასუხეს, რომ ემოქმედა მხოლოდ გარემო-ვითარებიდან გამომდინარე. პრუსიის გაუბედავ მეფეს ჯერ კიდევ ეშინოდა ნაპოლეონის და ეჭვობდა ალექსანდრეში, და უბრალოდ არ შეეძლო გადამჭრელად რაიმე ეღონა. მამაცმა გენერალმა ფონ იორკმა დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება. 30 დეკემბერს საკუთარი ინიციატივით და ბერლინიდან მიღებული მითითებების გარეშე, მან ხელი მოაწერა დროებით ზავს რუსებთან ტაუროგენში და შედეგად განზრახ შეანელა უკან დახევა როგორც მაკდონალდის არიერგარდის მეთაურმა. ამ მოქმედებამ უშუალო ზემოქმედება მოახდინა საფრანგეთის არმიის ჩრდილოეთ ფლანგზე და წონასწორობიდან გამოიყვანა მაკდონალდი, რომელიც ფონ იორკის ამ მოქმედებას განიხილავდა როგორც გამცემლობას. მაკდონალდი აგრეთვე აღაშფოთა იმან, რომ იორკმა, სავსებით შეგნებულად, შეაყოვნა მისთვის საკუთარი მოქმედების შეტყობინება. ამით მაკდონალდმა დაკარგა ძვირფასი დრო ტილზიტში იორკის ლოდინში, რადგან მას ეგონა, რომ ეს უკანასკნელი საფრთხეში იყო. ამის შემდეგ მიურატმა უმეტესი მისი ჯარები განალაგა დანციგში და არმიის მეთაურობა ეუჟენს გადასცა. ამასობაში, გენერალი შტეინი შეიჭრა აღმოსავლეთ პრუსიაში და დაიწყო სახალხო ლაშქრის ჩამოყალიბება ფრანგებთან საომრად. აჯანყების ქომაგებს, როგორებიც იყვნენ: გენერალი ბლიუხერი, რომელიც მოუთმენლად მოელოდა ხმლის ხელში აღებას და ბრძოლას და არნი, ფიცხი პოეტი, რომელიც ყვიროდა ,,მოწინააღმდეგის გულმკერდში ხმლის ჩაცემის დრო მოვიდაო'', სჯეროდათ, რომ თავშეკავებულობა სისუსტის ნიშანი იყო. თუმცა, ჰანდენბერგმა მეფეს ურჩია მაინც განეხილა ნაპოლეონთან ალიანსის საკითხი, სულ მცირე მანამ, სანამ რეზერვის მობილიზებას არ შეძლებდნენ და მოქმედი არმია არ ჩამოყალიბდებოდა მდინარე ოდერის გასწვრივ.

იორკის გამომწვევი ,,ურჩობის'' პოლიტიკური შედეგები უზარმაზარი იყო. მართალია ფრიდრიხ ვილჰელმმა საჯაროდ უარყო საკუთარი მონაწილეობა იორკის ქმედებებში, ცხადია, რომ იორკის საქმიანობამ სითამამე შესძინა მას, რათა საბოლოოდ წაკიდებოდა ნაპოლეონს. პრუსიაში მოსახლეობა აღელვებული იყო, რაც თავისთავად გავლენას ახდენდა მთავრობაზე, რათა თავი დაეხსნათ საფრანგეთის უღლისგან. თუმცა, ჰანდენბერგი არ დათანხმა ნაპოლეონთან აშკარა დაპირისპირებას, რადგანაც მისთვის პრუსიის არმიის მკვდრეთით აღდგომა და ავსტრიასთან ალიანსი წარმოადგენდა ორ აუცილებელ პირობას, რომლის გარეშეც პრუსიის განთავისუფლება ალბათ გადაიქცეოდა ნაადრევ, სისხლიან და წარუმატებელ კონფლიქტად.

შვარცენბერგმა ხელი მოაწერა სეპარატულ ზავს რუსებთან იანვარში და უკან დაიხია მდინარე ვისლას გადაკვეთით. შემდეგ ეუჟენმა დაიხია უკან პოზენიდან, ამტკიცებდა რა, რომ საფრანგეთის არმიის პირადი შემადგენლობა ძალიან შემცირებული იყო, იმისათვის რომ შეყოვნებულიყო

მდინარე ოდერის ხაზზე. ჰანდენბერგმა უფრო მეტი აქტიურობით დაიწყო ავსტრიასთან ალიანსის ძიება, რაც პრუსიას ნაპოლეონისა და ალექსანდრეს წინააღმდეგ გარიგების სიძლიერეს მიანიჭებდა. თუმცა, ავსტრიას სურდა ,,იმ დროისთვის სიტყვებით საკუთარი თავის შემოფარგვლა და არსებული ვითარებიდან სარგებელის მოძიება.'' მეტერნიხი აგრეთვე იძულებული იყო შეერთებოდა ალიანსს საფრანგეთის წინააღმდეგ. რაც შეეხება პრუსიას, საბოლოოდ ნათელი გახდა პრუსიის მეფისათვის და მისი მთავრობისათვის, რომ მას უნდა მიეღო მხოლოდ ფორმალური გადაწყვეტილება რუსებთან დაკავშირებით. ალექსანდრე I-მა თვითონ დაარწმუნა ყოფილი მეგობარი შემდეგი სიტყვებით: ,,მეგობრობა, ნდობა, შეუპოვრობა და სიმამაცე - აი რა გჭირდებათ ძვირფასო მეგობარო; წინდახედულობა იზრუნებს დანარჩენზე.''

კუტუზოვმა რუსეთის მეფეს მისწერა ,,ჩვენი ამოცანა დასრულებულია....მიეცით უფლება გერმანელებს თავად გაინთავისუფლონ თავი.'' მაგრამ ახლა უკვე ალექსანდრე იყო შეპყრობილი საკუთარი ამოცანის გრანდიოზულობით. ვილნოსთან მან უთხრა შეკრებილ გენერლებს: ,,თქვენ არა მხოლოდ რუსეთი გადაარჩინეთ, არამედ თქვენ გადაარჩინეთ ევროპაც.'' 1812 წლის კამპანია დასრულებული იყო და ნაპოლეონმა წარუმატებლობა განიცადა კოლოსალური უბედურებით. თუმცა ნათელი იყო, რომ ევროპისთვის ბრძოლა გრძელდებოდა. პარიზში ნაპოლეონის დაბრუნება არ იყო დამარცხების აღიარება, არამედ უფრო მეტად მისი განზრახვის განცხადება მოეგროვებინა ახალი არმია.

დეკემბერში მიურატისა და ეუჟენისადმი ნაპოლეონის მიერ მიწერილ წერილებში იკითხებოდა, რომ მას არ ჰქონდა განზრახული მისი იმპერიის აღმოსავლეთის ბასტიონების დათმობა. არამედ, ის იმედოვნებდა თავდაცვის ხაზის სისტემატიზირებას ვისლას გასწვრივ ან სულ მცირე ოდერის გასწვრივ. როგორც აღმოჩნდა, ის იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო მდინარე ელბას ხაზით, რადგან იორკის ღალატმა, შვარცენბერგის უკან დახევამ და ალექსანდრეს წინ წაწევამ ცოცხალი ძალის გარეშე დატოვა თავდაცვის ხაზები. 1813 წლის მარტში, ბოლოს და ბოლოს, ფრიდრიხ ვილჰელმმა დასძლია საკუთარი შიში და გამოსცა პროკლამაცია ,,ჩემი ხალხისთვის;'' გენერალ შარნჰოსტის ახალმა პრუსიულმა არმიამ აისხა იარაღი და პრუსიის ისტორიაში პირველად ხალხი წავიდა მოხალისედ მოქმედ არმიაში. ეს იყო მომენტი, რომელსაც პატრიოტები ელოდნენ დიდი ხნის განმავლობაში და არასოდეს არ დავიწყებიათ.

ამასობაში დიპლომატიური დუელი ავსტრიასა და საფრანგეთს შორის გრძელდებოდა. ფაქტიურად ფორმალური სამხედრო ალიანსი რუსეთის წინააღმდეგ აღარ არსებობდა. თუმცა აპრილში საფრანგეთის დესპანი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ავსტრიას უნდა გაეგრძელებინა საფრანგეთის გვერდში დგომა ახლად ჩამოყალიბებული კოალიციის წინააღმდეგ. მეტერნიხმა უარი განაცხადა და მიანიშნა, რომ ავსტრია იბრძოლებდა გამოწვევის შემთხვევაში. ,,მაგრამ თქვენ არ ხართ მზად მარტო იომოთ რუსეთთან,'' განაცხადა ფრანგმა, ,,ეს სწორედ ჩემი საქმიანობაა ამის ცოდნა.'' ,,და ჩემი საქმიანობაა ამის დამალვა''- უპასუხა მეტერნიხმა, თან დაამატა: ,,მოდი ვნახოთ ვინ უკეთესად ართმევს თავს საკუთარ საქმიანობას.''

რუსეთის 1812 წლის კამპანია დასრულდა საფრანგეთის მარცხით. სახიფათო ამბიციებით და საკუთარი შეუმცდარობის რწმენით დაბრმავებულმა ნაპოლეონმა წამოიწყო კამპანია, რომელიც მის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ძალები და მანძილი მომარაგებისა და გადაადგილების იმ დროის მეთოდებისთვის ძალიან დიდი იყო. აგრეთვე იმპერატორს, როგორც გენერალს არ მოუხდენია ჩვეულებრივი უპირატესობის დემონსტრირება ბრძოლის ველზე. მისი დანაკარგი ძალიან

დიდი იყო იმისათვის, რომ სწრაფად ჩანაცვლებულიყო. მთლიანობაში დანაკარგი შეადგენდა 400.000 ჯარისკაცს, 1.000 ზარბაზანს და 175.000 ცხენს. რუსეთის მხარემ კი განიცადა 250.000-ზე მეტი ჯარისკაცისა და პარტიზანის ზარალი. ამ კატასტროფამ დაუდო საფუძველი ნაპოლეონის წინააღმდეგ ძლიერ შეტევას - შეტევას, რომელიც იქნებოდა გადამწყვეტი.

ნაპოლეონის დაცემა

თომას მ. ჰუბერი

1807 წლამდე ნაპოლეონი თავის მოწინააღმდეგეებთან შედარებით გადამწყვეტ უპირატესობას ფლობდა. მას ჰყავდა ახალი ტიპის ძალა და იცოდა მისი გამოყენების ახალი გზები, რასაც მისი მოწინააღმდეგეები ვერ ხვდებოდნენ. 1805-1807 წლებში ის გამუდმებით იმარჯვებდა. 1808-1815 წლებში ნაპოლეონმა განიცადა სხვადასხვანაირი შედეგები და საბოლოოდ დამარცხდა. ისტორიკოსები მისი ბედის სრული შეცვლის მიზეზების დადგენისას წააწყდნენ მცირე სირთულეს: ნაპოლეონის ძალები უარესდებოდა; მოკავშირე ძალები უკეთესი ხდებოდა და ნაპოლენი საკუთარ ძალას უფრო დიდ და უჩვეულო ამოცანებს აძლევდა, რომელთა შესრულებაც მის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ნაპოლეონის აღზევების დინამიკა უმთავრესად იყო ორგანიზაციული და ოპერატიული. მისი დაცემის დინამიკა უმთავრესად იყო პოლიტიკური და სტრატეგიული. ოპერატიულ დონეზე ნაპოლეონი იყო გენიოსი. პოლიტიკურ დონეზე მისი განსჯის უნარი სამწუხაროდ სუსტი იყო. საფრანგეთისა და ევროპისათვის დიდი უნარისა და ცუდი განსჯის კომბინაციამ მოიტანა ხანგრძლივი და რთული ათწლეული. აქ მოცემული ერთ-ერთი გაკვეთილი არის ის, რომ არც ერთი სამხედრო ძალა არ არის ისეთი დიდი, რომ ის ვერ დაამარცხოს საკუთარმა ლიდერმა დაშვებული შეცდომებიდან გამომდინარე. 1815 წელს ნაპოლეონის არმია არ იყო ისეთი როგორიც 1805 წელს. ნაპოლეონის არმია განვითარების მაღალ სიმაღლეზე იყო სწორედ 1805 წელს. ორი წლის განმავლობაში ის დაბანაკებული იყო ბულონთან, სადაც გადიოდა წვრთნას და იყო მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ბრიტანეთში შეჭრის მოლოდინში. 1809 წელს საფრანგეთის არმია უკვე ავლენდა დაუძლურების ნიშნებს, ხოლო 1815 წლისთვის ძალის მოქმედებების შესუსტებული ხარისხი შესამჩნევი იყო. და ეს შესუსტება აშკარა იყო ყველა დონეზე. თავად ნაპოლეონი, რომელიც ჯერ-კიდევ სათანადოდ მოქმედებდა 1815 წელს, არ იყო ისეთი სწრაფი და ძლიერი როგორც მანამდე; ის ჯერ-კიდევ იყო უნარიანი მეთაური, თუმცა არა ისეთი საზოგადოდ აღიარებული გენიოსი როგორც მანამდე.

სურათი 67. შარლ დე ტალეირანი (1754-1838). გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, საგარეო საქმეთა მინისტრი ნაპოლეონის კაბინეტში

1815 წლისთვის ნაპოლეონის საუკეთესო მარშლები, მისი კორპუსების დიდებული მეთაურები, იყვნენ უმთავრესად სამსახურიდან გადამდგარნი, დაწინაურებულები ან ომში დაღუპულნი. უფროსი და უმცროსი ოფიცრების საუკეთო ნაწილის უმეტესობა აგრეთვე დაიღუპა უწყვეტი

ბრძოლების ათწლეულის მანძილზე. ნაპოლეონის არმიაში პირად მამაცობას დიდ პატივს სცემდნენ, რაც იმ დროს უპირატესობა იყო, თუმცა ხანგრძლივმა კონფლიქტმა ენერგიული ოფიცრების სერიოზული დეფიციტი გამოიწვია. ბოლოს, თავად ჯარები აღარ იყვნენ ისეთები როგორებიც მანამდე. 1812 წლიდან მოყოლებული ნაპოლეონმა გადაჭარბებული დანაკარგის ჩანაცვლება შეძლო გამოუცდელი, მცირე ასაკის მამაკაცების ჯარში გაწვევით, რამაც უარყოფითად იმოქმედა არმიის ბრძოლისუნარიანობაზე. ათწლიანი უწყვეტი ბრძოლის შემდეგ, 1815 წელს კი საფრანგეთის არმია უკვე ძალაგამოცლილი იყო.

გარდა ამისა, მოკავშირე ძალები უფრო გაძლიერდნენ. მათ გააუმჯობესეს შესრულების უნარი რამდენიმე მიმართულებით. ნაპოლეონმა ასწავლა მათ, რომ საერთაშორისო განცალკევება უიმედი იყო. 1815 წლისთვის, როცა ნაპოლეონის მოქმედებები იყო კონვულსიური (არათანმიმდევრული), ყველა ევროპულმა სახელმწიფომ შეძლო მობილიზება ერთად მის წინაღმდეგ. ნაპოლეონმა ასწავლა მათ გაერთიანებული დიპლომატიისა და გაერთიანებული ოპერაციების უპირატესობები. 1805 წელს ისინი არ იყვნენ ასეთი გონიერები. გარდა ამისა, მათ შეისწავლეს ბევრი რამ ნაპოლეონის მაგალითიდან. ყველა მთავარმა სახელმწიფომ, რომელიც უპირისპირდებოდა ნაპოლეონს და ზოგიერთმა უმნიშვნელო სახელმწიფომ 1815 წლისთვის დაიწყო იდეოლოგიური ნაციონალიზმის გამოყენება სახაზო ჯარების მოტივირების მიზნით და არა უბრალოდ იძულებისა და ჯამაგირის კომბინაციის გამოყენება, რასაც დინასტიური არმია ეყრდნობოდა მანამდე. ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთმა სახელმწიფომ, კერძოდ პრუსიამ, წამოიწყო ფუნდამენტური პოლიტიკური და სამხედრო რეფორმების გატარება. სამხედრო რეფორმები იყო განსაკუთრებით ყურადღების ღირსი, რადგან პრუსიელებმა დაძლიეს ფრანგული სისტემა და შექნეს ახალი უფრო ძლიერი ინსტიტუტები: მაგალითად გენერალური შტაბი, პროფესიული სკოლების იერარქია და კონტინგენტის ჩანაცვლებისთვის მომზადებული არმია. ამ ახალმა მეთოდებმა 1813-15 წლებში პრუსიას საფრანგეთთან ბრძოლის წარმოების, ხოლო 1870 წელს ორი თაობის განმავლობაში ნაპოლეონ III-ზე გასაოცარი გამარჯვებების მოპოვების შესაძლებლობა მისცა, ამიტომ მსოფლიოს ყველა მთავარი გვარეობა იყენებდა ამ მეთოდებს. სხვა სახელმწიფოებს ისე სიღრმისეულად არ განუხორციელებიათ სამხედრო რეფორმები, როგორც ეს გააკეთა პრუსიამ 1813 წელს; პრუსიელებმა მიითვისეს ნაპოლეონის მრავალდონიანი სტრუქტურა და შექმნეს ბრიგადა, დივიზია, კორპუსი და პოლკის ზედა არმიის ეშელონები, რამაც მათ პრუსიული არმიის ნაპოლეონის ოპერატიულ მოქნილობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესაძლებლობა მისცა. გარდა ამისა, გამჭრიახმა მეთაურებმა, როგორიც იყო ველინგტონი, ისწავლეს საფრანგეთის არმიის განსაკუთრებული ტაქტიკური მეთოდებისთვის თავის გართმევა, მაგალითად ფრანგების სხადასხვა გვარეობების თანმიმდევრული შეტევა. ამ შეტევის დამარცხება ველინგტონმა შეძლო დაქანებულ ფერდობზე ჯარების განლაგებით; მან გაოიყენა კავალერია და არტილერია ქვეითების კვადრატების დასაცავად და მსგავსი რამ. მრავალ განზომილებაში - დიპლომატიურში, იდეოლოგიურში, ორგანიზაციულსა და ტაქტიკურში -მოკავშირე ძალების მხრიდან ოპერაციის შესრულება უკეთესი გახდა.

ნაპოლეონი ალბათ მიაღწევდა მიზანს, ასეთ პირობებშიც კი, და საფრანგეთისთვის მოიპოვებდა მუდმივ საზღვრებს მდინარე რაინზე, მისი სტრატეგიები რომ არ გაცდენოდა მისი შესაძლებლობების ფარგლებს. 1807 წლისთვის ნაპოლეონის მიზანი, როგორც ჩანს, იყო მთელს ევროპაზე ჰეგემონური კონტროლის განხორციელება. ნათელი არ არის თუ ამ მიზნის წარმატება როგორ გააუმჯობესებდა საფრანგეთის ან ევროპის კეთილდღეობას, თუმცა მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს

ეს იყო მისი მიზანი. ნაპოლეონის პრობლემა იყო ის, რომ მისი მიზანი იყო განუხორციელებელი. ევროპის გასაკონტროლებლად მას უნდა გაეკონტროლებინა ევროპაში არსებული ყველა მთავარი სახელმწიფო. ერთ-ერთი ასეთი სახელმწიფო კი იყო ინგლისი, რომელსაც საფრანგეთის არმიისაგან იცავდა წყალი. პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელი იყო ინგლისის დამარცხება რიცხობრივად უპირატესი სამხედრო-საზღვაო ფლოტის გარეშე, ნაპოლეონს კი არ ჰყავდა ასეთი ფლოტი. ამიტომ, მან მიმართა ეკონომიკურ ომს (ბლოკადას) ინგლისის წინაღმდეგ, რის გამოც მან აიძულა ევროპული ქვეყნები, რომლებიც უმეტესად სავაჭრო კუთხით დამოკიდებულები იყვნენ ინგლისზე - პორტუგალია, ესპანეთი, პრუსია, ავსტრია, რუსეთი და ა.შ. - გაჰყოლოდნენ იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რაც მათ ინტერესებში არ შედიოდა. 1808 წელს ნაპოლეონმა ომი გააჩაღა ესპანეთთან, ხოლო 1812 წელს - რუსეთთან. თითოეული ეს კონფლიქტი მოითხოვდა მეტ რესურსს და მეტ მახვილგონივრულობას ვიდრე ნაპოლეონს დასჭირდა ჩრდილოეთ იტალიასა თუ სამხრეთ გერმანიაში დეტალურად დაგეგმილ სამხედრო ოპერაციებში გამარჯვებებისას. ამ კონფლიქტებიდან თითოეულის დროს ნაპოლეონი წააწყდა პრობლემას მწირი და უნაყოფო რელიეფის, აღქმის უნარის არმქონე მოსახლეობის, ცუდად განვითარებული საგზაო სისტემისა და პარტიზანულ ძალებთან ბრძოლაში ჩაბმის სახით. 1813-15 წლებში ნაპოლეონი სერიოზულად დაასუსტა იმ დანაკარგმა, რაც მან განიცადა რუსეთსა და ესპანეთში. ამავე დროს ის აღმოჩნდა ევროპულ სახელმწიფოთა ალიანსის პირისპირ 1813, 1814 და 1815 წლებში. უპრეცენდენტო ზომის ძალების მობილიზაციისა და გადამჭრელად მოქმედების მიუხედავად ნაპოლეონი ბოლოს დამარცხდა.

სურათი 68. მიშელ ნეი (1769-1815).საფრანგეთის მარშალი და ღირსეული მეომარი

რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი ნაპოლეონის სწრაფ დაცემას. 1807 წლიდან ევროპის ბატონი 1815 წლისთვის გახდა მუდმივი ემიგრანტი ევროპაში. საფრანგეთის დაქანცულობა იყო ამ შედეგის ერთ-ერთი მიზეზი და მეორე კი - შესანიშნავი ადაპტაცია მოკავშირე ძალების მხრიდან არსებულ ვითარებაში. მოკლედ, ნაპოლეონს ჰქონდა არჩეული სტრატეგია, რომელიც სჭარბობდა მის შეზღუდულ საშუალებებს.

არსებობს კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ჩვენ უნდა შევეხოთ ნაპოლეონთან დაკავშირებით. თანამედროვე ომი ხასიათდება, როგორც ,,საბრძოლო მოქმედებების წარმოება'' (,,combat''), ხოლო ნაპოლეონის ომი ხასიათდებოდა, როგორც ,,ბრძოლა'' (,,battle''). საბრძოლო მოქმედებების წარმოება არის შეტაკება, რომელიც არის უწყვეტი დროსა და სივრცეში, ხოლო ბრძოლა არის ძალების შეჯახება მოცემულ ადგილზე მოცემულ დღეს. საბრძოლო მოქმედებების წარმოება არის დროში განვითარებული სამხედრო ოპერაციების ერთობლიობა, ხოლო ბრძოლა არის ერთი კონკრეტული მოვლენა. ზოგჯერ ისტორიკოსები სვამენ კითხვას: ეს ძირეული ცვლილება, საბრძოლო მოქმედების წარმოებიდან ბრძოლამდე, როდის და რატომ მოხდა. ბრძოლის შეწყვეტა როდის და რატომ გახდა გადამწყვეტი და შეტაკება უწყვეტი? 1914 წელს მდინარე მარნასთან ერთმა კონკრეტულმა

ბრძოლამ გზა დაუთმო საბრძოლო მოქმედებების წარმოების მთელ პროცესს. 1805 წელს აუსტერლიცთან ნაპოლეონმა გადამწყვეტი ბრძოლა მოიგო ერთ დღეში, რამაც ასევე სათავე დაუდო საბრძოლო მოქმედებების მთელ ჯაჭვს. თუმცა არმიების გადაადგილება უშუალო სიახლოვეს და ერთმანეთთან დაპირისპირება დამქანცველ ბრძოლებში დარჩა ჯერ-კიდევ ოპერატიული. ცალკეულმა ბრძოლებმა გზა დაუთმეს ბრძოლებს უშუალოდ დაკავშირებული თანმიმდევრობით ანუ ,,თანმიმდევრულ ბრძოლას'' ან ბრძოლებს, რომელთა მოქმედებები იყო უწყვეტი და თანმიმდევრული, თუმცა ჯერ-კიდევ გადამწყვეტი.

ზოგიერთი ნაპოლეონის ეპოქის შემსწავლელი ისტორიკოსი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს იგივე ფენომენი ანუ ბრძოლები, რომლებიც იყო უწყვეტი და თანმიმდევრული, და რომლებიც ახასიათებდა ნაპოლეონის შემდგომ ჩატარებულ კამპანიებსაც, შესაძლებელია მნიშვნელოვნად მივიჩნიოთ 1813 წელს, როცა მოკავშირე ძალები და საფრანგეთის ჯარები აწარმოებდნენ ბრძოლას ბრძოლაზე, რაც დასრულდა ლაიპციგში 800.000 ადამიანის დაღუპვით, თუმცა ორივე მხარემ ასეთ პირობებშიც კი შეინარჩუნა ოპერატიულობა და საომარი მზადყოფნა. როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის ფაქტორები, რომლებმაც ბრძოლები ფართომასშტაბიანი გახადა - ნაციონალიზმი, უფრო დიდი ზომის ჯარები, მრავალეშელონიანი ორგანიზება, უკეთესი მომარაგება, მთლიანი ომის მიზნები - მათ უკვე შედეგი ჰქონდათ 1813 წელს. ამ შეცვლილ გარემოში სტრატეგიული დაუძლურება იქნებოდა გადამწყვეტი და არა ბრძოლა. ამის კლასიკური მაგალითია კუტუზოვის მოქმედებები ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსეთში 1812 წელს. ცნობილი პრუსიელი გენერალი ბლიუხერიც იცავდა ომისადმი ამ ახალ მიდგომას უკვე 1813 წელს, როგორც ამერიკელი გენერალი გრანტი დაიცავდა 1864 წელს ამერიკის სამოქალაქო ომის დროს. ამავე დროს, ზოგიერთი ანალიტიკოსი უშვებს ვარაუდს, რომ სწორედ თანმიმდევრული ბრძოლის მოდელი გამოჩნდა 1813 წლამდეც კი, 1809 წელს ნაპოლეონის კამპანიებში.

ნაპოლეონის მარცხი ვატერლოოსთან

ალბერტ სიდნეი ბრიტ III

მცირერიცხოვანი ჯარის თანხლებით, 1815 წლის 26 თებერვალს, ნაპოლეონი კუნძულ ელბადან გაიქცა, ოთხი დღის შემდეგ ჟუანის ყურის ნაპირზე გადავიდა და პარიზისკენ მარშით გაემართა. დაახლოებით ერთკვირიანი გადაადგილების შემდეგ ის წინააღმდეგობას წააწყდა - რეგულარული არმიის ბატალიონი გრენობლთან გზაზე იყო განლაგებული. ეს ჯარი მას შეუერთდებოდა თუ მეფის ერთგული დარჩებოდა? ბატალიონის მეთაურმა მაიორმა განაცხადა, რომ ის ბრძანების შესაბამისად მოქმედებას აპირებდა. ჯარისკაცების რიგებში მოლოდინით გამოწვეული თრთოლვა იგრძნობოდა. მანძილი ისეთი იყო, რომ ისინი მკაფიოდ ხედავდნენ ყოფილი მთავარსარდლის ნაცნობ ფიგურას, რომელიც კოლონას წინ მოუძღოდა. როცა მანძილი მინიმუმამდე შემცირდა, რამდენიმე ბრძანება გაისმა. ნაპოლეონმა ნაბიჯი წინ წადგა და ბოლოს, მაიორმა დაიყვირა: ,,ცეცხლი!" მაგრამ არც ერთი თოფი არ გავარდნილა. ,,ჯარისკაცებო! - შესძახა ნაპოლეონმა - თუ თქვენ შორის არის ვინმე, ვისაც თავისი იმპერატორის მოკვლა სურს, მას შეუძლია ეს გააკეთოს, მე აქ ვარ"... პასუხად გაისმა ჯარისკაცების ყვირილი: "გაუმარჯოს იმპერატორს!" ყველა მისკენ გაექანა და გადაეხვია.

სურათი 69. ნაპოლეონი ბრუნდება კუნძულ ელბადან

ვენის კონგრესი

აქსიომად ითვლება, რომ მხოლოდ უდიდეს საფრთხეს შეუძლია აიძულოს ნებისმიერი კოალიცია, იმოქმედოს შეთანხმებულად. გამონაკლისი არც ის მოვლენები ყოფილა, რომლებიც ნაპოლეონის გადადგომას მოჰყვა. პარიზის ზავი, რომელსაც ხელი 1814 წლის 30 მაისს მოეწერა, ეხებოდა ომისდროინდელ ევროპის ქვეყნებს შორის არსებულ უთანხმოებებს, რომლებიც მოსაგვარებლად უნდა წარედგინათ კონგრესზე, რომელიც იმ წლის ოქტომბერში ვენაში უნდა შემდგარიყო. გამარჯვებულებს ავსტრიის დედაქალაქის კულტურულ ატმოსფეროში უნდა მოელაპარაკათ მშვიდობიანობის დროს ძალის დაბალანსების შესახებ. ევროპის ყველა ქვეყნიდან ვენაში თავი მოიყარეს მეფეებმა და იმპერატორებმა, პრინცებმა და ჰერცოგებმა, ბარონებმა და გრაფებმა, რომლებიც ტერიტორიის ფლობასა და გავლენასთან დაკავშირებით თავიანთი მოთხოვნების წაყენებას აპირებდნენ. მათი განწყობა საამო მოლოდინით აღსავსე, უზრუნველი, თითქმის ფუქსავატური იყო. ქალაქი თითქოს საკარნავალო ადგილს ჰგავდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ის ერთიანობა, რომელიც მოკავშირეებმა ბრძოლის ველზე მოკლე ხნით გამოავლინეს, დიპლომატების სალონებში სწრაფად გაქრა. ნაპოლეონი დატყვევებული იყო და კუნძულ ელბაზე იმყოფებოდა, ამიტომ ითვლებოდა, რომ ახლა ყველა ქვეყანას შეეძლო საკუთარი ინტერესების დაცვა ისე, რომ ,,ომის ღმერთის" მხრიდან ჩარევის შიში არ ჰქონოდა.

პრუსიის საგარეო საქმეთა მინისტრი კასლერეი ვენაში იმ იმედით ჩავიდა, რომ მიღებული იქნებოდა მის მიერ მოფიქრებული „სამართლიანი თანასწორობის" („just equilibrum") ფორმულა, რომლის მიხედვით პრუსიას და ავსტრიას უნდა შეექმნათ მნიშვნელოვანი საპირწონე საფრანგეთის ან რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მეფე ალექსანდრე I დარწმუნებული იყო, რომ ჰქონდა უფლება გადაეწყვიტა პოლონეთის მომავალი და იმ პოლონური ტერიტორიის დაბრუნებას მოითხოვდა, რომელიც ადრე დაუთმო პრუსიასა და ავსტრიას. მეტერნიხი, როგორც ყოველთვის,

ორმაგ თამაშს თამაშობდა: მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ექსპანსიას პოლონეთში და იმავ-დროულად წინააღმდეგობას უწევდა პრუსიის მიერ საქსონიის ხელში ჩაგდებას. პრუსიის ინტერე-სების სფერო სადღაც შუალედურ დონეზე განისაზღვრებოდა: რუსეთის იმპერატორზე პრუსიის მეფის ფრიდრიხ ვილჰელმის თითქმის ბავშვურ დამოკიდებულებასა და მისგან სრულიად დამოუკიდებელ პრუსიის გენერალურ შტაბს შორის, რომელიც არ მალავდა მუქარას იმასთან დაკავშირებით, რომ პრუსიისთვის საქსონიაზე უარის თქმა ომის დაწყებას ნიშნავდა. შედეგად შექმნილი ჩიხი პრობლემას წარმოადგენდა, რომლის გადაჭრა მხოლოდ უნიჭიერეს დიპლომატებს შეეძლოთ. ამ ვითარებაში აუცილებელი იყო ტალეირანის ჩარევა.

ფრანგი მინისტრის გაბედული გადაწყვეტილება ჩიხთან დაკავშირებით იყო საიდუმლო სამხედრო ალიანსის შექმნის შეთავაზება მეტერნიხისა და კასლერეისთვის. 1815 წლის იანვარში სამმა მინისტრმა შეადგინა ხელშეკრულება, რომელშიც ისინი ურთიერთდახმარების პირობას დებდნენ, თუ რომელიმე მათგანის სახელმწიფოს ვინმე თავს დაესხმოდა. რადგან საფრანგეთი

სურათი 70. ვენის კონგრესი

დიპლომატიურ იზოლაციაში აღარ იმყოფებოდა, ტალეირანმა საფრანგეთის მეფეს მისწერა: „კოა-ლიცია დაიშალა.” მაგრამ ეს სიტყვები კიდევ დიდ ხანს არ გამართლდა.

ახალი ამბავი ნაპოლეონის ელბადან გაქცევის შესახებ ვენაში იმავე დღის ადრიანი დილით მივიდა, რომელ დღესაც ნაპოლეონი საფრანგეთის ჯარს დაუპირისპირდა გრენობლთან. მსახურმა გააღვიძა მეტერნიხი. მოგვიანებით, მან თავის მემუარებში დაწერა: ,,რამდენიმე წუთში ჩავიცვი და რვა საათი არ შესრულებულიყო, როცა იმპერატორთან [ავსტრიის იმპერატორი] შევედი.” ერთ საა-თში მეტერნიხმა გააფორმა შეთანხმება ავსტრიის იმპერატორ ფრანცს, ალექსანდრესა და ფრიდრიხ ვილჰელმს შორის. ამ შეთანხმების საფუძველზე, მოგვიანებით, გამოცხადდა ახალი ომი ნაპოლეო-ნის წინააღმდეგ.

თავის მემუარებში მეტერნიხმა ჩაწერა იმდღევანდელი საუბარი ტალეირანთან;

ტალეირანი: იცით, საით მიემართება ნაპოლეონი?

მეტერნიხი: ოფიციალურ დეპეშაში ამაზე არაფერია ნათქვამი.

ტალეირანი: ალბათ გემით სადმე იტალიის ნაპირს მიადგება და შემდეგ შვეიცარიაში წავა.
მეტერნიხი: მე ვფიქრობ, პირდაპირ პარიზისკენ გაემართება.



სურათი 71. კლემენს ფონ მეტერნიხი (1773-1859). გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე. ავსტრიის კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი

ახსოვდა რა 1809 წელს განცდილი დამცირება, მეტერნიხმა დიდი სიფრთხილით აწონ-დაწონა თითოეული სიტყვა და საკუთარი ხელით შეადგინა ომის დაწყების შესახებ ოფიციალური განცხადების პროექტი:

,,სახელმწიფოები აცხადებენ, რომ იმ შეთანხმების დარღვევით, რომლის მიხედვითაც მას კუნძულ ელბაზე მიუჩინეს ადგილი, ნაპოლეონმა დაარღვია ის ერთადერთი სამართლებრივი ტიტული, რომელსაც უკავშირდებოდა მისი არსებობა; რომ საფრანგეთში ხელახლა გამოჩენით მან საკუთარი თავი დააყენა მოქალაქეობრივ და სოციალურ ურთიერთობებს გარეთ, და ამგვარად, როგორც მსოფლიოს მტერმა და მშვიდობის დამრღვევმა, მან თავად გადასცა საკუთარი თავი საზოგადოების შურისძიებას.”

ეს იყო კოალიციის მხრიდან პირველი გადამწყვეტი და მტკიცე ნაბიჯი.

ამასობაში, მეტერნიხის წინასწარმეტყველება გამართლდა: ,,მშვიდობის დამრღვევი” პარიზისკენ მიემართებოდა. ლუი XVIII ერთი წლის დაბრუნებული იყო თავის ტახტზე. მან აღმოაჩინა, რომ ქვეყანა საკმაოდ გულგრილად შეხვდა ამ მოვლენას, ახლა კი ის ხედავდა, რომ საშუალო კლასს, არმიასა და სარდლებს მისი თანადგომის სურვილი არ ჰქონდათ. პარიზიდან ცხენზე ამხედრებული მიშელ ნეი გამოემგზავრა, რომელიც არ მალავდა თავის სიძულვილს „ავანტიურისტის” მიმართ და პირობას დებდა, რომ მას პარიზში რკინის გალიით ჩაიყვანდა. ნაპოლეონი უკეთ იცნობდა ნეის და მისწერა, რომ მისი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. ,,...ჩამოდი შალონში და შემომიერთდი. ისე მიგიღებ, როგორც მაშინ, მოსკოვის ბრძოლის შემდეგ...” ძველი გამარჯვებების ხიბლი ნეისთვის ბევრს ნიშნავდა. მისი უდიდესი ერთგულება ევროპის უდიდესი ბრძოლების სიმხურვალეში გამოიჭედა. ულმის, იენას, ეილაუს და ბოროდინოს მოგონებებმა დასძლია საღ აზრს და ის სასწრაფოდ შეუერთდა ნაპოლეონს. ამჯერად მან განაცხადა, რომ ,,ბურბონების საქმე დამთავრებული იყო.”

სურათი 72. ლუი XVIII, საფრანგეთის მეფე
1814-1824 წლებში

ნეის ღალატმა დაარწმუნა მეფე, რომ მისი საქმე მართლაც წასული იყო და იგი ბელგიაში გაიქცა, პარიზი კი კვლავ ნაპოლეონს დაუტოვა. კარნო, ფუშე და კოლენკური იმპერატორს შეუერთდნენ, როგორც მინისტრები; დავუ, სულტი და სუშე არმიას დაუბრუნდნენ. მაგრამ ბევრი კარგად ნაცნობი სახე არსად ჩანდა: აქტიურობას არ იჩენდნენ ბერტიე და ოჟერო; მარმონი, სენ-სირი, უდინო და მაკდონალდი ნდობას არ იმსახურებდნენ ბურბონებისადმი მათი მხარდაჭერის გამო; მიურატმა ერთგულების პირობა დადო, მაგრამ მას დიდი დარტყმა მიაყენა ცოლის ძმამ, მას შემდეგ, რაც ნაადრევი შეტევა განავითარა იტალიაში, რამაც მხოლოდ ნაპოლეონის ახალი რეჟიმის საომრად მზადყოფნის განცხადების როლი შეასრულა; მასენა, რომელიც მარშლებს შორის უხუცესი იყო, ასევე პასიურობას იჩენდა. ამავე დროს, ნაპოლეონმა ძალიან კარგად იცოდა, რომ მოკავშირეები მალე მის წინააღმდეგ დაიძრებოდნენ და ამიტომ, დაუყოვნებლივ შეუდგა გეგმების სისრულეში მოყვანას ახალი არმიის სასწრაფოდ შექმნის მიზნით.

დაპირისპირებული მხარეების სტრატეგიები,
მოკავშირეების შეთანხმება

მოკავშირეებს ნაპოლეონის ძლიერი პოტენციური შესაძლებლობები აფიქრებდათ, მაგრამ ფხიზლად აკვირდებოდნენ მის სისუსტეებს. მარშალმა ბერტიემ, რომელმაც ესკორტით უზრუნველყო საფრანგეთიდან გაქცეული მეფე ლუი XVIII, აპრილში განაცხადა, რომ ნაპოლეონს მცირერიცხოვანი არმია ჰყავდა და როგორც ფულის, ისე ქვემეხების ნაკლებობას განიცდიდა. ბერტიემ იწინასწარმეტყველა: ,,თუ მას დროს მისცემთ, ის შეძლებს შეაგროვოს დიდი მასები.” ამასობაში, ველინგტონი ბრიუსელში ჩავიდა, რათა ინგლისურ-ჰოლანდიურ არმიას სათავეში ჩადგომოდა (ეს შენაერთი, ფაქტობრივად, შედგებოდა ბრიტანეთის, ჰოლანდიის და გერმანიის ჯარებისაგან, მათგან ყველას ერთნაირი გამოცდილება არ ჰქონდა, ასევე საბრძოლო მომზადებითა და ორგანიზაციული სტრუქტურითაც განსხვავდებოდნენ), ხოლო ბლიუხერმა პრუსიული არმიის მეთაურობა ჩაიბარა. რუსული შენაერთები საკუთარი ქვეყნიდან მიღებულ ბრძანებებზე იყვნენ დამოკიდებული და შესაძლებელი იყო, უკან გაბრუნებულიყვნენ; შვარცენბერგი მდ. რაინთან განლაგებული ჯარის მეთაურად დაინიშნა. ერთად აღებული, ოთხი დიდი სახელმწიფო, ბრიტანული ოქროს დახმარებით, ბრძოლის ველზე 450.000 კაცის გამოყვანას აპირებდა. მაისის ბოლოს, საფრანგეთიდან სარწმუნო წყაროები იუწყებოდნენ, რომ მათი წინასწარი შეფასებებით, ნაპოლეონის არმია 280.000 ადამიანს ითვლიდა, რომელთაგან ბევრს არ ჰქონდა ტანსაცმელი და შეიარაღება.



სურათი 73. ბრიტანეთის არმიის
ოფიცერი და ჯარისკაცები
(მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედი)

ამ გარემოებების გათვალისწინებით, ველინგტონმა გადაწყვიტა, რომ დაუყოვნებლივ თავდასხმა ყველა არსებული ძალის გამოყენებით, საუკეთესო სამოქმედო გეგმა იქნებოდა. ბლიუხერი მას არ ეთანხმებოდა. ვენაში უფრო კონსერვატული აზროვნების გენერლები ჭარბობდნენ. ავსტრიელებს ერჩივნათ, საფრანგეთში შეჭრამდე გარანტირებული ჰქონოდათ საბრძოლო ძალის უდიდესი უპირატესობა; ალექსანდრეს სურდა, რომ რუს ჯარისკაცებს აქტიური როლი ეთამაშათ მიზნის მიღწევაში. ამის გარდა, ივნისამდე, მოკავშირეებმა ისიც კი არ იცოდნენ, ნაპოლეონი შეტევას ამჯობინებდა, თუ მეზობლებთან მშვიდობიან თანაარსებობას.

ბოლოს და ბოლოს, ჩამოყალიბდა საბოლოო გეგმა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა ნიჭიერი პრუსიელი გენერლის გნეისენაუს დიდი გავლენა. სამი მეწინავე არმია, რომლებსაც მეთაურობდნენ ველინგტონი, ბლიუხერი და შვარცენბერგი, საფრანგეთში უნდა შესულიყო და პარიზისკენ წასულიყო, იმის მიუხედავად, თუ როგორ განვითარდებოდა თითოეული მათგანის წინსვლა. სარეზერვო არმია (რუსებისა) მოემზადებოდა მოპოვებული წარმატების გასაძლიერებლად, ფრანგულ არმიას საკომუნიკაციო გზებს მოუჭრიდა, ან ერთ-ერთ მეწინავე არმიას დაეხმარებოდა, თუ ის წარუმატებლობას განიცდიდა. გნეისენაუ აღნიშავდა:

სურათი 74. ბრიტანელი ქვეითი
მსროლელები ბრძოლის წინა ხაზზე

,,ეს გეგმა ეფუძნება მოკავშირეთა არმიების რიცხობრივ უპირატესობას.” მართლაც ამ დიდი უპირატესობის გათვალისწინებით, ახლა აშკარად ჩანს, რომ ნაპოლეონის იმედები ჰაერში იყო გამოკიდებული.

სურათი 75. სერ არტურ უელსლი, ჰერცოგი ველინგტონი (1769-1852). გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

ფრანგული არმიის ნაკლოვანებები და ნაპოლეონის გეგმა

სანამ ევროპის ქვეყნების არმიები საფრანგეთში თავს იყრიდნენ, ნაპოლეონმა მთელი თავისი ყურადღება ძალების მობილიზაციისკენ მიმართა. მარტში საფრანგეთის არმიაში სულ რაღაც 200.000 კაცი იყო, ხოლო შემდეგ მხოლოდ 60.000 ჯარისკაცი და სერჟანტი (უმცროსი ოფიცერი) დარჩა, რადგან 33.000 შვებულებაში იყო, ხოლო 85.000 დეზერტირი აღმოჩნდა. აშკარა გახდა, რომ ფრანგებს აღარ უნდოდათ იმპერატორისთვის თავის გაწირვა. გადასაწყვეტი იყო არა ის, თუ როგორ უნდა შეევსოთ არმიის რიგები, არამედ როგორ უნდა მოეხერხებინათ ახალი არმიის შექმნა. ცოცხალი ძალის ნაკლებობის მიუხედავად, ნაპოლეონმა უარი თქვა სავალდებულო გაწვევაზე, სავსებით სწორად გადაწყვიტა რა, რომ ფრანგები მოხალისეებად უფრო წავიდოდნენ იმპერატორის დასაცავად, ვიდრე ძალდატანებით.

გარდა ცოცხალი ძალის დეფიციტისა, არმია აშკარად ცუდად იყო აღჭურვილი. შეიარაღების მარაგში ათასობით საარტილერიო ქვემეხი ჰქონდათ, მაგრამ მათთვის საჭირო იყო, სულ ცოტა, ნახევარი მილიონი ცალი ჭურვი, რომ აღარაფერი ვთქვათ ცხენებსა და მათ აღკაზმულობაზე. თოფები (მუშკეტები) თავმოყრის ბანაკებში მისულ ჯარისკაცების მხოლოდ ნახევარს ჰქონდა. გლე-

ხებს ჯილდოს სთავაზობდნენ, თუ ისინი გადაკეთებულ სამონადირეო თოფებს მიიტანდნენ; საკეტების ხელოსნები და ავეჯის დურგლები იარაღის ოსტატებთან ერთად შრომობდნენ დამატებითი იარაღის შესაქმნელად. შეიარაღების აღდგენის, კავალერიის აღჭურვილობისა და ციხე-სიმაგრეების გამაგრების გასაუმჯობესებლად გაწეული დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ივნისში, როცა არმია ველზე გაიშალა, კვლავ თვალში საცემად რჩებოდა ცოცხალი ძალის და იარაღის ნაკლებობა. მთელი არმიისათვის მარაგში დარჩენილი იყო მხოლოდ 1.000 ფეხსაცმელი. კირასირების (ჯავშნით აღჭურვილი მხედრების) ესკადრონები უსაქმოდ იდგნენ ბანაკებში და კირასებს (ჯავშანაღჭურვილობას) ელოდნენ, სანამ ნაპოლეონმა მათ ველზე გასვლა არ უბრძანა და განაცხადა, რომ ბრძოლა კირასების გარეშეც შეიძლებოდა.

ნაპოლეონისთვის ყველაზე რთული ამოცანა იყო გამოცდილი ადამიანების პოვნა წამყვან თანამდებობებზე დასანიშნად როგორც არმიაში, ისე სამხედრო სამინისტროში. დავუ იდეალურად ესადაგებოდა სამხედრო მინისტრისთვის აუცილებელ ადმინისტრაციულ მოთხოვნებს, მაგრამ ამ პოსტზე მასზე არჩევანის გაკეთება უკმაყოფილებას გამოიწვევდა საველე მეთაურობაში. კორპუსების მეთაურებიდან აღარავინ შემორჩა სულტის გარდა, და ნაპოლეონმა კამპანიის ეს ვეტერანი მონაწილე აირჩია ბერტიეს ვაკანტურ თანამდებობაზე შტაბის უფროსად. მაისის ბოლოს, ნეი ჯერ ისევ შეუფერებლად მიიჩნეოდა საველე თანამდებობისათვის და მიურატის შემცვლელიც არავინ ჩანდა. ნაპოლეონი თავგანწირვით მუშაობდა, რომ თანამდებობებზე როგორმე სათანადო ხალხი შეერჩია. მან კავალერიის მეთაურად დანიშნა გრუში, რომელმაც სიმამაცე გამოიჩინა ეილაუსთან, ფრიდლენდთან და ბოროდინოსთან. მოუხეშავ და დაუმორჩილებელ ვანდამს, რომელმაც კარგად შეასრულა თავისი ვალი სულტის მეთაურობის ქვეშ აუსტერლიცთან და ლეფევრის მეთაურობის ქვეშ აბენსბერგ-ეგმიულთან, და ამის გარდა, თავი გამოიჩინა როგორც კორპუსის მეთაურმა ლაიპციგის კამპანიაში, ერთი კორპუსის მეთაურობა გადაეცა. გენერლები: ჟან ბატისტ დ'ერლონი, ანრი რეილე, მორის ჟერარი და გრაფი ლობო მეთაურებად დაინიშნენ. ყველა იყო დივიზიის გამოცდილი მეთაური, მაგრამ კორპუსის დონეზე გამოცდილება არ ჰქონდათ. პირველად უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, საფრანგეთის არმია საბრძოლველად უნდა გასულიყო გამოუცდელი მეთაურებით წამყვან თანამდებობებზე. როგორც მარენგოს კამპანიაში, ნაპოლეონს ახლაც ისღა დარჩენოდა, რომ საკუთარ საღ აზრსა და ფიზიკურ ამტანობას დაყრდნობოდა.

ჯარისკაცებისა და სერჟანტების (უმცროსი ოფიცრების შემადგენლობის) გამოცდილების მხრივ საფრანგეთი ისევ უპირატესობას ფლობდა. მსგავსად უმცროსი მეთაურებისა, ჯარისკაცებმა ომის ხელოვნება ევროპის სხვადასხვა კუთხეში გაშლილ ბრძოლის ველებზე შეისწავლეს. მაგალითად, არავითარი ინსტრუქტაჟი ჯარისკაც კანეს მსგავს ადამიანებს არ სჭირდებოდათ. ეს ადამიანი მოსკოვიდან უკანდახევის დროს სიკვდილს მხოლოდ საკუთარი გამოცდილების წყალობით გადაურჩა. ასეთმა ადამიანებმა ისიც მალე შეამჩნიეს, რომ ძველებური სულისკვეთება აღარ იყო. როცა ნაპოლეონმა თავის ჯარისკაცებს მოუწოდა, დაეფიცათ, რომ დაიცავდნენ თავიანთი პოლკების ღირსებას და სიმბოლოებს, ფიცი არ ჟღერდა თბილად, ენთუზიაზმი დაბალი იყო, შეძახილები არ ჰგავდა აუსტერლიცის და ვაგრამის დროინდელს; და იმპერატორი ამას კარგად ხვდებოდა. თუმცა არმიაში იყვნენ ძალიან კარგი მეომრები, მაგრამ ეს იყო არმია, რომელსაც არ ჰქონდა საკუთარი ლიდერებისა და საკუთარი თავის რწმენა. როგორც ერთი ფრანგი ოფიციალური პირი წერდა: ,,მას [არმიას] ჰქონდა უნარი ჩაედინა გმირობა და ებრძოლა თავგანწირვით და გაშმაგებით...

ნაპოლეონს მანამდე არასდროს ჰქონია ხელთ ომის საშუალება ასე მრისხანე და ამავე დროს ასე სუსტი.”

ნაპოლეონის ჩრდილოეთის არმიის (როგორც თვითონ უწოდებდა) ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლოვანება შეიარაღება, ორგანიზაცია ან გამოცდილება კი არა, მცირერიცხოვნობა იყო. პარიზში ყველამ იცოდა, რომ მოკავშირეებს შეეძლოთ 700.000-ზე მეტი ადამიანისთვის მოეყარათ თავი საომარი მოქმედებების დასაწყებად, ორი თვის მანძილზე იმ დროიდან, როცა ,,კორსიკელი უზურპატორის” წინააღმდეგ ომი გამოცხადდებოდა. მას შემდეგ, რაც გამოითვალეს აუცილებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო საშუალებები, დაკავშირებული რაინის, ალპების და იტალიის საზღვრების დაცვასთან, გამოირკვა, რომ ნაპოლეონი შეძლებდა რეზერვში მხოლოდ 160.000 ადამიანის ყოლას. იმავე დროს, საფრანგეთის პროვინცია ვანდეა აჯანყებული იყო და ერთი კორპუსის გადაყვანა გახდა საჭირო ამ რეგიონის დასაშოშმინებლად. პარიზის დასაცავად საჭირო იყო 20.000 ადამიანი. ნაპოლეონის მობილური, მოიერიშე (დარტყმის) შენაერთი ძალიან მცირე იყო საიმისოდ, რომ მოკავშირეების შენაერთებს წინ აღდგომოდა. მხოლოდ სისწრაფეს შეეძლო მისი მცირერიცხოვნობის ,,გაზრდა.”

იშვიათად თუ ჰქონია რომელიმე მეთაურს ამაზე მეტი თავსატეხი. საფრანგეთი არა მხოლოდ ისეთი მოწინააღმდეგეების წინაშე იდგა, რომელთა რიცხობრივი უპირატესობა გამოიხატებოდა შეფარდებით 4:1, არამედ ეს მოწინააღმდეგეები ისე ერთსულოვანნი იყვნენ, როგორც არასდროს. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ევროპიდან განედევნათ ადამიანი, რომელიც მათი აზრით ,,რევოლუციის მემკვიდრე” იყო. ნაპოლეონს არ ჰქონდა იმდენი დრო, რომ მოეცადა, სანამ მისი არმიები სრულ სიძლიერეს მიაღწევდნენ. მას ორი არახელსაყრელი სამოქმედო გეგმიდან ერთ-ერთი უნდა შეერჩია. (ნაპოლეონი ვარაუდობდა, რომ ოქტომბრისათვის 800.000-იანი არმიის შეგროვებას შეძლებდა). მისი პირველი გეგმა იყო თავდაცვითი პოზიციის არჩევა და 1814 წელს გამოყენებული ბრწყინვალე სტრატეგიის მსგავსად, მანევრირების სტრატეგიის განხორციელება და საბოლოო შედეგის შეფერხება, სანამ მისი არმიები ძალას მოიკრებდნენ; ის ამგვარად შეძლებდა მოწინააღმდეგეებისთვის თავს მოეხვია ომზე პასუხისმგებლობა, რადგან ისინი იძულებული იქნებოდნენ, შეჭრილიყვნენ საფრანგეთში. თუმცა, ამ მხრივ, ნაპოლეონმა ძალიან კარგად იცოდა, რომ 1814 წლის კამპანია მარცხით დამთავრდა არა ბრძოლის ველზე, არამედ პარიზში. ამგვარად, აუცილებელი იყო რამე ალტერნატივის განხილვა.

ბევრად შედეგიანი იქნებოდა თავდასხმა. თავის მოწინააღმდეგეებზე საომარი მოქმედებების განხორციელებით ნაპოლეონი შეძლებდა ეკარნახა ბრძოლის დრო და ადგილი საკუთარი შეხედულებისამებრ და ამგვარად, აღმოეჩინა ყველაზე სუსტი წერტილები გარს შემომდგარ შენაერთებში. თუ მოკავშირეების უახლოეს არმიას დარტყმას პირველი მიაყენებდა, შესაძლებელი იქნებოდა თითოეული არმიის ცალ-ცალკე დამარცხება, საფრანგეთში მათი შეჭრის შეყოვნება და შესაძლოა, კოალიციის წამყვანი წევრების (მაგალითად, ავსტრიის) საბრძოლო მოქმედებებიდან გათიშვა (იმ მდგომარეობამდე მიყვანა, რომ მას ,,ომის მადა” დაეკარგებოდა). ეს იყო უიმედო, განწირული თამაში, მაგრამ ნაპოლეონს ერჩივნა რისკზე წასულიყო და მასზე გაცილებით ნელა მოძრავი და ნელა მოაზროვნე მოწინააღმდეგეების მერყეობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. შეტევის შესახებ გადაწყვეტილება ზუსტად შეესაბამებოდა ნაპოლეონის ტემპერამენტის დადებით და უარყოფით მხარეებს. მისი ხასიათის გამორჩეული თვისება იყო მტკიცე რწმენა, რომ დიდი შედეგის მისაღწე-

ვად ადამიანი უნდა წასულიყო რისკზე და დიდ საფრთხეებს არ უნდა შეშინებოდა. მას ამ გადაწყვეტილებაზე ფიქრი დიდ ხანს არ დასჭირვებია.

ნაპოლეონი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სამხედრო გამარჯვება პარიზის მხარდაჭერის გარეშე უნაყოფო იქნებოდა. სანამ თავის სტრატეგიას საბოლოო სახეს მისცემდა, მან სენატს მიმართა:

,,სხვადასხვა სახელმწიფოების მეფეების საშიში კოალიცია ჩვენს დამოუკიდებლობას ემუქრება; მათი არმიები ჩვენს საზღვრებთან დგანან... შესაძლოა, ჩემმა, როგორც ხელმწიფის, უპირველესმა მოვალეობამ სულ მალე მომიწოდოს, ერის შვილებს ქვეყნისათვის ბრძოლაში წინ წარვუძღვე. არმია და მე ჩვენს ვალს შევასრულებთ. თქვენ, პერების და წარმომადგენლების პალატების წევრებო, ქვეყანას უნდა უჩვენოთ რწმენის, ენერგიულობის და პატრიოტიზმის მაგალითი... თქვენ მტკიცედ უნდა გქონდეთ გადაწყვეტილი, რომ სჯობს დაიღუპოთ, ვიდრე გადარჩეთ და საფრანგეთის ღირსების აყრასა და დაცემას მოესწროთ.” აუსტერლიცისა და ვაგრამის ნაპოლეონმა, ერთხელ კიდევ ბედისწერასთან შეჭიდებულმა, კვლავ ააფორიაქა ფრანგების ემოციები, იარაღისკენ მოუხმო მათ და ეროვნული ერთიანობისაკენ მოუწოდა.

ნაპოლეონის გეგმა საოცრად მარტივი იყო. 20 წლის წინ იტალიაში გამოყენებული სტრატეგიის მსგავსად, ახლაც მისი არმია პრუსიულ და ბრიტანულ არმიებს შორის უნდა შეჭრილიყო. ველინგტონის არმიის საკომუნიკაციო გზები ჩრდილოეთით გადიოდა, ბრიუსელის გავლით ანტვერპენამდე, ბლიუხერისა - აღმოსავლეთით, ლიეჟის გავლით. მათი განცალკევების შემდეგ მოკავშირეები იძულებული იქნებოდნენ საპირისპირო მიმართულებებით დაეხიათ. ნაპოლეონმა სწორად განსაზღვრა, რომ შვარცენბერგი ვერ გადაადგილდებოდა ივნისის ბოლომდე. მან დაგეგმა ბრიტანელების და პრუსიელების ცალ-ცალკე დამარცხება და შემდეგ აღმოსავლეთისკენ მიბრუნება ავსტრიელების დასამარცხებლად. თუმცა ეს გეგმა სარისკო იყო, ის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი თანმხლები შედეგის იმედს უსახავდა: ბელგიაში გადამწყვეტი გამარჯვების შემდეგ მთელი საფრანგეთი ნაპოლეონის გარშემო გაერთიანდებოდა. მოსალოდნელი იყო ისიც, რომ ბრძოლის ველზე მოპოვებული წარმატება ავსტრიას მოლაპარაკების მაგიდასთან დასვამდა. მანამდე ნაპოლეონი არასდროს ყოფილა აღსავსე ასეთი უჩვეულო ენერგიით. ის ეწეოდა სამხედრო რესურსების მობილიზებას და ებრძოდა მეამბოხეებს ვანდეაში, იმავდროულად ის იძულებული გახდა დაეწყო იმ თავისი ძალების დისლოცირება, რომლებიც შედარებით მზად იყვნენ. უფრო მეტიც, მას ისე უნდა ჩაეტარებინა ეს დისლოცირება, რომ არ დაეშვა მოწინააღმდეგეების ზედმეტი შეშფოთება. საიდუმლოების დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მიღწევა მხოლოდ გულდასმით მომზადებული დემონსტრაციული მოქმედებებით შეიძლებოდა, რომელთა მიზანი იყო მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა; საიდუმლოების დასაცავად აუცილებელი იყო აგრეთვე ყველა სანაპირო ზოლისა და საზღვრების მკაცრად დაცვა მოწინააღმდეგეებთან ნებისმიერი კომუნიკაციის აღკვეთის მიზნით. 1 ივნისს, ჩრდილოეთის ფრანგულმა არმიამ თავი მოიყარა და 150 მილის სიგანის ფრონტი დაიკავა. ორი კვირის განმავლობაში მისმა ძალებმა მდ. სამბრის უკან მოიყარეს თავი და მზად იყვნენ ველინგტონისა და ბლიუხერის არმიებზე შეტევის განსახორციელებლად. მოწოდება, რომელიც ნაპოლეონმა თავის ჯარისკაცებს გადასცა, როცა ისინი ბელგიის საზღვრის გადასაკვეთად ემზადებოდნენ, ერთდროულად ამაღელვებელიც იყო და წინასწარმეტყველურიც: ,,ჯარისკაცებო, დღეს მარენგოსა და ფრიდლენდთან მოპოვებული გამარჯვებების დღეა, რომელმაც

სამუდამოდ განსაზღვრა ევროპის ბედი...დადგა დრო, როცა უნდა ან გავიმარჯვოთ, ან დავიღუ-პოთ.”

ინგლისელებისა და პრუსიელების მზადება

ნაპოლეონი აბსოლუტურ რწმენას ამჟღავნებდა თავისი იმპროვიზირებული არმიის შესაძ-ლებლობებში, მისი მოწინააღმდეგე კი თავის დაქვემდებარებაში მყოფი ძალების უკმაყოფილო ჩანდა. კონკრეტულად, ველინგტონი უკმაყოფილო იყო მისდამი დაქვემდებარებული ,,მოკავშირე” შენაერთით. ის აღიარებდა, რომ ,,არმია მაინცდამაინც კარგ მდგომარეობაში არ არის” და ჩიოდა: ,,უამრავი ხალხია ჩემთან, რომლებიც აქამდე თვალით არ მინახავს.“ ამის გარდა, ის უკმაყოფილო იყო მოკავშირეთა უმაღლესი მთავარსარდლობის უუნარობით, დაედგინა მოწესრიგებული პრო-ცედურა მარაგების შეძენისათვის, რომელთა ნაკლებობა მარადიორობისა და ქურდობისკენ უბიძ-გებდა მის ჰოლანდიურ ჯარს. თავიდან მას არც პრუსიელები მოსწონდა და დარწმუნებული იყო, რომ ,,რეპუბლიკურმა სულისკვეთებამ” შეარყია მათი დისციპლინა. მაგრამ ის დიდ პატივს სცემდა ბლიუხერს და პრუსიელების მარშალთან შეხვედრის შემდეგ ეტყობოდა, რომ რწმენა დაუბრუნდა. ,,მე მჯერა, რომ ბლიუხერი და მე ისე კარგად ვართ შეკავშირებული და ისე ძლიერები ვართ, რომ მოწინააღმდეგე ბევრს ვერას დაგვაკლებს.”

სურათი 76. გერჰარდ ფონ ბლიუხერი (1742-1819).
გენერალ-ფელდმარშალი,
პრუსიის არმიის მთავარსარდალი

ბლიუხერიც ასევე მაღალი აზრის იყო თავისი ბრიტანელი კოლეგის შესახებ, მაგრამ მას სერიოზულად აწუხებდა მის შენაერთზე მიმაგრებული საქსონელების დისციპლინა. მათი ტენდენცია ამბოხებისაკენ ზუსტად მაშინ, როდესაც ბრძოლა გარდაუვალი ჩანდა, მეტად შემაშფოთებელი იყო. ერთხელ ისინი შტაბ-ბინაში შეიჭრნენ პროტესტის გამოსახატად პრუსიელების არმიაში მათი გაერთიანების გამო. ამის გარდა, ბლიუხერის მოსაზრებები ლოგისტიკაზე განსხვავდებოდა ველინგტონის შეხედულებებისაგან; პრუსიელები მათთვის საჭირო ნორმას იქ იღებდნენ, სადაც იპოვიდნენ. მოკავშირეების გამოკვებისთვის კი დაე, ფრანგებმა გადაიხადონ! ამ განსხვავებების და სირთულეების მიუხედავად, ბლიუხერი თვითდაჯერებას აშკარად ამჟღავნებდა და მისი მდივნის თქმით ,,არაფერზე ლაპარაკობდა, არაფერზე ფიქრობდა, იმ უდიდესი მოვლენების გარდა, რომლებიც მალე უნდა მომხდარიყო.”

ივნისის პირველი ორი კვირის განმავლობაში ბრიტანული და პრუსიული შტაბ-ბინები საფრანგეთის ჯარის გადაადგილებების შესახებ მოხსენებებს უწყვეტ ნაკადად იღებდნენ. ეს დეპეშები ადასტურებდა საფრანგეთის ჯარის გაძლიერებას ჟივე-მობეჟის რაიონში, მაგრამ მათში ნათლად არაფერი იყო ნათქვამი ნაპოლეონის ზრახვების შესახებ შეტევაზე გადასვლასთან დაკავშირებით. 12 ივნისს გნეისენაუ წერდა: ,,შეტევის საფრთხე თითქმის აღარ არის.” მომდევნო დღეს ველინგტონმა გამოსცა ლაკონური ანგარიში, რომელიც დამაჯერებლად იყო ფორმულირებული:

,,ჩვენ გვაქვს მოხსენებები ბონაპარტეს განზრახვაზე გააერთიანოს არმია და შემოგვიტიოს. მაგრამ პარიზიდან მაქვს აგრეთვე 10 რიცხვით დათარიღებული ანგარიში, როცა ის ჯერ კიდევ იქ იყო; და მისი სიტყვიდან საკანონმდებლო ორგანოსადმი შემიძლია დავასკვნა,რომ ამ დღეს მისი ადგილიდან დაძვრა დაუყოვნებლივ არ იყო მოსალოდნელი. ვფიქრობ, რომ ამჟამად ჩვენ მასზე გაცილებით ძლიერები ვართ”.

ველინგტონის შტაბს სასწრაფოდ გადაეცა განგაში 14 ივნისს მოსალოდნელი შეტევის გამო (14 ივნისი მარენგოსა და ფრიდლენდის წლისთავი იყო). როცა ეს დღე მნიშვნელოვანი ამბების გარეშე გავიდა, ბრიუსელის შტაბ-ბინაში კიდევ უფრო დარწმუნდნენ, რომ ბელგიაში შეკრებილი მოკავშირეები ძლიერები იყვნენ და ნაპოლეონი ვერ გაბედავდა, ამ რაიონში ბედი ეცადა.

მაგრამ მთელი ამ დღის (14 ივნისის) განმავლობაში საკმარისი მტკიცებულებები დაგროვდა, რომლებიც მდგომარეობის გადაფასებას მოითხოვდნენ. ბლიუხერის მეწინავე (წინა ხაზის) ქვედანაყოფებმა ტყვედ აიყვანეს კაპელმეისტერი ნაპოლეონის ჯარიდან, დეზერტირი, რომელმაც შეატყობინა მოკავშირეებს, რომ ფრანგების ძალების სასწრაფო კონცენტრირება მიმდინარეობდა. იმავე დღეს, შუადღისას, გენერლებს: ბიულოვს და ტიელმანს Aგამაფრთხილებელი ბრძანება გაეგზავნათ: ,,მოწინააღმდეგის შესახებ ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ ნაპოლეონი მობეჟში ძალების კონცენტრირებას ახდენს და ჩანს, ნიდერლანდებზე თავდასხმას აპირებს.” ამგვარად, პრუსიის ჯარების შტაბ-ბინაში სრული ინფორმაცია ჰქონდათ ნაპოლეონის ძალების სწრაფი თავმოყრის შესახებ, მაგრამ გნეისენაუს გვიან ღამემდე ეჭვი ეპარებოდა შეტევის გარდაუვალობის შესახებ, სანამ კიდევ ორმა დეზერტირმა არ დაადასტურა, რომ ნაპოლეონს 16 ივნისის დილას პრუსიელებზე თავდასხმა ჰქონდა გადაწყვეტილი. ბლიუხერი უკვე დასაძინებლად იყო წასული. მისი გაღვიძების ნაცვლად, გნეისენაუმ საკუთარი ინიციატივით გასცა ძალების თავმოყრისათვის აუცილებელი ბრძანებები. გენერლებმა ჯორჯ პირჩმა და ტიელმანმა თავიანთი შენაერთები სასწრაფოდ მოქმედებაში მოიყვანეს ზიეტენის ფრანგულ კორპუსთან მიახლოების მიზნით. გენერალი ბიულოვი მოქმედების ადგილიდან 45 მილით იყო დაშორებული. როცა მან გნეისენაუს არა-იმპერატიული (არა ბრძანებითი

კილოთი დაწერილი) ბრძანებები წაიკითხა („მაქვს პატივი უმორჩილესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალებას, გამოიჩინოთ კეთილი ნება და მოახდინოთ მე-4 არმიის კორპუსის კონცენტრირება...”), გადაწყვეტილება მიიღო არ გადაეღალა თავისი ჯარები ღამის მარშით. ნაპოლეონი შორს იყო; გადაადგილების 16 რიცხვამდე გადადება შეიძლებოდა.

სურათი 77. ემანუელ დე გრუში (1766-1847). საფრანგეთის მარშალი

თუ ბლიუხერის არმიაში სწრაფი მოქმედების უნარი აკლდათ, ველინგტონის არმიაში დაუფარავი სიზარმაცე შეიმჩნეოდა. ამაში დიდ წილად თვითონ ველინგტონი იყო დამნაშავე. ივარაუდა რა, რომ ნაპოლეონი შეტევაზე არ გადმოვიდოდა, მან მთელი 14 და 15 ივნისი ბრიუსელში ჩატარებულ რამდენიმე ღონისძიებაზე მაღალ საზოგადოებაში გაატარა. როცა თხუთმეტი ივნისის საღამოს ლინის გარშემო ბლიუხერის ძალების კონცენტრირების შესახებ შეტყობინება მოვიდა, ველინგტონმა ბრძანება გასცა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მისდამი დაქვემეგარებული შენაერთების დაძვრის შესახებ, რომლებიც ბრიუსელიდან დასავლეთით იყვნენ განლაგებული, მაგრამ ამ გადაადგილების მიზანი არ დაუსახელებია. ამ ბრძანებების გაცემის შემდეგ ის მეჯლისზე გაეშურა, რომელსაც რიჩმონდის ჰერცოგის მეუღლე აწყობდა და მომდევნო დილის 2 საათამდე იქ დარჩა.

შუაღამით ველინგტონმა მიიღო მოხსენება, რომ ნაპოლეონმა მართლაც დაიწყო შეტევა და არა მობეჟეს მიმართულებით, არამედ შარლერუას გავლით მოემართებოდა. „ღმერთო ჩემო, ნაპოლეონმა მომატყუა!” წამოიძახა მან და სასწრაფოდ გაეშურა შტაბისკენ, რათა ინგლისურ-ჰოლანდიური არმიის კატრ-ბრასთან თავმოყრის ბრძანება გაეცა.

ბრძოლები ლინისთან და კატრ-ბრასთან

ფრანგების წინსვლის დაწყებისას მოკავშირეების ძალები ძალიან გაფანტულნი იყვნენ. მაგრამ ნაპოლეონს თავის მხრივ პრობლემები ჰქონდა საკუთარი ქვედანაყოფების დისლოცირებასთან დაკავშირებით. 15 ივნისისთვის ზოგი მისი დივიზია მდ. სომბრეზე გადასული არ იყო. არმია გაწელილი იყო გზაზე 25 მილის მანძილზე. მის საფიქრალს ისიც დაემატა, რომ ერთი კორპუსის შტაბის უფროსი და ერთი დივიზიის მეთაური მოკავშირეების მხარეზე გადავიდნენ. მარჯვენა ფლანგზე ემანუილ გრუშის აუჩქარებელმა გადაადგილებამ ბლიუხერის დამფარავი ძალის მიმართულებით, სომბრეს სამხრეთით, ნაპოლეონის უკმაყოფილება გამოიწვია. მან მოინახულა ეს სექტორი, რამაც დააჩქარა წინ გადაადგილება, მაგრამ აშკარა გახადა საფრთხე, რომ პრუსიელებს ადვილად შეეძლოთ ხელიდან გასხლტომა, თუ შეტევისთვის გადაადგილება უფრო ენერგიულად და სწრაფად არ წარიმართებოდა. ამასობაში, ნაპოლეონმა მარშალი ნეი მარცხენა ფრთის მეთაურად დანიშნა და კარტ-ბრასისკენ წასვლა უბრძანა. გეგმაში იყო თავდასხმა ბრიუსელზე და ნიველ-ნამურის გზის გადაჭრა, რომელიც მოკავშირეების ძალების შეერთების ერთადერთი მარშრუტი იყო.

შუაღამით ნეი შარლლერუას შტაბ-ბინაში გაეშურა ნაპოლეონთან მოსათათბირებლად. ზუსტად რაზე ისაუბრეს მათ, არავინ იცის. ნეის გამგზავრების შემდეგ ნაპოლეონმა ცოტა ხანს წაიძინა;

შემდეგ, 16 ივნისის დაახლოებით დილის 6 საათზე, მნიშვნელოვანი წერილი გაუგზავნა თავის სახელგანთქმულ მარშალს, რომელშიც თავისი გეგმის ძირითადი მონახაზი გააცნო:

,,ამ კამპანიის განმავლობაში მე ძირითად პრინციპად დავნერგე არმიის დაყოფა ორ ფრთად და რეზერვად. თქვენი ფრთა უნდა შედგებოდეს არა ნაკლებ 45-50,000 ადამიანისაგან.

მარშალ გრუშის ეყოლება დაახლოებით ასეთივე რაოდენობის ჯარი და ის იქნება მარჯვენა ფრთის მეთაური. გვარდია რეზერვს წარმოადგენს. ის ნებისმიერ ფრთაზე შემიძლია გავუშვა, როგორც ამას ვითარება მოითხოვს... ვითარებიდან გამომდინარე, შემიძლია ძალები ან ერთ, ან მეორე ფრთაზე გადავიყვანო, რეზერვის გაძლიერების მიზნით."

ამ დირექტივიდან ჩანს, რომ ნაპოლეონი მთავარი დარტყმის მიყენებას ველინგტონის გაფანტული ძალების წინააღმდეგ აპირებდა. ნეი მზად უნდა ყოფილიყო ბრიუსელისკენ წასასვლელად, სადაც ის 17 ივნისის დილის 7 საათისთვის მისვლას შეძლებდა. მაგრამ 16 ივნისის დილას გრუშის კავალერიამ მოახსენა, რომ პრუსიული ჯარის მრავალრიცხოვანი კოლონები (პირჩის და ტიელმანის ჯარები) გადაადგილდებოდნენ ნამურიდან დასავლეთით. ნაპოლეონმა დაუყოვნებლივ მიიღო გადაწყვეტილება პირველად ბლიუხერზე მიეტანა იერიში, ხოლო შემდეგ ველინგტონზე.

გნეისენაუ ვითარებას პესიმისტურად უყურებდა. ოთხი პრუსიული კორპუსიდან მხოლოდ ორი მიუახლოვდა დანიშნულ პოზიციებს. მარჯვენა ფლანგი დიდ მანძილზე იყო ღია და შემორტყმის საშუალებას იძლეოდა; თუნდაც ნაპოლეონის მხრიდან შეტევის დაწყებამდე პრუსიელების ყველა კორპუსს მოესწრო მისვლა, მათ დასაკავებელი ექნებოდათ ექვსი მილის სიგრძის რთული რელიეფის ადგილი. ბიულოვი თავის წერილში იტყობინებოდა, რომ IV კორპუსის ჩასვლა 17 ივნისამდე არ იყო მოსალოდნელი. ამგვარად, ადგილზე შეჩერებისა და ბრძოლის გადაწყვეტილება დამოკიდებული იყო ბრიტანელების მხარდაჭერაზე.

15 ივნისის საღამოს პრუსიელმა მეკავშირე ოფიცერმა გნეისენაუს გადასცა მოხსენება ველინგტონის ჩანაფიქრის შესახებ. მასში საუბარი იყო ველინგტონის გადაწყვეტილებაზე კონცენტრირების შესახებ პრუსიელებთან შეხვედრის მიზნით:

,,მთვარის ამოსვლისთანავე რეზერვი შეუდგება მარშს და თუ მოწინააღმდეგე იმავე დროს არ დაიწყებს შეტევას ნიველთან, მაშინ ხვალ [16 ივნისს] ჰერცოგი ნიველის რაიონში იქნება მთელ თავის ჯართან ერთად, თქვენი ბრწყინვალებისთვის მხარდაჭერის აღმოჩენის მიზნით..."

ბლიუხერს და გნეისენაუს არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, რომ ველინგტონის რეზერვი ნიველიდან სულ ცოტა ათი მილით მაინც იყო დაშორებული; იქიდან კატრ-ბრასამდე კიდევ ექვსნახევარი მილი იყო და შვიდი მილიც ლინიმდე. არც ის ეცოდინებოდათ, რომ ველინგტონმა თვითონ ზუსტად ჯერ არ იცოდა თავისი ჯარების დისპოზიცია. მაგრამ სჯეროდათ რა თავიანთი მოკავშირის დაპირებისა, მათ გადაწყვიტეს შეჩერებულიყვნენ ლინისთან და ბრძოლა გაემართათ.

16 ივნისის შუადღე ახალი გადასული იყო, როცა პრუსიელების არმია (ბიულოვის კორპუსის გამოკლებით) მოქმედებისთვის მზად იყო. დაახლოებით ამ დროისთვის, ადგილზე გნეისენაუსთან მოსათათბირებლად ველინგტონი ჩავიდა. ის არ მალავდა თავის უკმაყოფილებას პრუსიელების ტაქტიკით, ფრანგების თვალწინ გადაშლილი პოზიციის დაკავების გამო. ,,რის გაკეთებას ელით ჩემგან?" ჰკითხა მან გნეისენაუს. პრუსიელების შტაბის უფროსს მოფიქრებული ჰქონდა, რომ ბრიტანელებისთვის ნაპოლეონის ჯარების ზურგზე იერიშის მიტანა ეთხოვა, მაგრამ იცოდა, რომ დრო ცოტა იყო; ის ხედავდა, როგორ გროვდებოდნენ და ეწყობოდნენ ფრანგები იერიშისთვის. ამიტომ მან ველინგტონს კატრ-ბრას გავლით, პირდაპირი მარშით, პრუსიელების მარჯვენა ფლანგის

გაძლიერება სთხოვა. როგორც სხვადასხვა წყაროები იუწყებიან, ველინგტონმა უპასუხა: ,,კარგი, მოვალ, თუ ჩემზე არ მოიტანენ იერიშს.” შემდეგ, როგორც კი ლინისთან ფრანგების შეტევის მაუწყებელი პირველი ქვემეხის გასროლის ხმა გაისმა, ბრიტანელი სარდალი თავისი არმიისკენ გაემართა.

სურათი 78. პრუსიელები შეტევაზე

ფრანგებმა, ნაპოლეონის რწმენით გამხნევებულებმა, რომ ბლიუხერის ძალები მათი ჯარის რაოდენობის მხოლოდ ნახევარს შეადგენდა, ერთ მწკრივად მოწყობილი ორი კორპუსის სრული ძალებით შეუტიეს მოწინააღმდეგეს. ვანდამის მიერ განხორციელებულმა იერიშმა პრუსიული ქვედანაყოფები სწრაფად განდევნა სამხრეთით მდებარე სოფლებიდან, მაგრამ ამის შემდეგ ფრანგებმა წინ ვეღარ წაიწიეს. ჟერარის კორპუსი ლინის მიმართულებით წინ წავიდა და შემდეგ შეჩერდა. რადგან ბრძოლა ტორტმანებდა - ხან წინ მიდიოდა, ხან უკან იხევდა, ბლიუხერმა თავდაჯერებულად შეიყვანა რეზერვები ბრძოლაში, საკუთარი ღიად დარჩენილი მარჯვენა ფლანგის გარშემო. ნაპოლეონი ბრძოლას ლინის სამხრეთით მდებარე ქარის წისქვილიდან აკვირდებოდა. მან იგრძნო, რომ დადგა დრო, ლინისთან პრუსიელების ჯარების შესუსტებული ცენტრი გაერღვია. ესმოდა რა ნეის მეთაურობით ჩრდილო-დასავლეთით მებრძოლი ჯარების ხმაური, მან ვერ გაიგონა არტილერიის ხმა და ამიტომ დაასკვნა, რომ ნეიმ კატრ-ბრა უბრძოლველად აიღო. ბლიუხერის არმიის საბოლოო განადგურების მიზნით, რომელიც ისედაც დიდი ზეწოლის ქვეშ იყო, მან გადასცა ბრძანება ნეის, აღმოსავლეთისკენ შეესრულებინა მანევრი და პრუსიელების მარჯვენა ფლანგისთვის ალყა შემოერტყა. ,,საფრანგეთის ბედი თქვენ ხელთაა,” წერდა ის ნეის.

ნაპოლეონისთვის სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში, საფრანგეთის ბედი ძალიან არასაიმედო ხელში აღმოჩნდა. მიუხედავად ნაპოლეონის განსაკუთრებული ბრძანებებისა ენერგიული, გადამწყვეტი წინსვლის შესახებ, ნეი მთელი დღე ჩიხში იყო მოქცეული და საოცარ პასიურობას იჩენდა. ყველაზე მეტი, რის გაკეთებაც მან შეძლო, ის იყო, რომ ორანჟის პრინცის მეთაურობით დაახლოებით 8.000-იან ჯარს შეებრძოლა, მაგრამ საკუთარი ძალები დროზე ვერ შეაგროვა და ბრძოლაში მათ ნაწილ-ნაწილ აგზავნიდა. ხანმოკლე შეტაკების შემდეგ, პრინცმა კატრ-ბრასკენ დაიხია. აქ კი ველინგტონის ჩასვლამ ახალი ენერგია შესძინა მათ თავდაცვას, რომელმაც ნეის მოქმედებები მთე-

ლი დღით შეზღუდა. ნეის ზურგის ძალები, კერძოდ, კორპუსი დ'ერლონის მეთაურობით, ამაოდ ელოდა ბრძანებებს.

დ'ერლონის კორპუსი ბოლოს და ბოლოს, შუადღისთვის, ბრძოლაში ჩაება, მაგრამ მალევე უკან გაბრუნდა, რადგან ვერ მიხვდნენ როგორ ემოქმედათ, რამაც მატერიალური თვალსაზრისით დიდი გავლენა იქონია იმ დღევანდელი ბრძოლის საბოლოო შედეგზე. კორპუსმა შეისვენა და შემდეგ მარში განაგრძო, მაგრამ ამ დროს ახალი ბრძანებები მიიღო ვიღაც დაუდგენელი შტაბის ოფიცრისაგან და მიმართულება შეცვალა, რათა ამ ბრძანების თანახმად, ლინიზე ნაპოლეონის მიერ დაწყებული შეტევა გაეძლიერებინა. ისე რომ ნეიმ და ნაპოლეონმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ დ'ერლონის ჯარმა აღმოსავლეთისკენ გადაუხვია და დაახლოებით საღამოს 5სთ 30 წთ-ზე კვამლით დაფარულ ბრძოლის ველს შეუერთდა - არა ბლიუხერის ზურგის, არამედ ვანდამის მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ!

ზუსტად ამ დროს ნაპოლეონი თავის გვარდიას პრუსიის ჯარების ცენტრზე დარტყმისთვის ამზადებდა. მისი გეგმები დ'ერლონის ქვედანაყოფების მოულოდნელმა გამოჩენამ შეცვალა. ეს ნეის ჯარები იყო თუ ველინგტონის? შეტევა შეჩერდა, სანამ ადიუტანტი ჭენებით გაემართა დასავლეთისკენ, რათა დაედგინა, ვის ეკუთვნოდა შემოჭრილი ჯარი. იმ დროს, როცა შიკრიკმა დ'ერლონის კორპუსამდე მიაღწია, წინა კოლონები უკან, კვლავ დასავლეთისკენ გაბრუნდნენ. ბოლოს და ბოლოს, ნეიმ აღმოაჩინა, სად იმყოფებოდა მისი გაუჩინარებული კორპუსი და ის უკან გამოიძახა. იძულებითმა შეყოვნებამ, რომელიც ნაწილობრივ გაუგებრობით და ნაწილობრივ უიღბლობით იყო გამოწვეული, ბლიუხერს კონტრშეტევის მოსამზადებლად დრო მისცა. მან გადაწყვიტა კონტრშეტევას თვითონ ჩადგომოდა სათავეში. ამასობაში, ნაპოლეონმა, რომელიც იძულებული იყო ნეის არაპროფესიული მხედართმთავრობა მოეთმინა და უკმაყოფილება არ გამოეხატა, უკომპრომისო გადაწყვეტილება მიიღო - განეხორციელებინა შეტევა ლინიზე, მოსალოდნელი შედეგების მიუხედავად.

შეტევა ქალაქ ლინიზე ფრანგულმა არტილერიამ წამოიწყო, რომელსაც გვარდიის მთელი ქვეითი ნაწილი შეუერთდა. ფრანგების გადაადგილება თითქმის სიბნელის საფარქვეშ მიმდინარეობდა ჭექა-ქუხილის და ქარიშხლის გამო, რომელიც მოულოდნელად ამოვარდა შეტევის დაწყებისთანავე. პრუსიელების ქვეითი ჯარი იმ დროისთვის უკვე საკმაოდ ძალაგამოცლილი იყო; ველინგტონი, როგორც აშკარად ჩანდა, მისვლას არ აპირებდა. ბლიუხერმა ხმალი იშიშვლა და თავისი კავალერიის ნარჩენებს თავგანწირული ბრძოლისკენ მოუწოდა. ,,მტკიცედ იდექით, მამაცებო!" შესძახა მან ცეცხლწაკიდებულ ქალაქში გაფანტულ თავის ბატალიონებს. მხედართმთავრის წინამძღოლობით, პრუსიული ესკადრონები ფერდობებზე დაეშვნენ, ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ და უწესრიგოდ მიმოიფანტნენ. (მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ბლიუხერის ცხენი დაეცა და მოხუცი მეომარი ფეხქვეშ გათელა). პრუსიელების რიგები დაიშალა და გაფანტულმა ქვედანაყოფებმა ღამის საფარქვეშ უკან დაიხიეს.

სანამ ნაპოლეონმა პრუსიელების თავდაცვა გაანადგურა, ნეი და ველინგტონი, კატრ-ბრასთან, როგორც ერთი ისე მეორე მხრიდან შეტევას აწარმოებდნენ ნაწილ-ნაწილ, არა-თავმოყრილი ძალებით. ასეთი შეტევების შედეგი იყო გამოუვალი, ჩიხური მდგომარეობა, რომლის გამო ნეი ისეთ გუნებაზე დადგა, რომ მის ხელქვეითებს თავიანთი სარდლის უფრო ეშინოდათ, ვიდრე ბრიტანელების ქვემეხებისა. ბოლოს, თავგანწირულმა საკავალერიო შეტევამ ფაქტობრივად გაარღვია ჩიხი და გავიდა კატრ-ბრას შემოგარენში, მაგრამ რადგან ცხენოსნებს არ ჰქონდათ ქვეითების მხარ-

დაჭერა, ამიტომ კვლავ ბრძოლით უნდა დაეხიათ უკან. ველინგტონის კონტრშეტევამ, რომელიც ღამის დადგომისას დამთავრდა, სტატუს ქვო აღადგინა. კატრ-ბრასთან, ორივე მხარეს თითქმის თანაბარი დანაკარგი ჰქონდა.

ლინისთან ბლიუხერის ჯარმა სერიოზული და სისხლიანი დამარცხება განიცადა. პრუსიელებს ნაპოლეონის ჯართან შედარებით ორჯერ მეტი დანაკარგი ჰქონდათ, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მათ დაკარგეს სათაყვანებელი მეთაური და დაქსაქსული ჯარი მართვის გარეშე იყო დარჩენილი. თუმცა, გნეისენაუმ გამოიჩინა ლიდერობის უნარი. მიუხედავად სასტიკი დანაკარგისა, მან მტკიცედ უბრძანა კორპუსების მეთაურებს, ჩრდილოეთისკენ, ტილის მიმართულებით დაეხიათ, და არა აღმოსავლეთისკენ, ლიეჟის მიმართულებით. ეს გაბედული გადაწყვეტილება იყო, რასაც შეეძლო უკვდავება მოეტანა გნეისენაუსთვის, და ამასთან ერთად, მისი დევნის განმახორციელებელ ფრანგულ ჯარს სამუდამოდ სანანებლად გაუხდებოდა ეს გადაწყვეტილება. (ველინგტონმა გნეისენაუს გიადაწყვეტილებას ,,საუკუნის უდიდესი მომენტი" უწოდა).

უშედეგო დევნა

,,იღბალი ქალივითაა-სევდიანად შენიშნავდა რამდენიმე წლის შემდეგ ატლანტის ოკეანის კუნძულზე ტყვეობაში მყოფი ნაპოლეონი - თუ დაუშვებ, რომ ერთხელ ხელიდან გაგისხლტდა, იმედი აღარ უნდა გქონდეს, რომ ისევ იპოვი." სრულიად აუხსნელი იყო ის ფაქტი, რომ იმპერატორმა, რომელიც ერთ დროს ტრაბახობდა, რომ ერთ წუთსაც უქმად არასდროს დაკარგავდა, 17 ივნისს, პრუსიულ და ბრიტანულ არმიებს ხელიდან დასხლტომის საშუალება მისცა. ყველაფერთან ერთად, მისმა უჩვეულო აპათიამ დიდი როლი ითამაშა ამაში.

ლინის ბრძოლის მეორე დილას ნაპოლეონი სრული ინფორმაციის უქონლობის გამო შეშფოთებული იყო. მან იცოდა, რომ პრუსიელებზე სასახელო გამარჯვება მოპოვებული ჰქონდა, მაგრამ არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რამდენად დიდი იყო ეს გამარჯვება, ან რა მდგომარეობაში იყო ბლიუხერის არმია. ერთ-ერთი კორპუსის მეთაურმა ადრე დილით გამოგზავნა მოხსენება, რომ პრუსიელების ჯარი მთლიანად უკან იხევდა ნამურის და ლიეჟის მიმართულებით. ნეი მოახსენებდა, რომ მოწინააღმდეგის მხოლოდ რვა ქვეითი პოლკი და 2.000 კავალერისტი იყო დარჩენილი კატრ-ბრასთან. მას შემდეგ, რაც ლინისთან დაჭრილებით სავსე ბრძოლის ველი შემოიარა და ფრანგული პოლიტიკის შესახებ გრუშისთან ხალისიანად ისაუბრა, ნაპოლეონმა საბოლოოდ გადაწყვიტა თავისი ძირითადი ძალები ველინგტონის წინააღმდეგ მიემართა. გრუშის კი, მისი გადაწყვეტილებით, უნდა შეესრულებინა პრუსიელების დევნის ამოცანა.

დილის დაახლოებით 11 საათზე, ნაპოლეონმა გრუშის მისი ამოცანა შეატყობინა და დაქვემდებარებაში ორი ქვეითი და ორი საკავალერიო კორპუსი მისცა - ეს იყო უმსხვილესი შენაერთი, რაც ახლად დაწინაურებულ მარშალს მანამდე ჰყოლია(ემანუელ გრუში ბრწყინვალე კავალერისტი იყო, მაგრამ მაღალი რანგის მეთაურობის უნარში საკუთარი თავისადმი რწმენა აკლდა. 25 წლიანი სამხედრო სამსახურის განმავლობაში მას ოცზე მეტი ჭრილობა ჰქონდა მიღებული, მაგრამ ის იყო ,,მხოლოდ ერთი მომენტის, ერთი მანევრის, ერთი წარმატებული ძალისმევის კაცი"). გრუშის მოგონებების თანახმად, ნაპოლეონმა თქვა: ,,ყველა შესაძლებლობის გადასინჯვის შემდეგ ვირწმუნე, რომ ბლიუხერი მხოლოდ მდ. მესის მიმართულებით დაიხევს უკან." მაგრამ ასე არ იყო. პრუსიელები გზას მდინარე დილის გავლით მიიკვლევდნენ. ეს ისეთი შეცდომა იყო, რომელიც ხშირად მოსდევს ვითარების არასრულ ცოდნას. გრუშიმ გააგრძელა და გაართულა ეს შეცდომა დროში გა-

წელილი, მოუქნელი მარშით, რის შემდეგაც ქალაქ ჟამბლუს, რომელიც ბრძოლის ველიდან ექვსი მილით იყო დაშორებული, მხოლოდ ღამით (17 ივნისს) მიაღწია.

გრუშის გამგზავრების შემდეგ, როგორც ჩანს, ნაპოლეონს ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა მისთვის მიცემულ ამოცანასთან დაკავშირებით. მოგვიანებით მან მარშლისთვის მიცემული დავალების ახსნა დაწერა და მიუთითა მას, ჩაეტარებინა ,,რეკოგნოსცირება ნამურის და მაასტრიხტის მიმართულებით და განეხორციელებინა მოწინააღმდეგის დევნა... თან ინფორმაციის მიწოდება. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რას აპირებენ ბლიუხერი და ველინგტონი; აპირებენ თუ არა თავიანთი არმიების გაერთიანებას, ბრიუსელის და ლიეჟის დაკავებას, რათა კიდევ ერთ ბრძოლაში სცადონ ბედი.” გრუში გაოგნებული იყო დიდი შენაერთის მართვასთან დაკავშირებული უჩვეულო პასუხისმგებლობით. მან ვერ შეძლო ამოცანის გადაუდებლობის აღქმა. ის დააბნია აგრეთვე პრუსიელების უკანდახევის ზუსტი მიმართულების არცოდნამ. დაბნელებამდე ორი საათით ადრე მისმა ჯარმა შეისვენა. მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა. ამის გამო მარშალმა დევნა დილამდე გადადო, როცა ვითარება უფრო ნათელი გახდებოდა. მაგრამ ის შეშფოთებული იყო, რადგან ბლიუხერისა და ველინგტონის არმიების გაერთიანების საფრთხეს გრძნობდა. საღამოს 10 საათზე მან ნაპოლეონს მისწერა:

,,ყველა მოხსენებიდან ირკვევა, რომ... პრუსიელები ორ კოლონად დაიყვნენ; .... აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაწილი ველინგტონთან შეერთებას აპირებს და ცენტრი, რომელსაც ბლიუხერის არმია შეადგენს, ლიეჟში მიემართება...”

რაც უნდა ეფიქრა გრუშის, ფაქტია, რომ მან ამოცანა ვერ შეასრულა. ნაცვლად იმისა, რომ თავისი ჯარისთვის პირდაპირ ქალაქ უავრისკენ წასვლა ებრძანებინა, ის მთელი ღამე იცდიდა. ხოლო მეორე დილით, როცა ადგილიდან დაიძრა, მან დევნა განაგრძო არა უავრის, არამედ ლიეჟის მიმართულებით.

ამ დროს, კატრ-ბრას მისადგომებთან ველინგტონი მოუთმენლად ბოლთას სცემდა და ბლიუხერის შესახებ ცნობებს ელოდა. როცა 17 ივნისის დილის დაახლოებით 7.30 სთ-ზე ველინგტონმა ცუდი ამბავი შეიტყო, თავისი უკმაყოფილება ვერ დაფარა. ,,ბებერმა ბლიუხერმა დიდი დარტყმა მიიღო”, მშრალად შენიშნა მან. ,,ჩვენც უნდა დავიხიოთ, როგორც მან დაიხია”. მაგრამ ცოტა ხანში შიკრიკმა გნეისენაუსგან შეტყობინება მოიტანა პრუსიელების უავრისკენ დახევის შესახებ. ამ ცნობაში გნეისენაუ სთხოვდა ბრიტანელების სარდალს, შეეტყობინებინა მისი ჩანაფიქრი (ღამით ბლიუხერი ლინიდან ჩრდილოეთით, ერთ-ერთ ფერმაში გადაიყვანეს, სადაც სრულიად შემთხვევით მას გნეისენაუ შეხვდა. ზოგიერთი წყაროს ცნობით, მოხუცი მარშალი ჯინითა და ბალახების ნაყენით დაზელვის შემდეგ გამოცოცხლდა და გნეისენაუს გადაწყვეტილებას შემდეგი სიტყვებით დაეთანხმა: ,,დიდი დარტყმა მივიღეთ, მაგრამ ხვალ ყველაფერს გამოვასწორებთ”). ველინგტონმა დაუყოვნებლივ გასცა პასუხი, რომელშიც ლაპარაკი იყო მის გადაწყვეტილებაზე, რომელიც ემთხვეოდა გნეისენაუს ადრინდელ ბრძანებას უკან დახევის შესახებ იმ ნაწილში, სადაც ის ფრანგებს ემუქრებოდა:

,,მე დაბრუნებას ვაპირებ მონ სენ ჟანის ახლოს პოზიციაზე და იქ დაველოდები ნაპოლეონს, რათა შევებრძოლო მას, პრუსიელების თუნდაც მხოლოდ ერთი კორპუსიც რომ შემომეშველოს.”

სანამ ნეის ჯარისკაცები დილის სუპს მიირთმევდნენ, ველინგტონის ჯარმა ზურგისკენ დაიხია. ზურგს გამოცდილი ბრიტანელი გენერალი ლორდი აქსბრიჯი იცავდა.

ნაშუადღევს ნაპოლეონი გამოჩნდა. ერთი თვალის შევლებით მიხვდა, რომ ნეის თავისი დავალება ვერ შეესრულებინა. სასწრაფოდ მოუყარა თავი რამდენიმე საკავალერიო ესკადრონსა და არტილერიას, რათა ველინგტონის უკან დახევა შეეჩერებინა, რაც ამაო იყო. ამ დროისთვის წვიმა დაიწყო და კიდევ უფრო შეუშალა ნაპოლეონს ხელი ფუჭი დევნის განხორციელებაში. მან ძალიან დააგვიანა. ველინგტონთან ბრძოლა, როგორც ჩანდა, სადღაც ვატერლოოსთან უნდა გამართულიყო.

ვატერლოოს ბრძოლა

კვირას, 18 ივნისს, ნათელი და მზიანი დღე გათენდა. გადაუღებელი წვიმებით გაწამებული 200.000-ზე მეტი ადამიანისთვის ეს ცოტაოდენი შვება იყო. სანამ სამივე არმიაში ჯარისკაცები დაბუჟებულ კუნთებს ამოძრავებდნენ, ორთქლადენილ ტანსაცმელს ასობით კოცონთან აშრობდნენ, მათი ოფიცრები გულმოდგინედ მუშაობდნენ - რეკოგნოსცირებასა და დაგეგმვას ახორციელებდნენ. ბრიუსელის სამხრეთით მდებარე ეს რაიონი ღია ადგილს წარმოადგენს, მთაგორიანი რელიეფით; შორი მანძილიდან თითქმის არ ჩანს აქა-იქ მიმოფანტული დაბრკოლებები, ორმოები, ხევები. მცირეოდენი ტყეები ამ ერთფეროვან ზედაპირს არღვევს. დაბლობი ნესტიანია, განსაკუთრებით, თავსხმა წვიმების შემდეგ. რელიეფის მთავარი ნიშნები, რომლებიც ყურადღებით უნდა გაეთვალისწინებინათ როგორც შემტევ, ისე თავდამცველ ძალებს, იყო ტალღისებრი პლატოების რიგები, რომლებითაც დასერილი იყო მთავარი გზა შარლერუასა და ბრიუსელს შორის, და აგრეთვე, მტკიცე კედლებით გამაგრებული პატარ-პატარა სოფლები, რომლებიც მთელ არე-მარეზე იყო მოფენილი.

სურათი 79. ვატერლოოს ბრძოლა. ველინგტონი ამხნევებს ჯარისკაცებს

ველინგტონის თავდაცვას ყველა დეტალი გათვალისწინებული ჰქონდა. მისი წინააღმდეგობის მთავარი ხაზი პლატოს თხემზე გადიოდა და მოხაზული იყო სოფლის გზით, რომელიც უავრიდან ბრიენ ლ'ალემდე მიდიოდა. მაგრამ ჰერცოგი ძალიან ფრთხილობდა და ძირითადი ძალების ნაწილი რეზერვთან ერთად მოწინააღმდეგისგან შორეულ პლატოს ფერდობზე ჰყავდა განლაგებული, სადაც ისინი დაფარული იყვნენ მოწინააღმდეგის მხრიდან თვალთვალისგან და პირდაპირი დამიზნების ცეცხლისგან. თავდაცვითი ზღუდეების შემდგომი გაძლიერების მიზნით მან მთავარი თავდაცვითი ხაზის წინ განალაგა საყრდენი პუნქტები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი განლაგებული იყო ბრიტანელების დასავლეთი ფრთის წინ შატო დე გუმონთან (რომელსაც ჰუგომონსაც უწოდებდნენ); ეს იყო აგურითა და ქვით ამოშენებული ნაგებობა (რედუტი), რომელიც თითქმის შეუღწეველი იყო თხრილების, სქელი ღობის და კედლების გამო. ზუსტად ველინგტონის თავდაცვის ცენტრის წინ, მისგან მცირეოდენი დაშორებით, იყო მეორე გამაგრებული საგუშაგო, სახელწოდებით ლა ჰეი სენტ. თავისი აგურის კონსტრუქციით, ის არანაკლებ დიდი დაბრკოლება იყო, ვიდრე გუმონის საგუშაგო. აღმოსავლეთის ფრთას შედარებით მცირე საყრდენი პუნქტები იცავდა. ამ მხარემდე ბლიუხერის ძალების განლაგება აღწევდა და ამიტომ, ველინგტონი მის დაცვაზე იმდენად არ ზრუნავდა. ის წინასწარ განწყობილი იყო, რომ მის ძირითად თავდაცვით ხაზებს ბოლომდე ებრძოლათ. ის უკან დახევას არც განიხილავდა და არც გეგმავდა.

სურათი 80. ვატერლოოს ბრძოლა. ბრიტანელების კარე ფრანგული კავალერიის წინააღმდეგ

ფრანგების პოზიციები გადაჭიმული იყო მომდევნო დაბალი პლატოს გასწვრივ სამხრეთისაკენ, არა უმეტეს 1.500 იარდის (1იარდი=91.4სმ) დაშორებით ბრიტანელებისაგან. ნაპოლეონი მთელი საღამო მოუსვენრად იყო, რადგან ეგონა, რომ ველინგტონს შეიძლებოდა ბანაკი სხვაგან გადაეტანა, მაგრამ დილით ჩატარებული რეკოგნოსცირების დროს აღმოაჩინეს კავალერიის საგუშაგოები (პიკეტები) და კოცონები და წითელ ქურთუკებსაც მოკრეს თვალი, რამაც ნაპოლეონი დაარწმუნა, რომ მის მოწინააღმდეგეს ადგილზე დარჩენა ჰქონდა განზრახული და ბრძოლას სთავაზობდა. ფრანგების მიერ დაკავებული პლატო ბრიტანელების პლატოზე ოდნავ მაღალი იყო, მაგრამ არც იმდენად, რომ იქიდან ველინგტონის შორეულ ფერდობზე განლაგებული თავდაცვითი პოზიციე-

ბი სრულად გამოჩენილიყო. ნაპოლეონის მთავარი საწუხარი რბილი მიწის ზედაპირი იყო ქვევით, დაბლობზე, რომელიც გადაშლილიყო მოწინააღმდეგეების არმიებს შორის. ამას შეეძლო კავალერიისა და არტილერიის გადაადგილების შეფერხება; ამიტომ, ნაპოლეონმა თავის საყვარელ გარშემორტყმის მანევრზე უარის თქმა გადაწყვიტა და მის ნაცვლად ველინგტონის თავდაცვის ცენტრზე შეტევა გადაწყვიტა, ბრიტანელების პოზიციის გახლეჩის მიზნით.

ამასობაში, ბლიუხერი, რომელსაც უბედური შემთხვევის შემდეგ ჯერ კიდევ ტკივილები აწუხებდა, პრუსიელების კოლონების წინ ცხენზე ამხედრებული მიმოდიოდა და დაღლილ ჯარისკაცებს ამხნევებდა. ჭაობიანმა გზამ უავრიდან მონ სენ ჟანამდე მარში მნიშვნელოვნად შეანელა. ამის მიუხედავად, ბლიუხერი კმაყოფილი იყო ინფორმაციით, რომ ფრანგებს დიდი შენაერთები არ ჰყავდათ მდ. დილსა და ლასნ კრიკს შორის. წინა საღამოს მას ველინგტონთან გაგზავნილი ჰქონდა წერილი, რომლითაც ატყობინებდა თავის გადაწყვეტილებას: ,,წარვუძღვები ჩემს ჯარს და მოწინააღმდეგის მარჯვენა ფლანგს შევუტევ, თუ ნაპოლეონი ჰერცოგის წინააღმდეგ გადაადგილებას ეცდება.” მოხუცი ჯარისკაცი მის მიერ მიცემული პირობის შესასრულებლად თავის ჯარისკაცებს მოქმედებისკენ მოუწოდებდა: ,,წინ, ბიჭებო! ჩემს ძმას, ველინგტონს პირობა მივეცი. თქვენ პირობას არ გამატეხინებთ, ასე არ არის?”

სურათი 81. ვატერლოოს ბრძოლა. ბრიტანული კავალერია შეტევაზე

ველინგტონის პოზიციებს რომ აკვირდებოდა, ნაპოლეონმა გადაწყვეტილება მიიღო, მთავარი დარტყმა დილის 9 საათიდან შუადღისთვის გადაედო. მას სურდა, მიწის ზედაპირი უკეთ გამომშრალიყო. მან გენერალ რეილეს გუმონის მიმართულებით, დილის 11.30 წუთზე მცირე, მხარდამჭერი შეტევის დაწყება უბრძანა. მარშალი ნეი მონ სენ ჟანის მიმართულებაზე იდგა და მზად იყო დ’ერლონის შეტევის მხარდასაჭერად. თუმცა მონ სენ ჟანის პლატოს დაკავება ფრანგების

უპირველესი მიზანი იყო, შატო დე გუმონის დაპყრობა ფრანგების საწყისი ძალისხმევისთვის რეალურად უფრო მეტს ნიშნავდა.

გენერალ რეილეს შეტევა ბრძანების შესაბამისად დაიწყო. ერთი საათის განმავლობაში შატოს სამხრეთით მდებარე ტყეები ფრანგების ხელში იყო. მეწინავე დივიზიის მეთაურს შატოზე უწყვეტი ცეცხლის გახსნა უბრძანეს. შემდეგ მან იერიშის მიტანა გადაწყვიტა. ველინგტონის ბრძანებით შემტევ ქვედანაყოფებს არტილერიის ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ; შემდეგ ველინგტონმა თავისი რეზერვის ნაწილი ჩართო საყრდენი პუნქტის გასაძლიერებლად. თავის მხრივ, რეილემ გააძლიერა თავისი ქვედანაყოფები რეზერვის ძალებით და ბრძოლა გაჩაღდა. უკონტროლო, ჯოჯოხეთური ბრძოლის შედეგად, რეილის კორპუსის თითქმის ნახევარი, უწესრიგო მასის სახით, შატოსთან მახეში მომწყვდეული აღმოჩნდა და იმ საგუშაგოს დასაკავებლად იბრძოდა, რომლის ღირებულება ფრანგებისთვის მეტად საეჭვო იყო.



სურათი 82. ვატერლოოს ბრძოლა. I ფაზა



სურათი 83. ვატერლოოს ბრძოლა. II ფაზა



სურათი 84. ვატერლოოს ბრძოლა. III ფაზა

ამ დროისთვის ნაპოლეონმა შეამჩნია დიდი შენაერთი, რომელიც მთის ფერდობიდან სოფელ ლასნის აღმოსავლეთით ეშვებოდა. დასაზვერად კავალერისტების პატრული გააგზავნეს, რომელიც ტყვეებთან ერთად დაბრუნდა, რომლებიც გენერალ ბიულოვის კორპუსის ჯარისკაცები აღმოჩნდნენ. მათ დაადასტურეს, რომ ბლიუხერმა გრუშის დევნას თავი დააღწია და ველინგტონის დასახმარებლად მიემართებოდა. ნაპოლეონს ახლა უშუალოდ უნდა მიეღო მის კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. იმ დროისთვის ორი ძირითადი ძალა (72.000 ფრანგი და 68.000 ინგლის-ჰოლანდიის ჯარების მებრძოლი) მხოლოდ ნაწილობრივ იყო ბრძოლაში გამოყენებული. ჯერ კიდევ იყო დრო, უკან დაეხიათ შარლერუას მიმართულებით და ბრძოლა მოგვიანებით უფრო ხელასყრელ გარემოებებში გაემართათ. მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით, ნაპოლეონს არ შეეძლო ველინგტონთან ბრძოლის დიდი ხნით გადადება - მას დრო ცოტა რჩებოდა. ყოველი დღე, რომელიც უშედეგო მანევრისთვის დაიხარჯებოდა, შვარცენბერგის 250.000-იანი არმიის სასარგებლოდ მოქმედებდა და საშუალებას აძლევდა მათ, პარიზს კიდევ უფრო მიახლოებოდნენ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთის საზოგადოების აზრს, მის განწყობას. ნაპოლეონი გრძნობდა, რომ დრო აქაც მის წინააღმდეგ მოქმედებდა. ინსტინქტი კარნახობდა მას, რომ ბრძოლა უნდა გამართულიყო სწორედ ამ დროს და ამ ადგილზე, მონ სენ-ჟანის და ლა ჰეი სენტის ფერდობებზე. ,,ამ დილას ჩვენ ასი შესაძლებლობიდან ოთხმოცდაათი გვქონდა ჩვენ სასარგებლოდ" - თვლიდა ნაპოლეონი. ,,ბიულოვის ჩამოსვლამ ოცდაათი წაგვართვა, მაგრამ სამოცი ორმოცის წინააღმდეგ ისევ დაგვრჩა." ნაპოლეონმა შეშფოთება ოდნავადაც არ შეიმჩნია და მთავარი შეტევის დაწყება ბრძანა.

ველებზე ნახევარი საათის განმავლობაში ოთხმოცი ქვემეხის გრიალი ისმოდა, მაგრამ ველინგტონის ჯარის უმეტესობა პლატოს თხემს იყო ამოფარებული. დ'ერლონის ჯარი ყიჟინით გაიჭრა წინ, ნესტიანი ყანების გავლით, ურიცხვი რაოდენობით, რის გამოც მალე ყველა ერთად შეჯგუფდა. შეტევის პირველი ტალღა ლა ჰეი სენტის საყრდენ პუნქტთან შეგუბდა; ბელგიელების ერთი ბრიგადა გაიქცა, ხოლო ბრიტანელების ჯარი, რომელიც უკან, უფრო მოშორებით იდგა, ერთნაირად დასცინოდა მოკავშირეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც. შეტევის ტემპი შენელდა დაბრკოლებებთან, სადაც ბრიტანელები იცდიდნენ. როცა ფრანგებმა მთის თხემი გადალახეს, მათ დროით სწორად გათვლილი ზალპი შეეგება. გენერალ ლორდ აქსბრიჯის კავალერიის გააფთრებულმა კონტრშეტევამ ფრანგები უკუაქცია. სანამ დ'ერლონი თავის ჯარებს მოაგროვებდა, ველინგტონმა ლა ჰეი სენტთან თავდაცვის გასაძლიერებლად დამატებითი ჯარები გაგზავნა. დღის 4 საათზე შეტევა თავიდან დაიწყო. მას ორივე მხრიდან ინტენსიური გადამღობი ცეცხლით არტილერია უჭერდა მხარს. ველინგტონის ძალების ცენტრი საარტილერიო ჭურვების ქვეშ თანდათან დაირღვა და უკან დახევა დაიწყო.

ამ დროისთვის ბრძოლაში ნეი შემოიჭრა. ის ინსტინქტს მიენდო და დარწმუნებულმა, რომ ველინგტონის ჯარების რიგი დაიშალა, საკავალერიო კორპუსი, ქვეითების და არტილერიის მხარდაჭერის გარეშე, წინ გააგზავნა ამაო მცდელობისთვის - იერიში მიეტანათ ველინგტონის მარჯვენა ფლანგის ცენტრზე, რომელიც ჯერჯერობით სრულიად უვნებელი იყო. ფრანგმა მხედრებმა ლა ჰეი სენტის საყრდენ პუნქტს ჩაუქროლეს, რომელიც კვლავ ხელიდან ხელში გადადიოდა, მცირე ჩაღრმავებაში რომ ჩავიდნენ, სისწრაფე განავითარეს და მთის თხემზე აიჭრნენ, სადაც ოთხკუთხა წყობით (კარე) მოწყობილი ბრიტანელები აღმოაჩინეს, რომელთა თოფები და ქვემეხების ლულები მუქარით იყო აღმართული. ბრიტანელი ოფიცერი ასე აღწერდა ფრანგების კავალერიის მოქმედებას:

,,თითქოს მთელი დედამიწა ზანზარებდა მათი ცხენების ფლოქვებქვეშ... წინა რიგებში ყველამ ჩაიჩოქა და გაშმაგებული კირასირების თვალწინ შიშისმომგვრელი ფოლადის კედელი აღიმართა, რომელიც მტკიცე ხელებს ეპყრა.” მორიგმა საშინელმა კონტრშეტევამ, რომელიც ლორდ აქსბრიჯის ბრწყინვალე კავალერიამ განავითარა, გზა გადაუღობა ფრანგების კავალერიას. ერთი შოტლანდიელი კავალერისტი შემდეგში ასე იხსენებდა ბრძოლას ფრანგებთან:

,,ერთმა მათგანმა დარტყმა საზარდულში მომაყენა. მე ეს დარტყმა მოვიგერიე და მოვკალი ის თავში მიყენებული დარტყმით. შემდეგ ერთი ულანი მომიახლოვდა - მე მისი მახვილი ჩემი მარჯვენა გვერდით მოვიგერიე, ნიკაპში ხმალი ვკარი და კბილებამდე ავჭერი...”

ერთმა ბრიტანელმა არტილერიის კაპიტანმა აღწერა დაპირისპირება ფრანგ კირასირებსა და ბრიტანელ არტილერისტებს შორის:

,,მათი ნაბიჯი იყო ნელი, მაგრამ მყარი, თანაბარი ჩორთი. ეს არ გახლდათ გაშმაგებული ჭენება, ეს იყო გათვლილი, გულმოდგინე წინ გადაადგილება, გათვლილი ტემპით, როგორც შეეფერება ადამიანებს, რომლებიც მტკიცედ მიიწევენ მიზნისკენ... ერთადერთი, რაც მათგან ისმოდა ბრძოლის გამაყრუებელ ხმაურში, ეს იყო დაბალი, ყრუ ქუხილისმაგვარი ექო, რომელიც ამდენი ცხენის ფეხის ხმის შედეგად მიწის ზედაპირიდან აირეკლებოდა. ჩვენც საგულდაგულოდ ვიყავით მომზადებული. თითოეული ადამიანი მტკიცედ იდგა თავის პოსტზე, ქვემეხები მზადყოფნაში იყო, ჩატვირთული ჭურვებით; ლულები ჩადგმული იყო არხში; ბორბლებს უკან ბრწყინავდა და შიშინებდა გამზადებული ცეცხლი; და მხოლოდ ჩემი სიტყვა იყო საჭირო, რომ მამაცი ადამიანებისა და შესანიშნავი ცხენების ეს მშვენიერი სანახაობა განადგურებულიყო.”



სურათი 85. ფრანგი ახალწვეულები ვატერლოოს ბრძოლაში

თვით მიურატიც რომ ყოფილიყო იქ, ვერ შეძლებდა ადამიანებისა და ქვემეხების ამ მყარი მართკუთხედების დარღვევას. ისინი ისროდნენ ისე, რომ იარაღის ცეცხლი უწყვეტ ნაკადად ეფინებოდა ფრანგი კავალერისტების რიგებს. ნეიმ ვერ შეძლო უწესრიგო უკანდახევის შეჩერება, რომელიც ოთხ ფუჭ შეტევას მოჰყვა. ველინგტონის საგულდაგულოდ მომზადებული და შეუპოვარი ადამიანებით დაკომპლექტებული თავდაცვის წიმააღმდეგ ნეის მიერ ნაწილობრივი, არაკონცენტრირებული ძალებით განხორციელებული შეტევა მარცხით დასრულდა.

საღამოს 6 საათისთვის ნაპოლეონი კრიტიკულ ვითარებაში აღმოჩნდა. თუმცა ნეიმ ბოლოს და ბოლოს აიღო ლა ჰეი დე სენტი, მაგრამ ველინგტონის ძირითადი პოზიციები ისევ ურყევად იდგნენ, ხოლო ბლიუხერის მეწინავე კორპუსს მდ. ლასნე უკვე გადმოლახული ჰქონდა და პლანსენუას ფერდობებზე ადიოდა. გენერალ რეილეს ფრანგული კორპუსი შატო გუმონთან ბრიტანელების მიერ იზოლირებული იყო. გენერალ დ'ერლონის ჯარი მთლიანად ლა ჰეი დე სენტთან და მონ სენ ჟანთან იბრძოდა. გრუში აშკარად საერთოდ გამოთიშული იყო ბრძოლიდან სადღაც ჰავრთან. რჩებოდა მხოლოდ გვარდია - მსოფლიოში საუკეთესო მებრძოლების 11 ბატალიონი.

ნაპოლეონი, ცხენზე ამხედრებული, პირადად რომ გაძღოლოდა გვარდიას, შეიძლებოდა საგრძნობლად შეერყია ველინგტონის ისედაც საკმაოდ დასუსტებული ძალების ცენტრი. (ამბობენ, სწორედ ეს მომენტი იყო, როდესაც გარემოცვამ ველინგტონის ბუტბუტი გაიგო: ,,რა გვიშველისღამე თუ ბლიუხერი?"). ამ დროს ნაპოლეონს უფრო გადაუდებელი ამოცანა ჰქონდა - ბლიუხერის მიერ პლანსენუაზე განხორციელებული იერიშის მოგერიება, რომელიც უკვე ფრანგების ზურგს ემუქრებოდა. ერთი კორპუსისა და გვარდიის ორი ბატალიონის გამოყენებით მან მოახერხა, თანდათანობით განედევნა პრუსიელები მთის ფერდობებიდან ქვევით, ისევ მდინარის კალაპოტისკენ. ამ წარმატებამ მას ამ მხრიდან სულ ცოტა ორი საათით ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

სურათი 86. ვატერლოოს ბრძოლის დასასრული: გვარდია კვდება, მაგრამ არ ნებდება

სანამ ნაპოლეონის ყურადღება მარჯვენა ფლანგზე ბლიუხერისაგან მოსალოდნელი საფრთხისკენ იყო მიპყრობილი, მისი უკანასკნელი რესურსი, გვარდია, ნეის მეთაურობაში გადავიდა. თავზეხელაღებულ მარშალს საღი განსჯის უნარი დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა. ის გვარდიის ქვეით ბატალიონებს ერთმანეთის მიყოლებით, როგორც კი თავის განკარგულებაში მიიღებდა, შეტევაში დაუფიქრებლად აგზავნიდა. როცა ნაპოლეონი ბლიუხერის ერთ-ერთი კორპუსის ახალი შეტევის წინააღმდეგ თავისი მარჯვენა ფლანგის გაძლიერების შემდეგ უკან დაბრუნდა, გვარდია აღარ დახვდა. ის ბრძოლაში იყო ჩართული, ხოლო მისი წინამძღოლი მარშალი ნეი ყვიროდა, ილანძღებოდა და ხმალს იქნევდა. თავგანწირული მოქმედება ნეის ერთ-ერთი საუკეთესო თვისება, მაგრამ იმავდროულად, მისი უდიდესი ნაკლი იყო. საარტილერიო ცეცხლის ქვეშ მან საერთოდ დაკარგა აზროვნების უნარი.

ფიცხი მარშალი კვლავ დეზორიენტირებული იყო. მან თავისი ძალები კვლავ მოწინააღმდეგის თავდაცვის უძლიერესი ადგილისკენ მიმართა. ბრიტანელების არტილერიის და ქვეითების ცეცხლმა კვლავ ძლიერი დარტყმა მიაყენა შემტევი ძალის წინა ხაზს და ფლანგს. ერთ-ერთი მოწმე, ბრიტანელი ოფიცერი, ხელჩართული ბრძოლის დრამატულ სურათს ასე აღწერს:

,, ... მოულოდნელად ცეცხლი შეწყდა და როცა კვამლი გაიფანტა, ჩვენ თვალწინ დიდებული სანახაობა გადაიშალა. გრენადერების მჭიდროდ მიჯრილი კოლონები ...ჩანდა ზევით როგორ ადიოდნენ... მათ განაგრძეს წინ გადაადგილება, სანამ ჩვენს წინა ხაზს 50-60 ნაბიჯით არ მოუახლოვდნენ და გაჩერების ბრძანება გაისმა. მოულოდნელი გამოჩენის ბრალი იყო, რომელიც თითქოს მიწიდან აღმოცენების შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუ უჩვეულოდ ძლიერი, ინტენსიური ცეცხლისა, რომელიც მათ გაუხსნეს, გვარდია, რომლის შეტევა მარცხით არასდროს დასრულებულა, უცბად შეჩერდა.”

გვარდიის უკანასკნელი შეტევის მოგერიება ვატერლოოს ბრძოლის მოგებასთან დაკავშირებული ნაპოლეონის უკანასკნელი იმედის დამსხვრევას ნიშნავდა. მისი მარჯვენა ფლანგის დაშლამ, რაც ცოტა ხანში მოხდა, ნაპოლეონს მარცხისთვის თავის დაღწევის უკანასკნელი საშუალება მოუსპო. ,,ნეტავ ერთი ტყვია მეც მომხვდეს და მომკლას” - შეჰყვირა მარშალმა ნეიმ, როცა ბრიტანელების აუღებელი თავდაცვის ხაზის წინააღმდეგ კიდევ ერთი შეტევა მარცხით დამთავრდა. (თუმცა ზოგიერთი ბრძოლის მონაწილე ამტკიცებდა, რომ ნეიმ უფრო დიდებული სიტყვები წარმოთქვა: ,,მოდით და ნახეთ, როგორ კვდება საფრანგეთის მარშალი!”. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი იერიშები უნაყოფო რომ იქნებოდა, მას ეს უნდა სცოდნოდა). ამ მძიმე წუთებში ნაპოლეონი რას ფიქრობდა, შთამომავლობისთვის უცნობი დარჩა.

მარცხის მიუხედავად, ნაპოლეონმა შეინარჩუნა წონასწორობა და საღი აზრი, როგორც დიდებულ მხედართმთავარს შეჰფერის. მას დრო არ დაუკარგავს მარშალ ნეის მიმართ პროტესტის ან კრიტიკის გამოსახატავად; გვარდიის დარჩენილ ნაწილებს ლა ჰეი სენტიდან სამხრეთისკენ გზაზე მოწყობა უბრძანა. გენერალი ლობო ბლიუხერის ჯარის ფრანგების უკან დახევის ხაზიდან შეკავებას განაგრძობდა, ხოლო ამ დროს დ’ერლონისა და რეილეს კორპუსები გვარდიის კოლონებს ამო

სურათი 87. ველინგტონი ოფიცრებთან ერთად ზეიმობს ვატერლოოს ბრძოლაში გამარჯვებას

ფარებულები უკან იხევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად საბრძოლო მასალის გარეშე დარჩნენ, გვარდია მტკიცედ, ჩუმად და უძრავად იდგა. ფრანგული იმპერია აღარ არსებობდა, მაგრამ დიდი არმიის სული ისევ ცოცხალი იყო.

ვატერლოო შეიძლება მე-19 საუკუნის ყველაზე საბედისწერო და ყველაზე გადამწყვეტ ბრძოლად ჩაითვალოს. ის ასევე დიდი მარცხის სინონიმადაც იქცა. ,,რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ...” - ასეთი ტიპის ვარაუდები ვატერლოოს ბრძოლის დღიდან მოყოლებული დღემდე ისტორიკოსებისა და სამხედროების საყვარელ თამაშად იქცა. ამის თქმა არავის შეუძლია, რადგან უეჭველი არ არის, რომ ერთი რომელიმე მოვლენის შეცვლა ბრძოლის საერთო შედეგს შეცვლიდა. ნეის რომელიმე შეცდომის გასწორება ასევე ველინგტონის მოქმედებებსაც შეცვლიდა. მაგრამ შესაძლებელია ნაპოლეონის მარცხის გაანალიზება და მისი გამომწვევი უშუალო მიზეზების დადგენა. აქ დევს შეფასება იმ დაკვირვებული, მაძიებელი გონებისათვის, რომელიც ცდილობს დღევანდელი დიდი მოვლენების წვდომას.

რატომ წააგო ნაპოლეონმა ვატერლოოს ბრძოლა? იმიტომ, რომ გრუშიმ ვერ შეძლო პრუსიელების შეჩერება! ასეთი დასკვნა თვითონ ნაპოლეონმა გამოიტანა წმ. ელენეს კუნძულზე ყოფნისას. ,,მარშალ გრუშის მიერ ამოცანის ასე შესრულება ....სრულიად წარმოუდგენელი იყო, თითქოს მიწისძვრა მოხდა და მის არმიას მიწამ უყო პირი.”

ვერც ისტორიკოსს და ვერც სამხედრო კრიტიკოსს ასეთი ახსნა-განმარტება ვერ დააკმაყოფილებს. გრუშის მიერ ამოცანის შესრულებაში განცდილი მარცხი მხოლოდ ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას და არც ერთი მათგანი ნაპოლეონის სასარგებლოდ არ მეტყველებს. იმპერატორმა ან თავისი მარშლისთვის სათანადო რესურსების გამოყოფა და მკაფიო მითითების მიცემა ვერ შეძლო მისი ნახევრად დამოუკიდებელი ამოცანის შესასრულებლად, ან გრუში არ იყო შესაფერისი პიროვნება, ვისაც ეს ამოცანა უნდა შეესრულებინა. თუ ვინმე ნაპოლეონის წინდაუხედავ დირექტივას გადახედავს, რომლითაც ის გრუშის ნამურისა და ლიეჟის მიმართულებით წინსვლას უბრძანებს, დარწმუნდება, რომ სწორედ ნაპოლეონი იყო პასუხისმგებელი ასეთი გადამწყვეტი ამოცანის შემსრულებლად ნაკლებად გამოცდილი მარშლის არჩევის გამო. ასევე არაკეთილგონივრული იყო მარშალ ნეიზე არჩევანის შეჩერება. თუმცა იგი ცნობილი იყო, როგორც ,,მამაცთა შორის უმამაცესი”, ფაქტიურად, ნეი მანიაკი იყო, რომელმაც მონ სენ-ჟანის ველზე გონიერება საერთოდ დაკარგა. აქ კრიტიკოსი აუცილებლად მიუბრუნდება საწყის წერტილს - ნაპოლეონის გონებას. როგორც მისმა გენიამ საფრანგეთს ბრწყინვალე გამარჯვებები მოუტანა, ისე მისმა უზომო სიჯიუტემ, შეუძლებლის მიღწევის მცდელობაში გამოვლენილმა, ერს საშინელი მარცხი განაცდევინა.

ნაპოლეონის მიერ დაქვემდებარებული მეთაურების უიღბლო არჩევანი, რომლის შედეგად სანდოდ მიჩნეული დავუ დააქვეითეს და ის სამხედრო მინისტრი გახდა, იყო 1815 წელს ფრანგების დამარცხების მრავალ მიზეზთა შორის ერთ-ერთი. მათ შორის არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მოკავშირე ქვეყნებს რიცხობრივად ბევრად მეტი ჯარი ჰყავდათ (დაახლოებით 800.000 – 280.000-ის წინააღმდეგ, თუ არ ჩავთვლით არამობილიზებულ რეზერვებს). 17 ივნისს ნაპოლეონის პასიურობაც და ისიც, რომ მან 18 ივნისს დილით ადრე შეტევის დაწყება ვერ შეძლო, შეიძლება ჩაითვალოს იმ კრიტიკული ვითარების მაგალითებად, რომელიც იმპერატორისგან მეტ დინამიურობას მოითხოვდა. უფრო მეტიც, ბრძოლის დროს მან ვერ შეძლო განეხორციელებინა სათანადო კონტროლი თავის დაქვემდებარებულ პირებზე; კერძოდ, ნეიზე, გრუშიზე და დ’ერლონზე. შეიძლება ეს გავამართლოთ იმ ფაქტით, რომ მისი ყურადღება მთლიანად მარჯვენა ფლანგით იყო დაკავებული,

მაგრამ ნაპოლეონმა კრიტიკულ მომენტში სწრაფი რეაგირების უნარიც ვერ გამოიჩინა - მაშინ, როცა ველინგტონის ძალების ცენტრი თითქმის ჩამოშლილი იყო და აქ გვარდიის გამოყენებას გადამწყვეტი როლის შესრულება შეეძლო. კრიტიკოსს მხედველობიდან არც მოკავშირე სარდლების შესრულების დონე უნდა გამორჩეს, რომელიც, როგორც ჩანს ნაპოლეონმა სათანადოდ ვერ შეაფასა. ქების ღირსია ველინგტონის მიერ პოზიციის სწორი შერჩევა და გონივრული, შეუპოვარი თავდაცვის განხორციელება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბლიუხერის დაუმორჩილებელმა სულისკვეთებამ და მტკიცე მოქმედებამ ველინგტონის დასახმარებლად და გასაძლიერებლად, ბრძოლის საბოლოო შედეგზე გადამწყვეტი გავლენა იქონია. მათი ადამიანური თვისებებით შექმნილი კუმულაციური დაბრკოლებები ნაპოლეონს კიდეც რომ გადაელახა, იღბალი მაინც გაათამაშებდა თავის ,,ჯოკერს" (უნივერსალურ კარტს, ანუ გაუთვალისწინებელ შემთხვევას), მაინც იქნებოდა ქარიშხალი, გზები ტალახით დაიფარებოდა და იმპერატორის ჯარების გადაადგილებას ხელს შეუშლიდა. ამ ხელისშემშლელი პირობების მიუხედავად - როგორებიცაა მოწინააღმდეგის რაოდენობრივი უპირატესობა, გამოცდილი უფროსი ოფიცრების ნაკლებობა, შეუპოვარ ბლიუხერთან და მტკიცე ველინგტონთან დაპირისპირება და უკიდურესად ცუდი ამინდი, ნაპოლეონის მხედართმთავრული ნიჭის გამოვლინებას ფრანგების გადარჩენა მაინც შეეძლო. ის კარგი მხედართმთავარი იყო, მაგრამ მაშინ, ივნისის იმ მე-18 დღეს, ის საკმარისად კარგი არ აღმოჩნდა.

ნაპოლეონის ლეგენდა

ნაპოლეონის უდიდესი გამარჯვებები ბრძოლის ველზე არ იყო მოპოვებული. ეს გამარჯვებები მან ისტორიის ანალებში მოიპოვა. ვატერლოოსთან მარცხის შემდეგ ის პარიზში დაბრუნდა და აღმოაჩინა, რომ მის მიმართ საფრანგეთის საზოგადოების განწყობა უარყოფითი იყო. უკვე მეორედ, ის გადადგა, ამჯერად იმ განსხვავებით, რომ ამერიკაში გაქცევა სურდა. საპირისპირო ქარებმა (არახელშემწყობმა პირობებმა) მისი ეს გეგმაც ჩაშალა და საბოლოოდ ის იძულებული გახდა, ბრიტანელების მოწყალების იმედად დარჩენილიყო, საფრანგეთიდან მისი გამგზავრების უსაფრთხოება რომ უზრუნველყოთ. ბრიტანელებმა დაუყოვნებლივ აიყვანეს ის მისი უდიდებულესობის დროშით მცურავ ერთ-ერთ გემზე და წმ. ელენეს კუნძულზე მიიყვანეს.

ამ შორეული გადასახლებიდან, ყოფილი იმპერატორი შურისძიებას გეგმავდა მონარქების წინააღმდეგ, რომლებმაც ის დაამარცხეს. სამი ერთგული მსახური რიგ-რიგობით, გამალებით წერდა, იმპერატორი კი კარნახობდა თავის მემუარებს. ,,მე ქაოსი მოვაწესრიგე" - ამბობდა ის. ,,მე რევოლუცია ზნეობრივად გავწმინდე, უბრალო ხალხი გავაკეთილშობილე და მეფეების ავტორიტეტი აღვადგინე." ამ გაცხადებებში იყო სიმართლე ისტორიკოსების მომავალი თაობებისთვის, რომლებსაც იმპერიული საფრანგეთის რომანტიკული სახის აღდგენა შეიძლებოდა მოსურვებოდათ. ,,მე დიდებულების საზღვრები უკან გადავწიე." ამ კონტექსტში რომანტიზმის ეპოქა უდიდეს მასალას აღმოაჩენდა, რომლის დახმარებითაც თავის გმირს კეთილშობილად წარმოაჩენდა. იმავე დროს, კონსერვატორები ალბათ აღნიშნავდნენ, რომ ნაპოლეონის უდიდესი მიღწევები იყო კანონმდებლობის, განათლების და საზოგადოებრივ სფეროში განხორციელებული კლასიკური რეფორმები.

სურათი 88. იმპერატორი კოლბაში, ნაპოლეონის გადასახლება წმინდა ელენეს კუნძულზე, ინგლისური კარიკატურა-1815წ.

ნაპოლეონზე შექმნილი ლეგენდის ყველაზე ძლიერი გავლენა კანონმდებლობაში, მართვაში ან განათლებაში არ გამოხატულა. მან უდიდესი გავლენა ომის ხელოვნებაზე მოახდინა. ,,ჩემს კარიერაში უეჭველად ბევრი შეცდომაა, - ამბობდა ნაპოლეონი, - მაგრამ არკოლა, რივორი, პირამიდები, მარენგო, აუსტერლიცი, იენა, ფრიდლენდი - ეს არის გრანიტი; აქ შურიც კი ვერას გახდება." ისეთი თეორეტიკოსების ნაშრომებით შთაგონებულებმა, როგორებიც არიან ჟომინი, კლაუზევიცი და შლიფენი, დასავლეთ სამყაროს სამხედრო მოღვაწეებმა ცნობილი ბრძოლების ისტორია მიიღეს, როგორც მემკვიდრეობა, რომელსაც გაფრთხილება და ზოგ შემთხვევაში, გაუმჯობესება სჭირდება. სერ ბაზილ ლიდელ ჰარტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ,,ნაპოლეონის აჩრდილმა" მე-20 საუკუნის ომებში უფრო დიდი როლი ითამაშა, ვიდრე თვითონ დიდმა გენერალმა წინა საუკუნეში ევროპის ტერიტორიაზე მის მიერ გამართულ ბრძოლებში.

თითქმის ერთი საუკუნე გავიდა ვატერლოოსა და პირველ დიდ ომს შორის. ამ საუკუნის უმეტესი ნაწილი ახ Pax Britannica -ს (მშვიდობიანი პერიოდი, როცა ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა დომინირებდა) ნიშნით წარიმართა. სამწუხაროდ, დრო და მდგომარეობა ისე იყო შეცვლილი, რომ მათთვის, ვინც ნაპოლეონის ბრწყინვალე სტრატეგიულ ნიჭს აღიარებდა, როგორც გამარჯვების მიღწევის უკვდავ მოდელს, ეს სტრატეგიული მოდელები უვარგისი აღმოჩნდა. მაგრამ ნაპოლეონის შთამაგონებელი მხედართმთავრობა არასოდეს იქნება მივიწყებული. როგორ მოხდა, რომ ამ კაცს, რომლის გენიოსობა ადვილად დასაჯერებელი არ არის, თითქმის ყოველთვის შეეძლო მის წინ მდგარი მოულოდნელი პრობლემების გადაჭრის გზა ეპოვა. როცა ორმა ავსტრიულმა არმიამ, ვერონასთან, ის კუთხეში მიიმწყვდია, ის ელვისებურად შებრუნდა და მოულოდნელად აღმოჩნდა ერთ-ერთი არმიის ზურგში, არკოლასთან; მას შემდეგ, რაც ნელსონმა მისი ფლოტი აბუქირის

ყურეში ჩაძირა, ის უშიშრად გაემართა მარშით სირიაში; როცა საზღვაო უპირატესობას ვერ მიაღწია, რომ ლა-მანშის სრუტე გადაელახა, მან დიდი არმია თითქმის 180 გრადუსით მოატრიალა და რაინი ნახტომისებურად გადალახა, შემდეგ კი ავსტრიელი გენერალ მაკის მოუმზადებელი ძალების ზურგს გადაუარა. ერცჰერცოგ კარლის მკვეთრი რეაგირების და მისი უკუგდების შემდეგაც კი, მან კვლავ გადალახა დუნაი და მეორე ბრძოლა მოიგო ვაგრამთან. 1812 და 1813 წელს მომხდარი დამარცხებები ნაპოლეონის, როგორც იმპერატორის ბრალი იყო და არა როგორც გენერლისა.

სურათი 89. ჰორაციო ნელსონი (1758-1805). ბრიტანეთის გამოჩენილი ადმირალი და მამაცი მეომარი, მთლიანად გაანადგურა საფრანგეთის ფლოტი

შეიძლება ნაპოლეონმა ძალიან ცოტა ბრძოლა წააგო, მაგრამ მან გამოუსწორებელი ცოდვა ჩაიდინა უკანასკნელის წაგებით. თავის კარიერის ბოლო წლებში მას მხედველობიდან რჩებოდა ის ფაქტი, რომ ბრძოლის ველზე მიღწეული ტრიუმფიც კი ვერ მოახდენდა მისი საბრძოლო კამპანიების შედეგად იმ ხალხისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციას, რომლის წარმომადგენლადაც ის თავს აცხადებდა. ნაპოლეონმა გაანადგურა პრუსიის არმია იენასთან, მაგრამ წააგო პრუსიასთან, მის სამეფო ოჯახთან ცუდი მოპყრობის გამო. მან იტალიას ორ თვეში სძლია, მაგრამ განარისხა იტალიელები იმით, რომ რომის პაპს დაემუქრა. ეს არაჩვეულებრივი ჰეროიკული ფიგურა, რომელიც ,,ჯარისკაცის სულს ესაუბრებოდა" და ,,ერის გონებაზე გავლენა ჰქონდა," არასდროს იცავდა საჭირო ბალანსს ადამიანებთან ურთიერთობისას. მას შეეძლო ბატალიონების აღფრთოვანება და შთაგონება, რომ მათ სიმამაცე შეენარჩუნებინათ ხიდზე გადასვლისას, როცა მოწინააღმდეგის არტილერიის ცეცხლი მათ ცელავდა, მაგრამ არასდროს შეეძლო ვინმე ლონდონელი ბანკირის ან ავსტრიის მინისტრთა კაბინეტის დარწმუნება, როცა მათ მშვიდობაზე ელაპარაკებოდა. მას წესრიგის აღდგენა სურდა, მაგრამ მის გიგანტურ ნაბიჯებს ევროპის კონტინენტზე თან სდევდა მღელვარება და აჯანყებები.

ალბათ გასაგებიცაა, რომ მარენგო, აუსტერლიცი და იენა თითქმის აღარავის ახსოვს, ხოლო ვატერლოოს სახელი სამუდამოდ დარჩება. დიდი მოთამაშე იღბალს მეტისმეტად ხშირად სცდიდა და ამისთვის დაისაჯა. თუმცა, ამ მარცხმა ვერ გადააფიქრებინა ადამიანებს კვლავ დამპყრობლური გზით სიარული. ფაქტიურად, უზარმაზარი მარცხი ზოგჯერ უფრო ამძაფრებს მადას. ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ჟორჟ ლეფევრი ამ მოვლენას ასე ხსნის: ,,... ადამიანები ყოველთვის იქნებიან შეპყრობილი ძალაუფლებაზე რომანტიკული ოცნებებით, თუნდაც მხოლოდ სიყმაწვილის წლებში, რომელთა ცეცხლი და მოუსვენრობა გაივლის ..." დაახლოებით იგივე ნაპოლეონმა 1802 წელს წარმოთქვა: ,,უმჯობესია საერთოდ არ იცხოვრო ამ ქვეყნად, ვიდრე აქ შენი არსებობის კვალი არ დატოვო."

კლაუზევიცი

თომას მ. ჰუბერი

XVIII-XIX საუკუნეების ევროპაში სამხედრო აზროვნებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა მზარდი ტრადიციული შეხედულებები. ამ შეხედულებების უმეტესობა აიტაცა ორმა მოაზროვნემ - კარლ ფონ კლაუზევიცმა და ანტუან დე ჟომინიმ და მოახდინეს მათი ხელახალი ფორმულირება. ისინი გამომდინარეობდნენ ნაპოლეონის გამოცდილებიდან და ცდილობდნენ მისი არსის დამკვიდრებას ომის წარმოების შესახებ საკუთარ თეორიებში. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში ომის წარმოების შესახებ ზემოაღნიშნული ერთი ან ორივე მოაზროვნის შეხედულებები სერიოზული მკვლევარების ამოსავალ წერტილად იქცა.

სურათი 90. კარლ ფონ კლაუზევიცი (1780-1831). პრუსიისა და რუსეთის არმიების გენერალი, გამოჩენილი სამხედრო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი

კარლ ფონ კლაუზევიცი 1780 წელს პრუსიაში დაიბადა. მამამისი წარმოადგენდა წვრილგადამხდელთა საგადასახადო ინსპექტორს, რომელიც ადრე პრუსიის ჯარში ლეიტენანტის წოდებით მსახურობდა. კარლი საკუთარი ნებით შევიდა პრუსიის ჯარში და 1801 წელს ჩაირიცხა ბერლინის სამხედრო სასწავლებელში, სადაც კომენდანტის თანამდებობაზე ახალი დანიშნული გახლდათ შარნჰორსტი. კლაუზევიცი მთელი თავისი კარიერის მანძილზე იტრიალებს შარნჰორსტისა და გნეისენაუს ირგვლივ შეკრულ, ნიჭიერ სამხედრო რეფორმატორთა წრეში. კლაუზევიცმა აღნიშნული სასწავლებელი წარჩინებით 1804 წელს დაამთავრა, საკმაოდ დროულად იმისათვის, რომ ემსახურა პრუსიის პრინცის თანაშემწედ 1806 წლის იენისა და აუერშტატის ბრძოლებში. პრუსიის ძალებმა ძლიერი მარცხი განიცადეს და კლაუზევიცს ერთი წელი პირობითი პატიმრობა შეუფარდეს, რომელიც საფრანგეთის ტერიტორიაზე უნდა გაეტარებინა. 1807 წელს იგი პრუსიაში დაბრუნდა, რათა გამხდარიყო შარნჰორსტის თანაშემწე ქალაქ კენიგსბერგში. 1807-1811 წლებში კლაუზევიცი ეხმარებოდა შარნჰორსტს ნაპოლეონის საწინააღმეგოდ პრუსიის სამხედრო სამსახურის რეფორმის გეგმების შემუშავებაში. ნაპოლეონი რუსეთის წინააღმდეგ კამპანიისთვის ძალებს აყალიბებდა და პრუსიას აიძულებდა ამისათვის ძალების გამოყოფას. ნაცვლად იმისა, რომ კლაუზევიცი შეერთებოდა ამ ძალებს, მან და ოცდაათმა სხვა ოფიცერმა სამსახური დატოვეს და რუსეთის არმიაში შევიდნენ.

1812 წელს კლაუზევიცი რუსეთის მხარეს შტაბის პოლკოვნიკად მსახურობდა და 1813 წელს, რუსეთში ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, საბოლოოდ დაბრუნდა პრუსიის სამხედრო სამსახურში. ვატერლოოს ბრძოლის განმავლობაში კლაუზევიცი იყო ვავრთან მდგარი ტიელმანის კორპუსის შტაბის უფროსი და აქედან გამომდინარე, მონაწილეობდა ვატერლოოს ველიდან გრუშის გამოყოფაში. ეს იყო მოვლენა, რომელსაც შესაძლოა გადაეწყვიტა ბრძოლის შედეგი. 1818 წელს კლაუზევიცი დაინიშნა ბერლინის ომის კოლეჯის ადმინისტრაციულ დირექტორად. იგი დააწინაურეს და გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს. მან ისარგებლა მშვიდობიანობის წლებით და დაწერა მრავალი კამპანიის ისტორია, პოლიტიკური ესეები, შექმნა თეორიული ნაშრომები, რომლებიც

შემდგომში გახდა ცნობილი. ასეთია მისი „ომის შესახებ.“ 1831 წელს კლაუზევიცი გაგზავნილ იქნა პოლონეთში, პრუსიის ტერიტორიების მმართველად, სადაც ქოლერის ეპიდემია ახალი აფეთქებული იყო. საუბედუროდ, მან ვერ გაუძლო ამ დაავადებას და იმავე წელს გარდაიცვალა. 1833 წელს მისი მეუღლის მეოხებით მოხდა მისი ნაშრომების რედაქტირება და ისეთი ფორმით გამოცემა, როგორიცაა „ომის შესახებ.“

აღსანიშნავი იყო კლაუზევიცის მიდგომა თეორიისადმი. ის ჯიუტად ამტკიცებდა, რომ თეორია მჭიდრო სიახლოვეს უნდა ყოფილიყო პრაქტიკასთან. მან კი იცოდა, რომ თეორია და პრაქტიკა ერთმანეთისაგან განსხვავებული სფეროებია, მაგრამ გრძნობდა, რომ უნდა შემდგარიყო ამ ორი ცალკეული სფეროს კონტრაპუნქტული დუეტი (მომხდარიყო ამ ორი სხვადასხვა მელოდიის ერთდროული გაჟღერება). მაგალითად, შესაძლებელი იყო თეორიული შორსმჭვრეტელობის მუდმივი გამოყენება პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, ხოლო პრაქტიკის კი თეორიის გასაუმჯობესებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, მან კანტის იდეალიზმი პირდაპირ დაუკავშირა მსოფლიოს რეალურ პრობლემებს. კლაუზევიცზე ასევე ზეგავლენას ახდენდა მონტესკიეს „კანონთა გონი“ (1748წ.) და ცდილობდა ის გაეკეთებინა ომისთვის, რაც მონტესკიემ გააკეთა კანონისათვის, კერძოდ, შეექმნა ყოვლისმომცველი თეორია. კლაუზევიცი ზოგჯერ მაკიაველის მიმდევრადაც მოიაზრება. მან გამოიკვლია ომისა და პოლიტიკის თანამედროვე ურთიერთკავშირი, ისევე როგორც ეს მაკიაველმა გააკეთა თავის „ომის ხელოვნებაში“ (1520წ.).

კლაუზევიცის აზრით, ომის თეორიასა და პრაქტიკას შორის ისეთივე ანალოგიური კავშირია, როგორიც - მხატვრობის, მუსიკის, არქიტექტურის თეორიასა და პრაქტიკას შორის. როგორც ვნახეთ, თეორია და პრაქტიკა ზემოქმედებს ერთმანეთზე და აძლიერებს ერთმანეთს. კლაუზევიცი თეორიისა და ნიჭიერი პრაქტიკოსის ურთიერთკავშირს ასევე ადარებდა ომისა და ხელოვნების ურთიერთკავშირს. მისი აზრით, სამხედრო გენიოსი შემოქმედებითი გენიოსის მსგავსია; ნაპოლეონი ისეთივე გენიოსია, როგორც მიქელანჯელო ან ბეთჰოვენი. გარდა თანდაყოლილი ქარიზმისა, ისინი ერთმანეთს თავიანთი პროფესიის წესებისადმი დამოკიდებულებითაც ჰგვანან. მათ ეს წესები სხვებზე უკეთესად იცოდნენ, და უფრო მეტიც, დახელოვნებულნი იყვნენ ამ წესებში. იცოდნენ, როდის და რატომ უნდა დაერღვიათ ისინი და დროდადრო ახლებსაც აღმოაჩენდნენ ხოლმე. ისინი არ უგულებელყოფდნენ აღნიშნულ წესებს, არამედ ბრწყინვალედ იყენებდნენ და ზოგჯერ გადაჭარბებითაც კი.

კლაუზევიცი ომს „სამ მაგნიტს შორის მოქანავე (გამოკიდებულ) საგანს“ ამსაგვსებდა, ესენია: პოლიტიკა, შესაძლებლობა და სწრაფვა. ომი მოიცავდა ამ ერთმანეთისაგან განსხვავებული ელემენტების, როგორც პარადოქსული სამეულის ურთიერთქმედებას. იგი ომს აღიქვამდა, როგორც „სხვა საშუალებებით წარმოებულ პოლიტიკას.“ სავარაუდოდ, ეს მისი ყველაზე მეტად ცნობილი ფორმულირებაა. მან განსხვავებული შეხედულებების, შესაძლებლობის, საფრთხის და გენიის შესახებ წარმოდგენა დეტალურად განავრცო ომის საკუთარ ანალიზში. კლაუზევიცი მეთაურებსა და ქვედანაყოფებში იკვლევდა ფსიქოლოგიურ ფაქტორებს მათ მიერ მოქმედებების შესრულების დროს. იგი შეეხებოდა აბსოლუტურ და ლოკალურ ომს შორის განსხვავებებს. აფასებდა, თავდასხმა იყო ომის უფრო ძლიერი ფორმა თუ თავდაცვა.

კლაუზევიცის ნამუშევარი იყო გონივრული, ორიგინალური და ღრმა. შემდგომში ის დაამტკიცებს, რომ თანამედროვე დროში ის ყველზე მეტი ზეგავლენის მქონე სამხედრო მოაზროვნეა. ეს განსაკუთრებით ნათელი გახდება 1870 წელს ფრანგებზე პრუსიელების გამარჯვების შემდეგ. აღ-

ნიშნულის გამო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა პრუსიული მეთოდები და პრუსიული აზროვნება. კვლავაც, კლაუზევიცის მთავარი სიძლიერე პოლიტიკური და სტრატეგიული საკითხების წვდომაში მდგომარეობს. იგი ცდილობდა, მისი ნაშრომები ყოვლისმომცველი ყოფილიყო, მაგრამ ვერ შეძლებდა სრულყოფილად გაერთვა თავი ასეთი ამბიციური პროექტისათვის. მას ცოტა რამ თუ ეთქმოდა საზღვაო საომარ მოქმედებებზე, დისლოცირებაზე, ქვედანაყოფების ფსიქოლოგიაზე, თანამედროვე ხალხის ომზე და საკითხებზე, რომლებიც საბედნიეროდ შემდგომში იქნა განხილული ნიჭიერი თანამედროვე და წარმატებული მოაზროვნეების მიერ.

ამონარიდები კლაუზევიცის ნაშრომიდან „ომის შესახებ"

გრავიტაციის ცენტრები

„მოწინააღმდეგის ძალის წონა დაიყვანეთ რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობით გრავიტაციის ცენტრებამდე, თუკი ეს შესაძლებელი იქნება საერთოდაც ერთამდე; მეორეც, შეეცადეთ ამ ცენტრების მიმართ თქვენი შეტევა მოიმოქმედოთ რაც შეიძლება მცირე ძალისხმევით; და ბოლოს, შეეცადეთ მოახდინოთ ყველა სხვა ძალისხმევის მინიმიზაცია. სხვა სიტყვებით, პირველი პრინციპი მდგომარეობს შემდგომში – იმოქმედეთ რაც შეიძლება კონცენტრირებულად.

უპირველესი გადაწყვეტილება

მეთაურთა პირველი, უმნიშვნელოვანესი და ყველაზე რთული მისაღები გადაწყვეტილება... არის იმ ომის სახეობის ამოცნობა, რომელშიც ისინი სულ მალე უნდა ჩაებნენ; აქ დაუშვებელია, როგორც მცდარი არჩევანი (ე.ი. სახეობის შესახებ არასწორი ვარაუდი) აგრეთვე, ამ ომისათვის იმგვარი სახის მინიჭება, რომელიც უცხოა მისი ბუნებისათვის.

შინაგანი შორსმჭვრეტელობა

... ორი დამახასიათებელი თვისებაა ყოველ მიზეზგარეშე აუცილებელი: პირველი – ინტელექტი, იმგვარი რომელშიც შინაგანი შორსმჭვრეტელობის ნაპერწკალი ნარჩუნდება ცხოვრების ყველაზე შავბნელ მომენტებშიც კი, ხოლო ეს შინაგანი შორსმჭვრეტელობა კი მიგვიძღვის ჭეშმარიტებისაკენ; და მეორე - შესაბამისი მამაცობა, რომ მივყვეთ ამ მკრთალ შუქს – საითკენაც არ უნდა მივყავდეთ მას.

განსჯის უნარი

... გეომეტრიას არ შეუძლია ტაქტიკის რეგულირება იმავე დონეზე, როგორც იგი არეგულირებს საალყო საბრძოლო მოქმედებებს: როდესაც მოწინააღმდეგე ჯარები უშუალოდ დგანან პირისპირ ერთმანეთთან - ყველაფერი გაცილებით მობილურია და ფსიქოლოგიური ძალები, ინდივიდუალური განსხვავებები და იღბალი უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ."

პარადიგმული სამება

1. პირველადი ძალადობა, სიძულვილი და მტრობა – ხალხი.
2. იღბალი და ალბათობა – არმია.
3. სუბორდინაცია, როგორც პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი – მთავრობა.

ჟომინი

ანტუან ანრი ჟომინი(1779-1869) იყო სამხედრო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი. ჟომინი დაიბადა შვეიცარიაში 1779 წელს. 1798 წლიდან იყო შვეიცარიის, 1804-1813 წლებში საფრანგეთის, ხოლო 1813 წლიდან რუსეთის სამხედრო სამსახურში. იმპერატორების ალექსანდრე I-სა და ნიკოლოზ I-ის შტაბისა და ამალის წევრი. რუსეთში სამხედრო

აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი(1832 წ.). ჟომინიმ თავის ნაშრომებში განაზოგადა ნაპოლეონის მხედართმთავრული ხელოვნება, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამხედრო-ისტორიული კვლევის მეთოდიკის შემუშავებაში. მისი თეორიული დებულებები დიდ გავლენას ახდენდნენ სამხედრო აზროვნებაზე მე-20 საუკუნის დასაწყისამდე.

ამონარიდები ჟომინის ნაშრომიდან „ომის ხელოვნების შეჯამება"

სურათი 91. ანტუან ანრი ჟომინი (1779-1869). საფრანგეთისა და რუსეთის არმიების გენერალი, გამოჩენილი სამხედრო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი

ოპერაციების ბაზა: ეს არის სახელმწიფოს ის ნაწილი, რომლიდანაც არმია იღებს შევსებასა და რესურსებს, რომლიდანაც იგი იწყებს, როდესაც გადადის შეტევაზე და რომლისკენაც იგი იხევს უკან ამის აუცილებლობის შემთხვევაში, აგრეთვე რომლიდანაც იგი იღებს მხარდაჭერას, როდესაც უჭირავს თავდაცვითი პოზიცია სახელმწიფოს დაცვისათვის.

გადამწყვეტი [სტრატეგიული] ადგილი: გეოგრაფიული ადგილი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა მთელი კამპანიის ან მისი შემადგენელი ცალკეული მიმართულებების შედეგზე.

გენერლის უდიდეს ნიჭს და ამავდროულად გამარჯვების საიმედოობის გარანტს წარმოადგენს ამ ადგილების კარგად არჩევის უნარი. სწორედ ეს იყო ნაპოლეონის ყველაზე თვალშისაცემი დამსახურება.

ოპერაციის ხაზები: ოპერაციების ზონაში, ცალკეულ პოზიციებზე მყოფ არმიის ცალკეულ ნაწილებს შორის დამაკავშირებელი პრაქტიკული მარშრუტი. ოპერაციების ხაზები უნდა იწყებოდნენ ბაზიდან, კვეთდნენ გადამწყვეტი მნიშვნელობის ადგილებს და მიემართებოდნენ სამიზნე ობიექტებისაკენ.

არმიას შეუძლია იმოქმედოს ერთ ხაზში, პარალელურ ხაზებზე, შიდა ხაზებზე, გარე ხაზებზე, კონცენტრულ (თავმოყრილ) ან გზაგაყრილ ხაზებზე.

სამიზნე ობიექტი: ობიექტი, რომლის დაკარგვაც დანებებას აიძულებს ომში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს;

- როგორც წესი, ასეთია დედაქალაქი;
- ან შესაძლოა იყოს ისეთი ადგილი, რომლის დაკარგვაც გამოიწვევს დედაქალაქის თავდაცვის მოშლას.

უკან დახევა: ომში უკან დახევა ნამდვილად ურთულესი მანევრია. როდესაც წარმოვიდგენთ უკან დახეული არმიის ფიზიკურ და მორალურ მდგომარეობას, დისციპლინის შენარჩუნების სირთულეს და კატასტროფას, რომელთანაც შეიძლება ამ არეულობამ მიგვიყვანოს, არ არის ძნელი მიხვდე, თუ რატომ სძულთ მსგავსი ოპერაციების განხორციელება ყველაზე გამოცდილ გენერლებსაც კი.

ოპერაციების ზონა: საომარ მოქმედებათა თეატრის ნაწილი, რომელსაც გაივლის არმია სამიზნე ობიექტისაკენ გადაადგილების დროს.

ჟომინისეული სტრატეგია

სტრატეგია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. ომის თეატრის შერჩევა და იმ განსხვავებულ კომბინაციათა განხილვა, რომელთა საშუალებასაც ეს თეატრი იძლევა.
2. ამ კომბინაციებში გადამწყვეტი წერტილებისა და ოპერაციებისათვის ყველაზე სასურველი მიმართულების განსაზღვრა.
3. ოპერაციების ფიქსირებული ბაზისა და ზონის შერჩევა და გამართვა.
4. შეტევითი თუ თავდაცვითი ოპერაციისათვის შესაბამისი სამიზნე ობიექტის შერჩევა.
5. სტრატეგიული ფრონტები, თავდაცვის ხაზები და ოპერაციების ფრონტები.
6. სამიზნე ობიექტის ან სტრატეგიული ფრონტისაკენ მიმავალი ოპერაციების ხაზების არჩევა.
7. მოცემული ოპერაციისათვის საუკეთესო სტრატეგიული ხაზი და ყველა შესაძლო შემთხვევისათვის შესაბამისი მანევრი.
8. ოპერაციების შემდგომი ბაზები და სტრატეგიული რეზერვები.
9. არმიათა მანევრებად გათვალისწინებული მარშები.
10. ურთიერთმდებარეობა საწყობებსა და არმიის სამარშო სვლებს შორის.
11. ციხე-სიმაგრეები, როგორც სტრატეგიული საშუალებები, როგორც თავშესაფრები არმიისათვის, როგორც დაბრკოლებანი არმიის წინსვლის გზაზე; ალყები, რომლებიც უნდა მოაწყო მოწინააღმდეგის ციხე-სიმაგრეების ასაღებად და საკუთარი ციხე-სიმაგრეები, რომლებიც უნდა გაამაგრო, რომ მტერმა ვერ აიღოს.
12. ჩასანგრებული ბანაკების მოსაწყობი ადილები.
13. ყურადღების გადასატანი ოპერაციები და ამისათვის საჭირო მსხვილი ქვედანაყოფები.

სამხედრო კამპანიის პირველი ნაბიჯების განსაზღვრისათვის უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია ეს საკითხები...

თავი III

გერმანული სამხედრო აზრი, მოლტკე და გენერალური შტაბი.

1. თემის მოკლე შინაარსი:

მოცემულ თემაში განხილულია პრუსიული სამხედრო სიახლეების ჩასახვისა და შემდგომი განვითარების გზები, ზოგადი ტენდენციები, რამაც საბოლოოდ, სამხედრო საქმეში პრუსიული რევოლუციის დადგომა გამოიწვია. წარმოდგენილია ამ რევოლუციის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამრეწველო, ტექნოლოგიური და ნაციონალური ასპექტები. განხილულია სამხედრო აზრის გერმანული სკოლის წარმომადგენლების: კარლ ფონ კლაუზევიცისა და ჰელმუტ ფონ მოლტკეს სამხედრო ფილოსოფია, პრუსიული სამხედრო აზრის განვითარების დინამიკა, ნაპოლეონის ეპოქიდან დაწყებული და XIX საუკუნის 80-იან წლებით დასრულებული.

ნაპოლეონისეულმა ეპოქამ, მის მიერ დანერგილმა მანევრული ომის სტრატეგიამ და საერთო-საჯარისო ბრძოლის ტაქტიკამ ახალი ბიძგი მისცა ომის დასავლური გზის განვითარებას. ზოგიერთმა ევროპულმა ქვეყანამ და პირველ რიგში პრუსიამ, მყის მოახერხა ფრანგულ სამხედრო სიახლეებზე რეაგირება და თავად დაიწყო საკუთარი სამხედრო აზროვნების გარდაქმნა. ამ

მოვლენებს ხელი იმანაც შეუწყო, რომ სამხედრო თეორიული მეცნიერების ასპარეზზე ისეთი მოაზროვნეები გამოვიდნენ, როგორებიც გერჰარდ ფონ შარნჰორსტი, ავგუსტ ფონ გნეისენაუ და კარლ ფონ კლაუზევიცი იყვნენ. მათ სწორად გააანალიზეს ის მდგომარეობა, რომ ნაპოლეონის დამანგრეველ სამხედრო მანქანას, ე.წ. Grande Armeé -ს, მხოლოდ სწორ და გამართულ თეორიულ ბაზისზე დაფუძნებული და აშენებული არმია შეძლებდა დაპირისპირებას.

XIX საუკუნის დასაწყისისათვის კი, პრუსიული არმიის მდგომარეობა მეტად სავალალო იყო. თვით კარლ ფონ კლაუზევიცი, რომელიც ნაპოლეონის თანამედროვე იყო, 1806 წლისათვის წერდა: ,,პრუსიული ჯარის შეიარაღება ევროპის მასშტაბით ყველაზე უარესი იყო. საუკეთესოს ვერც არტილერიის მდგომარეობას დაარქმევდით. კვება და ტანისამოსი მწირი გახლდათ. აღჭურვილობა კი ომის ძველ ყაიდაზე იყო გათვლილი - სავსე იყო უამრავი საგნით, რომლებიც თანამედროვე ომის პირობებში მხოლოდ ზედმეტ ტვირთს წარმოადგენდა. ჯარში სრულიად არასაბრძოლო განწყობა სუფევდა. სასწავლო პროცესი ცალმხრივად, წმინდათ პრუსიული მანერით - სხვა ქვეყნების გამოცდილებისა და ბოლო დროის საომარი მიღწევებისადმი სრული გულგრილობით წარიმართებოდა. არაადეკვატური წვრთნების ფონზე წარმოუდგენელი თავდაჯერებულობა იყო გამეფებული, რასაც უსაფრთხოებაზე ზრუნვის ელემენტარული მოთხოვნებისადმი ხელმძღვანელობის ყურადღების მოდუნება იწვევდა"... ერთ დროს ევროპის უძლიერესი და უძლეველი პრუსიის ფრიდრიხისეული არმია ბიუროკრატიულ და ერთ ადგილას გაყინულ სისტემად ქცეულიყო.

სწორედ ფრიდრიხ დიდის უძლეველი არმიის აღორძინების ამოცანა იქნა დასმული პრუსიული სამხედრო სკოლის წინაშე, რომლის ახალი თეორიული საფუძვლების შექმნა წარმატებით იქნა განხორციელებული შარნჰორსტის, გნეისენაუსა და კლაუზევიცის მიერ. ახალი პრუსიული სამხედრო სკოლისა და სამხედრო სისტემის შექმნა ხუთ პერსონას მიეწერება. ესენი არიან: ფრიდრიხ დიდი, ნაპოლეონი, შარნჰორსტი და გნეისენაუ. აღნიშნული საბოლოოდ დააგვირგვინეს ფელდმარშალ ჰელმუტ ფონ მოლტკეს სტრატეგიულმა რეფორმებმა.

პრუსიის არმიის ძირეული რეფორმების განხორციელება კი, პირველ რიგში სამხედრო განათლების სისტემის გარდაქმნითა და ახალი მიდგომებით დაიწყო. ამ საქმის პირველი ნაბიჯი მაღალი რანგის ოფიცრებისათვის ოპერატიულ-სტრატეგიული დონის სამხედრო განათლების შემოტანითა და ოპერაციების დაგეგმვის საქმეში ახალი ხედვების განხორციელებით დაიწყო. სწორედ გენერალი გერჰარდ ფონ შარნჰორსტი იყო ევროპაში და თავისთავად ცხადია მსოფლიოშიც პირველი ,,ომის აკადემიის" შექმნის ინიციატორი და მისი პირველი რექტორი, ასევე ახალი სამობილიზაციო სისტემის შემმუშავებელი, ხოლო გენერალი ავგუსტ ფონ გნეისენაუ ოპერაციების დაგეგმვაში ახალი სტილისა და დაგეგმვის კოლექტიური პასუხისმგებლობის დამნერგავი.

პრუსიული სამხედრო აზრის გამარჯვებაში საბოლოო სიტყვა ჰელმუტ ფონ მოლტკემ თქვა, რომელმაც სისტემურად მოახდინა თავისი წინამორბდების მიერ შემუშავებული სიახლეების შეჯამება და ისინი ერთიან სივრცეში მოაქცია.

მოლტკე შეიძლება განვიხილოთ როგორც ყველაზე გამჭრიახი და მნიშვნელოვანი ევროპელი სამხედრო მოღვაწე ნაპოლეონის ეპოქასა და პირველ მსოფლიო ომს შორის პერიოდში. კლაუზევიცი იყო უფრო ღრმა მოაზროვნე, თუმცა მოლტკე მეტად გამორჩეული იყო არა მხოლოდ ორგანიზებასა და სტრატეგიულ დაგეგმვაში, არამედ ოპერატიულ სარდლობაში, იგი აერთიანებდა თავის უნარებს და აანალიზებდა თუ რა იყო და რა არ იყო შესაძლებელი ომში.

,,ომი ღმერთისგან მართული სამყაროს წესრიგის განუყოფელი ნაწილია. ომში ადამიანის კეთილშობილური საწყისები წარმოჩინდებიან პირველ პლანზე. სიმამაცე და თავგანწირვა, მოვალეობის ერთგულება და მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა. ომის გარეშე მსოფლიო მატერიალისტურ წუმპედ გადაიქცევა" - ამბობდა იგი.

ფონ მოლტკე ხაზს უსვამდა სამხედრო ისტორიას, როგორც ინსტრუმენტს, რომ წინასწარ მოემზადებინა შტაბის ოფიცრები მრავალი შესაძლო გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის. ამომწურავი თეორიით და პრაქტიკული ასპექტებით ისტორიის დიდაქტიკური სწავლა გახდა გერმანიის გენერალური შტაბის ოფიცრების მომზადების ერთ-ერთ დამახასიათებელი თვისება.

სწორედ გენერალური შტაბის, ,,არმიის ტვინის" შექმნა წარმოადგენდა ფონ მოლტკეს ერთ-ერთ მთავარ დამსახურებას. თუ 1806 წლამდე შტაბი ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა და არავის ჰქონდა იდეა მისი ადგილისა და ფუნქციების შესახებ, ვატერლოოს შემდეგ შტაბმა გარკვეული სტუქტურები ჩამოაყალიბა, მაგრამ მისი გავლენისა და კონტროლის სფერო მაინც მეტად შეზღუდული იყო. რუკების შექმნა, სამხედრო თამაშობები და სამხედრო-ისტორიული კვლევები წარმოადგენდა შტაბის ყოველდღიურ საქმიანობას.

ფონ მოლტკეს მიერ შექმნილი გენერალური შტაბი კი უკვე პასუხისმგებელი იყო ოპერაციებისა და საომარი კამპანიების დაგეგმვაზე, მათ მართვასა და აღსრულებაზე. ამ ამოცანების გადასაჭრელად საჯარისო შენაერთებში, კერძოდ კორპუსებშიც იქმნება შესაბამისი შტაბები და თუ აქამდე ოპერაციების მართვა-აღსრულებაზე მხოლოდ მეთაური იყო პასუხისმგებელი, ამიერიდან ამ და კიდევ სხვა ფუნქციებსაც ცენტრალური დამგეგმავი ორგანო - შტაბი და შესაბამისი მეთაურები ინაწილებდნენ. განხორციელდა პრინციპი: ,,ორი თავი - ერთი ფუნქცია;" მოლტკემ შემოიტანა საშტაბო მუშაობის წარმოებაში ლურჯი ფერით საკუთარი და მოკავშირე ძალების, ხოლო წითლით - მოწინააღმდეგის ძალების აღნიშვნა.

მისი ყველაზე სრული განცხადებები პოლიტიკის, ომისა და სტრატეგიის შესახებ შესაძლებელია ვიხილოთ მის 1869 წლის ნაშრომში „ინსტრუქციები ჯარების უფროსი მეთაურებისათვის" და მის ესეში „სტრატეგიის შესახებ," რომელიც 1871 წელს დაწერა. ამ ზოგად სფეროებში მოლტკე ზედმიწევნით მიყვებოდა კლაუზევიცს და ზოგიერთ მთავარ კონცეფციაში ახდენდა კიდეც მისი მასწავლებლის პერიფრაზს... ,,ინსტრუქციებში" ნათქვამია, რომ „ომის ამოცანა არის მთავრობის პოლიტიკის გატარება ძალისმიერი მეთოდებით."

განსაკუთრებით აღსანიშნავია მოლტკეს მიერ შემუშავებული ჯარების სტრატეგიული მარშისა და ბრძოლების წარმოების წესი. იგი წერდა - ,,სამხედრო სტრატეგიის არსი დამოუკიდებელი მარშების ორგანიზაციაში მდგომარეობს, მაგრამ ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ძალების შესაბამისი კონცენტრაცია შესაბამის მომენტში."

1865 წელს მოლტკემ დაწერა: „სამხედრო ქვედანაყოფების ზომის გაზრდასთან ერთად იზრდება მობილურობასთან დაკავშირებული პრობლემები; შეუძლებელია არმიის ერთ კორპუსზე მეტის გადაყვანა ერთი გზით ერთსა და იმავე დღეს... ამდენად, არმიის დაყოფა კორპუსებად და მათი თავმოყრა კონკრეტული მიზნის გარეშე შეცდომაა. არმიის მუდმივად თავმოყრა მხოლოდ უზრუნველყოფის მოტივით უხერხულობებს ქმნის და თითქმის შეუძლებელია. ეს განაპირობებს ბრძოლის აუცილებლობას; ამდენად, არმიის თავმოყრა არ უნდა მოხდეს და ასეთი გადაწყვეტილების მიღება ნაადრევია. თავმოყრილ არმიას უკვე აღარ შეუძლია მარშირება, მას მხოლოდ ველზე გადაადგილება შეუძლია. მარშირებისთვის, არმია თავდაპირველად უნდა დაიყოს ნაწილებად,

რაც მტრის მხრიდან საშიშროებას ზრდის. იმდენად, რამდენადაც ბრძოლისთვის აუცილებელია მთელი ჯარის კონცენტრირება, სტრატეგიის არსი მდგომარეობს არმიის ნაწილებად მარშების ორგანიზებასა და შესაფერის მომენტში მათ კონცენტრირებაში." ანუ, უნდა განხორციელებულიყო პრინციპი ,,განცალკევებული მარში, გაერთიანებული ბრძოლა"...

მისივე შემუშავებულია ჯარების ამოცანით მართვის კონცეფცია - Auftragstaktik, რაც ითვალისწინებდა ბრძოლაში მეთაურების მიერ განხორციელებულ დეცენტრალიზებულ ინიციატივას ზოგადი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ - „თუ ტაქტიკა წარმატებული აღმოჩნდება, სტრატეგია მას ემორჩილება." ეს დებულება კი, უკვე რევოლუციურ სიახლეს წარმოადგენდა იმდროინდელი მსოფლიოს სამხედრო აზროვნების სფეროში. მოლტკე მიიჩნევდა, რომ სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეებზე უნდა გამოცემულიყო მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ბრძანებები: „ბრძანება უნდა მოიცავდეს ყველაფერს, რისი გაკეთებაც მეთაურს თავად არ შეუძლია, თუმცა მეტს არაფერს." ეს ნიშნავდა იმას, რომ მაღალი რგოლის მეთაური ფაქტიურად არ უნდა ჩარეულიყო ტაქტიკურ გადაწყვეტილებების მიღებაში.

თემის შესწავლისას განვიხილავთ აგრეთვე ე.წ. ,,საალყო ბრძოლას," რაც ფლანგური სტრატეგიული გარშემოვლის მანევრს წარმოადგენდა, ხორციელდებოდა ერთ უწყვეტ სტრატეგიულ-ოპერაციულ მოქმედებებად და მოიცავდა მობილიზაციას, კონცენტრირებას, გადაადგილებასა და ბრძოლას. ინიციატივის თავიდანვე ხელში აღებით მისი მიზანი იყო მოწინააღმდეგის ნაწილობრივი ან სრული ალყა, მისი არმიის განადგურება დიდ და გადამწყვეტ ულმობელ საალყო ბრძოლაში. სწორედ ეს კონცეფცია შეიქმნა შემდგომში მთელი ევროპული სამხედრო სკოლის ძირითად საომარ სტრატეგიად.

პრუსიული სამხედრო აზროვნებისა და სკოლის გამარჯვებებს დიდად შეუწყო ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ, ახალი ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისა და არტილერიის განვითარებამაც. საუბარი ეხება ნემსიან შაშხანასა და ფოლადისლულიან არტილერიას. პრუსია პირველი ქვეყანა იყო ევროპაში, სადაც შეიარაღებაში შემოიტანეს სახაზინო ნაწილიდან დასატენი ნემსიანი შაშხანა და ფოლადისლულიანი არტილერია, მაგრამ ეს არ იყო სამხედრო საქმეში პრუსიული რევოლუციის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენდნენ აგრეთვე ჯარების ორგანიზაციის, სამხედრო განათლებისა და სამობილიზაციო სისტემის დახვეწილი ურთიერთშერწყმა. ჯარების სტრატეგიული მარშისათვის კი ფართოდ იქნა გამოყენებული რკინიგზა. 1840 წლისათვის გერმანიის რკინიგზის ხაზის საერთო სიგრძე ორჯერ მეტი იყო ვიდრე საფრანგეთისა და 1854 წლისათვის 7500 მილს შეადგენდა. ავსტრიასთან ომის მზადების წინ მოლტკემ თავისი გეგმა ფონ რუნს, პრუსიის სამხედრო მინისტრს წარუდგინა: ,,ჩვენ გვაქვს შეუდარებელი უპირატესობა და შესაძლებლობა გადავიყვანოთ ჩვენი 285.000-იანი საველე არმია ხუთი რკინიგზის ხაზით და მოვახდინოთ მათი წარმოსახვითი კონცენტრაცია ოცდახუთ დღეში... ავსტრიას აქვს მხოლოდ ერთი რკინიგზის ხაზი და თავისი 200.000 კაცის თავმოყრას ორმოცდახუთ დღეში შეძლებს."

უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კი პრუსიული სამხედრო სკოლის წარმატებასა და ახალი გერმანული სახელმწიფოს შექმნის საქმეში, შესაბამის პოლიტიკურ ნებას და ამ პოლიტიკური ნების განმსაზღვრელ ფიგურას, კანცლერ ოტო ფონ ბისმარკს მიუძღვის. როგორც კლაუზევიცი ამბობდა: ,,ომი რეალური პოლიტიკური ინსტრუმენტია, პოლიტიკურ ურთიერთობათა გაგრძელებაა იგივეს განსახორციელებლად, ოღონდ განსხვავებული საშუალებებით..."

სწორედ სამი დიდი პრუსიელი მოაზროვნისა და სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწის - ბისმარკის, მოლტკესა და რუნის ერთობლივი შრომის შედეგი იყო ის, რომ გერმანული მიწების უნიფიკაციისა და საფრანგეთთან ომში მიღწეული გამარჯვების შემდეგ, 1871 წელს, პრუსიის სამეფოს ბაზისზე იშვა ძლიერი და მეტად ამბიციური ახალი იმპერია - გერმანია, ანუ II რეიხი. ეს იყო სამხედრო საქმეში რევოლუციის, პრუსიული რევოლუციის სრული ტრიუმფი.

პრუსიულმა სამხედრო რევოლუციამ XIX საუკუნის სხვა ევროპული სახელმწიფოების სამხედრო აზროვნების შემდგომ განვითარებაზეც ითამაშა დიდი როლი, რამაც ახალ სიმაღლეებზე აიყვანა ომების წარმოების დასავლური გზა.

2. სწავლების მიზნები:

სწავლების საბოლოო მიზანი

მოქმედება: შესწავლილ და გაანალიზებულ იქნას პრუსიული სამხედრო აზროვნების განვითარების ძირითადი ტენდენციები კლაუზევიციდან მოლტკემდე, რევოლუციის ძირითადი ასპექტები და სამხედრო ხელოვნება.

პირობა:

- აქტიური, სააუდიტორიო დისკუსია.
- წაიკითხეთ მოწოდებული მასალა და მითითებული ლიტერატურა, შეისწავლეთ და გაიაზრეთ პრუსიული სამხედრო რევოლუციის არსი, სამხედრო აზრის განვითარების ძირითადი მიმართულებები და მათი როლი სამხედრო ხელოვნების ევროპული გზის შემდგომ აღმავლობაში.

სტანდარტი:

1. არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ანალიზი.
2. პრუსიული სამხედრო ხელოვნების ძირითადი ასპექტების ანალიზი.

სწავლების დონე:

შემეცნებითი: ცოდნა, ანალიზი.

3. იუნკერის დავალებები:

წაიკითხონ:

- სილაბუსში მოცემული საკითხავი მასალა

მზად იყავით სააუდიტორიო დისკუსიისა და შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. ვინ ითვლებიან პრუსიული სამხედრო რეფორმების ფუძემდებლებად?
2. პრუსიული სამხედრო რეფორმები 1807-1813 წლებში.
3. არმიის ტვინი -გენერალური შტაბი.
4. ჰელმუტ ფონ მოლტკე -პიროვნება და რეფორმატორი.
5. ახალი სტრატეგია და ტაქტიკა.
6. XIX საუკუნის ევროპული სამრეწველო რევოლუცია - ტექნოლოგიური ინოვაციები სამხედრო საქმეში.
7. ბრძოლა გერმანიის გაერთიანებისათვის, საფრანგეთ-პრუსიის ომი.
8. გაერთიანებული გერმანია - II რეიხი.

პრუსიულ-გერმანული სკოლა: მოლტკე და გენერალური შტაბის განვითარება

ჰაჯო ჰოლბორნი

ვენის სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ ნახევარი საუკუნის განმავლობაში პრუსია თავს იკავებდა ევროპის ომებში აქტიური მონაწილეობის მიღებისგან. პრუსიის არმია 1860-იან წლებში წარმოადგენდა ყველაზე ძლევამოსილ ძალას კონტინენტზე, თუმცა თითქმის ორი თაობის განმავლობაში მას არ გააჩნდა ომის პრაქტიკული გამოცდილება. მან ჩაატარა რამოდენიმე უმნიშვნელო კამპანია 1848-1849 წლების რევოლუციის დროს და 1830-1859 წლებში მოხდა მისი მობილიზაცია იმ კონფლიქტების მოლოდინში, რომლებიც არ შემდგარა. ამავე პერიოდში რუსეთის, ავსტრიის, საფრანგეთის და ბრიტანეთის არმიები ომებში იყვნენ ჩართულნი. პრუსიის არმიის უპირატესობა 1860-იან წლებში შესაძლებელი გახდა მხოლოდ მისი ორგანიზების, წვრთნის და თეორიული სწავლებით სამხედრო საქმეში, რომელიც სრულყოფილებამდე გაუმჯობესდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში კონიგრაცისა და სედანის ბრძოლებამდე.

სურათი 92. გერჰარდ ფონ შარნჰორსტი (1755-1813). გენერალ-ფელდმარშალი, გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

მეცხრამეტე საუკუნის პრუსიის არმია შექმნა ოთხმა ადამიანმა: ფრიდრიხ დიდმა, ნაპოლეონმა, შარნჰორსტმა და გნეისენაუმ. ფრიდრიხმა დატოვა ძვირფასი მოგონებები გამარჯვებისა და გასაჭირში გაძლების შესახებ, რაც ასე მნიშვნელოვანია არმიის თავდაჯერებულობისთვის. ამასთან, მან შთამომავლობას ჩაუნერგა ის, რომ მშვიდობის დროსაც კი არმიაში უნდა ხდებოდეს მძიმე მუშაობა და რომ ბრძოლები პირველ რიგში საბრძოლო სავარჯიშოებში ხდება. აშკარად, პრუსიის არმიაში იყო ზედმეტი აქცენტი გაკეთებული სამხედრო ცხოვრების უმნიშვნელო დეტალებზე, რომლებსაც თავდაპირველად აწონასწორებდა მეფის სტრატეგიული გენია. თუმცა, მას არ გაუწვრთნია ახალგაზრდა სტრატეგები, და ეს იყო უცხოელი დამპყრობელი-ნაპოლეონი, რომელმაც გაახსენა პრუსიელებს ის როლი, რომელსაც სტრატეგია თამაშობს ომის პერიოდში, და ორი ახალგაზრდა ოფიცერი-შარნჰორსტი და გნეისენაუ, რომლებმაც მოახდინეს პრუსიის არმიის რეორგანიზაცია, დიდწილად თანამედროვე საფრანგეთის მოდელის მიხედვით. ამდენად, ნაპოლეონი გახდა მეორე ხელმძღვანელი პრუსიის არმიისა.

სურათი 93. ავგუსტ ფონ გნეისენაუ (1760-1831). გენერალ-ფელდმარშალი, გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

პრუსიის არმიის გაძლიერების მიზნით, შარნჰორსტმა და გნეისენაუმ შექმნეს საყოველთაო სავალდებულო სამსახური უფრო რადიკალური ტიპის, ვიდრე ოდესმე. ნაპოლეონის „ტილზიტის შეთანხმებამ" ხელი შეუშალა შარნჰორსტის იდეების დაუყოვნებლივ განხორციელებას, თუმცა პრუსიის 1814 წლის სამხედრო კანონმა, რომელიც შეადგინა მისმა მოწაფემ - ბოიენმა, ხელი შეუწყო მისი გეგმების გამყარებას.

სავალდებულო სამსახური კონტინენტის ფაქტიურად ყველა ქვეყანაში დამკვიდრდა, თუმცა პრუსიის ფარგლებს გარეთ ეს იყო მხოლოდ ღარიბი ფენის ვალდებულება, რადგან შეძლებულ მოსახლეობას ეძლეოდა უფლება თანხის სანაცვლოდ ან შემცვლელების შესყიდვის გზით განთავისუფლებისა. პრუსიაში, ფაქტიურად მოსახლეობის ყველა ჯგუფი მსახურობდა სამხედრო სამსახურში. ამ მხრივ, პრუსიის არმია იყო უფრო აშკარად სამოქალაქო არმია ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნისა. ამასთან, პრუსიელები არ იყვნენ დემოკრატიული მოქალაქეები, არამედ ბიუროკრატიული აბსოლუტიზმის მომხრეები. ასევე პრუსიის აზნაურობა დომინირებდა მთავრობასა და არმიაში, და იუნკერთა კლასს კვლავაც ოფიცრების თანამდებობები ეკავა. სამხედრო სამსახური, რომელიც ამერიკასა და საფრანგეთში ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნების ლოგიკური შედეგი იყო, პრუსიაში გახდა აბსოლუტური სახელმწიფოს ძალაუფლების გაძლიერების ინსტრუმენტი.

პრუსიის სამხედრო რეფორმატორების ოცნება, რომ შეექმნათ ნამდვილი სამოქალაქო არმია, ჩაშალა 1815 წლის შემდეგ განვითარებულმა პოლიტიკურმა რეაქციამ. მათ სტრატეგიული და ტაქტიკური ცოდნის მემკვიდრეობას უკეთესი ბედი ხვდა წილად, თუმცა აქაც კი გარკვეული წარმატებით სარგებლობდა ძველი მიმართულება. მაინც, შარნჰორსტის და გნეისენაუს სტრატეგიული იდეები პრუსიის არმიაში არ დავიწყებიათ.

ეს ორი ოფიცერი წარმოშობით ჰანოვერის და საქსონიის ოჯახებიდან მოდიოდნენ, თუმცა დაიბადნენ პრუსიაში და შესაბამისად პრუსიელები იყვნენ. 1813 წლის ზაფხულში შარნჰორსტი ნაადრევად გარდაიცვალა, რის გამოც ვერასოდეს მოახერხა ჯარის ველზე გაძღოლა. გნეისენაუმ, პრუსიის არმიის შტაბის უფროსმა 1813 წლის შემოდგომიდან 1815 წლის ზაფხულამდე, დაამტკიცა, რომ პრუსიის სამხედრო აზრის მიმართულებას შეეძლო არა მხოლოდ უბრალოდ სამხედრო ფილოსოფიის შექმნა, არამედ იმ ადამიანების გამოზრდა, რომლებსაც შეეძლოთ ეს ფილოსოფია რეალურად განეხორციელებინათ.

სურათი 94. პრუსიელი ოფიცრები და ჯარისკაცები (მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედი)

იყო დიდი მითქმა-მოთქმა იმის თაობაზე, თუ რომელი იყო ამ ორი პიროვნებიდან უფრო დიდი გენერალი. კლაუზევიცმა, რომელიც ორივეს მეგობარი და მოსწავლე იყო, შარნჰორსტი აღიარა უფრო დიდად, რადგან მასში შერწყმული იყო ღრმა ჭვრეტის მქონე გონება და მოქმედების ძლიერი მონდომება. შლიფენის აზრით გნეისენაუ უფრო დიდი გენერალი იყო, რადგან მას ჰქონდა უფრო დიდი გამჭრიახობა და სიმტკიცე სწორედ ბრძოლის ველზე. თუმცა, ისტორიული თვალსაზრისით, ორივეს ერთობლიობა -- წყნარი და თავშეკავებული შარნჰორსტი და იმპულსური და კეთილშობილი გნეისენაუ, წარმოადგენდა გენერლის ახალ ტიპს. ორივე მოწოდებით ლიდერი იყო, შესაძლოა ერთს უკეთ ეხერხებოდა ჯარის გაწვრთნა, მეორეს კი მისი ბრძოლის ველზე მეთაურობა, თუმცა ორივე წარმოადგენდა გერმანიის ფილოსოფიური პერიოდის პირმშოს, კანტის და გოეთეს ეპოქისა. მათ მტკიცედ სჯეროდათ, რომ აზროვნებასთან ერთად აუცილებელია მოქმედებაც.

პრუსიის ახალი სტრატეგია განვითარდა ნაპოლეონის სამხედრო ხელოვნების ორიგინა-ლური ინტერპრეტაციიდან. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ოფიცრებისთვის კონიგრაცამდე და სედანამდე, შვეიცარიელი გენერლის ჟომინის შრომები მიიჩნეოდა ნაპოლეონისეული სტრატეგიის ავრორიტეტულ განმარტებებად. თავად ნაპოლეონმა არ თქვა, რომ ამ შვეიცარიელმა გასცა მისი სტრატეგიის ფარული საიდუმლოებები? ნაპოლეონი, მიუხედავად იმისა, რომ მოსწონდა ჟომინი, ასევე აღნიშნავდა, რომ მან წარმოადგინა ძირითადად პრინციპები, ხოლო გენიოსი ინტუიციის მიხედვით ვითარდებოდა. ჟომინის ცივ რაციონალიზმს არ შეეძლო სათანადოდ შეეფასებინა ის სპონტანურობა, რომელშიც მდგომარეობდა ნაპოლეონის მოქმედებების ფარული სიძლიერე. ნაპოლეონის სტრატეგიის განმარტება, რომელიც შარნჰორსტმა განავითარა, ეფუძნებოდა ისტორიულ მეთოდს, რომელიც სრულად ითვალისწინებდა შემოქმედებით წარმოსახვას სარდლისა და მისი ჯარების მორალური ენერგიის შესახებ. კლაუზევიცის შრომაში „ომის შესახებ" ახალმა ფილოსოფიამ იპოვა მისი კლასიკური ლიტერატურული გამოხატულება.

სტრატეგიის ახალმა პრუსიულმა სკოლამ შექმნა საკუთარი ორგანო პრუსიის გენერალური შტაბის სახით, რომელიც გახდა არმიის მამოძრავებელი ძალა, მისი ტვინი. გენერალური შტაბის საწყისები სათავეს იღებს 1806 წლის შემდგომ პერიოდში. კერძოდ, 1809 წელს შარნჰორსტმა მოახდინა სამხედრო სამინისტროს რეორგანიზაცია; მან შექმნა საგანგებო დივიზიონი, რომელსაც ევალებოდა ორგანიზაციის და მობილიზაციის გეგმების შედგენა და არმიის განათლება. ამ ქვედანაყოფის იურისდიქციაში ასევე შედიოდა სამხედრო ოპერაციების მომზადება დაზვერვის და ტოპოგრაფიული კვლევების გზით. და ბოლოს, ტაქტიკის და სტრატეგიის მომზადება და წარმართვა. შარნჰორსტმა, როგორც პრუსიის სამხედრო მინისტრმა, შეინარჩუნა ამ დივიზიონის საქმიანობის მიმართულება, რითაც ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ოფიცრების ტაქტიკურ და სტრატეგიულ აზროვნებაზე, მათთვის საბრძოლო სავარჯიშოების და შტაბის მანევრების ჩატარებით. ჩვეულებად იქცა ამ ოფიცრების დანიშვნა ადიუტანტებად არმიის სხვადასხვა ქვედანაყოფებში, რომლის შედეგადაც შტაბის უფროსის ზეგავლენა გავრცელდა ყველა მოქმედ გენერალზე.

სურათი 95. პრუსიის გერბი 1803-1892 წლებში

შარნჰორსტის მინისტრობის პერიოდში გენერალური შტაბი ჯერ კიდევ სამხედრო სამინისტროს შემადგენელი ნაწილი იყო; და მის ფარგლებში დარჩებოდა, პრუსიაში რომ პარლამენტი გაძლიერებულიყო(პარლამენტის დეპუტატებს არმია მეფის დასაყრდენ ძალად მიაჩნდათ). თუმცა, მიუხედავად პრუსიის მთავრობის აბსოლუტური და მკაცრი სტრუქტურისა, მაინც შესაძლებელი გახდა სამხედრო პასუხისმგებლობის დანაწილება მეფის უზენაესი მმართველობის ქვეშ. 1821 წელს გენერალური შტაბის უფროსი დაინიშნა მეფის უფროს მრჩევლად სამხედრო საკითხებში, ხოლო სამხედრო მინისტრის ფუნქციები შეიზღუდა არმიის პოლიტიკური და ადმინისტრაციული კონტროლით. გადაწყვეტილებას ჰქონდა მეტად ფართო შედეგები, რადგან ამან შესაძლებლობა მისცა

გენერალურ შტაბს ეტაპობრივად მოეპოვებინა ზედამხედველობა სამხედრო საკითხებში და არა უბრალოდ ომის გაჩაღების შემდეგ, არამედ ომის მომზადების და საწყის სტადიაზეც.

სურათი 96. პრუსიის არმიის შტანდარტი

მოლტკემ სრულად გამოიყენა ტრადიციული იდეები და ინსტიტუტები, რომლებიც შეიქმნა ნაპოლეონის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომების პერიოდში. შარნჰორსტისა და გნეისენაუსგან განსხვავებით, იგი არ იყო პრუსიელი დაბადებით, არამედ წარმოშობით იყო მეზობლად მდებარე მეკლენბურგიდან. მისი მამა იყო ოფიცერი დანიის მეფის ჯარში, რომელიც როგორც შლეზვიგის და ჰოლშტეინის ჰერცოგი, ჯერ კიდევ ითვლებოდა გერმანიის პრინცად. მოლტკე გაიზარდა დანიელ კადეტად, 1819 წელს გახდა ლეიტენანტი. მას მამასთან ახლო ურთიერთობა არ ჰქოდა; არც დანიის არმიაში სამსახური იყო დიდად პერსპექტიული. 1822 წელს მოლტკემ შეიტანა განცხადება პრუსიის არმიაში სამსახურის გასაგრძელებლად, სადაც მისმა მამამ დაიწყო სამხედრო კარიერა დანიის არმიაში გადასვლამდე.

1823 წელს მოლტკემ ჩააბარა მისაღები გამოცდები სამხედრო კოლეჯში, იმ დროს მას კლაუზევიცი ხელმძღვანელობდა. თუმცა კლაუზევიცი ლექციებს არ კითხულობდა და მოლტკე ვერ გაეცნო მის იდეებს, ვიდრე მისი შრომები კლაუზევიცის გარდაცვალების შემდეგ არ გამოქვეყნდა. სამხედრო კოლეჯში მოლტკეს გაუჩნდა მუდმივი ინტერესი გეოგრაფიისა და სამხედრო ისტორიისადმი. 1826 წელს მოლტკე დაუბრუნდა თავის პოლკს, თუმცა ორი წლის შემდეგ-1828 წელს სამუდამოდ გადაიყვანეს გენერალურ შტაბში, რომელთანაც იგი დაკავშირებული იყო სამოც წელზე მეტი ხნის მანძილზე.

1835 წლიდან 1839 წლამდე პერიოდმა, რომელიც მოლტკემ გაატარა ოსმალეთის სულთნის სამხედრო მრჩევლად, მისცა მას პრაქტიკული საომარი გამოცდილება წარუმატებელ კამპანიაში ეგვიპტელი მუჰამედ ალის წინააღმდეგ. ოსმალეთის საექპედიციო კორპუსის მეთაურმა არ გაითვა-

ლისწინა ახალგაზრდა კაპიტნის კარგი რჩევები და მოლტკემ საკუთარი თვალით დაინახა წაგებული ომის ყველაზე უარყოფითი შედეგები.

სურათი 97. ჰელმუტ ფონ მოლტკე (1800-1891).
გენერალ-ფელდმარშალი,
გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე.

როდესაც იგი ოსმალეთიდან ბერლინში დაბრუნდა, მისი ცხოვრების ურთულესი პერიოდი დასრულებული იყო. ლეიტენანტის რანგში მას არასოდეს ჰქონია ზედმეტი სახსრები. გაჭირვებული მდგომარეობის გამო იგი იძულებული იყო დაეწერა ნოველები, რომლებიც ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა ჟურნალში. იმისთვის რომ დამატებითი შემოსავალი ჰქონოდა, ფრანგულიდან თარგმნა გიბონის ნაშრომის „რომის იმპერიის აღმასვლა და დაცემა" ექვსტომეული. შთამბეჭდავია თუ როგორ მოახერხა სიღარიბეში მცხოვრებმა მოლტკემ ბერლინის სპარტანულ გარემოში მეტად ღრმა ისტორიული განათლების მიღება.

გენერალურ შტაბში მსახურობის პირველ წლებში მისი მთავარი მოვალეობები იყო სილეზიის ტოპოგრაფიული რუკის მომზადება, თუმცა იგი მალე გადაერთო ტოპოგრაფიიდან გეოგრაფიის სხვა ასპექტებზე და ღრმად ჩაწვდა ასევე ისტორიასაც. როდესაც მან სრულყოფილი განათლება შეიძინა, ასევე გაიზარდა მისი გამოხატვის ძალა. მოლტკე გახდა შესანიშნავი მწერალი; ოსმალეთიდან გამოგზავნილი მისი წერილები დღესაც ლიტერატურული ნაწარმოებივით იკითხება.

თუმცა იგი არ გახდა ორიგინალური პოლიტიკური მოაზროვნე ან სახელმწიფო მოღვაწე. შარნჰორსტი და გნეისენაუ იყვნენ პოლიტიკოსები, ისევე როგორც გენერლები, და მათი სამხედრო რეფორმები უშუალოდ იყო მიმართული ქვეყნის მთელი სისტემის რეფორმისკენ. მოლტკემ იცოდა ბუნებრივი ურთიერთკავშირის შესახებ სამხედრო მეთაურობასა და სახელმწიფო მოღვაწოებას შო-

რის. თუმცა, მან თავი შეიკავა პოლიტიკურ საკითხებში აქტიური მონაწილეობის მიღებისგან. მას მტკიცედ სწამდა ქვეყნის მართვაში მონარქიული სისტემის უპირატესობა, რადგან ხედავდა, რომ სწორედ აღნიშნული სისტემა აძლევდა შესაძლებლობას ოფიცრებს შედარებით დამოუკიდებლად ეხელმძღვანელათ არმიისათვის. გერმანიის ლიბერალიზმის მარცხმა 1848-1849 წლებში და 1860-იან წლებში მეტად გაახარა იგი.



სურათი 98. ვილჰელმ I. პრუსიის მეფე 1861-1888 წლებში, გერმანიის იმპერატორი 1871-1888 წლებში

ასეთი წყნარი ქცევის ოფიცერი, მისი პოლიტიკური შეხედულებებით და საფუძვლიანი განათლებით სამეფო კარზე მოწონებას იმსახურებდა. 1855 წელს პრუსიის მეფემ ფრიდრიხ ვილჰელმ IV-მ იგი დანიშნა ძმისწულის-პრინც ფრიდრიხის (გერმანიის მომავალი იმპერატორი ფრიდრიხ III) მასწავლებლად. ამ დანიშვნამ მოლტკე დააკავშირა პრინცის მამასთან, პრუსიის მომავალ მეფე ვილჰელმ I-თან, რომელიც ცნობილი იყო ჯარისკაცი-მეფის სახელით (ასევე გაერთიანებული გერმანიის მომავალი იმპერატორი). სწორედ მან აღმოაჩინა მოლტკეში ტალანტი, რომლის გამოც გაუწია რეკომენდაცია გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე დასანიშნად 1858 წელს.

აღსანიშნავია, რომ ვილჰელმ I უფრო დაინტერესებული იყო არმიის პოლიტიკური და ტექნიკური რეორგანიზაციით, და სამხედრო მინისტრმა რუნმა დაჩრდილა წყნარი შტაბის უფროსი სახელმწიფო საბჭოებში. რუნი და ვილჰელმი გამოდიოდნენ არმიის ეფექტურობის მკვეთრი გაუმჯობესების ინიციატივით, თუმცა ეს ნიშნავდა ამავდროულად სახალხო ლაშქრის მაგვარი დანაყოფების საბოლოოდ გაუქმებას, რომელშიც ჯერ კიდევ არსებობდა შედარებით ლიბერალური სულისკვეთება. ეროვნული გვარდია შემცირდა დიდად გაზრდილი მუდმივი არმიის ხარჯზე. ამან პროფესიონალურ სამეფო ოფიცერთა კორპუსს მიანიჭა მყარი კონტროლი ქვეყნის ყველა სამხედრო ინსტიტუტზე. პრუსიის პარლამენტი ეწინააღმდეგებოდა ამ ზომას, თუმცა რეორგანიზაცია განხორციელდა ბისმარკის დროს პარლამენტის თანხმობის გარეშეც. შემდგომი კონსტიტუციური უთანხმოება კიდევ გრძელდებოდა კიონიგრაცის ბრძოლის დროს. თუმცა, პარლამენტის ოპოზიცია მინელდა, როდესაც ბისმარკის სტრატეგიის და მოლტკეს გამარჯვებების შედეგად მიღწეულ

იქნა გერმანიის ეროვნული ერთიანობის მიზანი. ამდენად, მოლტკეს წარმატებულმა სტრატეგიამ გადაჭრა ორი საკითხი: პირველი, გაერთიანებული გერმანიის დაწინაურება ევროპის სხვა ქვეყნებს შორის; მეორე, პრუსიის სამეფოს გამარჯვება გერმანიაში ლიბერალურ და დემოკრატიულ ოპოზიციაზე პრუსიის არმიის ავტორიტარული სტრუქტურის შენარჩუნების გზით.



სურათი 99. ალბრეხტ ფონ რუნი (1803-1879). გენერალ-ფელდმარშალი. გერმანიის გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

ის როლი, რომელიც რუნმა სამხედრო მინისტრის რანგში ითამაშა პოლიტიკური კონფლიქტის წლებში, გახადა იგი ყველაზე გავლენიანი ფიგურა არმიაში 1866 წლამდე. ვილჰელმ I ისე ხშირად მიმართავდა მას სამხედრო საკითხებზე რჩევების მისაღებად, რომ გენერალური შტაბის უფროსი თითქმის აღარც ახსენდებოდა. უპრეტენზიო მოლტკეს არმიაში კარგად არ იცნობდნენ. ხუმრობით ამბობენ, რომ კიონიგრაცის ბრძოლის დროს, როდესაც გენშტაბის მეკავშირე ოფიცერმა მიუტანა მის მიერ გაგზავნილი ბრძანება ერთ-ერთ დივიზიონის მეთაურს, ამ უკანასკნელმა უპასუხა: „ბრძანება გასაგებია, მაგრამ გენერალი მოლტკე ვინ არის?" მოლტკეს დაწინაურება მეფის მრჩევლებს შორის იყო მოულოდნელი და უეცარი, თუმცა ეს იყო ლოგიკური შედეგი პრუსიის სამხედრო ელიტის განვითარებისა შარნჰორსტის და გნეისენაუს პერიოდიდან მოყოლებული.

მისმა დისტანცირებამ პოლიტიკური სცენიდან 1857-1866 წლებში, მისცა მას საშუალება მთელი ყურადღება დაეთმო მომავალი სამხედრო ოპერაციების მომზადებისთვის. 1848-1849 წლების რევოლუციებმა, საფრანგეთში მეორე იმპერიის აღზევებამ და ყირიმის ომმა მოლტკეს აჩვენა, რომ დაწყებული იყო ახალი ეპოქა ევროპის ისტორიაში, რომელშიც სამხედრო ძალის გამოყენება გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. მოლტკე მაშინვე შეუდგა პრუსიის გენერალურმა შტაბის მიერ შექმნილი გეგმების გადასინჯვას. მისი წინამორბედი, გენერალი რაინერი, რომელიც შემთხვევით დაწინაურდა რიგითი ჯარისკაცის რანგიდან, იყო დიდი ხედვის მქონე და სტრატეგიის შესანიშნავი მასწავლებელი. მოლტკეს შეეძლო დაყრდნობოდა მას ომის ტაქტიკურ პრობლემებზე ორიგინალური გადაწყვეტილებების მიღების დროს. შედეგად, მოლტკემ პრაქტიკულად ჩუმად უგულებელყო ოფიციალური და მეტად კონსერვატიული სამსახურის წესები როგორც კი პრუსიის ჯარებმა გადაკვეთეს ბოჰემიის საზღვარი 1866 წელს და დიდწილად საკუთარი შეხედულებების მიხედვით უხელმძღვანელა საომარ ოპერაციებს.

სურათი 100. ჰელმუტ ფონ მოლტკე-პრუსიის
გენერალური შტაბის უფროსი
1857-1871 წლებში

პრუსიის არმიის მობილიზების შედარებითი ოპერატიულობა მოლტკემ კიდევ უფრო სწრაფი გახადა. იმ დროის პრუსიის მონარქიის არახელსაყრელი გეოგრაფიული სტრუქტურა ამძიმებდა პრუსიის სამხედრო პრობლემებს. სარკინიგზო ეპოქამ მოიტანა პრობლემის გადაჭრის ის გზა, რომელიც მოლტკემ სრულად გამოიყენა. მოლტკემ დაიწყო რკინიგზის შესწავლა, ჯერ კიდევ მანამ, სანამ გერმანიაში ერთი ხაზიც კი დაიგებოდა. მას აშკარად სჯეროდა რკინიგზის მომავლის; როდესაც 1840-იანი წლების დასაწყისში დაწყებული იყო რკინიგზის მშენებლობა, მან გაიმეტა დანაზოგი და ინვესტიცია განახორციელა ბერლინი-ჰამბურგის რკინიგზაში. მის ინტერესს ამძაფრებდა პირადი სურვილი. კერძოდ, მას სურდა რომ ჰოლშტეინში მცხოვრებ საცოლესთან უფრო მალე შეძლებოდა ჩასვლა! თუმცა მას ყოველთვის ახსოვდა სამხედრო მოტივები. 1859 წელს იტალიის ომის დროს პრუსიის მობილიზაციისას მოლტკემ გამოსცადა რკინიგზის შესაძლებლობები და შეძლო მნიშვნელოვანი გაუმჯობესების დანერგვა.

რკინიგზა იძლეოდა ახალ სტრატეგიულ შესაძლებლობებს. ჯარების გადაყვანა შესაძლებლი იყო ექვსჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ნაპოლეონის ჯარები გადაადგილდებოდნენ, და მთელი სტრატეგიის ძირითადი ფაქტორები – დრო და სივრცე – ახალ ჭრილში წარმოჩინდა. ქვეყანას, რომელსაც გააჩნდა სარკინიგზო კომუნიკაციების მეტად განვითარებული სისტემა იღებდა მინიშვნელოვან და ალბათ გადამწყვეტ უპირატესობას ომის წარმოებაში. მობილიზაციის და არმიების კონცენტრაციის ტემპი გახდა სტრატეგიული გათვლების არსებითი ფაქტორი. ფაქტიურად, მობილიზაციის და შეკრების გრაფიკი, პირველი მარშირების ბრძანებასთან ერთად მომავალში გახდა სტრატეგიული გეგმების საფუძველი.

რკინიგზის გამოყენებასთან ერთად მოლტკე გამოვიდა წინადადებით, გამოყენებინათ მჭიდრო საგზაო სისტემა, რომელიც შეიქმნა ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში. ნაპოლეონმა უკვე ჩაუყარა ამას საფუძველი, დაჰყო რა მისი არმია გადაადგილებისას 1805 წლის კამპანიაში; რასაც შედეგად მოჰყვა ავსტრიის არმიის დამარცხება ულმთან; ეს იყო კლასიკური მაგალითი ცალკეულ კოლონებად თავდასხმის სტრატეგიული ხერხისა. არმიის კოლონა არ არის მზად ბრძოლისთვის და ოცდაათიათასიანი კორპუსის დისლოცირებას მთელი დღე სჭირდება. სალაშქრო წყობიდან საბრძოლო წყობაზე გადასვლა შესაბამისად დროს მოითხოვდა და ამდენად არმიები უნდა შეგროვებულიყვნენ ბრძოლამდე გაცილებით ადრე. 1815 წლის შემდეგ პრუსიაში საგრძნობლად გაუმჯობესდა გზების მდგომარეობა და შესაძლებელი გახდა ახალი ტაქტიკის გამოყენება. 1865 წელს მოლტკემ დაწერა: „სამხედრო ქვედანაყოფების ზომის გაზრდასთან ერთად იზრდება მობილურობასთან დაკავშირებული პრობლემები; შეუძლებელია არმიის ერთ კორპუსზე მეტის გადაყვანა ერთი

გზით ერთსა და იმავე დღეს. თუმცა, ისინი იზრდება, რაც უფრო ახლოვდება მიზანი, რადგან ეს ზღუდავს მისაწვდომი გზების რაოდენობას. ამდენად, გამომდინარეობს, რომ არმიის ჩვეული მდგომარეობა არის მისი დაყოფა კორპუსებად და რომ მათი თავმოყრა კონკრეტული მიზნის გარეშე შეცდომაა. არმიის მუდმივად თავმოყრა მხოლოდ უზრუნველყოფის მოტივით უხერხულობებს ქმნის და თითქმის შეუძლებელია. ეს განაპირობებს ბრძოლის აუცილებლობას; ამდენად, არმიის თავმოყრა არ უნდა მოხდეს, თუ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ნაადრევია. თავმოყრილ არმიას უკვე აღარ შეუძლია მარშირება, მას მხოლოდ ველებზე გადადგილება შეუძლია. მარშირებისთვის, არმია თავდაპირველად უნდა დაიყოს ნაწილებად, რაც მტრის მხრიდან საშიშროებას ზრდის. თუმცა, იმდენად, რამდენადაც ბრძოლისთვის აუცილებელია ყველა ჯარის კონცენტრირება, სტრატეგიის არსი მდგომარეობს არმიის ნაწილებად მარშების ორგანიზებაში, ასევე შესაფერის მომენტში მათ კონცენტრირებაში.”

სურათი 101. პრუსიელი ოფიცრები და ჯარისკაცი
(XIX ს-ის მეორე ნახევარი)

სავარაუდოდ, მოლტკემ უკვე გაითვალისწინა ოპერაციები, სადაც არმიის კონცენტრაცია განხორციელდებოდა თავად ბრძოლის ველზე, ამდენად უარყო ნაპოლეონისეული პრინციპი, რომ არმია უნდა იყოს კონცენტრირებული ბრძოლის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე. მას შეეძლო არმიების თავმოყრა ბრძოლამდე, მაგრამ მოგვიანებით გადაწყვიტა გაეგრძელებინა მათი განაწილება და ბრძოლის ველზე შეეერთებინა ისინი. კიონიგრაცის შემდეგ მან ასე შეაჯამა საკუთარი იდეები: „გა-

ცილებით უმჯობესია, თუ ძალების გადაადგილება შესაძლებელია ბრძოლის დღეს ცალკეული წერტილებიდან თავად ბრძოლის ველისკენ. ანუ, თუ ოპერაციების მართვა ასეთი სახით შეიძლება, რომ ბოლო მოკლე გადაადგილება სხვადასხვა მიმართულებებიდან მიემართება ფრონტისკენ და მტრის ფლანგისკენ, მაშინ სტრატეგიამ მიაღწია თავის მაქსიმუმს და შედეგებიც არ დააყოვნებს. ვერანაირი წინდახედულება ვერ უზრუნველყოფს ოპერაციების ასეთ საბოლოო შედეგს დაყოფილი არმიებით. ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ გათვლად ფაქტორებზე, სივრცესა და დროზე, არამედ ასევე ხშირად წინა მცირე ბრძოლების შედეგზე, ამინდზე, მცდარ ინფორმაციაზე; მოკლედ, ყველაფერზე, რასაც ადამიანები უწოდებენ შანსს და გამართლებას. დიდი წარმატება ომში შეუძლებელია დიდ რისკზე წასვლის გარეშე."

უკანასკნელი შენიშვნა გამოხატავს მოლტკესეულ სამხედრო ფილოსოფიას. აშკარაა, რომ მოლტკეს მაქსიმალურად სურდა კონტროლის გავრცობა ომის წარმოებაზე. თუმცა კლაუზევიცის მსგავსად, მან აღიარა, რომ პოლიტიკური და სამხედრო პრობლემები ომის გათვლებით სრულიად ვერ დაიძლევა. ომი არის პოლიტიკის ინსტრუმენტი და მიუხედავად იმისა, რომ მოლტკეს აზრით მეთაური უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი სამხედრო ოპერაციების მართვისას, იგი თანხმდებოდა, რომ ცვალებადი პოლიტიკური მიზნები და გარემოებები სტრატეგიის მუდმივ ცვლილებას განაპირობებს.

მაშინ, როცა პოლიტიკის სტრატეგიაზე ზემოქმედება გენერალს გაურკვევლობის ელემენტის წინაშე აყენებდა, მოლტკე მიიჩნევდა, რომ არმიის მობილიზაცია და თავდაპირველი კონცენტრირება იყო გათვლადი, რადგან შესაძლებელი იყო მისი მომზადება ბრძოლის დაწყებამდე გაცილებით ადრე. „ძალიან რთულია არმიების თავდაპირველ კონცენტრირებაში შეცდომის გამოსწორება კამპანიის მსვლელობის მანძილზე" – თქვა მან. თუმცა შეიძლება აუცილებელი ბრძანებების შემუშავება გაცილებით ადრე და იმ ვარაუდით, რომ ჯარები მზად არიან საბრძოლოდ და ტრანსპორტირებაც ორგანიზებულია, ეს საბოლოოდ სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს.

ამ ეტაპის მიღმა ომი ხდება რისკების და გათვლების კომბინაცია. ფაქტობრივი ოპერაციების დაწყების შემდეგ „ჩვენი გამარჯვების სურვილი მალევე ეჯახება მოწინააღმდეგის დამოუკიდებელ ნებას. ოპერაციების ვერცერთი გეგმა ვერ შეძლებს დანამდვილებით განსაზღვროს მტრის მთავარ ძალებთან პირველი შეტაკების შემდგომი ზომები... მეთაური მთელი კამპანიის განმავლობაში იძულებულია მიიღოს გადაწყვეტილებები სიტუაციის მიხედვით, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ყველა შემდგომი მოქმედება არ არის წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესრულება, არამედ არის სპონტანური მოქმედებები, რომლებიც სამხედრო ტაქტიკით არის ნაკარნახევი. სირთულე მდგომარეობს აურაცხელ საგანგებო ვითარებებში; ფაქტიური მდგომარეობა კი მოცულია გაურკვევლობით. საჭიროა სწრაფად იქნას მიღებული გადაწყვეტილებები და შემდეგ ქმედითად მოხდეს მათი სისრულეში მოყვანა... აშკარაა, რომ მხოლოდ თეორიული ცოდნა არ არის საკმარისი. აუცილებელია გონიერება და ხასიათის თვისებები, რომლებსაც უნდა ამყარებდეს პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება."

სურათი 102. პრუსიელი ქვეითი (XIX ს-ის შუა ხანები)

მოლტკე უარყოფდა იმ აზრს, რომ სტრატეგია არის მეცნიერება და რომ შესაძლებელია ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს ოპერაციების გეგმები. ისეთი წესებიც კი, როგორიცაა ოპერაციების შიდა ხაზების ან ფლანგის დაცვის უპირატესობა-მისთვის უბრალოდ ფარდობითი მნიშვნელობისა იყო. ყოველი სიტუაცია მოითხოვდა განსაზღვრას მისთვის დამახასიათებელი ვითარების მიხედვით და პრობლემის გადაჭრის გზას, როდესაც ხდებოდა ცოდნის კომბინირება ხედვასთან და გაბედულებასთან. მოლტკეს აზრით, ეს იყო მთავარი გაკვეთილი, რომელიც ისტორიიდან უნდა გამოეტანათ. ისტორიული კვლევა ასევე მეტად სასარგებლოა მომავალი სარდლისთვის იმ ვითარებების სირთულეების გასაცნობად, რომლებიც შეიძლება შეიქმნას სამხედრო მოქმედებისას. მას სჯეროდა, რომ არანაირი შტაბის ან არმიის მანევრები, რაც არ უნდა აუცილებელი ყოფილიყო ისინი გენერალური შტაბის ოფიცრების წრთვნისათვის, ვერ წარმოუდგენდა მათ ისეთ რეალისტურ სურათს ომის მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ, როგორც ისტორიას შეეძლო.

სამხედრო ისტორიის შესწავლა გახდა პრუსიის გენერალური შტაბის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პასუხისმგებლობა. მოლტკემ დაამკვიდრა სტილი მისი კლასიკური მონოგრაფით იტალიის 1859 წლის ომის შესახებ, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1862 წელს, და მისი მიზანი იყო ობიექტური აღწერა მოვლენების, რათა შედეგად მომხდარიყო სანდო პრაქტიკული დასკვნების გაკეთება. 1866 და 1870-1871 წლების ომების ისტორიები მისი ხელმძღვანელობის ქვეშ ამავე სტილით დაიწერა.

სურათი 103. პრუსიული წითელი არწივის ორდენი

მოლტკეს აზრით, სტრატეგიისთვის ისტორია მეტად სასარგებლო იქნებოდა, თუ მოხდებოდა მისი სწორი კუთხით შესწავლა. საბრძოლო პრაქტიკა ადასტურებდა ამას. რა თქმა უნდა, მან იცოდა, რომ ნაპოლეონი ხანდახან იყენებდა რაზმებს თავდასხმებისთვის მტრის ფლანგზე ან ზურგზე. თუმცა ამას არ შეუმცირებია ნაპოლეონის რწმენა ძალების კონცენტრირებაში და დროული ფრონტალური თავდასხმის მნიშვნელობაში. ასეთი სტრატეგიის უპირატესობები დიდი იყო ნაპოლეონის ეპოქაში, თუმცა მათ ის ვერ დაიცვეს საბოლოო მარცხისგანს. ლაიპციგის ბრძოლამ აჩვენა ცალკეული არმიების კონცენტრული გადაადგილების შესაძლებლობები, თუმცა შარნჰორსტმა გააკეთა პროგნოზი, რომ არასოდეს უნდა მოხდეს არმიის უმიზნოდ თავმოყრა, არამედ ყოველთვის უნდა მოხ-

დეს კონცენტრირება მხოლოდ ბრძოლის მიზნით. მოლტკეს აზრით, ტექნოლოგიურმა და ტრანსპორტირების პროგრესმა შესაძლებელი გახადა კონცენტრირებული ოპერაციების დაგეგმვა გაცილებით უფრო დიდი მასშტაბით, ვიდრე ეს ნახევარი საუკუნით ადრე იყო შესაძლებელი.

მოლტკე აღნიშნავდა, რომ ისტორია, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი იყო ოფიცრისთვის, იგი არ იყო იგივე, რაც სტრატეგია. „სტრატეგია არის საგანგებო ხერხების სისტემა; ეს უფრო მეტია, ვიდრე ცოდნა, ეს არის ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში, ორიგინალური იდეის განვითარება მუდმივად ცვალებადი გარემოებების შესაბამისად. ეს არის ხელოვნება მოქმედებისა მოწინააღმდეგის ზეწოლის ქვეშ ურთულეს პირობებში."

შესაბამისად, მეთაურობის ორგანიზება იკავებდა მნიშვნელოვან ადგილს მოლტკეს ომის შესახებ მოსაზრებებში. იგი ამ საკითხს მეტად მკაფიოდ განიხილავს იტალიის კამპანიის მისეულ აღწერაში. ვერანაირი სამხედრო საბჭო ვერ შეძლებდა არმიის ხელმძღვანელობას, მხოლოდ შტაბის უფროსი უნდა იყოს მეთაურის ერთადერთი მრჩეველი ოპერაციების დაგეგმარებისას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გეგმა სრულყოფილი არ არის, მაინც უნდა მოხდეს მისი ზედმიწევნით შესრულება. მეორს მხრივ, ოპერაციების საუკეთესო გეგმაც კი ვერ გაითვალისწინებს ომის ცვალებადობას, და კონკრეტული ტაქტიკური გადაწყვეტილებები ადგილზე უნდა იქნას მიღებული. მოლტკეს აზრით, დოგმატური განხორციელება ოპერაციების გეგმისა იყო მომაკვდინებელი ცოდვა და დიდი ყურადღება უნდა დათმობოდა მეთაურების ინიციატივის წახალისებას. პრუსიული დისციპლინისგან განსხვავებით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ყველა ოფიცრის დამოუკიდებელ მოქმედებებს.

სურათი 104. პრუსიული საარტილერიო ბატარეა საველე სწავლებებზე

მოლტკე მიიჩნევდა, რომ უნდა გამოცემულიყო მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ბრძანებები: „ბრძანება უნდა მოიცავდეს ყველაფერს, რისი გაკეთებაც მეთაურს თავად არ შეუძლია, თუმცა მეტს არაფერს." ეს ნიშნავდა, რომ მთავარსარდალს ფაქტიურად არ შეეძლო ტაქტიკური გადაწყვეტილებებში ჩარევა. თუმცა მოლტკე უფრო შორს წავიდა. იგი მზად იყო ეპატიებინა გადახვევები მისი

ოპერაციების გეგმიდან თუ დაქვემდებარებული გენერალი მოიპოვებდა მნიშვნელოვან ტაქტიკურ წარმატებებს, რადგან, როგორც მან თქვა „თუ ტაქტიკა წარმატებული აღმოჩნდება, სტრატეგია მას ემორჩილება.” მას არაფერი მოუმოქმედებია, როდესაც გარკვეულმა გენერლებმა საფრანგეთ-პრუსიის ომის პირველ კვირეებში განუსჯელად, თუმცა წარმატებული მოქმედებებით, მისი ოპერაციების გეგმა თავდაყირა დააყენეს. მეტიც, მოლტკე ავსტრიასთან 1866 წლის ომს ძირითადად ბერლინის ოფისიდან მეთაურობდა, და ომის თეატრზე ჩავიდა მხოლოდ ოთხი დღით ადრე კიონიგრაცის ბრძოლამდე. მან მეტად ბრძნული სვლა გააკეთა და მხოლოდ ზოგად სტრატეგიულ ბრძანებებს გასცემდა. იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სტრატეგიული იდეების შესაბამისი, ანუ თავისუფალი შესრულება, არმიის ბრძანებები იქმნებოდა, ხოლო ტაქტიკური საკითხების უფლებამოსილება კორპუსებისა და დივიზიების მეთაურების ხელში გადავიდა.

მოლტკეს სტრატეგიულ აზროვნებას და პრაქტიკას სერიოზული გამოცდა ელოდა 1866 წლის ავსტრიის კამპანიაში. მისი როლი ომში, რომელსაც ორი წლით ადრე ავსტრია და პრუსია აწარმოებდნენ დანიის წინააღმდეგ 1864 წელს, იყო მოკრძალებული. ომის ყველაზე ბოლო ფაზაში მან სწრაფად შეაჩერა ავსტრიელი მთავარსარდლის მარშალ ვრანგელის არაგონივრული ქმედებები, რითაც ვილჰელმ I-ის თვალში გონიერი სტრატეგის რეპუტაცია დაიმსახურა. ავსტრიის წინააღმდეგ ომის გეგმების განხილვისას იგი სულ უფრო დაწინაურდა ისე, რომ ვილჰელმ I-მა 1866 წლის 2 ივნისს გასცა განკარგულება, რომ არმიისთვის ყველა ბრძანება მოლტკეს გავლით უნდა გამოსულიყო. შედეგად, სამოცდახუთი წლის გენერალი აღმოჩნდა პრუსიის არმიის ფაქტობრივი მთავარსარდალი.

ავსტრიასთან ომში ძალები უფრო თანაბარი იყო ვიდრე მოგვიანებით საფრანგეთ-პრუსიის ომში და მოლტკეს უნდა დაეძლია უფრო რთული გეოგრაფიული და პოლიტიკური პრობლემები. 1866 წლის ომი და განსაკუთრებით ბოჰემიის კამპანია ასევე წარმოაჩენს ომის სტრატეგიულ მხარეს გაცილებით უფრო მკაფიოდ ვიდრე საფრანგეთ-პრუსიის ან უმრავლესი სხვა ომები.



სურათი 105. პრუსიული ტყვიამფრქვევი

ვილჰელმ I-ს სურდა ავსტრიასთან ომის თავიდან აცილება, რომელშიც საბოლოოდ ბისმარკმა იგი მაინც ჩაითრია. ამდენად, პრუსიელებმა დაიწყეს მობილიზაცია გაცილებით მოგვიანებით, ვიდრე ავსტრიელებმა და მაშინაც კი საეჭვო იყო, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მეფის დარწმუნება ომის გამოცხადების აუცილებლობაში. ამდენად, მეტად საძნელო იყო თავდაპირველი სტრატეგიული საკითხები. ბოჰემიიდან და მორავიიდან ავსტრიელებს შეეძლოთ ან ზემო ან ცენტრალური სილეზიისკენ ოპერაციების წარმართვა ან მარშირება საქსონიაში და ბერლინის საფრთხის წინაშე დაყენება, სავარაუდოდ ბავარიის არმიასთან გაერთიანების შემდეგ ჩრდილოეთ ბოჰემიაში ან საქსონიაში. ავსტრიელების მხრიდან ამ მოვლენების განხორციელების შესაძლებლობა სრულად იყო დამოკიდებული პრუსიის მხრიდან ომის სასწრაფოდ გამოცხადებაზე. ბუნებრივია, რომ მოლტკემ მხარი დაუჭირა ბისმარკს მეფის დარწმუნებაში საომარი მოქმედებების მაქსიმალურად მალე დაწყებასთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც სამხედრომ, დელიკატურად აარიდა თავი ბისმარკის პოლიტიკურ ინტრიგებს.

მოტლკეს მოქმედებები მიმართული იყო პირველ რიგში პრუსიის ჯარის მობილიზაციის დაგვიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისკენ. ამასთან, მას სურდა ავსტრიის შესაძლო თავდასხმისთვის ხელის შეშლა საქსონიის, ბერლინის ან ბრესლაუს მიმართულებით, ხოლო ზემო სილეზია კვლავაც დაუცველი რჩებოდა. ავსტრიელებს შეეძლოთ გამოყენებინათ მხოლოდ ერთი სარკინიგზო მაგისტრალი მობილიზაციისთვის მორავიაში, მოლტკემ გამოიყენა ხუთი ხაზი პრუსიის ჯარების დისლოცირებისთვის პრუსიიდან მეზობელ რაიონებში ომის თეატრთან ახლოს. შედეგად, 1866 წლის 5 ივნისს პრუსიის ჯარები ჰალიდან ტორგაუმდე და გორლიციდან ლანდეშუტამდე გაშლილი იყვნენ მთელს 275 მილის რკალზე. თავდაპირველი განლაგება პრუსიის ჯარების იყო უსაფრთხო, რადგან ავსტრიის ჯარები იმყოფებოდნენ შორს, სამხრეთში. ისინი ჯერ ბოჰემიაშიც კი არ იყვნენ შემოსულები, როგორც მოლტკე ვარაუდობდა, არამედ მორავიაში.

მოლტკეს, რა თქმა უნდა, არასოდეს უფიქრია თავისი ჯარების გადმოსხმის ადგილთან დატოვება, არამედ დაიწყო მაშინათვე მათი გადაყვანა გორლიცთან, ცენტრისკენ უფრო ახლოს. თუმცა იგი მუდამ წინააღმდეგი იყო ჯარების მცირე ტერიტორიაზე სრული კონცენტრირებისა, როგორც ამას პრუსიის გენერლების უმრავლესობა მოითხოვდა, მათ შორის, მისი შტაბის ზოგიერთი წევრიც. მეორეს მხრივ, იგი ასევე ღელავდა იმაზე, რომ, როგორც დადასტურდა ინფორმაცია, ავსტრიის მთავარი ჯარები თავს იყრიდნენ მორავიაში და არა ბოჰემიაში. ეს ფაქტი მიუთითებდა ავსტრიის თავდასხმას ზემო სილეზიაზე. შედეგად, მან უხალისოდ დართო ნება დასავლეთის ფლანგის გაგრძელებას მდინარე ნაისემდე; ამდენად, კვლავაც გაშალა პრუსიის არმიები 270 მილის მეტ მანძილზე ტორგაუდან ნაისემდე. მისი მერყეობა ძირითადად გამოწვეული იყო ვილჰელმ I-ის პოლიტიკის გაურკვევლობით და არა სამხედრო მოსაზრებებით. მოლტკეს აზრით, ყველაფერი კარგად წარიმართებოდა, მას რომ არ გაეშვა ხელიდან შესაძლებლობა პრუსიის არმიების საბოლოო კონცენტრირებისა უმოკლესი მარშრუტის გასწვრივ, რაც ნიშნავდა ბოჰემიისკენ გადაადგილებას.

მოლტკემ აირჩია გითჩინი, როგორც ასეთი კონცენტრირების ადგილი – არა იმიტომ, რომ აქ მიიღებდა სტრატეგიულ უპირატესობებს, არამედ მანძილის ფაქტორის გამო. ეს ადგილი თანაბრად იყო დაშორებული პრუსიის ორი მთავარი დაჯგუფებისაგან. კერძოდ, მეორე არმია კრონპრინც ფრიდრიხ-ვილჰელმის ხელმძღვანელობით, რომელმაც სილეზიაში შექმნა მარცხენა ფლანგი და პირველი არმია პრინც ფრიდრიხ-კარლის სარდლობით, რომლის ბაზა გორლიცთან ახლოს მდებარეობდა. ამავდროულად, გითშინი იყო თანაბრად დაშორებული ტორგაუდან და ოლმუცი-

დან, ანუ პრუსიის ელბას არმიისგან და ავსტრიის ძირითადი არმიისგან. იმ შემთხვევაში, თუ პრუსიის არმიები შეძლებდნენ მანევრირებას იმავე დღეს, როდესაც ავსტრიის არმია წამოვიდოდა მორავიიდან, მათი კონცენტრაცია დასრულდებოდა მანამ, სანამ ავსტრიელები ჩავიდოდნენ გითშინში.

სურათი 106. ოტო ფონ ბისმარკი (1815-1898). გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე

პრუსიის ავანგარდის ოფიცრებმა ავსტრიის ოფიცრებს მხოლოდ 22 ივნისს გადასცეს შეტყობინება პრუსიის მიერ ომის გამოცხადების თაობაზე, თუმცა პრუსიამ საომარი მოქმედებები გერმანული მიწების წინააღმდეგ 16 ივნისს დაიწყო. ამდენად, ელბას პრუსიულმა არმიამ დაიწყო საქსონიის ოკუპაცია იმავე დღეს, როდესაც ავსტრიის არმიამ დაიწყო მანევრირება ოლმუციდან იოსეფშტატამდე ზემო ელბას ტერიტორიაზე.

ავსტრიის არმია იყო ავსტრიის სამხედრო ტრადიციების სამაგალითო გამგრძელებელი. მისი მორალი და ენთუზიაზმი იყო მაღალი; მის ოფიცრებს, მათ შორის იმ დროის ზოგიერთ საუკეთესო გენერალს ჰქონდა შესანიშნავი ტალანტი და პრაქტიკული გამოცდილება. გარკვეული სამსახურები, კონკრეტულად, კავალერია და არტილერია, აშკარად უკეთესად იყო მომზადებული, ვიდრე პრუსიის არმიისა. ამ უკანასნკელის ძლიერება იყო მისი ქვეითი ჯარი, რომელიც ტაქტიკის და საომარი კუთხით მეტად მაღალი დონის იყო. ავსტრიის ქვეითი ჯარის არახელსაყრელი მდგომარეობა განაპირობა მოძველებულმა შოკის ტაქტიკამ და ასევე მოძველებულმა იარაღმა.

ამასთან, მდგომარეობას ართულებდა ავსტრიის უმაღლესი სარდლობის სტრატეგული აზროვნების ნაკლებობა. ავსტრიის არმიის მთავარსარდალი, გენერალი ბენედეკი იყო ჰაბსბურგების იმპერიაში მომსახურე სამხედრო პირი და ჰქონდა გამორჩეული გამოცდილება. იგი ბრძოლაში უშიშრად და მართებულად მართავდა მისი დამარცხებული არმიის უკან დახევასაც კი კიონიგრაცის ბრძოლის ველიდან. თუმცა იგი აღზრდილი იყო სტრატეგიული აზროვნების კლასიკური მიმართულების პრინციპებზე, ხოლო მისი მთავარი სტრატეგიული მრჩეველი, გენერალი კრისმანიკი, რომელიც მას არ შეურჩევია, დიდწილად აზროვნებდა მეთვარამეტე საუკუნის ოპერატიული აზროვნებით. ამ ელემენტებმა განსაზღვრეს ავსტრიის უმაღლესი სარდლობის ომის სტრატეგია. ის გულისხმობდა ფორმირებას სიღრმეში და ბუნებრივად ძლიერი პოზიციების შენარჩუნებაზე აკეთებდა აქცენტს. მოლტკემ, თავის მხრივ, აჩვენა რომ დროის ფაქტორი შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს.

ავსტრიის არმია მორავიიდან სამ პარალელურ კოლონად დაიძრა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მანევრირების მეთოდით გამოწვეული დაძაბულობა აშკარა იყო, ავსტრიელებმა მიზანს მალე მიაღწიეს. თუმცა იოზეფშტატში 26 ივნისს პრუსიელთა ავანგარდზე შეტევის შემდგომ არმიის

კვლავ თავმოსაყრელად საჭირო იყო სულ მცირე სამი დღე. დროის დაკარგვამ სავარაუდოდ გადაარჩინა პრუსიის არმიები.

მიუხედავად მოლტკეს არაერთი გაფრთხილებისა, პრუსიის პირველმა არმიამ დიდი პროგრესი ვერ განახორციელა, რადგან პრინც ფრიდრიხ-კარლს სურდა ელბას არმიას დალოდებოდა, რომელიც საქსონიის ოკუპირების შემდეგ უნდა შეერთებოდა მის ჯარს. ამან ბენედეკს მისცა შესაძლებლობა გამოეყენებინა თავისი ოპერაციების შიდა ხაზები. ის საკითხი, თუ თანაბარი სიძლიერის პრუსიის არმიებიდან რომელზე უნდა მიეტანა იერიში ბენედეკს - სამხედრო ისტორიის შემსწავლელთა მსჯელობის საგანია. ალბათ, ბენედეკის გადაწყვეტილება იყო მართებული, როდესაც მან ძირითადად პირველ არმიაზე გადაწყვიტა იერიშის მიტანა. თუმცა, იგი ვერ მიხვდა, რომ მას ჰქონდა მხოლოდ ერთი ან შესაძლოა ორი დღე, რომლის განმავლობაში შეეძლო მიეტანა იერიში პრუსიის ერთ-ერთ არმიაზე, სანამ მის ზურგს პრუსიის მეორე არმია შეუქმნიდა საშიშორებას. იმის გამო, რომ ავსტრიის უმაღლეს სარდლობას სჯეროდა უფრო ტაქტიკური უპირატესობისა და ძლიერი პოზიციების, ვიდრე ძვირფასი დროის, და იმის გამო, რომ არმიის ნაადრევმა კონცენტრირებამ მისი მობილურობის შეზღუდვა გამოიწვია, შესაძლებლობა დაკარგული იყო. როდესაც ბენედეკმა გაიაზრა თავისი შეცდომა, აღმოაჩინა, რომ გვიანია.

ავსტრიის თავდასხმის საშიშროება პრუსიის ერთ-ერთ არმიაზე უკვე ჩავლილი იყო, ამიტომ მოლტკემ დაიწყო არმიების კონცენტრირების შეყოვნება. ჯარებს კი ერთმანეთისგან ერთი დღის სავალზე ამყოფებდა, რათა ისინი ბრძოლის ველზე შეერთებინა. 2 ივლისის ღამეს გაცემული იქნა ბოლო ბრძანებები. მოლტკეს გადაწყვეტილებით, მეორე არმიის მარცხენა ფლანგს და პირველი არმიის მარჯვენა ფლანგს უნდა ებრძოლათ არა მხოროდ ავსტრიელების ფლანგების წინააღმდეგ, არამედ მტრის ზურგის წინააღმდეგაც. მოლტკე კიონიგრაცს განიხილავდა როგორც საალყო ბრძოლას. თუმცა პრუსიის გენერლებმა არ დაუჯერეს მას და ავსტრიის არმია ხელიდან გაუსხლტათ – თუმცა დიდი დანაკარგებით. მაშინვე გადევნება შეუძლებელი იყო, რადგან მეორე არმიის ჯარები აღმოჩნდნენ პირველი არმიის ფრონტთან, ამდენად არმიების ყველა ქვედანაყოფი აირია და მათი განცალკევება ადვილი არ იყო. ოთხი წლის შემდეგ სედანის ბრძოლამ დაადასტურა, რომ პრუსიელებმა გაითვალისწინეს ეს გაკვეთილი.

მიიჩნევა, რომ მოლტკეს წარმატება ასახავდა პრუსიის არმიის იმ დროს არსებულ აღმატებულ სამხედრო სიძლერეს, თუმცა ეს მართალია მხოლოდ გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით. 1866 წლის კამპანიის დროს მოლტკემ გარისკა და პრუსიის პროვინციები დატოვა ჯარების გარეშე და დატოვა მხოლოდ მეტად მცირე არმია ავსტრიის გერმანელ მოკავშირეებთან გასამკლავებლად. თუ ბოჰემიის კამპანია გახანგრძლივდებოდა ან გადაიზრდებოდა გამოუვალ მდგომარეობაში, საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III გამოიყენებდა შესაძლებლობას-დაიპყრობდა რაინლენდს და გადაწყვეტდა კონტინენტის ბედს. როგორც იტყვიან-ღმერთმა გადმოხედა მოლტკეს და ნაპოლეონ III-ემ ეს არ გააკეთა.

პრუსიულ-გერმანული სამხედრო სისტემის ჩამოყალიბება

1864-1871 წლებში პრუსიის არმიის მიერ სამი ომის მოგების შემდეგ, პრუსიის სამხედრო ინსტიტუტები მისაბაძი გახდა მსოფლიოს სხვა არმიებისათვის. პრუსიის არმიის ზოგიერთი მახასიათებელი, მაგალითად, მახვილიანი ჩაფხუტი სწრაფწარმავალი აღმოჩნდა (ისევე, როგორც გაუჩინარდა თვით პრუსიის სახელმწიფო). მაგრამ სხვა მახასიათებლები, როგორებიცაა: გენერალური შტაბის სისტემა და ეროვნული სამხედრო სამსახური, ასევე სამხედრო სამსახურში საყოველთაო

გაწვევა მუდმივად გახდება დასავლური და შეიძლება ითქვას მოწინავე მსოფლიოს სამხედრო კულტურის უცვლელი ნაწილი.

პრუსიის სამხედრო სისტემა ოთხმა კაცმა ჩამოაყალიბა, ესენი იყვნენ: ფრიდრიხ დიდი, ნაპოლეონი, შარნჰორსტი და გნეისენაუ. რთულია შეეწინააღმდეგო აღნიშნულ მოსაზრებას. სწორედ ფრიდრიხ დიდმა მიუახლოვა შეზღუდული „კაბინეტის“ ან დინასტიური ომების ხელოვნება უმაღლეს დონეს. პრუსიელ ოფიცერთა კორპუსის შემდგომი თაობებისათვის ფრიდრიხის მიერ დანატოვარი მემკვიდრეობა იყო გამარჯვების მაგალითი, რომელიც მათ გამარჯვების მიღწევისთვის საჭირო უაზრო თავგანწირვისა და დიდი საფრთხეებისაგან საიმედოდ იცავდა. ფრიდრიხმა ასევე დატოვა მშვიდობიანობის პერიოდში მკაცრი წვრთნების ჩატარების მემკვიდრეობა, რაც შემდეგ გადაიზარდა ცნობილ „შემოდგომის მანევრებში“.

თუმცა ფრიდრიხის სიკვდილამდე უკვე შეიმჩნეოდა პრუსიის არმიის გაუარესების ნიშნები. აღნიშნული პროცესი აშკარა გახდა 1806 წელს, როდესაც ნაპოლეონმა დაამარცხა პრუსიელები იენა-აუერშტადტის ბრძოლაში. არმიის დაცემამ პრუსია მიიყვანა რეფორმების ერამდე არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებშიც. ამ თვალსაზრისით, პრუსიის სამხედრო სისტემის ევოლუცია იყო საფრანგეთის რევოლუციის მიერ დანატოვარი მემკვიდრეობა, დანერგილი პრუსიის არმიისთვის უსასტიკესი ტირანის, იმპერატორ ნაპოლეონის მიერ.

საინტერესოა, რომ საფრანგეთის რევოლუციური არმიების მიერ გამოყენებული ტაქტიკური მეთოდები ცნობილი იყო პრუსიის სამხედრო სტრუქტურებისათვის. ფრანგული სამხედრო წესდებები 1801-02 წლებში უკვე ითარგმნებოდა გერმანულ ენაზე. 1806 წლის მარცხის შემდგომ, შარნჰორსტმა და მისმა მიმდევრებმა პრუსიის არმიის წესდებები შეცვალეს წარმატებული ფრანგული ტაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული შედარებით მარტივი აღმოჩნდა, ისევე როგორც კორპუსის ფრანგული სტრუქტურის გადაღება. მაგრამ ოფიცერთა კორპუსისათვის დოქტრინის შეცვლა, რაც მათი აზროვნებისა და ქცევის შეცვლას ნიშნავდა, თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. ოფიცერთა ძველი კორპუსი გაიწვრთნა იმისათვის, რომ დაქირავებული არმიისათვის ესწავლებინათ ფრიდრიხისეული ხაზოვანი ტაქტიკის დეტალები. შემდეგ მათ მოსთხოვეს დამოუკიდებელი ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღება და ასე უნდა გაეგრძელებინათ მოქალაქე ჯარისკაცების ხელმძღვანელობის განმავლობაში. პრუსიის ნახევრად ფეოდალური მონარქიის პირობებში, აღნიშნულ მოქალაქე ჯარისკაცებს ნაკლებად ექნებოდათ არმიაში მსახურის სურვილი, რადგანაც, სულ რამდენიმე თვის წინ არმია ხასიათდებოდა, როგორც დასჯადი ინსტიტუტი.

თავისდაუნებურად კვლავაც ნაპოლეონმა ,,გადაჭრა” აღნიშნული პრობლემა. იენა-აუერშტადტის ბრძოლის შედეგად პრუსიას მხოლოდ 42.000-კაციანი არმია დარჩა. ამასთან, ნაპოლეონმა დიდი და ძლიერი საოკუპაციო ძალა დატოვა პრუსიაში. პრუსიის არმიის მცირერიცხოვნობამ რეფორმატორებს ოფიცერთა კორპუსის ზედმეტი ელემენტებისაგან გაწმენდა გაუადვილა, ამასობაში კი ოკუპაციამ გერმანული ნაციონალიზმი გამოაღვიძა.

პრუსიის სამხედრო სისტემის ქვაკუთხედი იყო ჰერმან ფონ ბოიენის 1814 წლის სამხედრო სამართალი, რომლის მონახაზიც შარნჰორსტის მოსაზრებებზე დაყრდნობით გაკეთდა. საუკუნის მთელ დანარჩენ პერიოდში ევროპის სახელმწიფოების უმეტესობა იყენებდა სამხედრო სამსახურში გაწვევის მეთოდს, მაგრამ ძირითადად, მოსახლეობის ღარიბი ფენის გაწვევა ხდებოდა, რადგან მდიდარს შეეძლო ან შემცვლელი გამოენახა ან ფული გადაეხადა სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ. პრუსიის სამხედრო სისტემა კი იმით იყო უნიკალური, რომ მამაკაცების სამხედრო სამსა-

ხურში გაწვევა ხდებოდა ყველა ფენიდან. ცენტრალური ევროპული ტრადიციის თანახმად, ქვედანაყოფები იქმნებოდა ტერიტორიების მიხედვით. მამაკაცები ერთსა და იმავე პროვინციიდან მსახურობდნენ ერთსა და იმავე ქვედანაყოფში. პრუსიელები ჯარში მსახურობდნენ სამი წელი (1834 წლის შემდეგ ორი წელი), რის შემდეგაც მათ ორი წლის განმავლობაში ენიჭებოდათ რეზერვის სტატუსი და შემდგომ შესაძლებელი იყო მათი გამოძახება ლენდვერში სამსახურისთვის. პრუსიელმა რეფორმატორებმა ლენდვერი ჩამოაყალიბეს მობილიზებული საველე არმიის განუყოფელი ნაწილის სახით, მაგრამ 1848 წლის რევოლუციის მარცხის შემდეგ, დაინახეს რა მასში გარკვეული საშიშროება, არმიის უფროსმა ოფიცრებმა გადაწყვიტეს ლენდვერისთვის მიენიჭებინათ მეორეხარისხოვანი როლი. აღნიშნული ქმედება მოტივირებული იყო როგორც რეზერვის ქმედითუნარიანობის გაუმჯობესების სურვილით, ისე ლენდვერის მიმართ კონსერვატორთა წინააღმდეგობით. აღნიშნულმა ბრძოლამ პრუსიელები მიიყვანა 1860-იანი წლების დასაწყისის კონსტიტუციურ კრიზისამდე, რის შემდეგაც არენაზე გამოჩნდა ოტო ფონ ბისმარკი და გაიმარჯვეს კონსერვატორებმა. სამხედრო სფეროში ძირითადი პრაქტიკული შედეგი იყო საველე არმიის გაორმაგება და რეზერვის რეფორმა, რამაც პრუსიელებს გამარჯვების საშუალება მისცა 1864 -1871 წლებში.

პრუსიელი რეფორმატორების მიერ შედგენილი ადრეული სამხედრო სამართლის მოდიფიცირების დროს პრუსიამ სხვა სახელმწიფოებზე მეტად გაითვალისწინა საფრანგეთის რევოლუციის შედეგები. პრუსიას ყველაზე დემოკრატიული სამხედრო სამსახური ჰქონდა მთელს ევროპაში. ფაქტია, რომ პრუსიამ კიდევ სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაშიც უკან ჩამოიტოვა თავისი დასავლელი მეზობლები. სამხედრო სამსახურში გაწვევის მეშვეობით უნივერსალური სამხედო მოსამსახურე მამაკაცის ჩამოყალიბება იყო პრუსიის სამხედრო სისტემის ქვაკუთხედი მეცხრამეტე საუკუნეში. თუმცა, საჭირო იყო ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფდა ახალი მასობრივი არმიის ორგანიზებასა და მართვას - ასეთი ინსტიტუტი იყო გენერალური შტაბი.

გერმანული გენერალური შტაბი სათავეებს იღებს ფრიდრიხ დიდის კვარტერმეისტერის შტაბისაგან. ფრიდრიხი ახალგაზრდულ ასაკში საჭიროებდა საზრიანი და განათლებული ოფიცრების ჯგუფის თანადგომას სალაშქრო მარშრუტების, ჯარების სადგომების დასაზვერად და ადიუტანტების მოვალეობების შესასრულებლად. 1787 წელს აღნიშნული ოფიცრებისთვის შეიქმნა განსხვავებული, მათთვის განკუთვნილი სამხედრო უნიფორმა. 1803 წელს გენერალმა ქრისტიან ფონ მაზენბახმა მოახდინა დეპარტამენტის რეორგანიზება და შექმნა სამი განშტოება (ფილიალი), რომლებიც პასუხისმგებლები იქნებოდნენ ოპერაციებზე: დასავლეთის, სამხრეთის და აღმოსავლეთის მხარეებში. მან შარნჰორსტი დასავლეთის საომარ მოქმედებათა თეატრის განშტოების (ფილიალის) უფროსად დანიშნა. ზაფხულის თვეების მშვიდობიანობის პერიოდში, თითოეულ განშტოებაზე მიკუთვნებული ოფიცრები თავიანთ საპასუხისმგებლო საომარ მოქმედებათა თეატრში ახდენდნენ სალაშქრო მარშრუტების რეკოგნოსცირებას (დაზვერვას)და ხშირად მათ რუკებზეც გამოსახავდნენ. აღნიშნული სისტემა ვერ დაეხმარა ძველმოდურ პრუსიულ არმიას 1806 წელს, მაგრამ იხსნა იენა-აუერშტადტის მარცხის შემდგომი წმენდისაგან. კერძოდ, შარნჰორსტმა თანამედროვე გენერალური შტაბის ჩამოყალიბებისთვის საფუძვლად სწორედ აღნიშნული სტრუქტურა გამოიყენა.

პრუსიული გენერალური შტაბის სისტემა ყოველთვის ყველაზე ელიტურად მიიჩნეოდა. ის უცვლელად შედგებოდა სხვადასხვა გვარეობის საბრძოლო ძალების წარმომადგენელი ოფიცრების მცირე რაოდენობისაგან, რომლებსაც საკმაოდ რთული გამოცდები ჰქონდათ გავლილი. Mმეფის კაბინეტის მიერ 1809 წლის 29 დეკემბერს გამოცემული ბრძანების თანახმად, ეს ოფიცრები, გარდა

შტაბში მუშაობისა, მონაცვლეობით, პოზიციებზეც უნდა მდგარიყვნენ, რათა ისინი ყოფილიყვნენ პრაქტიკული სამხედროები და არა უბრალოდ მილიტარიზებული მოხელეები. რეფორმატორებმა ბერლინის სამხედრო სკოლა, მოგვიანებით „ომის აკადემია“ გარდაქმნეს გენერალური შტაბის ოფიცერთა მოსამზადებელ სკოლად.

პრუსიის არმიის წინაშე მდგარმა უშუალო პრობლემებმა განსაზღვრა გენერალური შტაბის სისტემის შემდგომი სტრუქტურა. პირველი მოთხოვნა იყო ცენტრალიზებული დაგეგმვის ცენტრის ჩამოყალიბება, რომელიც შემდეგში გახდა დიდი გენერალური შტაბი (Grossergeneralstab). მეორე მოთხოვნა იყო, რომ გენერალური შტაბის ოფიცრებს ეთანამშრომლათ კორპუსამდე ქვედა დონის შტაბებთან, რაც შემდგომში ცნობილი გახდა, როგორც ქვედანაყოფის გენერალური შტაბი (Truppengeneralstab). მეორე კატეგორიაში შტაბის უფროსები ძირითადად მსახურობდნენ, როგორც თავიანთი მეთაურების მოადგილეები და მრჩევლები. ზოგიერთი ამ მეთაურთაგანი და განსაკუთრებით კი, გერმანიის სხვა პატარა სახელმწიფოების (მიწების) მეთაურები შემდგომში გახდნენ პრუსიის მეკავშირეები, მაგრამ მათთვის ნაკლებად იყო ცნობილი ომის წარმოების ის ახალი ფორმა, რომელიც შემოღებულ იქნა საფრანგეთის რევოლუციის შედეგად. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული შტაბის უფროსები თავიანთი მეთაურებისთვის სპეციალურად წვრთნიდნენ ტექნიკურ მრჩევლებს. როგორც მოსალოდნელი იყო და შემდგომში დადასტურდა კიდეც, მეთაურის და შტაბის უფროსის პიროვნულ თვისებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ორივეს ერთად, როგორც ერთ ადამიანს ისე უნდა ემოქმედა. აქედან გამომდინარე, თუ მეთაური და შტაბის უფროსი კარგად ეწყობოდნენ ერთმანეთს, იშვიათად თუ მოხდებოდა მათ შორის განხეთქილება ომის დროს. ამ დროიდან იღებს სათავეს შემდეგი წარმატებული ჯგუფების ან „წყვილების“ თანამიმდევრობა: ბლიუხერი და გნეისენაუ, ფრიდრიხ III და ბლუმენტალი, ჰინდენბურგი და ლუდენდორფი, კლაისტი და ზაიცლერი და სხვა მრავალი. არ ღირს მათი დასახელება, მაგრამ იყო ჯგუფები, რომლებიც კარგად ვერ უძღვებოდნენ საქმეს ერთობლივად, ან ვერ ეწყობოდნენ ერთმანეთს და ასეთი „წყვილები“ სწრაფადაც იყრებოდნენ. ხანდახან ზოგიერთი შტაბის უფროსი სხვა თანამდებობაზე დანიშვნის მოლოდინში ცდილობდა როგორღაც თავის გატანას, მიზეზი კი ის იყო, რომ განსაკუთრებულად არ მოსწონდა საკუთარ მეთაურთან მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად არ იყო დადასტურებული, „ერთობლივი პასუხისმგებლობის“ ცნება მაინც ჩამოყალიბდა. მოგვიანებით წესდებაში გაიწერა, რომ თუ შტაბის უფროსი მეთაურის გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებოდა, მას უფლება ჰქონდა წერილობითი პრეტენზიებით მიემართა ზემდგომი ხელმძღვანელობისათვის. ფაქტიურად, ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა.

1815-1864 წლებში დასადგურებულმა მშვიდობამ წარმოაჩინა როგორც პრუსიის არმიის, ისე გენერალური შტაბის ოფიცერთა მცირერიცხოვანი კორპუსის განვითარება. სამხედრო სამინისტროში მხოლოდ ერთი დეპარტამენტი - დიდი გენერალური შტაბი - იყო, მაგრამ განუსაზღვრელად დიდი იყო ომის დროს მის მიერ შესასრულებელი როლი. მისი ოფიცრები თავიანთი დროის უმეტესობას უთმობდნენ რუკების შედგენას, უცხოურ არმიებზე თვალთვალს და დისლოცირებისა და მობილიზაციის დაგეგმვას. შტაბის ოფიცრები საველე ქვედანაყოფების შტაბებში ასრულებდნენ თავიანთი დონის შესაბამის მოვალეობებს. არმიის შტაბში ოფიცრები მიიჩნეოდნენ მეთაურის „დამხმარეებად“. გენერალური შტაბის ოფიცრები რჩევებს აძლევდნენ მეთაურს და მის ბრძანებებს წერილობით გასცემდნენ დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებზე. აღნიშნული ბრძანებები, წერილობითი იქნებოდა თუ სიტყვიერი, იყო ამოცანის ტიპის ბრძანებები, რომლებიც დაქვემდებარებუ-

ლებს აწვდიდა ზოგად ინფორმაციას, თუ რა უნდა შესრულებულიყო და ანიჭებდა მათ მაქსიმალურ თავისუფლებას მოქმედების მხრივ. შემდეგი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ანგლო-საქსონელმა სამხედრო ისტორიკოსებმა ამ სისტემას „ტაქტიკური დავალებები“ (Auftragstaktik) შეარქვეს, თუმცა აღნიშნული სიტყვა არ შედიოდა გერმანულ სამხედრო ლექსიკონში 1945 წლამდე. პრუსიულ-გერმანული არმია ყოველთვის ცდილობდა, რომ მისი შტაბის შემადგენლობა შეძლებისდაგვარად მცირერიცხოვანი ყოფილიყო. ის ასევე ცდილობდა, რომ მინიმუმამდე დაეყვანა ქაღალდებთან მუშაობა, რათა შეემცირებინა აზრთა სხვადასხვაობისა და გაურკვევლობის შემთხვევები. გენერალური შტაბის მიზანი იყო, რომ მეთაური უზრუნველყო სხვადასხვა სახის კვალიფიციური დამხმარეებით, რათა მეთაურს ჰქონოდა შედარებით მეტი დრო და ენერგია უფრო მნიშვნელოვანი საქმეების საკეთებლად.

დაახლოებით 32 წლის ასაკში, როდესაც ოფიცრები მიიღებდნენ უფროსი ლეიტენანტის წოდებას, პოლკის მეთაურის რეკომენდაციით, შეეძლოთ გენერალური შტაბისთვის მოსამზადებელი წვრთნების გავლა. თუმცა, ოფიცრებს უფლება ჰქონდათ უარი ეთქვათ ამ პატივზე. ხშირად, ომის აკადემიაში სამწლიანი სასწავლო კურსის გავლის შემდეგ რამდენიმე კანდიდატი უკან იგზავნებოდა თავისსავე პოლკში. თეორიულად შესაძლებელი იყო, რომ კანდიდატი, რომელიც აღნიშნული კურსის დამთავრების შემდეგ წარმატებით ვერ გაივლიდა გამოსაცდელ პერიოდს, ვერ იმსახურებდა გენერალური შტაბის კორპუსში. გენერალური შტაბის კორპუსში წარმატებით ჩარიცხვის მარცხი ზიანს არ აყენებდა ოფიცრის კარიერას. ომის აკადემიაში სწავლება ყოველთვის მიზანმიმართული იყო ოპერაციების პრაქტიკულ ასპექტებზე და ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ვითარების შეფასება, რუკების წაკითხვა, რელიეფის შესწავლა, ბრძოლის გათამაშება, ბრძოლის თანმიმდევრობის დახაზვა, მობილიზაციისა და განლაგების გეგმების შედგენა და, რა თქმა უნდა, ბრძანებების წერა. ომის აკადემია არ ასწავლიდა სტრატეგიას ან არ ეხებოდა ტექნოლოგიურ წინსვლებს. ერთ-ერთი

სურათი 107. ჰელმუტ ფონ მოლტკე, გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი 1871-1888 წლებში

პრუსიელი შტაბის უფროსი ოფიცერი აღწერდა შტაბის ოფიცრისთვის საჭირო სხვა უნარებს, მაგალითად:

,,შტაბის ოფიცერმა მუდმივად უნდა გაიაროს პრაქტიკა, რათა შეეძლოს სხვადასხვა სახის საომარი მოქმედებებისთვის თავის გართმევა; მან საკუთარ თავზე უნდა იმუშაოს, რათა იყოს სწრაფი და მოაზროვნე სამხედრო. მას უნდა ჰქონდეს მახვილი მზერა, რათა თვალის ერთი გადავლებით აღიქვამდეს საერთო მდგომარეობას; ის მკაფიოდ უნდა წერდეს, უნდა იყოს კარგი მხაზველი და თუ შესაძლებელია - პრაქტიკული ტელეგრაფისტიც. და ბოლოს, ჯართან მუდმივ კონტაქტში ყოფნით მან უნდა შეინარჩუნოს მეგობრული დამოკიდებულება ჯარისკაცებთან და იცოდეს მათი სურვილები; შტაბის ოფიცერს პოლკის სამსახურში ხშირი დაბრუნება განუახლებს ცოდნას და მაშასადამე, გახდის ყველაზე მოთხოვნადს ქვედანაყოფში."

გენერალური შტაბის კორპუსში მსახური მოითხოვდა და საჭიროებდა სათანადო მუშაობას, იძლეოდა სწრაფი დაწინაურების შესაძლებლობას, გერმანიის მმართველ ელიტასთან კავშირის შანსს და იქმნებოდა იმის შესაძლებლობა, რომ გენერალური შტაბის ოფიცერთა კუჭს წყლული გასჩენოდა, რაც არმიაში ხუმრობით ცნობილი იყო, როგორც „გენერალური შტაბის ოფიცერთა კუჭი."

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის რევოლუციამ და ნაპოლეონთან ომებმა ხელი შეუწყვეს პრიუსიულ-გერმანული სამხედრო სისტემის მრავალმხრივ განვითარებას, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში მოპოვებული გამარჯვებები ყველაზე მეტად ჰელმუტ ფონ მოლტკეს სახელს უკავშირდება. იგი იყო გენერალური შტაბის უფროსი 1857-1888 წლებში. ჰელმუტ ფონ მოლტკე დაიბადა 1800 წლის ოქტომბერში, ჩრდილოეთ გერმანიის პატარა სახელმწიფო - მეკლენბურგ-შვერინში, ხელმოკლე არისტოკრატულ ოჯახში. მამამისი მალევე შევიდა დანიის არმიაში, ხოლო ახალგაზრდა ჰელმუტი ჩაირიცხა დანიის კადეტთა სკოლაში, კოპენჰაგენში. ბევრი რამ შეიძლება ითქვას იქაური განათლების სისტემის სიმკაცრესა და ფონ მოლტკეს ოჯახის სიღარიბეზე. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ დანიის კადეტთა სკოლა თითქმის არ განსხვავდებოდა იმ დროს ბალტიისპირეთის ქვეყნებში არსებული სხვა სამხედრო აკადემიებისაგან. ამასთანავე, ფონ მოლტკეს მამას ნამდვილად არ ჰქონდა წარუმატებელი კარიერა, ის დანიის არმიიდან პენსიაზე გავიდა გენერალ-ლეიტენანტის წოდებით. ჰელმუტ ფონ მოლტკე სამი წელი მსახურობდა დანიის არმიაში, მაგრამ 1822 წელს მან მიიღო უფლება ჩარიცხულიყო პრუსიის ქვეითთა პოლკში. მან დაამთავრა ომის აკადემია 1832 წელს და შევიდა გენერალურ შტაბში, სადაც მუშაობდა ტოპოგრაფიულ სამსახურში.

1835 წელს ჰელმუტი სტამბულში, სავარაუდოდ, ექვსი თვით გაემგზავრა, მაგრამ სამხედრო მრჩევლის სტატუსით მისი ტურნე ოტომანის იმპერიაში ოთხი წელი გაგრძელდა. 1839 წელს ქურთების წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიაში მოლტკე თან ახლდა ოტომანის ძალებს, იგი ასევე ესწრებოდა ნისიბის ბრძოლას მოჰამედ ალის (ეგვიპტის მმართველი) წინააღმდეგ. მისი გამოცდილებები და დაკვირვების შედეგები შემორჩა, როგორც „წერილები თურქეთიდან." ეს არის მოგზაურობის წერილების წიგნი, სხვადასხვა პერიოდებში გამოცემული, რომელსაც ლიტერატურის კრიტიკოსთა უმეტესობა ახლაც გერმანიის პროზის კლასიკურ ნიმუშად მიიჩნევს. წიგნში ვლინდება მისი ავტორის მაღალი ინტელექტი, გამჭრიახობა და განსხვავებული იუმორის გრძნობა, გასაოცარი კეთილგანწყობილება. მის წერილებში ნაკლებად ჩანს სიძულვილი ნებისმიერი რელიგიის, რასის ან კლასის მიმართ. ამავდროულად, ის კვლავაც ცდილობდა ინგლისურიდან გერმანულად ეთარგმნა გიბონის „რომის იმპერიის დაცემა და დაკნინება" (Decline and Fall of the Roman

Empire), რათა შეევსო თავისი მწირი შემოსავალი. ამ სახელმძღვანელოს გამოცემა ვერ განხორციელდა და მან თანდათანობით მიატოვა ლიტერატურული მოღვაწეობა. უნდა აღინიშნოს, რომ მოლტკე არ იყო ტიპიური ევროპელი ოფიცერი, მაგრამ თავისი კოლეგების მსგავსად, ისიც კონსერვატორი და მონარქისტი იყო. ჩვეულებრივ, მოლტკე საზოგადოებაში იყო წყნარი და უემოციო ადამიანი, თუმცა კრიზისის მომენტში მის ერთ პატარა ჟესტს ან გამონათქვამსაც კი განსაკუთრებული ეფექტი ჰქონდა. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ არის მისი ნაშრომები მნიშვნელოვანი. გადრა ამისა, ისინი წარმოადგენენ ამ ადამიანის შეცნობის საშუალებებს.

1857 წლამდე ფონ მოლტკე ჰოჰენცოლერნების სამეფო დინასტიის სხვადასხვა წარმომადგენლებთან მუშაობდა და რიგრიგობით იცვლიდა საშტაბო თანამდებობებსა თუ ადიუტანტის მოვალეობებს. საველე ჯარს ძალიან ცოტა დროს თუ უთმობდა. ეჭვგარეშეა, რომ სამეფო ოჯახთან მისმა სიახლოვემ მოახდინა ზეგავლენა იმაზე, რომ 1857 წელს ის გენერალური შტაბის უფროსად დაასახელეს. შეგვიძლია მტკიცედ განვაცხადოთ, რომ მოლტკე არ იყო მნიშვნელოვანი სამხედრო თეორეტიკოსი, არამედ ის იყო უფრო საომარი მოქმედებების გრამატიკოსი. უნდა ვაღიაროთ, რომ იგი, გენერალ ჟომინისა და ადმირალ მაჰენისაგან განსხვავებით, არ აქვეყნებდა თავის შეხედულებებს, ხოლო მისი სამხედრო აზროვნების ნიმუშები დამარხულია მის ოფიციალურ და არაოფიციალურ სამუშაო ქაღალდებში, მისი კოლეგების კვლევებში და მის რეალურ კამპანიებში. უფრო მეტიც, ის თავის თავს უმეორებდა, რომ ომი, უფრო ხელოვნებაა, ვიდრე მეცნიერება და აქედან გამომდინარე, თავისუფალია ზოგადი წესებისაგან. მასზე ძლიერ ზეგავლენას ახდენდა კლაუზევიცის ნაშრომები და ხშირად ანალოგიებსაც ესესხებოდა. მოლტკეს მიერ დანატოვარი მემკვიდრეობა პრაქტიკულ მხარეზე უფროა დაფუძნებული, ვიდრე პუბლიცისტიკაზე. გარდა ამისა, მოლტკე არ უნდა განვიხილოთ როგორც იზოლირებული ინდივიდუალური პერსონა. იგი იყო პრუსიის გენერალური შტაბისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გარდამავალი ფიგურა, რომელმაც ყურადღებით და რაც მთავარია წარმატებით განავითარა მისი წინაპრების მიერ დანატოვარი საქმე.

1815-1870-იან წლებში მოსახლეობის ზრდამ და ინდუსტრიულმა რევოლუციამ რადიკალურად შეცვალა დასავლეთ ევროპის სახე. ევროპული საზოგადოების შეცვლამ კი განაპირობა ევროპული საომარი მოქმედებების მეთოდების შეცვლაც. ცვლილების უმეტესობა ნელა ვითარდებოდა, მაგალითად: ბრძოლის ველის გაფართოვება არმიების ზრდის შედეგად, შეიარაღების სისტემების ლეტალობის გაზრდა და რკინიგზისა და ტელეგრაფის გამოყენება სამხედრო დანიშნულებით. პრუსიული არმია, სხვა დასავლური არმიების მსგავსად, ტექნოლოგიური ცვლილებების გამო ხშირად იდგა დილემის წინაშე და იმპულსურად ცდილობდა მის დაძლევას. ერთი რამ ნათელია, რომ ვერც ერთი ევროპული სახელმწიფო, და მათ შორის, ვერც პრუსია, სრულყოფილად ვერ დახელოვნდა განვითარებად ტექნოლოგიებში. 1855 წელს მოლტკეს წინამორბედმა გენერალურ შტაბს მისცა მითითება დაეწყო ევროპული რკინიგზის შესაძლებლობების შესწავლა. მას შემდეგ, დისლოცირების გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რკინიგზას და ის გენერალური შტაბის წვრთნების განუყოფელი ნაწილი გახდა. 1840 წელს პრუსიულმა არმიამ შეითვისა სახაზინო ნაწილიდან დასატენი შაშხანების ერთ-ერთი ძირითადი სახეობა. 1866 წელს აღნიშნულმა „ნემსიანმა შაშხანამ“ პრუსიულ ქვეით ჯარს მისცა ავსტრიელებზე დიდი საცეცხლე უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა, მაგრამ 1870 წელს აღნიშნული უპირატესობა ერგო საფრანგეთის ქვეით ჯარს ფრანგულ-პრუსიულ ომში. 1866 წელს პრუსიის არტილერიამ დაადასტურა (გამოავლინა) ავსტრიელების და-

ბალი მდგომარეობა, ხოლო 1870 წელს კი ფრანგების შედარებით მაღალი დონე. მოკლედ რომ ვთქვათ, არც ერთი მხარე არ ფლობდა ტექნოლოგიურ უპირატესობას.



სურათი 108. ავსტრიული მსუბუქი ქვემეხი

მოლტკესა და რამდენიმე უფროსი ოფიცრისათვის ნათელი გახდა, რომ ძალიან რთულდებოდა კორპუსებისა და არმიების მართვა და კონტროლი. მოლტკეს უფრო და უფრო აფიქრებდა სამხედრო ფორმირებებისა და არმიების გაზრდილი მოცულობა. ერთ დღეს ერთ გზაზე ერთ კორპუსზე მეტ ქვედანაყოფს არ შეეძლო გავლა, ხოლო გზების ხელმისაწვდომობა კი მცირდებოდა, როცა კორპუსები ერთიანდებოდა. ბრძოლის დაწყებამდე რომელიმე სახეობის კორპუსების ტრადიციულ, ნაპოლეონისეულ წყობაში თავმოყრა (მასირება) უამრავ პრობლემებს ქმნიდა, განსაკუთრებით კი, ლოგისტიკის სფეროში. გარდა ამისა, მასირებული არმია ვერ შეძლებდა სწრაფად მანევრირებას, მხოლოდ ბრძოლის ველზე ნელი მარში იქნებოდა შესაძლებელი. მასირებული არმიის დაშლა (დაყოფა), განსაკუთრებით კი მტრის არმიის პირისპირ, ძალიან სახიფათო იქნებოდა. 1865 წელს ფონ მოლტკე ყველა შესაძლებლობის გათვალისწინებით, უკვე ფიქრობდა, გადაეხვია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაპოლეონისეული წარმატებული პრინციპისაგან (როგორც ქადაგებდა უფროსი მქადაგებელი - ჟომინი), რომელიც გულისხმობდა ყველა ხელთარსებული ძალის მასირებას ბრძოლის დაწყებამდე. მოლტკეს კვლავაც სურდა მთელი საკუთარი ძალების თავმოყრა ბრძოლის ველზე, მაგრამ მხოლოდ ბრძოლის განმავლობაში და არა ბრძოლამდე. მან დაასკვნა, რომ არმიების გაზრდილი რიცხოვნობა, შეწყვილებული - რკინიგზის მეშვეობით მასშტაბურ დისლოცირებასთან, ბრძოლის ველის შიდა ხაზებზე ბრძოლის ნაცვლად იძლეოდა ბრძოლის ველზე ძალების გარე კონცენტრირების საშუალებას.

კიონიგრაცის ბრძოლა. საფრანგეთ-პრუსიის ომი

სამუელ ჯეი ლუვასი

1864 წელს პრუსია შლეზვიგისა და ჰოლშტეინის პროვინციების გამო შეუერთდა ავსტრიას დანიის წინააღმდეგ ომში. პრუსიის ძალებს მეთაურობდა ხნიერი და არაკომპეტენტური ფელდ-მარშალი ვრანგელი. მეფემ ის და მისი შტაბის უფროსი მალე გაათავისუფლა და ახალ მეთაურად პრინცი ფრიდრიხ კარლი დაასახელა, ხოლო მოლტკეს სთხოვა დროებით ემსახურა შტაბის უფრო-სის თანამდებობაზე. დიუპოლის საფორტიფიკაციო ნაგებობებზე მათმა წარმატებულმა იერიშმა ხელი შეუწყო ომის სწრაფად დამთავრებას. ეს იყო წინაპირობა იმ საკითხის წამოჭრისა-ავსტრია გააერთიანებდა გერმანიას, თუ პრუსია. შემდეგი ორი წლის განმავლობაში ეს ორი სახელმწიფო დიპლომატურად მტრობდა ერთმანეთს შლეზვიგისა და ჰოლშტეინის გამო, კაკაფონიის ორკესტ-რირებას კი, ჩვეულებრივ, პრუსიის კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი ახდენდა.

სურათი 109. ჰერვარტ ფონ ბეტენფელდი (1796-1884). გენერალ - ფელდმარშალი

1860 წელს მოლტკემ და მისმა მოადგილეებმა გა-ანალიზეს ავსტრიის მხრიდან მოსალოდნელი საშიშ-როება და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ავსტრია საფ-რთხეს უქმნიდა სილეზიას და გარდა ამისა, შეეძლო სწრაფად გაეძლიერებინა თავისი მოკავშირე საქსონია, რაც ასევე საფრთხეში აგდებდა ბერლინს. აქედან გა-მომდინარე, მოლტკემ გადაწყვიტა დაემტკიცებინა თა-ვდაცვის გეგმა და საფრთხე შეექმნა ავსტრიელთა სავა-რაუდო თავდასხმის ფლანგისთვის. დაწყებული 1865 წლიდან ბისმარკი ფიქრობდა, მოეპოვებინა საფრანგე-თისა და რუსეთის ნეიტრალიტეტი ავსტრიასთან მო-მავალ ომში. ეს იქნებოდა დემარში, რომელიც გამოა-თავისუფლებდა პრუსიის დამატებით ძალებს და მო-ლტკე შედეგად მიიღებდა ავსტრიასთან რიცხობრივ თანასწორობას. მოლტკეს ოპერატიული გეგმა კვლავაც თავდაცვითი ხასიათის იყო, მაგრამ ითვალისწინებდა ადრეულ თავდასხმას საქსონიაზე, მისი თავიდან მო-ცილების მიზნით. აღნიშნული ჰგავდა 1756 წელს ფრი-დრიხ დიდის მიერ წინასწარ გათვლილ ნაბიჯს. 1866 წლის თებერვლისათვის ბისმარკის დიპლომატიურმა თავდასხმამ მოლტკე დაარწმუნა, რომ ავსტრიასთან ომი გარდაუვალი იყო. იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პრუსიელების სწრაფი მობილიზაცია იქ-ნებოდა გადამწყვეტი ფაქტორი. აპრილში მოლტკემ გადაწყვიტა გამოეყენებინა არა თავდაცვითი, არამედ თავდასხმითი გეგმა და გაეწია ისეთი მოქმედებისთვის დამახასიათებელი რისკი, როგო-რიცაა საკუთარი ძალების ნახევარწრეზე განლაგება ბოჰემიის ჩრდილოეთით 400 კოლომეტრის გა-ყოლებაზე. მან ასევე დაადგინა, რომ მაშინ, როცა პრუსია ბოჰემიისაკენ მიმავალ ხუთ მსხვილ სარ-კინიგზო ხაზს ფლობდა, ავსტრიას მხოლოდ ერთი გააჩნდა. აქედან გამომდინარე, პრუსიის ჯარი სამ კვირაში შეძლებდა მთელი ძალების თავმოყრას, ხოლო ავსტრიისა კი, ექვს კვირაში. ამასობაში ბისმარკმა მიაღწია წარმატებას საფრანგეთისა და რუსეთის ნეიტრალიტეტის მეშვეობით ავსტრიის

იზოლირებაში. შემდეგ პრუსიას ომში იტალიაც შეუერთდა ავსტრიის დამატებითი ძალების და მათთან ერთად, ავსტრიის საუკეთესო გენერლის ერცჰერცოგ ალბერტის (ნაპოლეონის შეუ-რიგებელი მტრის, ერცჰერცოგ კარლის ვაჟის) შესაკავებლად.

სურათი 110. ფრიდრიხ კარლი (1828-1885). გენერალ - ფელდმარშალი და პრუსიის პრინცი

აშკარა იყო, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწრაფ მობილიზებას და განლაგებას. პრუსიის მეფემ ვილ-ჰელმ პირველმა, რომელიც ჯერ კიდევ ფიქრობდა ავსტრი-ასთან ომის თავიდან აცილებას, მობილიზაციის შენელე-ბის გამო ჩაშალა მოლტკეს გეგმები. 1866 წლის 2 ივნისს, მობილიზაციის დასრულებამდე სამი დღით ადრე, მეფემ გამოაცხადა, რომ ამიერიდან პრუსიის გენერალური შტაბი იქნებოდა სამხედრო სამინისტროსაგან დამოუკიდებელი, მოლტკე კი გახდა არმიის დე-ფაქტო საველე მეთაური. მო-ლტკემ ბერლინის საკუთარი სამუშაო კაბინეტიდან პრუ-სიის სამ არმიას უბრძანა განეხორციელებინათ საქსონიაზე თავდასხმა და ბოჰემიისკენ სამი მიმართულებით წასუ-ლიყვნენ, ყველას გეზი გიჩინის გზაჯვარედინისკენ უნდა აეღო. პრუსიამ მოახდინა 355.000 ჯარისკაცის მობილიზება და ბოჰემიის წინააღმდეგ 254.000 ჯარისკაცი გაეშურა. მო-ლტკე თავის ჯარს ბოჰემიაში შეუერთდა, სადაც პრუსიის რკინიგზები და ტელეგრაფები ვერაფრით დაეხმარებოდა.

პრუსიის მეფემ პირველი არმიის მეთაურად საკუთარი ნათესავი, პრინცი ფრიდრიხ კარლი დანიშნა. ზოგიერთს პრინცი შესაძლოა მხოლოდ მამაცი კავალერისტი ჰგო-ნებოდა, მაგრამ ის იყო სერიოზული პროფესიონალი, რო-მელსაც შეცდომის გამოსწორება შეეძლო. იგი ასევე იყო თავდაჯერებული, ენერგიული მეთაური. თავის ჯარისკაცებში პოპულარობით სარგებლობდა და მას „წითელ პრინცს“ ეძახდნენ იმის გამო, რომ შეყვარებული იყო ჰუსარის წითელ უნიფორმაზე. გერმანიის სახელმწიფოების უმეტესობა, სა-ქსონიის ჩათვლით, ავსტრიის მხარეს იდგა. პრუსიის მცირერიცხოვანმა არმიამ გენერალ ჰერვარტ ფონ ბეტენფელდის მეთაურობით, ანუ ელბის არმიამ, მიიღო დავალება სამი დივიზიით საქსონიის აღების შესახებ და თვითონაც პირველი არმიის დაქვემდებარებაში შევიდა.

გვირგვინოსანი პრინცი ფრიდრიხ ვილჰელმი (შემდგომში იმპერატორი ფრიდრიხ III) მეთა-ურობდა მეორე არმიას სილეზიაში. იგი იყო 35 წლის მოხდენილი მამაკაცი ხშირი წვერით. გარდა იმისა, რომ ის ჩინებული საველე მეთაური იყო, ის გონებაგამჭრიახი და ფრიად განსწავლულიც გახლდათ. მისი არმია ველზე განლაგდა I, V, VI და გვარდიის კორპუსებად. მათ ჰქონდათ რთული დავალება, რომელიც მოიცავდა რაიზენგბერგის მთების რთული უღელტეხილების გავლით წინ გადაადგილებას. მეორე არმიას ძალები უნდა გაეგზავნა თითოეული უღელტეხილის გავლით, მაგ-რამ ამასთანავე ავსტრიელებისათვის არ უნდა მიეცა თითოეული კოლონის წინააღმდეგ კონცენტ-რირების საშუალება.

ევროპის სამხედრო ექსპერტები ელოდებოდნენ ავსტრიის სწრაფ გამარჯვებას. ავსტრიაში 35 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა მაშინ, როცა პრუსიის მოსახლეობა 18 მილიონს შეადგენდა, თანაც

ავსტრიას ახალი მიღებული ჰქონდა საბრძოლო გამოცდილება. პრუსიის არმიას კი ბოლო 50 წლის განმავლობაში არ ენახა რეალური ბრძოლა. გარდა ამისა, სამხედრო ექსპერტები პრუსიის არმიას სასაცილო ქუდებში გამოწყობილ დიდ მილიციად აღიქვამდნენ. ამასთან, თეორიულად ავსტრიის არმია 850.000 ჯარისკაცისაგან შედგებოდა. რეალურად კი, მან მხოლოდ 528.000-მდე ჯარისკაცის მობილიზება შეძლო და მხოლოდ 320.000 ჯარისკაცი განალაგა პრუსიისა და იტალის წინააღმდეგ. ავსტრიის არმია უფრო ღარიბი და გაუნათლებელი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. მისი ოფიცრები ერთგულები და მამაცები იყვნენ, მაგრამ მიდრეკილნი იყვნენ თავნებობისა და მეტისმეტი სიფიცხისაკენ. მათ მთავარ სისუსტეს შტაბის მუშაობა და ზემდგომ ოფიცერთა ცუდი მომზადება წარმოადგენდა.1854 წელს ვენაში სამხედრო წარმომადგენლად მყოფმა პრუსიელმა სამხედრო მოსამსახურემ რამდენიმე ავსტრიელი ოფიცერი საბრძოლო თამაშზე მიიწვია. მათ მიწვევაზე უარი განაცხადეს მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ საბრძოლო თამაში ფულზე არ მოხდებოდა. ზოგიერთი რამ არც თორმეტი წლის გასვლის შემდეგ შეცვლილა. მაგალითად, თუ ავსტრიელი გენერალი საომარ მოქმედებათა თეატრის საკუთარ რუკებს არ მიიტანდა, მას რუკების გარეშე მოუწევდა თავის გართმევა.

სურათი 111. ფრიდრიხ ვილჰელმი (1831-1888). კრონპრინცი, გერმანიის მომავალი იმპერატორი ფრიდრიხ III

ბოჰემიაში ავსტრიელთა არმიის მეთაური იყო ფელდმარშალი ლუდვიგ ავგუსტ ფონ ბენედეკი, წარმოშობით უნგრელი პროტესტანტი არისტოკრატიის დაბალი ფენიდან. იგი ავსტრიაში ყველაზე ცნობილი და პოპულარული ჯარისკაცი იყო. ბენედეკი გამოირჩეოდა სიმამაცით, დაქვემდებარებულთა მიმართ ერთგულებით და უბრალო ჯარისკაცების მოწონებასა და ნდობას იმსახურებდა. მან თავდაპირველად უარი განაცხადა მეთაურობაზე. მიზეზად კი იმას ასახელებდა, რომ ის 62 წლის და არც ისე ჯანმრთელი იყო, თანაც მთელი თავისი სამხედრო სამსახურის მანძილზე იტალიის ჯარში იმყოფებოდა. გარდა ამისა, ის დამოუკიდებელი მეთაური არასოდეს ყოფილა. ავსტრიის იმპერატორის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად იგი მაინც გახდა მეთაური. ველზე ის საუცხოო გამბედაობას და თავდაჯერებულობას ავლენდა, მაგრამ აღნიშნულ პერიოდში თავისი ცოლის მიმართ მიწერილ წერილებში ასახულია ეჭვებითა და გაურკვევლობით შეპყრობილი მამაკაცი.

სურათი 112. ლუდვიგ ფონ ბენედეკი (1804-1881). გენერალ-ფელდმარშალი

ორივე არმია კვლავაც იდგა იმ აზრზე, რომ ტაქტიკური გამარჯვება მასირებით მიიღწევა. ავსტრიელებისათვის, ეს ბატალიონის კოლონებით იყო შესაძლებელი, ხოლო პრუსიელთათვის - ასეულის კოლონებით. თუმცა პრუსიელთა ასეულები უფრო მოქნილები იყვნენ, ვიდრე ავსტრიელთა ბატალიონები და ნემსიანი შაშხანებით აღჭურვილმა პრუსიელებმა საუცხო საცეცხლე სიძლიერე გამოავლინეს. პირველ საცეცხლე და შემხვედრ ბრძოლებში პრუსიელთა ქვეითი ჯარის უპირატესობა ადვილი შესამჩნევი იყო მაშინაც კი, როცა სათანადოდ არ იმართებოდნენ ზემდგომი შტაბებიდან. საზღვარზე ოთხდღიანი ბრძოლის განმავლობაში ბენედეკმა 30.000 ჯარისკაცი დაკარგა, ზოგი მოკლულ იქნა, ზოგი დაიჭრა და ზოგიც დაატყვევეს. აღნიშნულმა ძალიან იმოქმედა არა მხოლოდ ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთებაზე, არამედ თვით ბენედეკზეც, რომელიც იმპერატორს მოლაპარაკების დაწყებას სთავაზობდა. იმპერატორმა პასუხი ტელეგრაფის მეშვეობით დაუბრუნა და თან ეკითხებოდა, ბრძოლა უკვე გაიმართა თუ არა.

ორივე არმია კვლავაც ეყრდნობოდა ნაპოლეონის კავალერიის დოქტრინას, რომლის მიხედვითაც, კავალერიის მრავალრიცხოვანი რეზერვის გამოყენებით ცხენოსანთა მასირება უნდა მომხდარიყო ბრძოლის ველზე, გადამწყვეტ მომენტში საბოლოო დარტყმის მისაყენებლად. 1866 წელს ეს ნიშნავდა, რომ მანამდე ცხენოსნებს არ შეეძლოთ ბრძოლაში ჩართვა. შედეგად, ორივე არმიას ჰქონდა მძიმე პრობლემები რეკოგნოსცირებასთან (დაზვერვასთან) დაკავშირებით. ბენედეკმა იცოდა, რომ პრუსიის სამი არმია თავს დაესხა ბოჰემიას, რამაც მას უპირატესობა მისცა შიდა ხაზებზე, მაგრამ მან თავისი არმიის გადაყვანა ჩრდილოეთისაკენ, იოზეფშტადტის მიმართულებით შეძლო მხოლოდ ერთი სარკინიგზო გზით, რამაც ძალიან შეანელა მისი გადაადგილება. 1866 წლის 2 ივლისს, ქალაქ კიონიგრაციდან დაახლოებით 8 მილით ჩრდილოეთით, ბენედეკის არმია პრუსიის პირველ და ელბის არმიებს შეებრძოლა. შიდა ხაზები მხოლოდ მაშინ იძლევა უპირატესობას, თუ ერთ-ერთი არმია შეუტევს და დაამარცხებს მოწინააღმდეგეს იქამდე, ვიდრე მას მეორე არმიასთან შეერთების შესაძლებლობა მიეცემა. ბენედეკმა გადაწყვიტა დაეცვა მდინარე ბისტრიცა, გათხარა საველე საფორტიფიკაციო ნაგებობები და იმედოვნებდა, რომ მასზე შეტევას განახორციელებდა პრუსიის პირველი არმია პრინც ფრიდრიხ კარლის მეთაურობით. ბენედეკი ავლენდა მერყევ ხასიათს, ხშირად ეცვლებოდა აზრი, არ იცოდა პრუსიის მეორე არმიის ადგილმდებარეობა და კვლავაც თავს იქცევდა ფრიდრიხ კარლის წინააღმდეგ შეტევის იდეით.

სურათი 113 ავსტრიის
არმიის ლეიტენანტი

2 ივლისის საღამოს პრინცმა ფრიდრიხ კარლმა გადაწყვიტა საკუთარი პირველი არმიით და გენერალ ჰერვარტ ფონ ბეტენფელდის ელბის არმიით ბენედეკის არმიისათვის შეეტია და თავის შტაბს ბრძანებების გაცემა დაავალა. მნიშვნელოვანია, რომ პრინცმა ფრიდრიხ კარლმა მეორე არმიის მეთაურს, გვირგვინოსან პრინც ფრიდრიხ ვილჰელმს შეტყობინება გაუგზავნა, სადაც აღწერილი იყო მისი ჩანაფიქრები და სთხოვდა მხარდაჭერას. მოლტკე ღამის 22:00 საათზე გიჩინში გამოაღვიძეს და ვითარების შესახებ ინფორმაცია ამცნეს. მას ეჭვი ჰქონდა, რომ იმ ოთხი კორპუსის ნაცვლად, რომელიც უკვე დაადგინეს, მდინარე ბისტრიცას უკან ბენედეკის მთელი არმია იქნებოდა თავმოყრილი და შიშობდა, რომ ფრიდრიხ კარლის ფრონტალური შეტევა მარცხით დასრულდებოდა. ბრძანებების შეცვლა მხოლოდ მასობრივ არეულობას გამოიწვევდა. აქედან გამომდინარე, მოლტკემ საკუთარ ბრძანებებში დაამოწმა ფრიდრიხ კარლის ბრძანებები, მაგრამ გვირგვინოსან პრინც ფრიდრიხ ვილჰელმს მიუთითა, რომ მთელი მეორე არმიით დაერტყა ავსტრიელების მარჯვენა ფლანგისთვის.

ბენედეკი ფიქრობდა უკან დახევას მდინარე ელბას უკან, მაგრამ პრუსიელების შემოტევის ეშინოდა. მან გადაწყვიტა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ბრძოლა თავისსავე შერჩეულ ადგილას გაიმართებოდა. პრუსიელების მიერ „ნემსიანი შაშხანით“ პირველმა დარტყმამ ბენედეკს თავზარი დასცა. მან დაასკვნა, რომ ამ იარაღის სიძლიერეს თავიდან აიცილებდა, თუ ჯარს ბრძოლის ველზე, სიმაგრეებში განათავსებდა, რის შემდეგაც პრუსიელებს კედლის გარღვევა მოუწევდათ. მაშასადამე, მან 197.000 ჯარისკაცი და 770 ქვემეხი მდინარე ბისტრიცას

ზემოთ, ბორცვებიანი გორების გასწვრივ, კარგად გამაგრებულ თავდაცვით პოზიციებზე განალაგა. ბენედეკმა რეზერვში 58.000 კაცი დაიტოვა. 1866 წლის 3 ივლისის დილას ცივი წვიმა დაიწყო და მთელი დღე გაგრძელდა, რამაც ბრძოლის ველზე ხილვადობის შეზღუდვა გამოიწვია. ამავე დილით ბენედეკმა მიიღო ახალი შტაბის უფროსი, რომელიც მანამდე არ ენახა. განაწყენებული ყოფილი შტაბის უფროსი მთელი დღე მის გვერდით იდგა, მაგრამ რჩევებს თითქმის არ იძლეოდა.

დილით 07:30 საათისათვის ავსტრიელებისა და პრუსიელების არტილერიამ ცეცხლი გახსნეს ბისტრიცის ველის გაღმა და ნათელი იყო, რომ პრუსიის ქვეითი ჯარი წინ მიიწევდა მდინარე ბისტრიცისაკენ. პრუსიელები ფეხზე იყვნენ 04:00 საათიდან, შემდეგ ცოტა წაიძინეს და ალბათ არც უსაუზმიათ. პრუსიის ის სამი დივიზია, რომელიც შეტევას ახორციელებდა, მთელი დღის განმავლობაში ბისტრიცზე იბრძოდა. მათ დიდი ზიანი მიაყენა ავსტრიის ჩინებულმა არტილერიამ. ჩრდილოეთით პრუსიის მე-7 დივიზია დაწინაურდა და ხელში ჩაიგდო შვაიპის ტყე. აღნიშნულ რაიონში ავსტრიელი მეთაური შვიდ ბატალიონს მიუძღოდა წინ პრუსიელების იქიდან განსადევნად. მაგრამ „ნემსიან შაშხანას“ საკმაოდ დიდი ძალა ჰქონდა. ავსტრიელი მეთაური დაეცა, ხოლო მისი შვიდი ბატალიონის დიდი ნაწილი განადგურდა. შეტევები განაგრძო მისმა შემცვლელმა. როდესაც ძალები გამოელია, დაიწყო რეზერვიდან ქვედანაყოფების გამოყვანა. ავსტრიამ 40-მდე ბატალიონი დაკარგა შვაიპის ტყეში ბრძოლის დროს, როგორც ჩანს ისე, რომ ბენედეკმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. პრუსიის ქვეითმა ჯარმა ძლივს მოახერხა გაეძლო შვაიპის ტყეში ავსტრიელთა შეტევებისათვის. მათი ოფიცრების უმეტესობა დაიღუპა ან დაიჭრა. როცა შუადღე მოახლოვდა პრუსიელებს საბრძოლო მასალა გაუთავდათ და ისინი გამოუყენებელ საბრძოლო მასალას გარდაცვლილებს აცლიდნენ. შუადღისათვის ბისტრიცას გასწვრივ განლაგებული პრუსიის ქვეითი ჯარი გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა. ზოგიერთმა მცირერიცხოვანმა ქვედანაყოფმა უკანდახევა დაიწყო, ხოლო ერთი გენერალი ფიქრობდა თავისი დივიზიის ბრძოლიდან გაყვანას. თუმცა, დახმარება უკვე გზაში იყო.

სურათი 114. ავსტრიელი ქვეითები

ავსტრიელების მარცხენა ფლანგზე გენერალ ჰერვარტ ფონ ბეტენფელდის ელბის არმია წინ ნელ-ნელა მიიწევდა და 15:00 საათისათვის მათ საქსონების კორპუსი უკუაგდეს. ავსტრიელების მარჯვენა ფლანგს 12:00 საათისათვის გვირგვინოსანი პრინცის მეორე არმიამ შეუტია. საკვანძო დარტყმა 15:00 საათისათვის განხორციელდა, როცა პრუსიის გვარდიის კორპუსი ნისლში ჩუმად და მალულად მიიჭრა ავსტრიელთა სიმაღლეების შტურმით ასაღებად. ამ მომენტამდე ბენედეკს ეგონა, რომ ბრძოლას იგებდა და თავიდან ზემოაღნიშნული ამბის დაჯერება გაუჭირდა. გარდა იმისა, რომ ის რიცხობრივად მეტ ძალას უნდა შებრძოლებოდა, საფრთხე უკვე ჩრდილოეთიდანაც ემუქრებოდა. ბენედეკმა

რამდენიმე წუთში საქსონების კორპუსის განდევნის შესახებაც შეიტყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ახლა მას ორმაგი გარშემორტყმის საფრთხე ემუქრებოდა.

მარცხის საშიშროებამ გამოაფხიზლა ბენედეკი და მან თავისი ჩინებული თვისებები გამოავლინა. მალევე აღმოაჩინა, რომ მისი რეზერვის უმეტესობა დაქუცმაცებული იყო შვაიპის ტყეში შეტევების გამო. ბენედეკმა თავისი დარჩენილი ძალით რამდენიმე ძლიერი დარტყმა მიიტანა პრუსიელებზე, რათა უკან დახევის დროს დაეცვა საკუთარი არმიის უსაფრთხოება. და მართლაც, იმ ბოლო საათებში რამდენიმე მძიმე ბრძოლა გაიმართა. პრუსიის გვარდიამ მძიმე დანაკარგები განიცადა ავსტრიელთა განმეორებითი შეტევების მოგერიებაში. ბენედეკმა მოახერხა მისი არმიის უმეტესი ნაწილის გამოხსნა. მისი არმიის შემადგენლობიდან 5.600 ჯარისკაცი დაიღუპა, 7.500 დაიჭრა, 7.400 დაიკარგა და 22.000 ტყვედ ჩავარდა. მაგრამ საბოლოოდ, უუნარო შტაბმა კვლავ უღალატა არმიას, რადგან ქვედანაყოფებმა ვერ მიიღეს უკანდახევის მარშრუტების შესახებ ინფორმაცია, ხოლო ელბის ციხესიმაგრის მეთაურისთვის არ მიუციათ ბრძანება, რომ ხელი შეეწყო უკანდახევისთვის. აღნიშნულმა ვითარებამ მდინარე ელბას გადაკვეთის ადგილზე ნამდვილი ანარქია წარმოქმნა, რამაც ავსტრიის არმია შემდგომი ბრძოლისთვის უუნარო გახადა. ავსტრიის იმპერატორი მაშინვე სამშვიდობო მოლაპარაკებებზე გადავიდა.

სურათი 115. პრუსიის მეფე ვილჰელმ I, სამეფო ოჯახის წვრები და მოლტკე კიონიგრაცის ბრძოლაში

პრუსიის არმიები არ სდევნიდნენ ავსტრიელებს. ყველაზე მეტად შესაძლებელია, პრუსიელები ძალიან დაღლილები იყვნენ იმისათვის, რომ დევნა განეხორციელებინათ ან ალბათ, მოლტკე მიხვდა, რომ მისი სამი არმიის გარე კონცენტრირებამ ბრძოლის ველზე უზარმაზარი „საცობი“ შექმნა. ისტორიკოსებმა დაზუსტებით არ იციან, თუ რატომ არ მოხდა დევნა. მოგვიანებით, როდესაც მოლტკემ და მისმა გენერლებმა მოითხოვეს ტრიუმფალური მარში ვენაში, ბისმარკმა გადაწყვეტილება გააუქმებინა და ცდილობდა ავსტრიისათვის სულგრძელი სამშვიდობო პირობები წაეყენები-

ნა. ავსტრიას ვენეციის გარდა (რომელიც იტალიის შემადგენლობაში შევიდა) სხვა ტერიტორიები არ დაუკარგავს, მაგრამ იმ დროიდან გერმანიის საქმეებს საბოლოოდ ჩამოშორდა. აღნიშნულმა პრუსიას თავისუფლება მიანიჭა ერთიანი გერმანიის ჩამოყალიბების საქმეში.

კიონიგრაცის ბრძოლა ან სადოვა, როგორც მას ზოგჯერ მოიხსენიებენ, 1813 წლის შემდეგ კონტინენტზე ყველაზე დიდი ბრძოლა იყო, რომელშიც 400.000 კაცზე მეტი მონაწილეობდა. კამპანია მხოლოდ შვიდ კვირას გაგრძელდა, რამაც შეამცირა სიკვდილიანობის რაოდენობა და დაავადებების გავრცელების საშიშროება, რაც ყველაზე დიდი მსხვერპლის გამომწვევია გახანგრძლივებულ საომარ მოქმედებებში. ევროპის სამხედრო ინტელიგენციას უჭირდა პრუსიის გამარჯვების ახსნა. მოლტკემ დაარღვია ნაპოლეონის რამდენიმე ხელშეუხებელი მცნება, როგორც ამას ქადაგებდნენ ბონაპარტეს თვითგამოცხადებული მოსწავლეები. მათ დაასკვნეს, რომ პრუსიული სტრატეგია შეცდომა იყო და მოლტკეს მხოლოდ გაუმართლა. ისინი გამარჯვებას „ნემსიანი შაშხანის“ ტრიუმფით და მისი მაღალი სიძლიერით ხსნიდნენ. თუმცა, იყვნენ უფრო მოაზროვნე მკვლევარებიც. რუსმა მკვლევარმა, გენერალმა დრაგომიროვმა შეარბილა აღნიშნულ ბრძოლაში „ნემსიანი შაშხანის“ როლი და აღნიშნა, რომ გადამწყვეტი როლი ბრძოლაში სწორედ ამ ნემსიანი შაშხანის მზიდავებმა შეასრულეს. ამავე დროს, საფრანგეთის ატაშე, ბარონი შტოიფელი აცხადებდა, რომ ეს იყო იმ ქვეყნის შეიარაღებული ძალების გამარჯვება, რომელსაც უძლეველი მთავარსარდლობა ჰყავდა. პოლკოვნიკ შტოიფელს სჯეროდა, რომ პრუსიელები ნემსიანი შაშხანის გარეშეც გაიმარჯვებდნენ. თუმცა, საფრანგეთში ცოტას თუ სურდა აღნიშნული აზრის გაზიარება.

სურათი 116. პრუსიელთა გამარჯვების მემორიალი კიონიგრაცის ბრძოლის ადგილზე. დღევანდელი ჩეხეთის ტერიტორია

საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, ბისმარკმა პრუსია გააფართოვა ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციის შექმნით, რის შედეგად პრუსიის არმიის შემადგენლობაც გაიზარდა. არმია ასევე ცდილობდა სხვადასხვა თვალშისაცემი დეფექტების გამოსწორებას. მოხდა კავალერიის რეორგანიზება ისე, რომ რეკოგნოსცირების უკეთესად ჩატარება შესძლებოდათ. ასევე, განხორ-

ციელდა არტილერიის რეფორმა, ლულიდან დასატენი იარაღები შეიცვალა სახაზინო ნაწილიდან დასატენი იარაღებით, დააარსდა საარტილერიო სკოლა ოფიცერთა ზოგადი განათლების ხელშეწყობად და მოხდა საქვემეხო ჯგუფების დეცენტრალიზება.

საფრანგეთ-პრუსიის ომი

ოტო ფონ ბისმარკს სურდა საფრანგეთთან ომი პრუსიის ქვეშ გერმანიის გასაერთიანებლად, თუმცა ომის მოჩვენებითი მიზეზი იყო პრუსიის სამეფო ოჯახის (ჰოჰენცოლერნების) ერთ-ერთი პრინცის ესპანეთის მეფედ გახდომის შესაძლებლობა, რასაც ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთი. იაფფასიანი პოლიტიკური ფანდის დახმარებით ბისმარკმა ჩაატარა მანევრები და მიაღწია პატივმოყვარე და არასაიმედო ნაპოლეონ III-ის მიერ პრუსიის წინააღმდეგ ომის გამოცხადებას, რის შედეგადაც საფრანგეთი აგრესორად იქნა მიჩნეული, ხოლო გერმანიის დანარჩენი სახელმწიფოები პრუსიას მიემხრნენ. ნაპოლეონ III-ის ნაჩქარევმა გადაწყვეტილებამ გერმანიის სახელმწიფოებისაგან საფრანგეთის იზოლირება გამოიწვია. პრუსიას 1870 წელს გაცილებით უფრო დიდი ჯარი ჰყავდა, ვიდრე 1866 წელს, თანაც უფრო სწრაფი სამობილიზაციო გეგმით. აგრეთვე, პრუსიამ აღმოფხვრა უხეში დოქტრინული დეფექტები კავალერიასა და არტილერიასთან დაკავშირებით.

სურათი 117. ნაპოლეონ III, საფრანგეთის იმპერატორი 1852-1870 წლებში

1870 წელს საფრანგეთი უფრო ნაკლებად მომზადებული იყო ომისათვის, ვიდრე ავსტრია 1866 წელს. საფრანგეთს უგულებელყოფილი ჰქონდა არმიაში ხანგრძლივი პროფესიული სამსახურისათვის ხალხის ჯარში გაწვევის იდეა. არმიის შესავსებად საფრანგეთში ხალხს ჯარში ლატარიის პრინციპით იწვევდნენ, წამგებს დაახლოებით შვიდი წელი უხდებოდა ჯარში სამსახური. იმის გამო, რომ მდიდრებს შემცვლელების ყიდვა შეეძლოთ, ძირითადად, მხოლოდ ღარიბების მობილიზება ხდებოდა. ავსტრიასთან პრუსიის გამარჯვების შემდეგ, ნაპოლეონ III ცდილობდა არმიის რეფორმირებას პრუსიის მოდელის მიხედვით, თუმცა ვერ მოახერხა. 1868 წლის კომპორომისით კი არავინ იყო კმაყოფილი. საფრანგეთში სამხედრო სამსახური ხუთ წლამდე შემცირდა, რასაც ოთხწლიანი სარეზერვო სამსახური მოსდევდა. აღდგენილი ეროვნული გვარდია საჭიროებდა ყოველწლიურად, თუნდაც მხოლოდ ორკვირიან მომზადებას. 1870 წელს ომის უეცარი დაწყებით ეროვნული გვარდიის ნახევარი მილიონი ადამიანი მოუმზადებელი, ნაკლებად აღჭურვილი და არაორგანიზებული დარჩა.

სურათი 118. ფრანგული მსუბუქი ქვემეხი

საფრანგეთის ჯარი შედგებოდა მამაცი, ერთგული ჯარისკაცებისაგან და ასევე სამხედრო წოდების მქონე მრავალი ვეტერანისაგან. მათი სახაზინო ნაწილიდან დასატენი შაშხანა - შასპო ფრანგებს გერმანელებზე საცეცხლე უპირატესობის მოპოვების საშუალებას აძლევდა. საფრანგეთის არმიის მთავარ სისუსტეს სტრუქტურა, ორგანიზება და ოფიცერთა განათლება წარმოადგენდა. ფრანგი ოფიცრები მცოდნე და გამოცდილნი იყვნენ ასეულის დონეზე, მაგრამ შტაბის მუშაობაში, ნაპოლეონის ეპოქიდან მოყოლებული, რეალური პროგრესი არ შეიმჩნეოდა. ოფიცერთა კორპუსს კვლავაც ჰქონდა ანტი-ინტელექტუალიზმის და წერა-კითხვის უცოდინრობასთან დაკავშირებული პრობლემები. მრავალ სხვა შემთხვევაში, კოლონიალური ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, მცირე კოლონების მართვაში ოფიცერთა გამოცდილება ხელშემშლელ ფაქტორს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე მათი სამხედრო კუთხით განვითარების ხელშემწყობას. საფრანგეთის არმია პირველად ახდენდა მობილიზებას 1868 წლის რეფორმების საფუძველზე მაშინ, როცა პრუსიის შტაბის ოფიცრები მთელი წლის განმავლობაში მუშაობდნენ გეგმებსა და მობილიზაციაზე. საფრანგეთის არმიის მობილიზებამ ფართო ქაოსი გამოიწვია, ბევრმა რეზერვისტმა ვერც კი მიაღწია თავის ქვედანაყოფს. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ის იყო, რომ საფრანგეთის არმიის პოლკები თითქმის არასოდეს იყო განლაგებული იმ რაიონებში, საიდანაც შეძლებდნენ თავიანთი რეზერვისტების გაყვანას. მაგალითად, ზუავის პოლკის რეზერვისტებს, ელზასში თავიანთ ქვედანაყოფთან შეერთდებამდე, შეტყობინება უნდა გაეგზავნათ ჩრდილოეთ აფრიკაში განლაგებული სამხედრო ბანა-

სურათი 119. საფრანგეთის
არმიის ლეიტენანტი

კისთვის. საფრანგეთის ქვედანაყოფების უმეტესობა იყო მცირერიცხოვანი, მცირე აღჭურვილობითა და საკვებით. თეორიულად, საფრანგეთის არმიას ომი ჯარის მასირებით უნდა მოეგო, მაგრამ რეალურად, 1870 წლის საფრანგეთის სამხედრო სისტემა კრძალავდა მასის გამოყენებას სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეზე.

სურ. 120. ფრანგი ქვეითები

ფრანგულ-პრუსიული ომის დეტალური განხილვა სცილდება ჩვენი სწავლების მასშტაბებს. ქვემოთ მოცემულია კამპანიის ზოგადი მიმოხილვა. ფრანგი გენერალი მარი მაკმაჰონი მეთაურობდა დაახლოებით 100.000-კაციან არმიას სტრასბურგთან ახლოს, გენერალი აშილ ფრანსუა ბაზენი კი 150.000-კაციან არმიას მეცთან, ხოლო დაახლოებით 50.000-კაციანი სარეზერვო არმია თავმოყრილი იყო შალონის რაიონში. ფრანგებს იმედი ჰქონდათ, რომ წინ წაიწევდნენ მდინარე მაინისაკენ, მაგრამ პრუსიელების სწრაფი დაწინაურების გამო ფრანგებს ამის შესაძლებლობა აღარ მიეცათ. პრუსიელებმა პირველი აგვისტოსათვის თავი მოუყარეს ცამეტ კორპუსს, დაახლოებით 475.000 ჯარისკაცს მდინარე რაინის გასწვრივ და სამ არმიას თავდასხმაზე გადასვლის ბრძანება მისცეს. 2-დან 6 აგვისტოს ჩათვლით გამართული შემხვედრი ბრძოლებით შეიქმნა შემდეგი სურათი: პრუსიის ძალები სწრაფი შემხვედრი ბრძოლებით უტევენ ფრანგულ ქვედანაყოფებს. ფრანგები ნაწილ-ნაწილ ესვრიან პრუსიელებს, მაგრამ პრუსიის არტილერია მათში დიდ მსხვერპლს იწვევს. შემდეგ, ბრძოლის ხმის გაგონებაზე პრუსიის სხვა ქვედანაყოფები (ხშირად ბრძანებების გარეშე)სწრაფად მიეშურებიან თავისიანების დასახმარებლად და იერიშები მიაქვთ მოწინააღმდეგის ერთ-ერთ ფლანგზე. ფრანგული ქვედანაყოფები უკან იხევენ და მათ არმიაში იზრდება არეულობა.

სურათი 121. მარი მაკმაჰონი (1808-1893). საფრანგეთის მარშალი, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

სურათი 122. აშილ ფრანსუა ბაზენი (1811-1888). საფრანგეთის მარშალი

6 აგვისტოსათვის გენერალმა მაკმაჰონმა დაკარგა ვოგეზის ხეობები და გადაწყვიტა უკან დახევა სიღრმეში - შალონამდე. პრუსიელების გვირგვინოსანი პრინცის მესამე არმიამ მათ ტულონამდე სდია. ჩრდილოეთით, პრუსიელების პირველმა და მეორე არმიამ წინააღმდეგობის გარეშე გადაკვეთეს მოზელი და მეცთან მდგარ ბაზენის არმიას სამხრეთის მხრიდან გარსშემოერტყნენ. ტაქტიკური შეცდომების და ზოგჯერ დაქვემდებარებულთა წინასწარგანზრახული დაუმორჩილებლობის მიუხედავად, მარს-ლე-ტურის, ვიონვილის, რეზონვილის, გრევილოტის და სენ-პრივატის ბრძოლების შემდეგ, გენერალმა ბაზენმა მოახერხა საფრანგეთის არმიის გაყვანა და მეცის საფორტიფიკაციო ნაგებობში განლაგება. 23 აგვისტოსათვის პრინც ფრიდრიხ კარლის არმიამ ალყა შემოარტყა მეცს და ჩანდა, რომ ბლოკადა საკმაო ხანს გაგრძელდებოდა.

16 აგვისტოს საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III შეუერთდა მაკმაჰონის არმიას შალონთან. იქ, ორივემ მალევე გადაწყვიტა, რომ თავიანთი 130.000 ჯარისკაცი რეიმსის გავლით მეცთან წაეყვანათ, ბაზენის არმიის დასახმარებლად. ისინი ბომონტ მაასამდე მივიდნენ, სადაც პრუსიის მეოთხე არმიამ საქსონიის პრინც ალბერტის მეთაურობით, შეაჩერა მათი წინ გადაადგილება. ფრანგებმა ჩრდილოეთისაკენ, სედანამდე დაიხიეს უკან და აღმოჩნდნენ ხაფანგში, ჩრდილოეთით - ნეიტრალურ ბელგიასა და სამხრეთით - პრუსიის გვირგვინოსანი პრინცის მესამე არმიას შორის. 1 სექტემბერს მაკმაჰონი დაიჭრა და ის გენერალმა ავგუსტ ალექსანდრე დიუკრომ ჩაანაცვლა, რომელმაც ხაფანგიდან გაღწევის მცდელობით გერმანელებს შეუტია. აღნიშნული მცდელობა სისხლი-

ანი მარცხით დამთავრდა და მომდევნო დღეს, ნაპოლეონ III და 83.000-მდე ჯარისკაცი სედანში პრუსიელებს ჩაბარდა.

სურათი 123. პრუსიელი ქვეითები შეტევაზე სედანთან

მოლტკემ გაანადგურა საფრანგეთის ორი არმია და შეიპყრო ნაპოლეონ III, რაც ჩვეულებრივ, ომის მოგებას ნიშნავდა. მაგრამ 4 სექტემბერს პარიზში მესამე რესპუბლიკა გამოცხადდა და ფრანგებმა ბრძოლის გაგრძელების აღთქმა დადეს. აღნიშნულმა მოლტკე აიძულა პარიზისაკენ წასულიყო და გარსშემორტყმოდა მას. მოლტკეს ასევე მოუხდა დამატებითი ძალების განლაგება პარიზის ირგვლივ რაიონებში ფრანგებისათვის დახმარების მცდელობის აღსაკვეთათ. ამასთან, პრუსიელებისგან თავისუფალ საფრანგეთის ტერიტორიაზე ანტიგერმანული მოძრაობა დაიწყო, ხოლო პრუსიის არმიის ზურგის რაიონებში პარტიზანული ომი ატყდა. ვითარების უფრო მეტად დასამძიმებლად ბისმარკმა მოითხოვა პარიზისთვის საარტილერიო ცეცხლი დაეშინათ, რითაც სურდა გერმანიის მემარჯვენე ნაციონალისტური ფრთის პრესისთვის სიამოვნების მინიჭება და სხვა ქვეყნების კონფლიქტში ჩარევის თავიდან აცილება. საბოლოოდ, პრუსიის მძიმე არტილერია დანიშნულების ადგილას მივიდა და 1871 წლის 5 იანვარს პარიზის დაბომბვა დაიწყო. საინტერესოა, რომ მოლტკე არასდროს ცდილობდა პარიზის საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და ქალაქის დამცველი 400.000 ჯარისკაცის წინააღმდეგ სახმელეთო შეტევის წამოწყებას. საკვების ძლიერი შემცირების გამო დედაქალაქში ამბოხება დაიწყო და 28 იანვრის ზავით დასრულდა როგორც ბლოკადა, ისე ომი.

ფრანგულ-პრუსიული ომის შემდეგ დასავლური ქვეყნების უმეტესობამ შემოიღო ეროვნული სამხედრო სამსახური ჯარში გაწვევის პრინციპით და გენერალური შტაბის სისტემის ერთი ან განსხვავებული ფორმა. აღნიშნული ნაბიჯები შეიძლება ჩაითვალოს საფრანგეთის რევოლუციით და ინდუსტრიული რევოლუციით გამოწვეული ცვლილებების გაგრძელებად. მას შემდეგ ევრო-

სურათი 124. პრუსიელი ლეიტენანტი და ჯარისკაცები ქვედანაყოფის დროშით პარიზის მისადგომებთან

სურათი 125. დამარცხებული ნაპოლეონ III

პულმა ქვეყნებმა გაწვრთნეს და აღჭურვეს უფრო დიდი არმიები, რომელთა მობილიზება და დისლოცირება ხდებოდა გენერალური შტაბის მიერ სარკინიგზო გზების, ტელეგრაფების და ნებისმიერი ხელმისაწვდომი ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით.

1870 - 1914 წლებში საფრანგეთმა და გერმანიამ, თავიანთი მუდმივი არმიების სიდიდის გაორმაგებით, შექმნეს კონტინენტური არმიების მაგალითი. გენერალური შტაბი ასრულებდა ახლადჩამოყალიბებულ სამხედრო ფუნქციებს, გეგმავდა ზოგადად მომზადებული შეიარაღებული, მრავალრიცხოვანი არმიების განლაგებას. აღნიშნულმა დააჩქარა კიდევ ერთი გრძელვადიანი ტენდენციის დანერგვა თანამედროვე დასავლურ სამყაროში, ეს იყო - ოფიცერთა კორპუსის ტრანსფორმაცია გრძელვადიან, პროფესიულ, სამხედრო ფენად (საზოგადოებად), საკუთარი პროფესიული ენით, პერიოდული გამოცემებით, ლიტერატურით, ღირებულებებით და კულტურით. აღნიშნული კორპორატიული ჯგუფი სულ უფრო მეტად ხდებოდა კონსერვატიული და ერთგვარად შორდებოდა ირგვლივ არსებულ საზოგადოებას, თუმცა, ის ვერ იქნებოდა თავისუფალი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის დომინირებული ორი იდეისაგან, როგორებიც იყო ნაციონალიზმი და იმპერიალიზმი. 1864 - 1871 წლებში პრუსიელების გამარჯვებებმა განამტკიცეს ნაპოლეონის მიერ დანატოვარი მემკვიდრეობა, ეს იყო თავდასხმის კულტი, შესრულებული მაქსიმალურად დიდი ძალის გამოყენებით და სწრაფვა გადამწყვეტ, გენერალურ ბრძოლაში მოწინააღმდეგის ძალების განადგურებისაკენ.

იარაღის ლეტალობის გაზრდის შედეგად მოლტკემ ადრევე განჭვრიტა ფრონტალური შეტევების საშიშროება. გერმანული დოქტრინა შემდგომშიც ხაზს უსვამდა მოწინააღმდეგე ძალებისთვის ფლანგებიდან შეტევას. წესდებებმაც კი ვერ შეძლო თავდასხმის კულტის გაბათილება, რაც ოფიცერთა კორპუსში ცნობილი იყო, როგორც შეტევის მანია. 1879 წლის შემდეგ მოლტკეს ოპერატიული გეგმა ეყრდნობოდა საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ ომის ვარაუდს. ორ ფრონტზე

სურათი 126. ჰელმუტ ფონ მოლტკეს ძეგლი
ბერლინში, „დიდი გერმანელი“

ბრძოლის სტრატეგიული კოშმარი სავსებით რეალური გახდა. მოლტკე დასავლეთში თავდაცვით მდგომარეობას გეგმავდა, ხოლო აღმოსავლეთში - ავსტრიულ-გერმანულ თავდასხმას. გერმანიის სამხედრო გადაწყვეტილებების მიღების ციკლში მალევე შეიქმნა ხანგრძლივად შენარჩუნებული მენტალიტეტი, რამაც ხელი შეუწყო პრევენციული თავდასხმების გეგმების ჩამოყალიბებას. საბოლოოდ, მოლტკემ ვერ შეძლო გერმანიის სტრატეგიული დილემის გადაჭრა. 1890 წელს იგი უკანასკნელად გამოჩნდა არენაზე და გააფრთხილა რაიხსტაგი, რომ არსებული ევროპული ალიანსებით და ძალების დონით ვერც ერთი ერი ვერ მოიგებდა ომს მხოლოდ ცალკეული გადამწყვეტი კამპანიით. მან განაცხადა, რომ შემდეგი ომი შესაძლოა ხუთ ან მეტ წელს გაგრძელდეს, რაც ევროპული საზოგადოების წყობილებას დაანგრევს. შესაძლოა ამ ხნიერ კაცს ვინმემ მოუსმინა, მაგრამ სიტუაციის გამოსწორება ვერავინ შეძლო, ვერც იმ ვიწრო პროფილის სამხედრო სპეციალისტებმა, რომლებმაც მის ნაკვალევზე გაიარეს.

საკითხავი ლიტერატურა

1. კაციტაძე კახა, *სტრატეგიის საფუძვლები*, თბ., 2007 წ.
2. ავტორთა კრებული, *საქართველოს სამხედრო ისტორია*, თბ., 2013 წ.
3. ჯორჯაძე ირაკლი, *ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის ნარკვევები* , თბ., 1981 წ.
4. შარაშენიძე ჯემალ, *ომებიადა*, თბ., 2011 წ.
5. ავტორთა კრებული, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, თბ., ტ. IV 1980 წ.
6. ცისკარიშვილი დიმიტრი, *ნაპოლეონი*, თბ., ტ 1, ტ 2, 1993-1994 წ.წ.
7. შაიშმელაშვილი ივანე, *კრწანისის ომი,* თბ., 1976 წ.